

652
1995

ISSN 0134 3459

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆՈՒՆԱԴՐՈՒՄՆԵՐ

ԳԵՏԱՆՈ



4-6

1995

მიჰყუდებია სამშობლო, ყოფნა-არყოფნის კედელს,
 დიაცნი ლოდუმს პოცნიან, ვაჟკაცნი ღაზღუმს ვწუფენ...

შენი ქალწული, ჯამემში, წამის წვეთივით წვეთავს
 და მუხლზე უზის მუდამდღო, ნარკომანსა და ცვედანს...

მღუმაჯად იქცა მსაცვარი, და სალასანად, ვეჟო,
 კუთხურ იწილთ-მიწილთს, ჩხიმავს, ჩყიპავს და ეჭუმს...

დამრეცილია ზეგარდმთ ზომიერების ჩარჩო,
 შენი ატცისცი ჩალიჩუმს, შენი მწერალი ჩარჩუმს...

ის შენი ჯორესპონდენციც, თავს ტომ იწონებს ასლა,
 მძარცველისა და მსჯეჟელის მემართასტრე განხდა...

ვითომ მოწამის წყვეტებით, მცნებას ათივს მისდევს...
 და ... ყიდის ვაპიკ-ვაპიკად, თანამედროვე ქრისტეს.

ქამამად იქცა ქალაღი, თათლად ქცეულა წემო,
 ნეცავ რა გელის სვალ ან ზოგ ვავკასიონის მთებო...

რა შევტრია პაციოსანი, ჩემო თუმივ და მალავ!

– ჭიმვარზე ნალის ნაცესი,

– ეკლუმზე თავის ქალა.

ზურაბ შორაგილაძე

გოგოსი

გამოცემის 37-ე წელი

4-6

ივლისი-დეკემბერი

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით..
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ბათუმი

საქართველოს მხედრულთა კავშირისა და აჭარის
ორგანიზაციის სალიბერატურო-საზოგადოებრივი
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე



სარედაქციო კოლეგია:

ვახტანგ ახვლედიანი
ჯურაბ გორგილაძე
მამია ვარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზორბა ჯორიძე
დავით თედორაძე
ალექსანდრე სამსონია
რამაზ სურგანიძე
გურამ ფანჯიკიძე
ამირან ხაბაზი
ფრიდონ ხალვაში
ჯემალ ჯაყელი

ნომერი გააფორმა პ. გორგილაძემ.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 10.03.95, ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.11.95, ქა-
ღალდის ზომა 60X 90¹/₁₆, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10, სააღრიცხვო-
საგამოცემლო თაბახი 9,8, უცეკეთის № 767, ტირაჟი 200

ქ. ბათუმის № 1 სტამბა, იბერიის ქ. № 91

რეზა მრუველაძე

მეტეორი

2059
სისულელეების ჯამი იყო ჩემი სიყმაწვილე და ასე სისულელეებით გავდიო ბოლომდე. შენ არ მომიკვდე, მე დაჰყვიანება და დაბრძენება არ მეგრძნოს.

შეცდომების ჯაჭვი ყოფილა ადამიანი, მეტი არაფერი.

ახალგაზრდობა იმიტომაც ყველას ლამაზი ასაკი, რომ ანგარიშებით არ გაქვს თავი დამძიმებული... ამკრძალავ ნიშნებს მაინც დამაინც დიდ პატივს არა სცემ. გაბედული ხარ... ჯიქურ ასკდები ცხოვრების ბარიერს. სიფრთხილისა და წინდახედულების ბორკილი ვერაფერს გაცლებს.

ახლა? ჩემს ასაკში? დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. „ეს არ შეიძლება“, „ეს არ მეკადრება“, „ეს დაგვიანებულია“ ლამის შეგმამოს და სული ამომართვას.

ამ ორი კვირის წინათ ისეთი სისულელე ჩავიდინე, დარჩენილ ორ პარასკევს რომ მეყოფა საკენესად და სანანებლად, გაიმბოზ ისე, გულის დასაბერტყად, თორემ შევლით რას მიშველი.

დეკემბერი იწურებოდა.

უსაამოვნო. ჭარყინვიანი ამინდი იდგა.

ტროლეიბუსიდან ჩამოვედი, ტალახიან გვირაბში გავდგერი და ჩვენი კანტორისაკენ მივაბიჯებ. თავჩაქინდრული, რომ იტყვიან, მხრებაწურული.

ვფიქრობ, რა გაძლებს მეთქი ამ სიცივეში ჩემს კაბინეტში რვა საათს. რაც მოსკოვმა გაზი და ელექტრონი შეგვიწყვიტა, მოგესხენება, არსად არაა წესიერი გათბობა და ჩვენთან იქნება? ძველთაძველი შენობაა, ომამდე დამონტაჟებული მილგაყვანილობა და რადიატორები უდგას.

კიბე რომ ამოვიარე, მაშინვე შევნიშნე ქერათმიანი, დიდტუჩება ლამაზი გოგო. ბუკლავს ჭრელი პალტო ეცვა და ქუდი, რასაკვირველია არ ეხურა.

პურის მოგრძო ნაჭერი ჩაებლუჯა და ისე მადიანად ჰამდა, თვალს ვერ მოწყვეტდი. ჰამდა თავის სილამაზეში, თავის თვალმოუწყვეტელობაში დარწმუნებული, თითქოსდა ახარბებდა ქვეყანას

თავის ოც-ოცდარ წელს. ჰამდა თამამად და უფრო თამამად
ლებდა თავს გამვლელ-გამომვლელთ. ადრე არასოდეს შემინი-
ნავს. არც სიციფე აწუხებდა, არც, ჩემი წეტყობით, დიდი რამე
უარდ-საზრუნავი.

იღვა ახალი ადამიანი, საზოგადოებას შენატებული ლამაზი
გოგო, თითქოსდა იმ თავაწეული თამაში დგომით და სუფთა თვალ-
ებით მთელ ქალაქს აფრთხილებდა, მოვედი მე და ანგარიში გამა-
წიეთო... ჩემი წილი, რაც მეკუთვნის ამ ცხოვრებიდან, კეთილი
ინებეთ და გამომიყავითო, თავის ადგილს ითხოვდა, მეტს არაფერს.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა სილამაზეა... ერთი და იგივე ხა-
ლხათ გაბეცებულ, გახუნებულ ქუჩაზე უეცრად რომ გამოჩნდება
ახალი სახე, ახალი პიროვნება, გუშინ იგი ბავშვი იყო და ვერ გამ-
ჩნევდით. შეიძლება აქაც ბევრჯერ შეგვხვედრიო ნოწაფის ჩანთით
და წითელი წკაპუნებით. ახლა ერთბაშად წამოიშრათა ჩვენს წინა-
შე და, ბიჭი ხარ. არ შეხედო, თვალი არ გააცოლო. თუ მოინდომა
ტყინს გადმოგიბრუნებს და ფეხს აგარეგინებს.

შეგხედე და ჩავუარე. მეტი რა. მე ორმოცდაათი წლის კაცი
ვარ. სხვა არაფერი მეხება.

ჩემი წილი სისულელეები ჩადენილი მაქვს.

თვალს ღონ არ გავესწორებ ოც წლის ანგელოზს და სასაცი-
ლო მდგომარეობაში ზომ არ ჩავიგდებ თავს.

იგი სხვა გაზადხულებს მოჰყვა. სხვა თაობას ეკუთვნის. თავის
ჩანჩქერებს ათამაშებს.

ვტუცავ ახლა ჩემს კარებში თავს და ვაჩხაყუნებ საღამომდე
ჩემი მოწყენის ჩოთქს.

ეს ყოფილა ჩემი ბედი.

კარებამდე ათიოდე ნაბიჯი არ შექნებოდა გადადგმული, რომ
მკლავზე ვიდაც შემეხო.

— თქვენ, თქვენ... მოვიხედე, ის არის. ცალ ხელში პურის
დარჩენილი ნაჭერი უჭირავს, მეორეთი ჩემს ძველთაძველ, გაცრე-
ცილ ხელთათმანს მაწოდებს.

— მე მგონი, თქვენ დაგივარდათ.

— დიდი მადლობა, საყვარელო, — რა ჯანდაბამ ამოაგდო,
ჯიბეში მედო, გამოვართვი...

არ მიდის. პურს ჰამს, ისევ ისე, მადიანად და გემრიელად.

— ნახეთ, მეორეც ხომ არ დაკარგეთ.

ჯიბე მოვიჩხრიკე.

— მეორეც ამომვარდნია, ეს ოხერი, იქვე იქნება, ეს სად იბ-
ოვეთ?

გვერდით მომყვება, ჭადრებთან არ ჩანს ჩემი ხელთათმანები
იქნებ გვირაბში დამიფარდა.

მოვიხედე, მომყვება.

— არა უშავს. თქვენ წაბრძანდით, ეიბოვი როგორმე. თუ არა
და თქვენი ჭირი წაუღია, ტროლეიბუსში ისეთი ქიჩაობაა, სული არ
შეგერება კაცს. შეიძლება ტროლეიბუსში ამომიფარდა.

ავიარეთ გვირაბი. გაჩერებამდე მივედით და უკან გამოვტრი-
აღდით.

შეწუხებული სახე აქვს.

— რას უზამთ ახლა ამ ცალ ხელთათმანს?

დავაკვირდი, ხომ არ დამცინის.

— რა უნდა ეუყო, გადავაგდე.

— ჯერ ნუ. იქნებ აღმოჩნდეს. — გაიცინა — სხვათაშორის,
ერთხელ, დედაჩემმა ცალი საყურე დაკარგა. უბრალო ბიუტერი
იყო, მაგრამ ძალიან ლამაზი. ისე მიყვარდა ის საყურე. ეძება, ეძე-
ბა და რომ ვეღარ იპოვა ადგა და გადაავდო. ერთი გვირის შემდეგ
ბეზაჩემის ოთახს რომ ალაგებდა, არ იპოვა ის პირველი დაკარგუ-
ლი? რაღას იზამდა, იქნებ ვინმემ... ან იქნებ სახლში დაგრჩათ.

— გამოირიცხებოდა, — ამოვიხეენე.

— ძალიან გცივათ ხელებზე?

ეს უკვე მეტისმეტია. ნამდვილად დამცინის.

— არც ისე.

— ცალ ხელზე რომ გეკეთოთ და ცალი ჯიბეში ჩაიდოთ? —
იღიმება.

— რაღაცას მოვიფიქრებთ. ცალი ხელთათმანი შარშან დავკა-
რგე და, თუ ძალიან გამიჭირდა, ცალ-ცალს გავიკეთებ.

— გენიალურია! — აღტაცებული თვალები შემომანათა, —
თქვენ იუმორის გრძნობა გაქვთ... რა ფერისაა ის ქველი, ცალი
ხელთათმანი?

— მწვანე!

— გენიოსი ხართ! დედა! ასეთი ტონკი მამაკაცი არ შემხვედ-
რია, — გულიანად იცინის. — მაშ მწვანეა? არაუშავს, სხვათაშორ-
ის, ორიგინალური იქნება შავი და მწვანე ხელთათმანი! ერთი სუ-
ლი მაქვს, სანამ ამ ამბავს დაღის ვუამბობ...

— დალი ვინ არის?

— ჩემი დაქალია. სამნი ვართ ჩვენ, სამი დაქალი, მე — თამთა,
დალი და ქეთი. ქეთი ყველაზე ჭკვიანია ჩვენს შორის.

— რაზე ატყობთ ხოლმე გოგოები, რომელი უფრო ჭკვიანია
თქვენს შორის?

— რა ვიცი... ვატყობთ... ქეთი მაგალითად, ყოველთვის ჰყვარებდა ლაბარაკებს და კიდევ, მომენტებში, ჩვენსავით არ იბნევა. სულ იცის, რას რა მოჰყვება.

— აა... პოთო... წაყვდი ახლა მე, თამთა, დიდა მადლობა ყველაფრისათვის.

ხელი გაგეწოდე.

— აქ მუშაობთ?

მოიწყინა.

— პო.

— რაზე?

— ბუღალტერი ვარ.

გაიცინა.

— სატინის სამკლავურები გიყვითათ ხოლმე?

— შიგადაშიგ.

— ასე მგონია, ძალიან მოსაწყენი პროფესიაა შეტყი.

— საერთოდ კი, დღეს, ალბათ, მოწყვნილი არ ვიქნები.

— რატომ?

— გამახსენდება, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთი ლამაზი გოგო, რომელიც ძალიან შეაწუხა ჩემი ხელთათმანის საგალალო ისტორიამ.

რა მერომანტიკულებოდა, მაგრამ ხანდახან, მეც ვიცი ხოლმე მაოლფარდოვანი ლაბარაკი. იმ წუთში ცამდე მართალი ვიყავი. გულიდან მოდიოდა ეს ფიქრი, მაგრამ ახლა რომ ვუყვარდები, არ უნდა მეტყვა. და საერთოდ, რატომ არ უნდა თქვა კაცმა, ის, რასაც ფიქრობ?

ბევრი რომ არ ვიფილოსოფოსო, ეს ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავი მორცხვად ჩაეჩინდრა და ფეხის წვერი ნაზად გაესვა ასფალტისათვის. გაესვა რაღაცნაირად, ტანის ლამაზი რხევით, როგორც ამ ასაკის გოგონებმა იციან.

ჩანთა გახსნა და ლურჯი უბის წიგნაკი ამოიღო.

— თუ შეიძლება, თქვენს ტელეფონს ჩავიწერ.

— რად გინდათ?

— დაგირეკავთ.

— და რას მეტყვით?

ეშმაკურად მოწყურა თვალი და განზე გაიხედა.

— გკითხავთ, ხელთათმანი ხომ არ იპოვეთ მეტყი.

— მეტს არაფერს?

— როგორ ბრძანდებით მეტყი.

— თ, ეს უკვე საქმეა. ჩაიწერე: „ოცდაცხრა ნოღა ოცდა-
თექვსმეტი“.

ჩაიწერა, ბლოკნოტი ჩანთაში ჩაიღო.

— აბა ნახვამდის, თამთა, მოიწერე ხოლმე.

მომწვანო-მოთაფლისფრო თვალები გაოცებით შემომანათა...

— რა მოვიწერო?

— არაფერი. ეს სიტყვები აჩემებული მაქვს. ოსტაბ ბენდერი
ხომ გახსოვს, — „მოიწერეთ ხოლმეო“ და მისამართს არავის უტ-
ოვებდა.

თვალებში შევატყვე, რომ ოსტაბ ბენდერმა დიდად არ დაინ-
ტერესა.

უბრალოდ ვერ გაიგო. ნახვამდისო თავი დამიქნია და წავიდა.
მე საათზე დავიხედე და მაშინვე კარებში ვტუცე თავი, ამიტომაც,
კოდვას ვერ დავიდე; არ დამინახავს, როგორ მიამიჯებდა.

არ მიყვარს გოგოებისათვის თვალის გადავლება.

მიდიოდა ალბათ ჩანთის ქნევით, ლამაზად, ოღონდ ცოტა უფ-
რო დაფიქრებული, ვიდრე ამ ოცა წუთის წინ. როცა პურის ნაჭ-
ერს მადიანად ჭამდა და თავისი ფართო, ქართული თვალებით
მოელ ქვეყანას ზედ აყოლებდა.

მეორე დღეს არაფერი და შესამე დღეს დამირეკა.

თამთა ვარო.

რომელი თამთა მეტქი.

გითხრა სიმართლე, აღარც ის გოგო მახსოვდა და; მითუმეტეს,
აღარც ხელთათმანი.

როგორ რომელი. ასე ბევრი „თამთები“ გყავთო?

ცოტა არ იყოს გულმოსულად, პრეტენზიულად მითხრა; აქა-
ოდა, ეს როგორ მოგივიდა, ასე ჩქარა როგორ დაგავიწყდით.

ჭადრებს ქვევით, ტელეფონის ჯიხურთან ვდგავარ, ძალიან მო-
წყენილი ვარ, თუ შეგიძლიათ, გამოდიეთ, გელოდებითო.

ხელში პურის ყუა თუ გიჭირავთ მეტქი.

არაო, ვაიცინა.

ერიპა! მოწყენილია „ქალბატონი“ და გამართობი მოუხდა.

საათს დავხედე, სამს აღარაფერი აკლია.

ახლა მე გაგანია მუშაობაში ვარ, ვინ გამომიშვებს მეტქი.

რომელზე ამთავრებთო?

საერთოდ. ხუთზე მეტქი.

კარგი, ხუთამდე დაგელოდებითო.

ყურმილი დამიკიდა ისე, რომ ჩემს პასუხს არც დაელოდა.

ოთხზე თოფა დაიწყა. ჯერ წვიმაში ურევდა, მერე ისე ხვავრი-



ელად წამოუშინა, რომ ჩემს ფანჯრებთან ხავეის ტოტებს ვაფრევდი.
წაფრევა პირველი წერილი, ხომეკალასებრი თოვლი.

დამინახა თუ არა, ჩემსკენ გამოიქცა, ჯერ ხელებზე შემავლო
თვალი, მერე—როგორ ბრძანდებით, დღეს ბევრი იმუშავეთო? ისე,
წარდილობის გულისთვის მკითხა.

ფეხი ავითრიე.

აქეთ პანსიონატის ეზოში, ან ვარაზისხევში ჩაისეირნოთ,
ხალვათობაა მეთქი...

გაგიგონია?

არაო. მე სწორედ აქეთ, რუსთაველისკენ მიინდა გავლა. ბოლ-
ოსდაბოლოს ხომ დავინახაურე, თრი საათია ამ სიციფეში გელოდუ-
ბითო.

კი ბატონო, მაგრამ თქვენთვის ვამბობ, დაგვინახავენ და ჭორს
მეტი რა უნდა მეთქი.

სინამდვილეში ჩემი გასაჭირი მაქვს, რუსთაველზე ხელკავით
ანგელოზივით გოგოს მიჰყვებოდაო, ამის გაგება უნდა ჩემს ცოლს?

* * *

დანარჩენს შენ თვითონ მიხვდები და აღარ გაგაცდენ.

იყო, ყველაფერი იყო.

კინოებში ჯდომა და თავის მხრებზე ჩამოღება, ჩემი უცოლო
კოლეგებისათვის თრი საათით თთახის გასაღების ჩამომათხოვრება,
რეკავები და ცრემლის ღვრა. გადარეული მონატრება, ეჭვიანობა და
ყველაფერი, რაც მოპარულ სიყვარულს მოჰყვება ხოლმე.

ახლა იმას გეტყვი, რა სისულელეზე ვამბობდი წელან და რო-
მელ შეცდომათა წყებაზე მოგახსენებდი.

ჩემი თავი მეზიზღება, რომ გამახსენდება, რა სერიოზულად
ვარიგებდი, ძალიან ბავშვური ხმა გაქვს და სამსახურში ხშირად ნუ
მიირეკავ, ეჭვს აღღებენ, შინ კი მითუმეტეს აღარ დამირეკო — ჩემს
ცოლს ვერაფერს გამოაბარებ მეთქი.

რაც მე თამთას „ჩემო ვაჟა“ და „ჩემო სოსო“ ვუძახე ტელე-
ფონში, რაც მე სხდომები და თათბირები ვიმიზნებ, რაც მე საქვე-
ყნო საქმეები დავიბრალე; ხვალ არ მცალია, ზეგ ქალაქში არ ვიქ-
ნები, მაზეგ გნახავ მეთქი.

მერედა რისთვის, რატომ?

ღმერთო, რა სახე მქონდა მაშინ, კატეგორიული ტონით რომ
ვსაყვედურობდი გოგოებს, საერთოდ, ცოტა ჭკუა გაქვთ და უნდა
დამიფერო, თორემ მეტს აღარ გნახავ. სულ შენს გვერდით ხომ არ
ვიქნები, საერთოდ, რა წესია სამსახურში მოკითხვა, საიდანა გაქვს
ეს ავანტიურული ჩვევები მეთქი.



მძულს, ჩემი თავი, როცა გამახსენდება, ცალი ხელით რომ ვდგები და მეორე ხელს საწოლის მიღმა, სკამისავე ვაპარებ-
დი; რომელი საათია, „მომამბეს“ ხომ მივუსწრებ ნეტქი.

როგორ შეიცხადებდა: ავღგეთ, ჩავიცვით, დამაგვიანდა მეთქი,
როცა ვიტყვოდი.

ენას რატომ არ მიხმოვდა ღმერთი და ხელს რატომ არ მიქვა-
ვებდა, მე თვითონვე რომ ვპასუხობდი ტელეფონზე, სხვაგან მოხუ-
დით მეთქი.

ორთვენახევარი ვხვდებოდი ერთმანეთს.

მერე, თავის დაქალებთან რომ წარმადგინა, და, ჩემთანაც, სა-
მსახურში კანტორის მოლაყებებმა ერთი-ორჯერ რომ ჩამომირაკუ-
ნეს კაცით, ვიცით შენი გატაცების ამბავიო, გავბრაზრდი და ამ
ორი კვირის წინათ პირდაპირ განუცხადე:

— ნუ დამღალე თამთა. შენ მოტლიყინე გოგო ყოფილხარ.
მოელ ქვეყანას მოსდევდი ჩვენი ამბავი. ბოლოსდაბოლოს, მე თჯახა
მაქვს და არავითარი სურვილი არა მაქვს, ქვეყნის ყბაში ჩავგარდე
მეტქი.

იტირა, იტიტინა, გამამტყუნა, მეჩხუბა, მომეფერა, ისევ მეჩხ-
უბა, თუ ეგ იყავი სულ, თავიდანვე ვეთქვაო. ყველაფერს ვაპატიებ
მამაკაცს მშინრობის გარდაო.

აღგა და წავიდა.

ორი კვირა არ დაურეკავს.

რა მოვიგე?

ტელევიზორთან ჩამისვებები. პოლიტიკაზე ენის მოტეხვამდე
უსაქმო კამათი, გულისანრევი ერთფეროვნება, თვალვდამებრილი
გადვიძება, ტროლეიბუსში ჭყლეტა და ჩოთქის ჩხაკუნი.

ღუმს ტელეფონი.

ცხოვრებამ დაგიძახა, სიცოცხლემ მოგაყითხა ამ შენს დამცხ-
რალ შემოდგომაზე და ვერ შეიშვენე, შე უბედურო, ვეუბნები ჩემს
თავს.

მუხლებზე უხდა მოხვეოდი, ფეხის ტერფები უნდა დაგეოცნა,
ყველაფერი უნდა გადაგედო, მგლის მუხლი უნდა გამოგება, ნაბიჯ-
ზე არ მოწორებოდი, არ უნდა გაგეშვა, ჩაბლაუჭებოდი. გულში
ხუტებით გონს მოსვლის, განზე გახედვის საშუალება არ უნდა მი-
გეცა.

განა რამდენი გაზაფხული დაგრჩა კიდეც, ნამდვილი ცხოვრებ-
ის რამდენი საათი?

ეპ...

დერგაცრეცილი, შემკრთალ-შეშისებული, ხამისუსტებული, ილაგაწყვეტილი, დაღლილ-გასავათებული დგახარ ახლა ჩემს წინაშე და ბუამახეზე დაკიდებული შაშვივით მი და მო აწყდები.

დამთავრდა ყველაფერი, ჩემი ცოდვა მიეცეს, ვინც ამ თონე-ში ჩამაყოფინა თავი, არ ვიყავი გაჩენილი საამისოდ მეო, რა ვქნა ახლა, რა წყალში ჩავვარდეთ.

არ გვეადრება, პოლიტიკაში ფეხჩადგმულ კაცს ეგ ლაბარაკი. არ გჭირს საკართაგენო ამბავი ჯერ შენ.

რომ ჩამოევიდე ჯარა და პოლიციას, არიქა მიშველეთო, არც ცგაა ჭკვიანი მმართველის საქციელი.

ჯარის და პოლიციის დამქარებული წესრიგი უარყოფით რეაქციას იწვევს ხალხში და ხეაღინდელი, უფრო დიდი არეულობისთვის განაწყობს.

ესეც არ იყოს, ისინი, ვისაც შენ მოწინააღმდეგედ თვლი, ჯარშიც და პოლიციაშიც ადვილად შეადგენენ. ასე რომ, ხვალ და ზეგ შენი დამცველები აღარც სანდონი იქნებიან და ძალაც აღარ ექნებათ წყაჩაღის დამყარების.

მმართველის საქმე ცუდად მაშინ არის, სასოწარკვეთილ თვალებს დამსჯელ ექსპედიციებს რომ მიაბჟრობს; გადამარჩინე, გილუპეშიო.

გადამარჩენნი ამას მშვენივრად იმახსოვრებენ. შიშს რომ დაგიჭერენ თვალებში, ამით შენს სისუსტეს ჩააყლებენ და, თუ იმ დღეს გიხსენა, მეორე დღეს შენსკენ მოაბრუნებენ იარაღს. გამოცდილია ეს.

ჯარს და პოლიციას ისე უნდა უყურებდე, როგორც შენი ნების, შენი ბრძანების აღმსრულებელი და მათთან სათათბირო მაგიდას არასოდეს უნდა მიუჯდე.

სულერთია, ისინი ჭკვიანურს ვერაფერს გირჩევენ. გუშინდელი მაგალითიც მშვენივრად მეტყველებს ჯარის გენერლების ჭკუანაღრძობობაზე.

დაჩეჭი და მომისმინე ყურადღებით.

ცალ ფეხზე დგომა და წუწუნი ახლა არ გამოდგება. ჩაჯდომა და განსჯაა საჭირო.

მე იმისთვის მოვედი, რომ გიშველო. ჯერ ერთი, ჩემს ხელში გაზრდილი ბავშვი ხარ და, სხვა არა იყოს რა, ვალდებულად ვარ, განსაცდელს გამოგარიდო. მეორეც, მეც ვურევივარ შენს აღზევებაში და შენა დამარცხება ჩემი დამარცხებაცაა.

ისტორია, რასაკვირველია, გამამტყუნებს ამ ნაბიჯისთვის, მაგრამ, მე სხვა გზა არა მაქვს. შენთვის ერთ დროს ხალათის ბოჭებს მაინც მე დამბრალდება.

ამას რომ თავი გავანებოთ, წლები აღარ მყოფნის სხვა ცხოვრების დასაწყებად.

იციოცხლე, კარგი იყო მეც და შენც სხვა საუკუნეში დაგბადებულიყავით, მაგრამ რაღი საამებოქოდ გაგვწირა განგებაჲ რა გაეწყობა, უსდა გავძლიოთ.

ჩემი ბედი შენსაზე ბევრად უარესია.

შენ, დამარცხებული თუ გამარჯვებული, შენს მიწაზე მაინც დგახარ, მე კი... ისეთი დრო მოდის, სამშობლოში დამარცხის ჩემი ანდერძის შესრულებაც იქნებ საეჭვო გახდეს.

მოვეშვათ ასლა ამ სევდიან ფიქრებს და რაც გვჭირს, იმას მივხედოთ.

ჩვენ არაფერ შუაში ვართ. გარემოებამ მოიტანა ყველაფერი. ერთ კაცს და მე გვადანაშაულებენ, ხალხს აბეურები უდროოდ შეხსენით, ქვეყანა დაშლა-დარღვევის კარამდე მიიყვანეთ, მაგრამ არ დაიჭრო, არ არის ეგერე.

მე, მაღლობა ღმერთს, მიცნობ, დიდად გულჩვილი და ლიბერალი რომ არ ვარ, არც ის ჩემი აზრანაგია მაინცდამაინც დემოკრატია. დააკვირდი, როცა თდნავ მაინც გაანგრეიულებენ და, ნახე, რა ელვა-კვესა უდგას თვალებში. ან რა რისხვა-ზიზლით უკანკალებს ყბასიფათი.

ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. მოგვიგო მსოფლიომ ეკონომიკური ომი. ეალებში ჩაგვითარია, მოგვალორა და შიმშილის საფრთხის წინაშე მდგარო თავისი ნება გვიყარნახა.

თუ დემოკრატიას არ დაუშვებ და ევროპას ხელს არ შეუშვებ, ბლოკადას მოგიწყობოთ.

ჩვენ შიმშილზეც წავიდოდით ბოლოს და ბოლოს.

ჩვენს ისტორიაში შიმშილით მილიონების ამოხოცვის მაგალითიც გვქონდა, მაგრამ ახლანდელი შიმშილი სხვაა. რუმენადაკარგული იმპერია პირველს ჩვენ ჩამოგვკიდებდა ხეებზე და, ამიტომ მიეყევით დინებას.

მიეყევით დინებას, მაგრამ, ასე ღრმად შეტოპვა როდი გვქონდა გადაწყვეტილი.

ჩვენს მიერ მოგონილი სატყუარა პატარა, მოსაჩვენებელი რეფორმების ჩატარებისა, რისხვად და ნიოდერად დავვიბრუნდა.

მონაყოფილმა ერთბაშად მოინდომა გაცდენილი სამოცდაათი წლის გარბენა და კეისრის ტახტი. ჩვენ ამ პირველი შეცდომის,



პირველი ელდის შემდეგ სწრაფად მოგვეგო გონს და უკვე ვიხსენებ
რაღ გვინდა, რაც უნდა დაგვიჯდეს, ქვეყანა ძველი კალაპოტის
უნდა გავაჩოჩოთ, პარტიას და საბჭოთა უწყებებს გარეგნულ
იერი, ფორმასხალუბი შეგვუცვალოთ და მართვის სისტემა იგივე
დავტოვოთ.

ახლა, მალე, დოჟლაპია გუბერნატორების ხელდასმით ახალ
ხელშეკრულებას გავაფორმებთ და ყველაფერი რიგზე იქნება.

თუ ეკონომიკურად ცოტა მაინც წამოვიდგით წელი და მთლად
დასაფლეთზე აღარ ვიქენით დამოკიდებული, გაქცეულ ევროპასაც
მოვუვლით, როგორც საჭიროა.

ჩვენ ჩვენი საქმე ვიცით, მაგრამ ოპოზიციამ ნამდვილად არ
იცის, რა უნდა, რა გზას ეწიოს. დენზე ჩართულობით ძიგვიგებენ
სიდაგ და ხალხის ნდობა-ენერგიას ორგანიკიან საქმეზე ხარჯავენ.
პოლიტიკაში უთავბოლო ყვანცალი როგორ შეიძლება?

ისევ შორს გამიტყუა ფექრმა. ქართველი კაცის ერთი ნაკლი
ისიც არის, რომ ნიადაგ მსოფლიო პრობლემებზე უყვარს ბაასი და
თავისი დარდი ჭიშკრამდეც არ მიჰყვება. მითუმეტეს, თუ სახელ-
მწიფო ფრთები მიეცი ჩვენებურს, მაღლა და მაღლა აფრინდება
და მაღლიდან ეს ჩვენი პაწაწინა ქვეყანა, ეს დალოცვილი, ჩიტის
ბუდედღა მოჩანს.

კარგად დამიგდე ყური და როგორც გირჩევ, ისე იმოქმედე,
თუ გინდა, ცოტა ხანი მაინც მოათიო ამ ადგილზე. ახლა დროის
გაცვანა, გაძლებაა მთავარი. მართალია, არც ისე კარგადაა ჩვენი
საქმე, ჩვენ რომ გვინდა, მაგრამ არც ისე ცუდადაა, სხვებს რომ
სურთ. ჯერჯერობით იქეთა მხარე ჩვენსკენაა. ყოველ შემთხვევა-
ში იგი კარგა ხანს ვერ გაბედავს ჩვენს საქმეში ჩარევას.

პირველი, რაც ხვალვე უნდა გააკეთო, დაპატიმრებული ლიდე-
რები უნდა გაუშვა. ჩემთვის რომ გეკითხა, არავითარ შემთხვევაში
არ გირჩევდი მათს დაკავებას. ახლა ხალხი ისეა აქოჩრილი, რომ
ლიდერების ციხეში ჯდომის დრო არაა.

ხალხი ამ ნაბიჯს (ლიდერების გაშვებას) თავის გამარჯვებად
ჩათვლის და ახალი აქციებისთვის შეკრულიანდება. აი, შენი შეცდო-
მის შედეგი. ბრბოსთვის თავისი ნების გატანის მაგალითი და პირ-
ობა არ უნდა შეგექმნა. ახლა გვიანაა ამაზე ლაპარაკი. რაც მოხდა,
ველარ დააბრუნებ.

ხვალდანვე უნდა გაიკეთოთ უნიათო, შემკრთალი, მიმყოლი
ხელისუფლების ნიდაბი და, რამდენადაც მოგიხერხდებათ, წაყრუ-
ების, გაჭიანურების პოლიტიკას უნდა დაადგეთ.

მოძრაობა როგორც თვითონვე მალე მონათლავენ, „ახალ ფაზა-

აწი“ შევა. ახლა მთვლემარე, ჩრდილში მყოფი ძალებიც გააქტიუ-
რდებიან, გამოჩნდებიან ახალ-ახალი ბელადები და ლიდერები

თითქმის ყოველ სალამოს თქვენს ფანჯრებს მოაწყდება მიტ-
ინგის დაფაფებში, რუპორ-მიკროფონებს თქვენს (ჩვენზე არას ვამ-
ბობ) სილანძღავ სიტყვებსაც ზეგის ჩასძახებენ. მაგრამ არ შეშინ-
დეთ. ეს სამიკროფონო, სამიტინგო რიარია გულის მოოხების დო-
ნეზე დარჩება და, ბოლოს და ბოლოს, მოიფხანოს ხალხმა სიტყვით
მაინც გული, არ დაიქცევა ქვეყანა.

ულტიმატუმებს გაექცით, მიაფუჩეჩეთ, ხვალისთვის გადად-
ეთ. ჯეროქო, ეს საკითხი მომწიფებული არ არისოქო, კომისია
გამოვყოთ, კიდევ ერთხელ შევისწავლოთ-ოქო.

დიდ დისკუსიებს გაერიდეთ. პოლიტიკური გაცოტრების ფაქ-
ტები არ შექმნათ. მთავარია, კუთხეში არ მიგაყენონ. ყოველი სა-
გარო შეხვედრის დამთავრების ინიციატივა ხელიდან არ გაუშვათ,
ახლა დავიდაღეთოქო, სულერთია ამ ყაყანში გადაწყვეტილებას
მაინც ვერ მივიღებთოქო, ხვალ მობრძანდით ჩემთან კაბინეტში და
გულდასმით მოვითათბიროთოქო.

კაბინეტში, რაც შეიძლება, მოიმოწაფე თავი. სულ „კი ბატო-
ნო“ და „როგორც გაგებარდებათ“ უძახე, მაგრამ როგორც კი გა-
მოვლენ შენი დარბაზიდან, იმწამსვე დაივიწყე მათი აჯარეზოლუ-
ციები და მოთხოვნაჰქეტები.

საერთოდ, ლიდერებს ხშირად შეხვდი. როგორც გიოხარი:
უშედეგო შეხვედრების რიცხვი გაამრავლე. ყოველი შეხვედრა,
იცოდე, შენ მოთათბირე, „კამათს არ გამქცევი“ კაცის სახელს და-
გიგდებს, მათს რეპუტაციას კი ეჭვიანთა თვალში (და ეს უკანასკ-
ნელნი არიან ჩვენი დასაყრდენები) ჩრდილს მიაყენებს. რა უნდათ,
რას დაძვრებიან სასახლეებში ასე ხშირად, მოძრაობას საკომპრო-
მისო შეთანხმებებისკენ ხომ არ მიაქანებენო.

როგორც წვიმს, ისე არ ქუხს, — ეს დაიმახსოვრე ყველაზე
მეტად და, როგორც უნდა გაგიჭირდეთ, ძალას არ მიმართოთ. კრი-
ტიკულ სიტუაციაში წონასწორობა არ დაკარგოთ. საკმარისია, ოდ-
ნავ გაგექცეთ ხელი და ხალხს მათრახით ჭკუის სწავლება და-
უწყოთ, რომ მეორე დღეს თქვენი ბურღლა არ იქნება აქ, ნერვებ-
მოშლილ ხალხს გაღიზიანება არ უნდა.

ლოში გალიაში აღარ არის. გალიის კარი, შემთხვევით, დიად
დაგერჩა და ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ლომი როგორმე
მოფერება-დაყვავებით გალიაშივე შევაბრუნოთ. თანაც ეს ლომი
ის ლომია, უხელობლობის რისხვა რომ უხიმშიმებს თვალებში. ჩვენ



იგი, ამ ბოლო დროს, საკმაოდ დაემაშვიტ და გალიანოც
 ვუჩუხუხურებდით ჯოხს, ჰკუთნო გვესწავლებინა.

ხალხის აზვირთება და თავისუფლებასთან ახლოს ყოფნის
 ფსიქოზი ყოველთვის მასობრივი ზემაქონცერტის იერს როდი მი-
 ლებს, ხანდახან ვნებები გაშიშვლდება, პოლიტიკურ მოთხოვნებს
 კონკრეტულ ლოზუნგებად ჩამოაყალიბებენ, თქვენს წინ კარგვს
 დასცემენ, მასობრივ შიმშილობებს და საყოველთაო გაფიცვა-დაუ-
 მორჩილებლობებსაც გამოგიცხადებენ. მაშინ გჭირდებათ განსა-
 კუთრებულ სიმშვიდე და მოთმინების უნარი. თითქოს არაფერიც
 არ მომხდარა. თითქოსდა, ყველაფერი ნორმალურად მიდის. ზოგ
 აქცეას მხარიც კი დაუჭირეთ. დაპირდით, რომ მაღლა დააყენებთ
 საკითხებს, დაპირდით, რომ ეს პრობლემები თქვენც გაღვლე-
 დათ, რომ ზოგი ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილი გაქვთ და დანა-
 რჩენს ხეალ გადაწყვეტთ. „ხეალ“, „ხეალ“! ეს სასწაული სიტყვა,
 დამთმობი და დამაშოშმინებელი. ეს სიტყვაა ახლი ჩვენი მხსნელი.

რაც შეეხება „საკითხების მაღლა დაყენებას“.. როგორც მოგო-
 ხერხდეს, იმდენად მიმართე ამგვარ დაპირებას. ხალხს არ აფიქ-
 რებინო, რომ შენ შენით ვერაფერს წყვეტ და წამდაუწუმ „მაღლა“
 ეთათბირები. პირიქით, როგორც კი მოგთხოვენ, შეატყობინე იქ,
 სადაც ჯერ არს და დაყენე ამ საკითხს საწველიო, ყასიდად გაბრა-
 ზდი კიდევ. ვინ არიან ისინი თქო (ჩვენსზე), ვინ ჰკითხავს მაგათ,
 ჩემს რეგონში რას გავაკეთებ, ეგლა მაგლია ტელეფონს ჩამოვეკი-
 დო და ხევისი რჩევარიგებით გიმოქმედოთქო. ასეა საჭირო.

არანაშუად უნდა დატოტდეს და დათავთავდეს მოძრაობა
 თვითონვე უნდა შეუწყოთ ხელს სხვადასხვა პარტიების, დაჯგუფებ-
 ის შექმნას, რაც მეტად დაიყოფა-დაჯგუფდებიან, უკეთესია. „ჩვენი
 ბიჭები“, რაც შეიძლება, ბლომად უნდა შეგაგზავნოთ. თუ დააკვირ-
 დი, მაგათი ერთი ნაკლი ისიცაა რომ მარტო თანამოაზრეობის პრი-
 ნციპით გაითავისებენ კაცს. უყოყმანოდ იღებენ წევრად. არც წარ-
 სულს კითხულობენ მისას და არც იმას დაგიდგენ, მართლა პო-
 ლიტიკური შესედეულებებისთვის იბრძვის, თუ სხვა რამემ გაანაწყ-
 ენა.

დავჩეკოთ წვერმოშვებული ოპერბიჭები და გავრიოთ ეროვ-
 ნულ მოძრაობაში, თითო პარტიაში თითო ჩვენი კაცი მაინც უნდა
 ვვყავდეს. პირველი მათი დავალება ის უნდა იყოს, რომ ნამდვირ
 მებრძოლებს აჯობონ გაბედულებაში. ნდობის მანდატს რომ მოი-
 პოვებენ, მერე „ჩვენებმა“ ასეთი დავალება უნდა მიიღონ: რა
 შეიძლება ხშირად ჩაილაპარაკონ წყნარად, თითქოსდა თავისთვის
 მაგრამ ყველას გასაგონად: „ვერ გამიგია, რატომ უნდა იცოხ ყო-



ელთვის ეს კაცი მართალი, ვერ გამიგია, სანამ უნდა ვიაროთ მკვეთრი
ნება-სურვილზე. ჩვენ რა, ჩვენი თავი არ გვაბია მხრებზე?“. სიმონიძე

ესაა სულ. სხვა არაფერია საჭირო. ყმაწვილის გონებაში, ყმა-
წვილისა, რომელიც ვერა და ვერ შეგუება რიგით წევრობას, ეს
სიტყვები ეჭვის ღადარს გააღვივებს და კოცონად აქცევს.

ბოლოს და ბოლოს იტყვის, რატომ უნდა ვიყო ვიღაცის ამალა-
ში, არ სჯობია მე თვითონ მყავდე ამალა? ვისზე რა ნაკლები ვარ
მეო. ადგება და მცირე უთანამოება-კამათის მეორე დღესვე თავის
პარტიას შექმნის. თავს ლიდერად გამოაცხადებს და ინდაურივით
გაიფუყება.

ვაცალოთ ცოტა ხანს და მერე ამ ახალგაზრდობის ბელადსაც
შევუჩინოთ თავისი „მანჩრბელა“. მალე ამებასავით ისიც გაიყო-
ფა, ახალ სახელს გამოიგონებს და ახალ პოლიტიკურ მიმდინარეო-
ბად ჩამოყალიბდება.

დაყოფა-დაცალკევებისთვის, იცოდე, დიდი მუშაობა არ დაგ-
ჭირდებათ. პირველობისკენ ბრძოლისთვისაა ჩვენსავე გუნებაში
დევს. პირველი ბიჭი და ყველაფერი თავისთავად მოხდება.

ვიცნოთ ყველა პარტია და ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ყვე-
ლა მათგანს პატივს ეცემთ და მოძრაობაში მათს წვლილს დიდ ან-
გარიშს ეუწევთ. სინამდვილეში არცერთი პარტია ოფიციალურად
რეგისტრაციაში არ გაატაროთ. მრავალპარტიულობა სიტყვით ვიძა-
ხოთ, საქმით ყოველნაირად ხელი შეგუშალოთ. არ ჭირდება კომუ-
ნისტურ პარტიას „უმცროსი ძმები“.

ხომ ყურადღებით მისმენ. მოძრაობის დაშლა-დანაწევრება
ისეთ მასშტაბს მიიღებს, რომ შენი მოწონებული, ეს იქნება ჩვენი
პირველი, სერიოზული გამარჯვება.

მთავარბანაკში პირველი განხეთქილებაც მალე იჩენს თავს, მა-
გრამ ეს არ იქნება ნამდვილი განხეთქილების საწინდარი. განიგე,
რას ვამბობ? ხალხი არ იქნება მზად სამისოდ. ამიტომ პირველი
განხეთქილება ჩვენვე დავაშოშმინოთ. ხელი შევუწყუთ მოქიშპე
ლიდერების შერიგებას.

ვიცი, გინდა მკითხო, კი მაგრამ ამდენ დროს მომცემნო? ვაი-
თუ ერთ მშვენიერ დღეს დავგიდონ ნიჩაბი და გვითხრან— შეაყო-
ლეთ, კუტუნია, ახლა აქედან, სხვა ხელისუფლება მოვიდაო.

ამისთვისაც მზად მაქვს მუღამი. ძალაუფლება მოძრაობას უნ-
და გაუყოთ და, რაც შეიძლება, გაბედულად, დამიჯერე, ეს დროებ-
ითი, სტრატეგიული დათმობა იქნება. რასაკვირველია, მთავარი სა-
დავეები თქვენ უნდა გეპყრათ ხელთ, მაგრამ იმათი ჭირვეულობა-
ნიც უნდა შეასრულოთ. ილუზია უნდა შექმნათ ხალხში ორხელი-
სუფლებიანობისა.

არ დამავიწყდება, ხელი უნდა შეუწყოთ ყველა „პარტიას“ და „საზოგადოებას“, თავისი თავი რაც შეიძლება სრულად გვეხმარება. ბეჭდონ და ავრცელონ თავიანთი გაზეთები და პროკლამაციები. იმქუხარონ ნამდვილ ნებრძოლთა დაფდაფებში და იყაყანონ ცრუქაქუნა პოლიტიკოსებმაც. ჩვენ ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ყველა მათგანი ჩვენთვის ძვირფასია და ყველაზე ერთნაირად შეგვტყობა გული.

არავითარი რეაგირება მტყუან-მართლის კამათში. თქვენი პოზიცია დუმილი და ჩაურევლობაა. ისინი თვითონ მოუვლიან ერთმანეთს. ოფიციალურ გაზეთებსაც კი მიეცით მითითება — ყველაყვრი ბეჭდონ. თქვენც რომ არ უთხრათ, ისინი ამას მაინც გააკეთებენ. რომელი რედაქცია გაუძღვებს ჯგუფურ მოვარდნებს „პოზიციის დასაცავად“, „ჩვენი სიმართლის დასაბეჭდად“.

ისევ იქა ვარ, თქვენი გადარჩენა მხოლოდ მოძრაობასთან ძალაუფლების მოჭევენებით გაყოფით შეიძლება. ლიდერებს უნდა აოქმევენოთ: „იუვენს ესენი, ბოლოსდაბოლოს მოძრაობაში ხელს არ გვიშლიან, რასაც მოვითხოვთ, გვისრულებენ. სხვებს კიდევ ეყენი სჯობიან, ასეთ ბულკ—ხელისუფლებას სად ვიშოვიოთ. ჩომ შეიძლება უარესები გამოგზავნონ და იმათთან ურთიერთობის რკვევას გადავავლოთ ჩვენი მთავარი მიზანით“.

გარდა თქვენი არსებობის გახანგრძლივებისა, თუ იცი, კიდევ რას მოიტახს „ორბელისუფლებიანობა“? არიქა, ამით ძალა ჰქონიოთ, აქ შეიძლება გაკეთდეს კაციო, იტყვის ხელის მოთბობის იდეით შეპყრობილი ნაძირალა და მოძრაობას მიეტმასნება.

აი, მაშინ დაიწყება, რაც დაიწყება. ერთმანეთში აირევიან წმინდა ბერები და ყაჩაღები. იქნება ფულის „შეწერა“, გამოძალვა, მოტყუება, მოძრაობის სახელით ბანდიტობა დღისით, მზისით. ასე იყო ოქტომბრის რევოლუციის დროსაც. ოქტომბერი რად გვინდა, ყველა სახალხო აჯანყებას ეტმასნებოდნენ ბაცაცები და თაღლითები. ამ საქმეში ჩვენმა ბიჭებმაც უნდა იყოჩაღონ. მოძრაობა, რომლის წიაღში კორუპციამ გააღწია, ისეთი რიხით ვეღარ ილაპარაკებს თავის ხნობრივ სიწმინდეზე. ეს იქნება ჩვენი მეორე, აშკარა გამარჯვება.

კინაღამ დამავიწყდა. მესამე მხრიდანაც უნდა მივიტანოთ იერიში. ეს საშუალებაც უნდა გამოვიყენოთ: როგორც კი მოძრაობა ახალ იერიშს წამოიწყებს ხელისუფლების წინააღმდეგ, ავაიმუშავოთ ერთი შუღლის ძველი, მაგრამ ნაცადი მანქანა. ჩვენთან ბევრი სულსწრაფი და ადვილმარწმენი უცხოთომელი ცხოვრობს,

„ჩვენი ბიჭები“ აქა-იქ ჩაპყრაბ-ჩააწვეთებენ საციონალურ სამსახურს და შედეგიც არ დააყოვენებს. ყალუხე შემდგარი ეროვნულ მოძრაობა წინა ტორებს დაუწევებს და ეთნოკრიზისზე გადაიარევება.

ოლონდ გახსოვდეს, ამ საქმეში თქვენც დიდი სიფრთხილე გმართებთ. ეროვნულ ნერვზე თამაში, შეიძლება, უმართავე ამბოხ-ში. სამოქალაქო ომში გადაიზარდოს და შეიძლება ერთბაშადაც ჩაცხრეს. ომში გადაიზარდება, თუ პატრუქს ძალიან აუწვევთ, ჩაცხრება, თუ სამთავრობო, დამსჯელ ზომებს მიმართავთ.

გერ გამიგე? ახლავე გიტყვი. ზომაზე უნდა გეჭიროთ პატრუქი. სიტუაციის კონტროლი წამითაც არ უნდა დაჰკარგოთ. თუ ვნებებს ძალიან გააშიშვლებთ, ქართველი კაცი მომთმენი მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდეა. მერე აიწყვეტს და გელარ დააკავებ. თუ უსამართლო საქციელისთვის სტუმარი ერია დამნაშავე წარმომადგენლება მკაცრად დასჯი, შეიძლება იფიქროს სტუმარმა, — ესენი აღარ ხუმრობენ, ჩანს, ძალიც აქვთ და მხნეობაც, ჩემს უპრაგონო პარპაშს არ მაპატიებენ. სჯობია წენარად ვიჯდე ჩემს კვერცხებზე, თორემ ამიკრავენ გულანაბადს აქედანო. ან ფიქრიდან ერთი ნაბიჯია ეროვნული შუღლის საბოლოო ჩაქრობამდე. ამიტომაც ვამბობ, ფრთხილად უნდა იყოთ მეთქი.

დაბორებებით კვებეთ ხალხი და ქართველის თავის გატეხისათვის არავინ დასაჯოთ. მთავარია ავანტიურისტის სტუმარი არ დაშინდეს, მეორე მხრივ პატრიოტობას თამაშს მოუხშირეთ და ტრიბუნიდან წამდაუწუმ იძახეთ — ეს მიწა ქართველების საგულტრე-ბაა, გოჯსაც არავის დავუთმობთ, მიმდინარეობს გამოძიება და ქარ-თველთა მკვლელებს სამაგიერო მიეწვდებათთქო.

მთავარი დარტყმა, იცოდე, მოძრაობას სწორედ მისი დაქუც-მაკებით უნდა მივაყენოთ. მცირე უთანხმოებაც კი, შეგებათების პატარა პოლიტიკური ბუზიც კი, მაშინვე სპილოდ უნდა ვაქციოთ. დავრახმოთ „ჩვენი ბიჭებიც“ და ქარაქუცა „მჩხვანა კატებიც“ ყოველ მოსახვევში მოძრაობის დაღუპვა-გახლეჩაზე რომ მორთა-ვენ ყვირილს.

თუ თავისუფალი არჩევნები მოითხოვეს, მიეყვით. რასაკვირვე-ლია, თავისუფალი არჩევნები ჩვენ ხელს არ გვაძლევს, მაგრამ აქაც მცირე რისკია საჭირო. საარჩევნო კომპანიაში ლიდერები ერთმან-ეთს დაასუსტებენ და ჩვენც პირველივე აზრთაჯახებისას გამოვაც-ხალოთ არჩევნების გადადება.

ხელისუფლების მომავალი ორგანოს თეორიულ ჭვრეტაში არ შეიძლება, უთანხმოება არ მოუვიდეთ.

მთავარბანაკი ორად გაიყოფა, ერთნი ცალკე ჩაატარებენ თავი-ანთ ქრილობას, მეორენი ცალკე.

აქ კი სულ პატარა შანტაჟი იქნება საჭირო. თუნდაც მანქანა
გასროლო და მოკამათენი მოსისხლე მტრებად, შეურიგებელ მო-
შულარებად იქცევიან.

მერე ჩვენი ხაფანგები და აქტიურობა აღარც იქნება საჭირო.
თვითონ მოუვლიან მეთქი ერთმანეთს, ხომ ვითხარო.

როგორ არ დააბრალებენ ერთმანეთს. ვის იფენტად არ გამოაც-
ხადებენ, ენას გამოუყოფენ, დაამცირებენ. წყალს გაატახენ წინას-
დელ მეგობრობას და თანამშრომელობას.

ქიშპობაში მთავარ საქმეს დავიწყებენ და უფრო იმით იქნე-
ბიან გართულ-დაკავებული, რა ზიანი მიაყენონ ერთმანეთს, როგორ
გააბიჯებდნენ და ეროვნული მოძრაობის მოძალატედ, ან სხვალხი
ფულის შემქმელად გამოაცხადონ.

იქნება ამბიცუური, ზეიდტაცებული შეძახილებიც, ბრბოს გუ-
ლის მოსაგებად მოწყობილი აქციებიც. ტრიუმფალური აღლუმე-
ბიც, ბრძენის და წინასწარმეტყველის მანტიის ბეჭებზე მორგების
ფაქტებიც და სხვადასხვა სტადიონზე ერთდროულად გამართული,
ხალხის დამახნვეელი მიტინგებიც.

ეს ყველაფერი იქნება.

ხალხი დაიბნევა, მისი მერყევი ნაწილი რწმენას საბოლოოდ
დაჰკარგავს.

ერთმანეთის ჯობნაში გართულთ, „უჩემოდ ვინ იმღერტას“
მსხვერპლთ, მათზე მონღობილი, პატარა, მაგრამ ალალი, უმარწმე-
ლი ძმებიც კი დაავიწყდებათ. ახალგაზრდების განწირულ კვებება-
მოძრაობის გამოვლიანებისათვის, ზოგი მათგანი დაცინვასაც კი და-
უწყებს: თქვენი ლიმიტილი გულუბრყვილო ყმაწვილთა მცდარი
ლიმიტილია. სწორი ლიმიტილი მხოლოდ ჩვენ ვიცით.

შეიძლება, მოძრაობის რომელიმე ფრთის ზემოქმედებით სა-
განგებო სესიებიც ხშირად მოგაწყვევიანონ, მაგრამ უკვე დროა, ფუ-
ჭი, უშედეგო სესიების ჩატარებაში ერთხელ და სამუდამოდ დაფ-
ვოსტატდეთ. ყველაფერზე უნდა ვილაპარაკოთ და ვალაპარაკოთ
სხვები, მაგრამ კანონის მიღებაზე რომ მიდგება საქმე, ცალკეულ
ფორმულირებებს შესწორება უნდათქო, ხანძარი ხომ არ არის, რა
საჩქაროა მაინცდამაინც დღეს გადაწყვიტოთ: შევექმნათ კომისიები
და კომისიებმა ნელა, დიხად, დაფიქრებით მოამზადონ საკითხი-
თქო.

ისე უნდა წავიყვანოთ საქმე, რომ სესიის კიბეზე ჩამავალი
დეპუტატებიც ვერ მიხვდნენ, რა ამოდ სარჯეს დრო და ნერვები
იხანიც კი უნდა ფიქრობდნენ, რომ რაღაც გააქეთეს, როცა სინამ-
დვილში, არაფერი არ გაკეთებულა.



მესამედ გიმეორებ: მთავარი მაინც მოძრაობისთვის სახელის გატეხვა და დაქუცმაცებაა.

როცა უბრალო ქართველი კაცი ჯერ სახლიდან გამოსვლისას გალოკილ თითს მაღლა შემართავს, ვის გაუყვე, ვის მხარეს დაედგეო, ეს მოძრაობის პირველი მარცხი იქნება, როცა იგივე ქართველი ხელს ჩაიქნევს და სინანულით შეხედავს ერთმანეთის ლანძღვაში დასუსტებულ-გაბითურებულ ორივე მხარეს, ეს იქნება მოძრაობის მეორე, დიდი მარცხი.

თუ ხანდახან შერიგების ნიავი დაუბერავს, ჩვენ მცირე კონტრაგომებს მივმართავთ ხოლმე. ვთქვათ, სადმე მოსახვევთან ნაღმს ჩავდებთ ორივე მხარის დასაშინებლად და ვასათათხავად, ისე მაღლა იქნება ამ დროს ამართული ურთიერთჭამის ალაში, რომ ჩანაღმებას მხოლოდ ერთმანეთს გადააბრალებენ და ექვსაც ვერაგინ აიღებს, რომ ეს, ყველაფერი და სხვა რაიმეც, რაზეც ზემოთ გესაუბრე, ჩვენი მოწყობილი იქნება.

მაშ კარგად დაიხსოვო, რაც გითხარი; როგორც წვიმს, ისე არა ჰქუხს.

ავტორის შინაწერი: ჯგვიან მრჩეველს ერთი რამ გამორჩა მხედველობიდან. თუ ამ ნოველის დამწერი იმ „ერთ რამეს“ ხმამაღლა არ აცხადებს, მხოლოდ იმის შიშით, ვაითუ არ დაუჯერონ. მას გულის გაგლეჯამდე სურს, ყველამ, დიდმა და პატარამ, იფიქროს და თვითვე აღმოაჩინოს ჩვენი საშველის აწი და პოე.

მ ი ნ ი

ახლა მოხდა ეს ამბავი, ამ გარდამავალ პერიოდში, ძველ ამბავს როდი გიყვები.

თურქეთიდან ჩემზე მოგებული კაციშვილი არ ჩამოსულა.

ერთხელ კიდეც რომ მოვახერხებდე თურქეთში წასვლას და გავიმეორებდე ჩემს ოინს, გაჰკეთდები შავი დედალივით. თუ არა და, არც ამით ვემდური ბედს.

„იკარუსში“ იქეთობას რამდენჯერმე წამოიწყო გიღმა ლექცია, მაგრამ შეატყო რომ არ უსმენდნენ და სამსუნამდე ხმა არ გაუღია.

მე მგონი ექსკურსანტებმა ყველაფერი იცოდნენ.

ბოლოსდაბოლოს რა ცხრა მთის გაღალმდიდან ჩვენ ვიყავით.

ავტობუსი კარგა ხანს ჩვენს მიწას, ბებერი ტაოს გზებს მიუყვებოდა.



ისტორიული ძეგლებისადმი ჩემი „კოლეგების“ უყურადღებო
ბა, ასე თუ ისე, ავხსენი, მაგრამ ვერაფრით ამეხსნა მათი გადაჭარ-
ბებული ყურადღება მძღოლების მიმართ.

ორი მძღოლი გვანდოდა — რატი და შიო. რატი რომ საჭეს
უჯდა, შიო „მასებში იყო ათქვეფილი“ და კითხვა-პასუხის გრძელ
საღამოს ატარებდა.

იყო ერთი გადაპატიჟობანა სავარძლიდან სავარძელზე. გადაბ-
ხილ-გადმოდახილი: „ახლა ჩვენ გვათხოვეთ შიო, ცოტა ხანს, ნამუშ-
იც კარგი საქონელიაო“.

როცა შიო მიუჯდებოდა საჭეს, რატიზე იკლავდნენ თავს.

რატი კი ისე გათამამდა, რომ ერთი გამოცხადება მიკროფონ-
შიც გამოაცხადა: სამსუხანდო არაფერი გაყიდოთ, აქეთ ტყვილად
უნდათ ყველაფერიო.

სამსუხანდო საღამოს ჩავედი. სასტუმრომდე ასიოდე მეტრა
ფეხით უნდა გაგვევლო.

ჩემი დაჩუტული ზურგჩანთა მხრებზე მოვიგდე და რაინდობ-
ის დემონსტრირება გადაწყვიტე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ;
ჩვენი საექსკურსიო ჯგუფის წევრ ქალთაგან ჩემოდნისთვის ხელი
არავინ დამაკარებინა: გმადლობთ, ბატონო მიხა, მსუბუქია, სხვას
მიეშველეთო.

დილით ათზე უნდა გვესაუზმა და თერთმეტზე სტამბულია
გზას დავედგომოდით.

ძილბურანში კაკუნი მომესმა.

გავადე.

კარებში ასტრონომიის მასწავლებელი (ასე გაგვიცნო) კელენ-
ჯერიძე დგას და ილიმება:

ძილი გგვარებია, ბატონო მიხა, ადექი, შე კაცო, გავეთლა
ქვეყანაო.

საათს შევხედე, შვადს აღარაფერი აკლდა.

სწრაფად ჩავიცვი და ჩავირბინე.

ჩვენი სასტუმროს წინ გრანდიოზული ბაზრობა იყო გამართუ-
ლი.

ჩვენები, მთელი გზა მოწყენილი და ფლევმატური ექსკურსან-
ტები, ერთ ხაზზე გამწკრივებულყვნენ, წინ საქონელი დაეწყით
და გამალებით ვაჭრობდნენ. მუშტარი ბუზივით ეხვია.

რა გიხდა, სულო და გულო, გასაყიდად რომ არ გამოეტანათ:
ფოტოაპარატი „ზენიტი“. ხერხი „დრუჟბა“, წნევის აპარატი, ელემ-
ტრობურტი, პატენფონის ნემსი, ჯიბის საათი, მზის სათვალე, თერ-
მოსი, შალაშინი, მეტრმზომი... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც

ჩემში კარგა ხანია აღარ იშოვება.

ჩამოვუარე რიგს და თვალებიდან კურცხალი წამცვივდა.

რამდენი ხანია დავეძებ თბილისში, რასაც ჩემი თანამემამულეები ახლა ჩალის ფასად ჰყიდიან თურქეთში.

დაღონებული დავბრუნდი სასტუმროში და ლიფტში ისეთი აზრი მომივიდა, სიხარულისგან შევბტი და შემოვტრიალდი.

ნომერში შევევარდი. ცარიელ ჩანთას დავავლე ხელი და თვალის დახამხამებაში ბაზრობაზე გავჩნდი.

— კარგი თურქი გავიცანი, რალაც რალაცები უნდა. — ვითომ ჩემთვის ჩავილაპარაკე.

— არიქა, მიშველე!

— სად არის?!

— მიხა, არ დამლუბო!

სეტყვისაყით დამაყარეს აქეთ-იქიდან.

— ეგრე გამოვჩნდებით, რა ვიცი, რატომ. თავისი საქმე თვითონ იცის. დამაბარა, რალაცები მიყიდევ. ფასიც თვითონ მითხრა.

ჩემს ირგვლივ ქართულ ვაჭარ-დებიუტანტთა წრე შეიკრა.

— ელექტრობურღში ათ დოლარს იძლევა! — გამოვაცხადე.

— ა, ბატონო.

— ხომ მუშაობს, არ მომჭრა თავი, — ბურღი ხელში შევათამაშე.

— წყალი არ გაუვა.

ელექტრობურღი ჩანთაში ჩავიდე.

— ფოტოაპარატი ოცდაათადო.

— აგერ მაქვს!

— ეგ არა, „ხენიტიო“.

— ა ბატონო, ორმოცს არ მისცემს?

— ოცდაათი მითხრა, მეტი არ მიღირსო.

— მიეცი ჯანდაბას, მეორე აპარატიც ხომ არ უნდა?

შევეყოყმანდი.

— არა, ერთით.

— წნევის აპარატი ვის ჰქონდა? — თავი ავწვიე, ჩემს თავზე წნევის აპარატიანი რამდენიმე ხელი აღიმართა.

— ორი აპარატიო, ორ-ორ დოლარად.

— თერმომეტრებზე არაფერი უთქვამს? — ცრემლგამშრალი ხმით მკითხა ასოციაცია „მარტორქის“ ყოფილმა პრეზიდენტმა, ყოფილმა დისიდენტმა დემურამ.

— თითო დოლარად სამი ცალი.

— ექვსი წაიდოს ხუთ დოლარად.



— ექვსი რა ჯანდაბად უნდა, სახლში ამბულატორიას
სსნის.

დემურბამ, სხვამ არ დამასწროსო, მეყვსეულად გამომიწოდა
სამი თერმომეტრი.

მერე ორ დოლარად ჯიბის საათი ვიყიდე ჩვენიდან, დოლარ-
ნახევრად რეინის ზერხი, სამ დოლარად თერმოსი და ოც დოლარ-
ად ელექტროქამარი წელკავიანისათვის.

ჩანთა ძლივს ავიტანე ნომერში.

ნასაუზმევს ფული დავარიგე და ამოვისუნთქე.

ჩემი საექსკურსიო სამოცი დოლარიდან ოთხი დოლარი დამბრ-
ჩა.

იმ ოთხ დოლარად სტამბოლში ქუჩის გამყიდველისაგან თბილ-
ისური შანდალი შევიძინე.

თურქეთიდან რომ დავბრუნდი და ჩემი ნავაჭრი ჩემოდნიდან
ამოვალავი, მეუღლემ ჯერ ცხვირი ამიბზუა. მაგრამ ყველაფერი
რომ ეუამბე, აღტაცებული დარჩა.

ახლა მთელს სადარბაზოში წნევის აპარატი და ელექტრობურ-
ლი მარტო ჩემს ოჯახს აქვს.

„ზენიტზე“ აღარაფერს ვამბობ.

„იერუსალიმი — თბილისი“

ვუძღვნი საქართველოდან
ისრაელში წასულ ებრაელებს

ისრაელის მოქალაქე ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლიდან
— აბიათარ მოშე ათას ცხრაას ოთხმოცდა — „ენ“ წლის ოცდარვა
თებერვალს იერუსალიმის აეროპორტიდან აფრინდა „აირ-ფრანსის“
კომპანიის „ბოინგ 777“-ით. თვითმფრინავი ჯერ კვიპროსზე დაჯ-
და, მერე ვენაში, ვენიდან ვარშავაში, ვარშავიდან მოსკოვში და
მოსკოვიდან ოთხშაბათს, ოთხ მარტს, ისრაელის მოქალაქე ათას
ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლიდან — აბიათარ მოშე „აეროფლო-
ტის“ მონჭღრეული კარგა ხნის წინათ ჩამოსაწერა თვითმფრინავ-
ით თბილისში ჩამოფრინდა.

თვითმფრინავი კავკასიონის ქედს რომ გადმოცდა, მოშეს გულ-
მა რამდენჯერმე რეჩხი უყო და ეს სრულიად ბუნებრივიცაა: საჩ-
ხერეში დაბადებული და გაზრდილი კაცი, თბილისის უნივერსიტ-



ეტში აღმოხვედნის ცოდნის ფაქტებზე განსწავლული, მისი უნახე საქართველოში დაბრუნდა.

მომეს. შეტყობით (რაც თვითმფრინავიდან შეიძლება შეატყობა) საქართველოს დიდი ცვლილება არ განეცადა. მათა კალთებიდან ძველებურად მოიფრცხლებოდნენ მდინარეები, კორტობებზე კვლავინდებურად იდგნენ დანგრეული ციხეები და აღდგენილი ეკლესიები, ხოლო ეკლესიათა ირგვლივ მიმოზნეული საფლავის ქვებიდან, სულ რაღაც, კილომეტრ-კილომეტრნახევარში მკაფიოდ ჩანდა მშვენიერად მოვლილი, ალაგ-ალაგ თუნუქით ალაპლაპებული ახალი სასაფლაოები. ზამთარს ჯერ მთლიანად ყავლი არ გასვლიდა, მაგრამ თბილისის შემოგარენში, მთის ფერდობებზე და ჩრდილიან ღრანტეებში, ძველი (და, მითუმეტეს, არც ახალი) თოვლი არ იყო.

თვითმფრინავის ტრაპიდან ფეხი რომ ჩამოდგა და მისკენ გა-მოქცეული მკვადრი ბიძაშვილი მიხეილ დავარამვილი დაინახა, მოშეს გულმა კიდევ ერთხელ უყო რეჩხი. დავარამვილს უკან ვიდუ-კამერიანი კაცი მოსდევდა. ვიდუკამერიანის ახლომახლო კენგუ-რუსავით მოჩტუნავდა ჯინსისკურტიანი ყმაწვილი. ისე ენერგიუ-ლად მოჩტუნავდა, რომ მიხეილს დროდადრო ასწრებდა კიდევ.

ბიძაშვილები ერთმანეთს ტირილით გადაეხვივნენ.

დაკვრეებული ვარ, დიდი ხნის განშორებული სხედასხვა ერის წარმომადგენლები სხედასხვანაირად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

იტალიელები ხელებს შლიან და ორივენი უკან გარბიან, ათი-ოდე ნაბიჯზე ცაში აღაპყრობენ ხელებს „ო, სანტა მარია!“ დაი-ყვირებენ, გამოეჭანებიან და ჩაფხვნიან ერთმანეთს.

ინგლისელები მორიგეობით, ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარს მხარზე უთათუნებენ ერთმანეთს უხმოდ და უსიტყვოდ.

სომხები ისე ხვდებიან, თითქოს გუშინაც ერთად იყვნენ, პირ-ზე კოცნას წამში მორჩებიან და საქმეზე გადადიან; ბარგი რამდე-ნი ხელი ჩააბარე, წავიდეთ, რიგი დავიკავოთო.

რუსები ყურისძირში ჰკოცნიან ერთმანეთს, ხელებს გამართა-ვენ, მოიცდილებენ მკერდიდან, კიდევ ერთხელ შეათვალიერებენ (ხომ ეს არის, ხომ არ მეშლებაო) ისე ჩაიხუტებენ და ისე ყურის-ძირში ჰკოცნიან. ასე მეორდება რამდენჯერმე.

ებრაელები და ქართველები დიდი ხნის უნახავთან დაახლოე-ბით შვიდ მეტროში მიახლოებისას ტირილს იწყებენ და ცრემლე-ბით უსველებენ ერთმანეთს ბეჭებს.

რატომ ხდება ასე, ვერ გეტყვით. შეხვედრის დროს ტირილი ერთერთი საიდუმლოებაა ჩემთვის იმ ცხრა საიდუმლოებათაგან,

რომლებსთვისაც კბერდები კაცი და დღემდე პასუხი ვერ მომდევნო.

ტელეფონალისტმა მოშეს და მიხილს ცრემლის შემშრალება აცალა და სტუმარს მიკროფონი ცხვირთან მიუტანა:

— კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, ბატონო მოშე.

— სიკეთე ნუ მოუწალოს გამჩენმა ჩემ სამშობლო საქართველოს.

— თქვენ, ალბათ, ბატონო მოშე, საქმიანი ეზიტით ჩამობრძანდით.

— საქმიანით, რასაკვირველია. ჩამოვედი, როგორც კომპანია „იცხაკის“ ოფიციალური წარმომადგენელი. ჩვენი კომპანია, რომ არ დაგიძლოთ, მოგებაზე მუშაობს. საქართველო ერთადერთი გამონაკლისი იქნება, სადაც თავნებე ვიქნებით თანახმა. არ მკითხეთ, რამ აგიზუყათ ასე გულით. ებრაელი კაცი ტყვილად არაფერს დაკარგავს, მოგეხსენებათ, მაგრამ მე ახლა ჩემს სამშობლოში ჩამოვედი და ერთი ჯიბიდან რომ ამომიღია და მეორეში ჩამიდგია, ისეა ჩემი საქმე.

— კონკრეტულად?

— საქმიანი გარიგებები უნდა დავდეთ. ეკონომიურად უნდა ამოვწიოთ, გავაძლიეროთ საქართველო. ვიცით თქვენი გასაჭირი საქართველო არ არი ასე ცხოვრების ღირსი.

— გმადლობთ, ბატონო მოშე.

იმ საღამოსვე მთელმა საქართველომ შეიტყო აბიათარ მოშეს კეთილი მისიის შესახებ. საუუეტს მშვენიერმაკიაყიანმა დიქტორმა ქალმა ასეთი კომენტარი გაუყეთა — საქართველოს უბეში შეფარებულ ანი ეროვნების სტუმართაგან ერთადერთი ებრაელი ერია, მასპინძლობას სიყვარულით რომ გვიხდის და, არა თუ ტერიტორიულ პრეტენზიებს გვიყენებს, რაც შეუძლია, გვეხმარება კიდევო.

მეორე დღეს მოშე, არც მეტი არც ნაკლები, პირდაპირ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიიღო.

თეთრსკამებიან უჩარმაზარ კაბინეტში მოშემ მისკენ ენერგიული ნაბიჯით წამოსული მთავრობის თანმჯდომარე რომ დაინახა, გულმა რეჩხი უყო და გაიფიქრა: ეტყობა, ან ამათ უჭირთ ძალიან, ან მე ვარ დიდი კაცი, თვარა აქ რომ დაგრჩენილიყავი, ვინ გაღირსებდა საწყალ შრიას პრემიერის ხელის ჩამორთმევასო.

მოშემ პატარა, თავზე ქინძისთავით დასაბნევი გულები ყველა იმ მყოფს ჩამოურიგა და მასპინძელს მადლობა მოახსენა. მიღებისათვის.

პრემიერ-მინისტრი თვალეზში შესცქეროდა კომპანია „იცხაკის“



კის“ საქმოსანს და მკვეთრი დიქციით, საჭიროზე ცოტა ხმამაღლა
სხაპასუპით ლაპარაკობდა.

ამხანაგებმა რომ მაცნობეს თქვენი ჩამოსვლის ამბავი, ძალიან
გამეხარდაო. მე ვუთხარი ამხანაგებს, თუ დრო ექნება, მოვიდეს
ჩემთან, ალბათ გადმოგვცემდნენ, ამხანაგებით. ამხანაგებმა იცოან
ჩემი დამოკიდებულება საქმისადმიო. ჩვენ ძველი გზით ველარ ვიგ-
ლით, შორჩა და გათავდა, მე პირდაპირ დაეუსვი ამასწინათ საკით-
ხი ამხანაგებსო.

მერე მთავრობის თავმჯდომარემ რესპუბლიკის სამეურნეო-
პოლიტიკურ წარმატებებზე ილაპარაკა, უკანსკნელი შვიდი თვის
მიღწევები ციფრებით, სულ პროცენტ-პროცენტ გააცნო სტუმარს.
ცოდვას ვერ დავიდე, არაფერი დაუმაღავს.

უსმენდა მოშე ლაპარაკის ახარტში შესულ პრემიერ-მინისტრს
და ორი რამ აოცებდა: ჯერ ერთი, რა დიდებული მახსოვრობა ჰქო-
ნია, საიდან იცის, ამ ოჯახამენებულმა, ამდენი ციფრიო. მეორეც
თუ ეს მართალს ამბობს, აგენს ჩემი დასახმარებელი რა სჭირთ,
დიდებულად აუწყვიათ ცხოვრება. აქეთ ხომ არ ვთხოვო, „გაჭირ-
ვებული ისრაელისთვის“ დახმარებაო.

— ჩემთან ხომ არაფერი პრობლემები გაქვთ. არ მომერიდოთ.
მე ვუთხარი ამხანაგებს. ამხანაგებმა იცოან ჩემი დამოკიდებულება.
პირდაპირი და გულახდილი უნდა ვიყოთ ერთმანეთთან. ხომ არა-
ფერია საჭირო? — ამ რიტორიკული კითხვით დაამთავრა მასპინძე-
ლმა.

მოშემ „ბორჯომი“ მოსვა. იმდენად „ბორჯომი“ როდი სწყუ-
როდა, რამდენადაც დრო სურდა მოეგო, გადაეწყვიტა, ღირდა თუ
არა ამ უმაღლესი რანგის მოხელესთან წყრილმან გარიგებებზე სა-
უბარი. ეს ისეთი კმაყოფილი და ბედნიერი ჩანს, თავისი „მიღწევე-
ბით“, ჩემი წინადადებები მეწვრილმანე ჩარჩის გაჭრობად მოეჩ-
ვენება, არ გამოძყვება კონკრეტულ გაცელა-გამოცვლაზე სალაპა-
რაკოდ, სჯობია, ერთ ღლავ საკითხს დაეუსვამ და სხვა პრობლე-
მებს ქვევით. ქვედა ინსტანციებში მივხედავო.

— რომ მოვდიოდი, ბატონო პრემიერო, რა სათქმელია, ძალი-
ან ვაგწვალდი, ისრაელიდან საქართველომდე კაი გამართული თვი-
თმფრინავით ერთ საათში ჩამოვა კაცი. ლამის ორი დღე გზაში დავ-
კარგე. იერუსალიმიდან კვიპროსში, კვიპროსიდან ვენაში, ვენიდან
ვარშავაში, ვარშავიდან მოსკოვში. მოსკოვში მაინც რაღა მიხდოდა.
იმხელა წრე მოვხაზე პაერში, რომ, სიყრმეს გეფიცები, დაბადება
კინაღამ დავიწყებულე.

— თქვენი წინადადება? იცოან ამხანაგებმა. მე პირდაპირ ვიცი



საკითხის დაყენება. ამხანაგები უკვე შეეაჩვიე კონკრეტულ ამბებზე და სხვა გზა არა გვაქვს.

— დავასწოლო პირდაპირი მარშრუტი. — იერუსალიმი-თბილისი. დასაწყისისთვის, თუნდაც, კვირაში ორჯერ. თვითმფრინავი ჩვენი იქნება. ხარჯებიც ოთხმოც პროცენტს ისრაელის მხარე გაიღებს. ჩვენი კომპანია „იცხაკი“ გავლენიანი კომპანიაა.

მოწემ გაიფიქრა, ახლა მთავრობის თავმჯდომარე და ჩემს წინ ლამაზად გამწვრივებული საქმის ხალხი დამაყრიან კონკრეტულ შეკითხვებს — ანა, რა, როდის, რამდენი, რანაირად, საიდან და რა კუთხითო, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მთავრობის თავმჯდომარე წამოდგა, მოწეს ღიმილით მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა, შევთანხმდითო, კატეგორიულად უთხრა და ისევ თავის სავარძელს დაუბრუნდა.

მოწეს სიხარულისაგან გულმა რეჩხი უყვ და ებრაული მინიატურული ქუდი — ჭიკატი გელაუვარდებოდა თავიდან, ქინძისთავით რომ არ ჰქონოდა დაბნეული.

— ეს საკითხი ჩათვალეთ გადაწყვეტილად, იციან ამხანაგებმა. მე იმ წუთშივე ვწყვეტ საქითხებს. საქმიან ხალხთან ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. გარკვევით უთხარი ამხანაგებს. მაშ ასე, პირდაპირი რეისი! — აღტაცებული, სახეიშო, საქმიანი საუბრისთვის არც თუ მთლად შესაფერისი ინტონაციით თქვა მთავრობის თავმჯდომარემ და იქვე განაგრძო საუბარი რესპუბლიკის მიერ დასახულ ღონისძიებებზე, რომელთა შესრულება (რაც საეჭვოდ ოდნავადაც არ მიაჩნდა) რესპუბლიკას მალე გაიყვანდა მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების დონეზე და ბევრ მათგანს უკანაც ჩამოატოვებინებდა.

მიღების დასასრულს მოწემ, როგორც იქნა, ჩაუბრუნდა სიტყვა პრემიერს; რაღაც თქვენი თანხმობაცაა, მე კონკრეტულად დავიანგარიშებ, „იცხაკთან“ ყველაფერს შევათანხმებ, ხარჯთაღრიცხვის წარმოვადგენ და ხელშეკრულების დასადებად ვეახლებით.

— თქვენ ნურაფერზე შეწუხდებით, — ღიმილით, ენერგიულად ეუბნებოდა უკვე ფეხზე დამდგარი თავმჯდომარე, — ამხანაგები ყველაფერს გააკეთებენ, ამხანაგები დაიანგარიშებენ, იციან ამხანაგებმა, მე კონკრეტული ლაპარაკი მიყვარს. ამხანაგები პროექტს მოამზადებენ. რაც მთავარია, შეთანხმება მიღწეულია, საკითხი გადაწყვეტილია. ამხანაგები თვითონ მოგაკითხავენ. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტა! ამხანაგები არაერთხელ გავაფრთხილე. მაშ ასე, დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებებს.



მოშე, მართალია, ბოლო „ენ“ წელი ისრაელში ცხოვრობდა მაგრამ, როგორც წმინთ მოგახსენეთ, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი იყო, ამიტომაც ხელის ჩამორთმევისას პირგაბადრულმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა:

— კონკრეტულად ვის მივაკითხო, რომ მოხდეს და თქვენ ვერ მოიცალოთ?!

— კონკრეტულად? — ცოტა არ იყოს შეწუხდა პრემიერ-მინისტრი, — იციან ამხანაგებმა, — თავის ამაღლას გადახედა — თუბიდაც საგარეო საქმეთა მინისტრს, — ლოცვებადებრილ უფლებათ. ტანსრულ კაცს შეხედა — თქვენ მოამზადებთ. ჩაბით ამხანაგები, ჩემთან შეთანხმებულია, იციან ამხანაგებმა, ეს საქმე არ უნდა შეფერხდეს...

მოშეს უნდოდა საგარეო საქმეთა მინისტრისთვის ეკითხა, სადაა თქვენი რეზიდენცია, სად მოგაკითხოთო, მაგრამ გადაიფიქრა, ნამეტანი დაწვრილმანება გამოიწვია. საგარეო საქმეთა სამინისტროს რამიგნება უნდა, ყველას ეცოდინება თბილისში.

მოშე რომ გავიდა, თანაშემწემ ქაღალდებს და ფანქრებს რომ ალაგებდა, ისე, ყოველი შემთხვევისათვის, სიტყვის მასალად ჩაულაპარაკა თავმჯდომარეს:

— კაცმა რომ თქვას, იქნებ მართლა დაგვეყენებინა საკიბი. მითუმეტეს, თვითმფრინავი მაგათია და ოთხმოც პროცენტს იხდთან. რატომ არ უნდა იყოს პირდაპირი მარშრუტი. საათის, საათნახევრის გზაა ისრაელამდე.

პრემიერ-მინისტრს გაეცინა, თითები ერთმანეთს შეაჭდო, მაღლა აიხედა და ალაპარაკდა: რა გულუბრყვილო ვინმე ხარ, ჩემო ჯანსულ, შენო, ჯერ ერთი ის ოცი პროცენტი ვალუტა ვინ მოგვაშავა და მეორეც, ამ საკითხის დაყენებაც არ შეიძლება მოსკოვთანო. მასხარად აგვივადებენ: „იშ ტი. კაკიე უმნიე, პრიამოი რეის ზახატელიო“.

თანაშემწემ კიდევ ერთხელ დაასკვნა გუნებაში, სწორედ იმიტომაც პრემიერ-მინისტრი, რომ ჩემზე უკეთესი ჯვრეტა აქვს და ჩემზე მეტი იცის, ზოლო მე იმიტომაც ვარ თანაშემწე, რომ გულუბრყვილო ვარო.

ოთხი დღე დაახანა მოშემ საგარეო საქმეთა მინისტრს. ამასობაში „იცხაკს“ დაუკავშირდა, მარშრუტის ხარჯები ჩამოაგვირისტა და რომ არავინ გამოუძახა, მეხუთე დღეს თვითონ მიაკითხა ლამაზ-აივნიან რეზიდენციაში პლენხანოვის პროსპექტზე.

ლაბაბიანმა, ქონმორეულმა, უფულავში მინისტრმა სიყვარულით მიიღო. „იცხაკის“ თანხმობამ ძალიან გაახარა. მოშეს, ნაანგარიშე-



საც ყურადღებით გადახედა (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ჩანდა), ოჯახიანად მოიკითხა მოშე; როგორ მაინტერესებს ისრაელში ჩასვლა და გერ ეანერებო, გოდების კედელი სურათებში მაქვს ნანახი და სიზმრად მექცაო, რაც შეეხება პირდაპირ მარშრუტს, მუშაობენ იმხანაგები, დავალება უკვე მიცემული მაქვს, ამ დღეებში ყველაფერი მზად იქნება და მე თვითონ დაგიკავშირდებითო, ჯერ ხომ არ მობრძანდებით, ვიზა რომელ რიცხვამდე გავტოო.

რომ გაიგო, მოშე ერთი თვით იყო ჩამოსული, კიდევ უფრო გაიხარა, დრო ბევრი გვჭონია, რა გვეჩქარებაო. ხომ იცით, ასეთ საქმეს ზუსტი ანალიზი, ყველაფრის გათვალისწინება, ყველაფრის დაკონკრეტება სჭირდებაო. ხელშეკრულებას ჩვენის მხრივ, ალბათ, პრემიერ-მინისტრი და მე მოვაწერთ ხელს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩემი ხელმოწერაც საკმარისიაო. იქნებ პირდაპირ აეროპორტის უფროსმა და თქვენ მოაწეროთ ხელი, ვნახოთ, როგორ გადავწყვეტო, უწყებათა უშუალო წარმომადგენლების ხელმოწერა უფრო უპრიანია, ახლა მითუმეტეს, მოდაშია. ყველაფერზე მთავრობის ხელმოწერა, ცოტა არ იყოს უხერხულიაო.

მოშეს მინისტრის ამ სიტყვებზე, მართალია, გულმა რეჩხი არ უყვო, მაგრამ კაბინეტიდან ცოტაზე მეტად შეფიქრიანებული გამოვიდა და როცა ერთი კვირის თავზე საგარეო საქმეთა სამინისტროს მისაღებში მისულს სცნობეს, მინისტრი ათი დღით პარიზს გაფრინდა, ხოლო თანაშემწემ პირდაპირი მარშრუტის შესახებ არაფერი იცისო, არ გაკვირვებია.

თექვსმეტ მარტს ისრაელის მოქალაქე ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლიდან, კომპანია „იცხაკის“ წარმომადგენელი აბიათარ მოშე წიფის გვირაბის გავლით კორკიმელის რაიონს ეწვია.

მაშინ რაიონობა იყო და თვითეულ რაიონს სათავეში რაიონის მოხრავი ედგა. ისე როგორც, ერთ დროს, საპიტიახშოებს — პიტიახში. პრეფექტურებად საგარეოელის დაყოფამდე ჯერ კიდევ რამდენიმე ცივი ზამთარი იდო.

ციოდა. ერთი სულელი, წინამასწარა ტყემლის თეთრადაპერანგება რომ არა, ბუნება ფანქრით დახატულს წაგავდა.

მთელ გზაზე ენერგიულად ანათებდნენ ქოქოსის პალმის ნაცოფივით დაკიდებული, ელექტროენერგიის უყარათოდ ხარჯვის მსხვერპლი ლამპიონები და კოოპერატორთა ჯიხურებს ლოლობოვით ეკიდა სხვადასხვა ზომის ძეხვი, რომელთაც როგორც მკვიდრმა ბიძაშვილმა, მიხეილ დავარაშვილმა ჩაულაპარაკა მოშეს, არავინ ყიდულობდა კოოპერატივებზე გამწყრალი ერთი ჟურნალისტის

ამასწინდელი ანტირევლამის გამო (ჩერნობილის ხორცისგან ამჟამად
დებნო).

მასპინძლები სოფლის თავში, კარგა ხნის მოკრილ შვიდას-
წლოვან ცაცხვთან (აწ უკვე ნაცაცხვართან) შეეგებნენ. „ნოლ ეგე-
სად“ გადაკეთებული მიხეილ დაგარაშვილის „ნოლ სამი“ შუაში
მოიქცეეს და ექსკორტიტ მოაყენეს სამოუწრავოს კიბეებს.

რაიონის თავგაცის, კომპარტიის და აღმასკომის ნაცადი მედრ-
ოშის ვამეხ კვინტალიანის კაბინეტში შეხვედრა ხანმოკლე გამოდ-
გა. პრემიერთან ვიზიტისაგან ჭკუანასწავლ მოშეა ტყავის საჭილა-
დში გამზადებული ჰქონდა ხელშეკრულებები, იმ ვარაუდით,
რომ კორკიშელის ხევისბერისთვის რეგიონის გასამდიდრებელი
გაროგებები შეეთავაზებინა, მაგრამ საჭილაღდე ვინ გაახსენებია.
ბლიცშეხვედრამ ფოტოაპარატების ტაკატაკუცში და ტელეკამერ-
ის ლულუნში ჩაიარა.

რაიონის სარდალი უაღრესად ბედნიერი ჩანდა. მოკლე, მაგ-
რამ ანდაზებით საგლე მიმართვაში, იგი ხაზს უსვამდა კორკიშელის
რაიონისა და ისრაელის დაახლოვების საჭიროებას არა მარტო მო-
სკოვის, ღმერთო შეგცოდდე, თვით თბილისის გვერდის აგლითაც კი.

მოხდა ისე, რომ აჭიკჭიკებულმა მოუწრავმა საათზე დაიხედა
და მოშემ დრო იხელთა.

მეო. საქმისთვის ჩამოვედიო. მინდა რამით მაინც გამოვადგე
ჩემს სამშობლოს, საქართველოს პატივისცემას ჩვენ, ებრაელები
კი ხანს ვერ გადავიხდით, მაგრამ ეს გაროგებები თქვენთვის ხელ-
საყრელი იქნება, თანაც, ვალუტა შემოგვივათ და ბევრს არაფერს
დაკარგავთო.

შენ ავაშენა ღმერთმაო, ხელები გაშალა ვამეხმა და, ძვირფას
სტუმარს ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების შემოთავაზების-
ათვის მადლობა მოახსენა. ერთხელ კიდევ დაიხედა საათზე და
დასერიოზულდა — შეხვედრაზე არ დავაგვიანოთ, მშრომელები
გველოდებიანო.

მოშემ იცოდა, რას ნიშნავდა შეხვედრა და ფეხი არ მოიცვალა.

— ერთი წამით! ტყის ხურმა, მაგალითად, თქვენთან ღორები
ჭამენ, ოხრდება, ჩვენ ვიყიდით!

წამის მესამედში დაიჭირა მოუწრავმა „ებრაული ხუმრობის“ მა-
ღლი და ჰომერული ხარხარი ასტეხა. რაიონის თავგაცს, რასაკვირ-
ველია, სხვებიც აჰყვნენ.

— წაბლი ავიდოთ, თუ გინდა, ხელშეკრულება მზადა მაქვს!

— სერიოზული სახით განაგრძო მოშემ.

ხარხარის ახალმა ტალღამ გადაუარა მასპინძლებს.

— კურკანტელა! კურკანტელა გიტამინებითაა საგეს!



ხარხარი ფანჯრებს აწახარებდა.

— ტყემლის საწებელი! თუ დავვიშადებთ, ტყემლის ბელსაც ვიყიდით, ვალუტა შემოვა, წელში გაიძარტებით!

ხარხარ-თიგვიძის მძლავრი ექთ სამოცსანთლიან ქაღს ფოთოლი-
ნებით აქანავებდა.

წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მომეს ტყავის საქალაქე
რომ გაეხსნა და მის მიერ დიდი რუდუნებით შედგენილი ხელშეკ-
რულებები ამოეღო. ხელშეკრულებები, სადაც შავით თეთრზე ეწე-
რა: ებრაული მხარე ამდენ და ამდენ ტყის ხურმაში, წაბლნი, კურ-
კანტელაში და ტყემლის საწებელში ამდენს და ამდენს გადაიხდი-
სო.

შეხვედრა როგორც ჩაივლიდა, ნუ მომაყოლებთ. ჩემმა ქართ-
ველმა მკითხველებმა ამგვარ შეხვედრათა ყველა წვრილმანი ზეპირ-
ად იცნან. არც საქართველოდან ისრაელში ასულ ებრაელებს შეე-
შლებათ რამე. ხოლო ქართულიდან ებრაულად ამ პატარა ნოველის
სათარგმნელად თავს არავინ მოიკლავს და ამიტომაც წვრილმანებ-
ით აღარ გადავლით.

ერთს ვიტყვი მხოლოდ; დამსახურებულმა პედაგოგმა მარიამ
ყვანიამ ქართველი ერის სახელით ყველა ქართველ ებრაელს და,
რასაკვირველია, სხვა ებრაელებსაც მუდართ სთხოვა ისრაელიდან
უკან, საქართველოში დაბრუნება.

ბანკეტზე მოტრავმა, რომელიც, რასაკვირველია, თამადაობდა,
რამდენჯერმე სთხოვა მომეს გაემგორობინა ბრწყინვალე ზემორობა
კურკანტელას, ტყის ხურმის და ქართული წაბლის შესახებ. მომეს
უკვირდა, რატომ მიაჩნდათ „ზემორობად“ მისი საქმიან-სარფიანი
წინადადება და ფიქრობდა, ახლა რომ ეკალას შესყიდვაზე სხვა
ხელშეკრულება დავაძრო ვიბიდან, ალბათ, სიცილით ჭერს ჩამო-
ანგრევენო.

ამიტომაც წინადადებულმა მოშემ ხელშეკრულებებზე ხელმო-
წერა მეორე დღისთვის გადადო და მგონი, თავის ცხოვრებაში.
პირველად შეცდა, მეორე დღეს სასტუმროში ნამოვრალე-გაბრუ-
ებულის რაიმილიციის უფროსმა მოაკითხა:

კორკიმეულის ერისთავი დილაუთენია აქტივზე გამოიძახეს.
ბოდიში მოგიხადათ და თქვენი მასპინძლობა მე დამავალათ.

ისევ გრძელი, ზმებითა და სიხარულის ცრემლით გაბრწყინებ-
ული სუფრა.

მასპინძლად გამწესებულმა წესრიგის დაცვის მესვეურმა სტუ-
მარს გამომშვიდობებისას რაიონის სახელით თეთრი ნაბადი, თან-
დური და ქართული აკვანი აჩუქა.

აგვანი მიხეილის „ნოლ ექსში“ არ ჩაეტია და მანქანას თოკე-
ბით გარდი-გარდმო გადაჰკიდეს.

მარტი იწურებოდა, ფირმა „იესაიას“ წარმომადგენელი ჯერ
კიდევ არადამოუკიდებელი საქართველოს ერთერთ მთიან რაიონს
რომ ესტუმრა და რაიონის ერისთავს უბრალო, სასმელი წყლის
შესყიდვაზე ხელშეკრულების დადება შესთავაზა; მაგრამ კეთილმა
მასპინძელმა ქვა აავდო და თავი შეუშვია; წყალში ქვე ფულს
რავა გადაგახდევინებთ, შე კაცო, თქვენთვის, ებრაელებისთვის,
წყალს კი არა, სულს არ დაგიშურებთ. უფასოდ წაიღეთ რამდენიც
გინდათ. ჩვენთან, ხომ ხედავთ, ქვე ტყვილა იღვრება, თუ გეზარე-
ბათ, ჩამოსხმითაც ჩვენ ჩამოგისხამთ.

* * *

წასვლისას ისევ ბიძაშვილმა მიხეილ დავარაშვილმა და ისევ
იმ ჟურნალისტებმა გააცილეს.

წვიმას არ აპირებდა.

— მიდიხართ, აბა, ბატონო მოშე, არ იშლით წასვლას?

პკითხა მიკროფონმომარჯვებულმა ჟურნალისტმა.

— მივდივარ, — ამოიოხრა მოშემ და ლამის გულიც ამოატანა.

— ხომ სასარგებლო იყო ამჯერად თქვენი ვიზიტი?

— ძალიან, — დანადვლიანდა მოშე, — ნათესავებო ენახე. საქ-
რთველო დავიარე, ჩემი სიყრმის ჰაერით, მონატრებული ჰაერით
ვისუნთქე, მაგრამ საქმიანი კონტაქტები ვერაფრით ვერ დავამყა-
რე. არც კი ვიცი, რა პასუხი გავცე ჩემს შეფს.

— რამ შეგიშალათ ხელი?

— ვერც მაგას გეტყვით. თითქოს ყველა ყველაფერზე თანახ-
მაა. ელაპარაკები, აგებინებ. გიხარია შენც, იმასაც, საქმე საქმეზე
რომ მიდგება, ხელის მოწერა, იმ პირთაგან, ვის ხელმოწერასაც გა-
სავალი აქვს, არაგის უნდა. ხოლო ვის ხელმოწერასაც ფასი არა აქვს,
ყველაფერზე ხელს გიწერს. რომ უთხრა, დამითმე სახლ-კარიო,
თუ ღიმილით ეტყვი, დაუფიქრებლად მოგიწერს ხელს, თუ ცოტა
დაეჭვებით ეტყვი, თვითონაც, ყასიდად დაეჭვდება, მაგრამ ხელს
მაინც მოგიწერს. ასე რომ, ვერც ერთი საქმე ბოლომდე ვერ მივი-
ცვანე.

ერთი თვეა აქა ვარ და, რომ იტყვიან, ხელში გადაწყვეტილ-
გაქმებული არაფერი მიკავია.

გახეხილჩინიანმა ტელეჟურნალისტმა მიკროფონი გამორთო,
მიიხედ-მოიხედა და მოშეს, თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო,
უჩუქრჩულა:

— ჩვენ მართლა სახელმწიფო ხომ არ გგონიათ, ^{ბატონო} მოშე. რისი ვარიგება, რა კონტრაქტ-ხელშეკრულებები. ^{ვარაუდობს} ცა, რამის უფლება. მეცინებოდა, თქვენ რომ ჩამოსვლასას თქვით, პირდაპირი მარშრუტი თბილისი—ერუსალიმი უნდა დავნიშნოთ, ცალკეულ უწყებებთან ხელშეკრულებები უნდა დავდოთ, საქართველო უნდა გავამდიდროთ და გავაძლიეროთო. ვინ გავაძლიერებინებს საქართველოს, ქორივით გვიშერს მოსკოვი, ეს, ჩვენს შორის დარჩეს. სათქმელად არ გეუბნებით, საიდუმლოა.

რა საჩუჩქლო და საიდუმლო ეგ იყო. განა კომპანია „იცხაკის“ წარმომადგენელი აბიათარ მოშე ისეთი მიაშკიტი კაცი. იყო, რომ ამ ერთ თვეში ვერ მიხედებოდა, რაც სჭირდა საქართველოს? გაფრინდა მოშე ისრაელში.

იგი, აღმათ, საღლაც კენასა და კვიპროსს შუა იქნებოდა, ჩმელთაშუა ზღვის თავზე დაკიდებული, როცა „მოამბეში“ მისი გამგზავრების სიუჟეტი გადაიცა.

მე მგონი, ჩემი მკითხველისთვის ასახსნელი სრულიადაც არ არის ნიზეში იმისა, რომ გაცილების დღელთაში მოშეს ბოლოს სიტყვები იყო: „ჩემი სიცრმის ჰაერით, მონატრებული ჰაერით ვისუნთქე“.

„მაგრამ“ და „მაგრამს“ მოყოლებული ფრაზები „მოამბის“ სიუჟეტში წაჭრილი გაზღდათ.



სხალთის ტაძარი

სხალთის ტაძარში დახოქილი სანთლებს რომ ვანთებ,
თეთრ გუმბათს არწეცს უძველესი საგალობელი...
ველარ ვიხსენებ, მერამდენედ დამიბრბიეს სული,
დამშანოეს
და სასწაულად დარჩენილი ისევ მოვედი!

ზარზმის თაღებზე გაკიდული თეთრი ღრუბელი,
თუ ჩემი სული დახარბებულ სიცოცხლეს სრუტავს...
ჩემი ტრფობის წილ, — ხელთუქმნელი სვეტიცხოველი!
სძლია მამულმა... 'მე კი მაინც მიყვარდა უტა...

სულის წილში ანგელოზი მეჭდა გრძნეული,
კვლავ განესხეულდი, მწიფდებოდა როცა თიბათვე,
თუმცა დაჩეხილი ნაწილ-ნაწილ ჩემი სხეული
ერთვოდა მიწას, ვიქცეოდი ისევ თიხადვე.

თვალეებში მედგა ჭეშმარიტი ცეცხლი მზის და სინათლე
აზობდა წყვედიად ურვისფერი მოსასხამიდან;
მხოლოდ სხეული, სული მაინც ვერ დამიშანთეს
და მე სიცოცხლედ გიწყებოდი ისევ თავიდან!

ვაზს შერჩა ჩემი ზორბლისფერი დაწნული თმების
და ჩემი ცრემლიც ჩაიღია ვაზის ფესვებში...
და მოთმინება გადარეულ ქარიშხლებს ერთვის,
როცა ვიხსენებ პაატას თავს მოტანილს ჩემთვის;

სიცოცხლე ჩემი ჰგავდა მზეს და ჰგავდა გოლგოთას,
სიმშვიდეც ჩემი უოველდღიურ წუხილთან დაობს, —
როდესაც ძილში მდინარეთა ჩამესამის მოთქმა,
როდესაც სიზმრად ვხედავ მხოლოდ თშვს, ხახულს,
ტაოს...

ზარზმის თაღებზე გაკიდული თეთრი ღრუბელი.
თუ ჩემი სული დახარბებულ სიცოცხლეს სრუტავს...
და სიყვარული არსაქიძეს ისევ თუ ელის, —
მე ხომ, მე ისევ ძველებურად მიყვარდა უტა.

მზე გოლგოთაზე სისხლისფერი სინათლით ელავს,
 გამოდის გველი საკანიდან და მზეზე თბება.
 ინთხევა ღორთქთ ბალახებზე იუდას გესლი,
 ხარხარებს ქრისტეს გამჟიდველი და შხამით თვრება.

ბოლმიან გულში ცრემლიანი ყრია ტიტები,
 შარშანწინდელი სიამაყე წარსულს თან გაჰყვა.
 ჩაქრა სანთელი, ჩაქრა ცეცხლი... თავდავიწყებით
 ცხედრებზე ცეკვავს ვიღაც ურცხვად,
 ქარი? — სატანა!..

...ბოლმიან გულში ცრემლიანი ყრია ტიტები...

მონატრება

მოენატრება სულს ისევ ზეცა
 სპეტაკი, წმინდა, აუღვრეველი,
 როდესაც მინდა გავეშუცე სადღაც
 საშინელ ხრამში ჩაკიდულ სხეულს.

ირგვლივ კვლავ შფოთი, გესლი და შური
 და დაბოლმილი ისევ სამყარო.
 რა ეშველება ამ დიდ სიძულვილს,
 ეშმა ანგელოზს ვინ დააზავოს!

იმედი? — არა! რწმენაც გაქურდეს,
 მეც ნაქურდალი დამაქვს ლოდინი;
 იქნებ აუხდეს! იქნებ აუხდეს!
 — მაინც არ ვკარგავ იმედს ბოლომდის.

იქნებ აუხდეს, საუკუნის წინ
 რაიც ინატრა დიდმა ილიამ,
 თუმცა სიმართლეს სილა გააწხეს,
 თუმცა სინათლე დაბინდულია...

ღვთისმშობელს დაწვებს უნამავს ცრემლი,
 სისხლი და ცრემლი. — ჰა, ჩვენი ხვედრი!
 და მენატრება სანუბოლოს ზეცა
 სპეტაკი, წმინდა, აუღვრეველი.

ხერთვისის გზაზე

რას მიმანიშნებს ხერთვისის გზაზე
ჩამონგრეული ციხის ნაშალი,
ან ავთანდილი რისთვის მეზმანა,
ქართა ღრუბელნი რისად აშალეს?..

...იქნებ მრდისხანებს სახე მწყაზარი,
წარბი შეუკრავს საავდროდ თამარს.
მტრად მოდის ვინმე? — იქნებ თათარი...
— „შორია თამარ!“

იქნებ ქაჯეთის ციხეზე მოდის
სამი ლომგული რკინის მკვნეტელი,
ქაჯთ უმზადებენ უცილოდ სიკვდილს,
უნდა დაიხსნან მთვარე — ნესტანი!

იქნებ რუსთველის ლანდი შესლილი,
სამშობლო მიწით გადახვეწილი,
ხერთვისის გზაზე მობრუნდა ახლა
და შიშით ეძებს თამარის საფლავს..

...რას მიმანიშნებს ხერთვისის გზაზე
ჩამონგრეული ციხის ნაშალი...

* * *

აღარ, ცრემლი აღარ მშველის,
აღარ სევდა მერევა;
აღბათ ახლა დარდი შემშლის,
ფიქრი ისე მერევა.
არც ვინ მელის, არც რას ველი.
სინანული მერევა..
შიში დამაქვს ჭრელი გველის,
კბენა იცის?.. მერე რა...
...აღარ, ცრემლი აღარ მშველის,
აღარც სევდა მერევა,
ახლა ჩემთვის ვზი და ველი
რომელი მომერევა!

იუდას სული დაძრწის,
ადამის მოდგმას ხრწნის,
აცვია ქრისტეს კვართი
შეცოდველივით კრთის.
იგი, მომშოთობი ნათლის,
ღრღო ბოროტების ძე,
რა ურცხეად დადის საღხში,
რა ურცხეად იქნევს ცელს!
შურს, ბაღლამს, ბოდმას თესს,
სიმართლეს უთხრის ფესვს.
იუდას სული დაძრწის,
ადამის მოდგმას ხრწნის...
გადაარჩინეთ კაცი,
გადაარჩინეთ კაცი,
ამ კაცში ქრისტე ზის!



* * *

გარ მოხიბლული
 აშტარაკის წითელ გრამიტათ
 და არარატის თეთრი კესანით,
 მაგრამ სად წავალ,
 საქართველოს ღელე-ღურდანი,
 გოჯი-გოჯ დარჩა
 დასაკემსავი,
 დარდების რკალათ
 შეიღობა ლოყა აღმურის
 და ცირას უბეს დაეკიდა
 ცრემლის მტევანი,
 აქ მთის აჭარა
 და სვანეთი
 არის ტკივილი,
 მკაცრი და ბასრი,
 ვით სატევარი.
 ცას შეეღეკა
 სამრეკლოთა ზარის კივილი,
 წყალს მიაქვს
 წარღვნას კიდობანი
 სახლი,
 ნალია,
 თვალგაზელილი იძინებენ
 ახლა მამულში,
 საცეტი ღრენას
 და ამღვრეულ ბაკანალიას.
 რა საამოა
 სამო ტაძრის საკმევლის
 სუნი,
 დიკვირტება ანზოხ სულში
 კაჟის ჰანგები,
 სასწაულია საქართველო —
 ცისფერი ფრესკა,
 მადლობა უფალს,

ასეთია ნება
განგების,
არც შენ გეკლება
კაცის ტვირთი —
სევდა ლუსკუმით,
აქედან გზედავ
კილიკიის კბოღესთან
დახრილს,
გესტუმრებოდა,
მაგრამ
ღამე უნდა ვუთხო,
ჯერ ავადაა ქართლის მიწა —
ძვირფასი სახლი.
უკუნიდინ
მას ვეკუთვნი სისხლის
ლეკერტით,
მამულს უმაღლესს
და განმკითხავს
ვარიდებ აკმეს,
მარტვილი
მისი ციხე-კოშკების,
ნერვით ეკიდევარ
მის მაღალ
სარკმელს.
ვარ მოხიბლული
აშტარაკის წითელ კრამიტით
და არარატის თეთრი კესანით,
მაგრამ სად წავალ,
საქართველოს დელე-ღურდანი
გოჯი-გოჯ დარჩა
დასაკემსავი.

* * *

მ-ონ რეზი ამაშუკელს

არა მაქვს ტყვია შუბლზე მიდგმული,
ჩემს სულს ოდესმე განჩენს გავატან,
წელს საქართველოს სისხლი დათხიეს,
იმ სისხლზე მითხარ, რამე თამადავ.

შეაწყდა ვისაც ძარღვი მთავარი,
ჩაუქრა ვისაც ცეცხლი ამ ღამით,
შეისვას მათი შესანდობარი —
აზარფეშები სავსე ბაღღამით.
მე ისევ მამღერგვს უცხო
კორიდა,
ცოდვის კალო და ცრემლების რკალი,
გულში გაჩენეს ჩემი ქალაქი,
ბორგავს თბილისი ყალყზე
შემდგარი.
რა ბედენაა წყევლა,
გინება
და საუკუნის ჯგლეფა და ომი,
აფხაზეთი, თუ სამაჩაბლოა,
რას ითხოვს ჩემგან აქ თურქის ტომი.
შევუწოდოთ მაინც,
ტკივილით სავსე
ღღეს მოწამეთას სუფრა ღამაში,
შეავსეთ მტერის შესანდობარი —
აზარფეშები სავსე აივანით.

* * *

შენ თუ გამოგებ ისე მაქვზებს,
ბათუმში როგორც შველს ადევნება,
ვაითუ ჩუქად მოვიდეს თოვლი,
მოვიდეს თრთოლვით და ნება-ნება.
ფიქრიაგ, მაინც შენ იცი მეტად,
ქალაქში როგორ იწყება თოვა,
ეშვება ფრთხილად და თეთრი ფთილა,
ვით უნაზესი ქალწული მოვა.
და ფანჯარასთან იცეკვებს ღამე,
რომ მოგაწონოს ბროლის თითები,
მე სულ ტყუილი იმედით ვათევ,
მე მის სინაზეს ვერ შეგპირდები,
ფიქრიაგ, თუმცა ირგვლივ მთებია,
მოგინატრებ და იღბალს ვუჩივი,
დაულოკია მწვერვალი ქარებს

შემკრთალი შენა ნედლი ტუჩივით.
ზოგჯერ დარეკავს იჭკვების ჟამი,
აქნებ ამას ცეცხლით ვინთები,
ვაითუ, უჩემოდ მოვიდეს აგი,
თართოლვით მოვიდეს თეთრი ფიფქები...
და შეიყვარო ვინმე ქალაქში
პირველთოვლობას თუ ვერ ვიქნები.

ზ ლ ვ ა

ნოდარ ჯაფარიძეს

დღიდან პირველის
თვალის გახელის,
ძახილი ვიყავ
შენსკენ მოწვდილი,
შენ გალოკილი ძეალი მოძმეთა
ყელზე გკიდია ავგართზივით,
ჯვარდაწერილი ქართულ მიწასთან,
ვნების არტიხში ველარ ეტყვი.
ხარ ამღვრული ღმერთის ყიფინა
და ნადვლიანი კენესა ბენდელის.
შენ უთარიღო ნახე ცხოვრება.
რასაც ყოველდღე ვიწყებ თავიდან,
გამოსწევს გული ერთხელ შენსკენაც,
როს სამრეკლოდან სხეულს გაგიტან.
რომ შუბლს წაგიცხო
სისხლი წარმართის,
ტრფობის სახმილით მზედახარჯული,
მე უსამანო გეტყვი შენდობას,
შენი მოცმე და შენი მსაჯული.

დ ე ღ ა ს

ის დღე დასცილდა
სამოთხის ნაპირს,
დამძიმებული ცრემლების მარშით,
დღე — უმიზეზო
და ატეხილი,

თავნება როგორც თამამი ბავშვი.
შორს-ჩანდა ბაღბა,
გზა და ბილიკი,
მე გაოცების მაჩნდა ტვიფარი,
ვაი მას, ვისაც ჩემებრ უყვარხარ,
მაგრამ სიკვდილთან ვერ აგეფარა,
ბედისწერაა მისთვის წუხილი,
როცა მკერდს წყდება ძარღვი მთავარი,
გამაჩინე და უკვე მაშინვე,
გულზე ამომჭრეს შენი სამარე.
მიმათრევს ჩემი ცოდვის გორგალი,
და გამკითხავი, როგორც მეწყერი,
მეხსნება ზურგზე სიცოცხლის ტვირთი,
ვმსუბუქდები და ისე გეწვევი.
რომ ენაზე შენი ბედის მარხილი,
მარტის ღამესთან ხელაპყრობილი,
მე სიზმარიდან სიზმარში მიმაქვს,
ნაღვლიან სახის ნაზი პროფილი.

* * *

არ უნდა ბევრი მიეთ-მოეთი
ცოტა მაღალეთ
და მომდევნო
გა-
ჩე-
რე-
ბა-
ზე
ჩავალ ცოდვილი დედამიწიდან.
ჩემი გაჩენით
ამ სამყაროს რა შეემატა,
ვერას ვუტოვებ ცა-ქვეყნას, —
ღირდეს სათქმელად.
წავალ, წავიდებ
გენიალურ მოწყენილობას,
მე კი არ ვძუნწობ,
უბრალოდ ვგრძნობ, —
არ დაგჭირდებათ.

მეუღლეს ჩემსას
ვერ გადაეცემ ნაქურდალ გროშებს,
ვერც გადამალულ
დიბა-ატლასებს,
სამაგიეროდ ჩემს ღაბუებს
პაატას და ანჩოს
ვუბოძებ გვარს და
უამაყეს გენის ამბოხებს.
მათ თუ უწყიან,
ღარდის ბეჭედს ღვინის
ჭიქაში
როგორ ვლესავდი
მოაქეამამდე
და უგზოობით გაწამებული,
ვით მივიატრევდი
ეკლიან სულს
გაზაფხულამდე,
მას, ვინც ისწავლა
ხელისუფალს უკოცნოს გავა,
ჩემს ალაფებში,
ღმერთი-რჩული, წილი
არა აქვს.
სხვა ყველაფერი
გაინაწილეთ,
ჩემო კარგებო,
სინდისის და რწმენის
ხაზოვით,
ოღმაში ქალი ყველასია,
ვის გულიდანაც,
მშვენიერების ლოცვა
ცას სწვდება,
საწოლის მონა
სხე-
ულია
და არა სული.
არც ჩემს ხელფასზე
დაინდობა დიდი იმედით.
ძლივსღა ერევა
ბოთლ შამპანურს,

„ვიხსტონსა“ და
კასის სიმღერას.
არ უნდა ბევრი მიეთ-მოეთი
ცოტა მაცალეთ
და მომღეგნო
გა-
ჩე-
რე-
ბა-
ზე
ჩაფალ ცოდვილი
ღედამიწიდან.

* * *

გენო კალანდიას

გუშინდელი დღეც იყო ღალატის
ვის დამბაჩა, ვის ფლასი არგია,
იოვს უსაშველოდ და უსამშობლოდ,
შაბათი შავი ფარშევანგია.
დასაფლისავენ ნიექანება
ცრემლში ნათრევი ბედის კარეტა,
შეპოდგომური დღეების ეშხით
მშობლის ტყვილს ვინ გაგვაკარებდა.
წიში და სისხლი გაშრა ძარღვებში
შენი ტყვილი უფრო მეტია,
აღარ გველიან დღეს ჩვენს ქალაქში,
იქ სხვა თამაშობს ჩვენს ტრაგედიას.
ბედის მწერელის უცხო საგანში,
ხელში ქვა მაქვს და მკერდში შროზანი,
ცოდვილთან ერთად ვარ ახგელოსიც,
დღესასწაული მაინც შორს არის.
შაბათი ალოკავს თვალების თვალს
ვის დამბაჩა, ვის ფლასი არგია,
იოვს უსაშველოდ და უსამშობლოდ
შაბათი შავი ფარშევანგია.

* * *

ვინც ჩაიფიქრა ჩვენი შეხვედრა,
მან ჩაგვიკეტა ტაძრის კარები,
მე საკუთარი პანაშვიდიდან
ყოველდღე სადღაც მივიზარები.
ქუჩა საგსეა ასი არაკით,
არ მისვენებენ მტერს და მაცხოვარს,
რა ექნათ ძვირფასო, ჩემი ასაკით,
თუ სამარესთან უფრო ახლო ვარ.
არც ეს წუთები ღირს მოფერებად,
გვეყნის გერივით ბედი მოგდნის,
ვისაც გული აქვს, შერჩა ნუგეში,
მკერდზე ჰკიდია ცრემლის ორდენი.
ვერ აფარიდე ჭირი და შური,
ჩემი მაისი შესვეს ნერცხლებმა,
ამოდის სული,
ამოდის სული,
ღმერთო, ნელ-ნელა
სული მეცლდება.

* * *

ჰა, მიიწურა ეს ტირისკონი
მწუხარ ალაფით,
მწუთხე ბღაეილით,
მმადწოდებულმა
დაჰკარგა გონი
და შუბლს დამადო
სისხლის ყვაეილი.
მასაც ჰგონია, მიწას გამოხრავს
დაყოფილს ყალბი მოკეთის
წნელით.
მე კი, მე ვიცი, საქართველო ხარ,
მან რომ არ იცის, ეს არის
ძნელი.

გიგონებ ახლა, აიჩალა
სიყრმის მინდორი,
წლების ნახმლევიტ დაიღარა
ღართე პროფილი,
მეც არაფერი მიმაქვს ქვეყნიდან,
შემომრჩა ოდენ სიყვარული
უარყოფილი.

რამდენი ვინმე გვტყვივა ფლასებით,
ათას დუელში ჩვენ მზეს ვუღგებით,
აღარ სცილდება ცხოვრებას ლაქა
პოლიტიკური პროსტიტუტების.
ცინ აკივლა სულში ზარები.
მაკლია შენი სევდა და გონი,
როგორც ლოყაში გარტყმული სილა,
შემაბარბაცებს ცხელი სტრიქონი.
„მე მოვალ, დედი მენდე ამაში,
გაიჭრიალებს ძველი ქიშკარი,
და სტიპენდიით ნაყიდ კაბაში,
გამომიქვითე ყველა სიზმარი“.
გიგონებ, ისევ, აიჩალა

სიყრმის მინდორი,
წლების ნახმლევიტ, ჩაქრა პროფილი,
მეც არაფერი მიმაქვს ქვეყნიდან,
შემომრჩა ოდენ სიყვარული უარყოფილი.



გოჩას გორა

ვიკლიდან „მთის ლეგანდები“

მდიდარი კაცი იყო ელიზბარი. მდიდარი და... ძუნწი. თევები ისე გავიდოდა, სახლის კარს ახლო მეზობელიც არ შეუღებდა, არც სტუმარი უყვარდა ავ მასპინძელს.

მამისაგან გადმოჰყვა ეს სენი ელიზბარს. ისიც მასავით ჭეშვია და კაცთმოძულე იყო. მთელ მონაგებს სქელკედლებიანი სარდაფის სამალავში ინახავდა. ზედ დაჰკანკალებდა. გროში რა არი და ისიც არ ემეტებოდა. ტანზე მუდამ ღროყამისაგან გაცვეთილი და გამობუნებული ჩოხა ეცვა და თავისი გაძაღლებული წუთისოფელიც ასე უნიათოდ გაეღია.

ერთადერთი ვაჟი შერჩა — ელიზბარი. ის იყო მისი აუწყავი სიმდიდრის პატრონიც და გამგებელიც, თავიც და ბოლოც. სიკვდილის წინ იხმო შვილი და ასე დაარბია: — ხომ ხედავ, გვედები. ამიერიდან ამ სახლ-კარის პატრონი შენა ხარ. იმედოდ მამა გყავდა და აი, მეც მივედივარ. იქით გარდასულები კი, თავადაც კარგად იცი, უკან აღარ ბრუნდებიან. ამას გაბარებ, პირი არ გაიტეხო და არ შემარცხვინო. არც ჩემი მონაგარი გაატანო ქარს. ნურც მეზობელს ენდობი, და ნულარც — მოყვასს. ერთხელაც იქნება, გიმუხთლებს და ყველაფერს თვითონ დაეპატრონება. იცოდე, თუ ასე მოხდა, საფლავიდან წამოვდგები მამის და მთელი ქვეყნის ჯაგრს შენზე ამოვიყრი. ცოლის შერთვა თუ დააპირო, ყველაზე ღარიბი გამოჩნხე, გაგიგებს, მხარში ამოგიდგება და ერთგული ძაღლივით იყოლიებ

ელიზბარმა გააპატიოსნა მშობელი და სასაფლაოდან უკან მობრუნებულს გულზე ბოღმა შემოადგა. თვალგდთხრილ კაცს ჰგავდა ვეება ლოდებით ნაშენი მისი სახლი. მთელი დღე ოთახიდან ოთახში უაზროდ დაბორილობდა და ტყიდან გამოვარდნილი მხეცივით ბრდღვინავდა. აღარ იცოდა, ვისზე ეყარა ჯაგრი.

ასე მიჰქევა წელი წელს. ასე, ამ ყოფაში გამოხდა ხანიც. და როცა ორმოცის ზღურბლზე შედგა, მაშინდა მიხვდა, რომ ასე ყოფნა აღარ ივარგებდა. გულისწორს დაუწყო ძებნა, მაგრამ აქაც მოეცარა ხელი — არავინ ინდობა მასთან მოყვრობა.

ის დღეც სხვა დღეებივით მიიღია. უმთვარო, მრუშე ღამე შე-
 მოადგა მთებს, ხეობიდან ნოტიო, საიდრო ნისლი წამოიშალა და
 ბოლქვა-ბოლქვად აეკრა უკიდევანო ზეცის თაღს.

ეზოში გამოსულ ელიზბარს შეამცინა. სხეულში სუსხიანა
 ყრუოლა გაუჭდა. გაბრუნდა უკან და რცხილის ნაპობები შეაწყო
 გვება ღუმელში.

მაღე დარბებზარაზულ ოთახში მომთენთავმა სითბომ დაი-
 განა.

ძაღლის გააგებულმა ყვეამ მუთაქებზე მისვენებული, თვლი-
 მამორეული ელიზბარი ფეხზე წამოაგდო.

„ვინ ოხერია ამ შუალამისას?“ — გაბრაზებით წაიბურღლუნა
 და დარბები გამოაღო. ჭიშკართან ვიღაცა კი დალანდა, მაგრამ
 ცნობით ვერ იცნო. რომელი ხარო, გასძახა სიბნელეს.

— გიგლა ვარ, ელიზბარ. ერთი წუთით თუ გამოიხედავ, კაის
 იზამ!

ელიზბარმა შიშველი ფეხები მოღრეცილ ფოსტლებში წაყო,
 დაბლა ჩავიდა, ცოფნორეული ნაგაზი ჭიშკარს მოაშორა და გვი-
 ნი სტუმარი შინ შეიბატყა.

— ვერ შემოვიღ. — იუარა გიგლამ.

— აბა, აქ დადგე და გისმინო? — წარბები შეჰყარა ელიზბა-
 რმა. — შემოდი, ცოტას წაეისაუბრებთ. მოწყენილობისაგან ღამის
 სუთლი გამძვრეს. ამ ბოლო დროს ყველამ მომიძულა. ვერ გავიგე,
 რას ნენართლებიან, ვის რა დაუშავე?

გიგლა ფეხათრევიტ შეჰყვა ეზოში მასპინძელს. სახლის კუთ-
 ხეში მიწოლილი ძაღლი ავად იღრინებოდა და ეშვებს აჩენდა.

„მაინც სად იშოვა ამ ღნერთგამწყრალმა მასავით უშნო ცხოვე-
 ლი? — უნებლიეთ გაიფიქრა სტუმარმა და იმის შიშით, ეზოს და-
 რაჯი უკნიდან არ წამოშებაროსო, გვერდულად აჰყვა თლილი ქვებ-
 ით მოპირკეთებულ საფეხურებს.

... ღუმელი საამოდ ღუღუნებდა.

სეღის სკამზე ჩამომჯდარი გიგლა ხმას არ იღებდა. აღარ იც-
 ოდა, სათქმელი საიდან დაეწყო. წველას ისევ მასპინძლისაგან მო-
 ელოდა. არც ელიზბარი იყო უკეთეს დღეში. იცოდა, პირველი სი-
 ტყუა მოსულს ეკუთვნოდა და ისიც ელოდა მოთმინებით.

ძლიერმა ქარმა წამოუბერა და გაშლისა და მსხლის ტოტ-
 ები ერთმანეთს შეახლა. ნავგაღვ მიწაზე ხმაურით დაცვივდა სკამ-
 წაფეში წესული ნაცოფი.

— დაღუბა წლის მოსავალი და ეგაა. — ნაღვლიანად წაიკრძალა რაჟა ელიზბარმა და პირზე კლიტედადებულ მეზობელს აღმცურად გახედა.

გიგლამაც თავი წამოსწია, გიქურ შეხედა მასპინძელს.

— ჩვენ ვიკითხოთ, თორემ, შენ რა გიჭირს. რამდენიც არ უნდა ჩამოხერტყოს ქარმა და სეტყვამ, სამყოფი მაინც დაგრჩება.

— შენ მაგის სათქმელად გადმოდი ჩემთან? — შეუღრინა ელიზბარმა სტუმარს.

— მარტო მაგის სათქმელად არა, ელიზბარ. თუ გულისმობდას გამოიჩენ და მომხედავ, ვალში არ დაგრჩები. მართალია, ბევრი არაფერი შემიძლია, მაგრამ არც მთლად წყალწაღებული ვარ. მეც გამეგება მოძმისა და შოყვასის ფასი.

— თქვი, გისმენ!

— ჯერ უნდა შემომფიცო, რომ პირობას არ გადახვალ.

ელიზბარს გაეღიმა.

— დედა მე არა მყავს და მამა, ცოლი და შვილი. ეზოში რომ ძაღლი მიბია, იმაზე ზომ არ დაეფიცებ?

— კაცობა და სინდის-ნამუსი ზომ გაქვს?

— სამწუხაროდ არც ეგაა მაქვს. ჩემს გასაგონად ბევრჯერ უთქვამთ, არაკაცი და სინდისგარეცხილიაო.

— ასეთი რამ ჩემგან თუ გსმენია ოდესმე?

— არ ვიცი, აღარ მაზსოვს. მგონი შენ ერთადერთი გამონაკლისი უნდა იყო...

— ჰოდა, მეც სწორედ ამან გამაბედვინა, გსტუმრებოდი.

— მაინც რამ მოგიყვანა? ბარემ თქვი და გაათავე!

— გეტყვი, ელიზბარ... კარგად მოგეხსენება, შარშანდელი წელი ნამეტანი ვკალვანი იყო. საშინელმა სიცხემ ერთიანად მოათხრა და მოანიაგა ნათესები. ჰირნახული ვეღარ დავაბინავეთ ბელღებში. ვენახმაც ისეთი კუმხალა მტევნები მოისხა, მოკრეფად აღარ ღირდა. ძალიან გაგვიჭირდა. თავად ხედავ, არც წელს გვადგას უკეთესი დღე. ჯერ იყო და, გამუდმებულმა წვიმებმა დაალბო ყველაფერი, რაც დარჩა, იმასაც ქარი ანადგურებს. ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება. ხელს თუ წამომამეველებ და ცოტათი სულს მომათქმევინებ...

— რომ არ წამოგამეველო?

— არც მაგაზე დამწყდება გული. გამიგონია, მდიდართან სათხოვნელად ერთხელ მიდიან, ღარიბთან კი ყოველდღეო. ხელს ან გაგიმართავს პირველი, ან—არა, მეორე სულსაც არ დაიშურებს, რაც აქვს, გაგატანს, თავზე შემოგეველება, და ვალის



დაბრუნებაზე სულსაც არ ამოგზდისო. რა ვქნა შენი ჭირიშე, ხალხური სიბრძნეა ეს და მეც იმით ვსაზრდობო. თავადაც ხვდები, სიტყვებს შენს საწყენად რომ არ ვამბობ.

ელიზბარმა ტახტის კუთხეში მიგდებული მუთაქა დაითრია, იდაყვით დაეყრდნო და ჩაფიქრდა. წამი წამს მიჰყვა, წუთი—წუთს, ის კი იჯდა და ფიქრობდა. მკლავი რომ მოეღალა, წელში გაიმართა, მოხედა მეზობელს და ორი ღერი სიტყვა ქვასავით მიუვდო:

— წადი, გიგლა!

— წავიდე? სად წავიდე? — ველარ მიუხვდა სტუმარი მასპინძელს.

— სახლში წადი. შენს ცოლ-შვილთან.

— მერე, პირობა?

— არავითარი პირობა არ მომიცია შენთვის.

— ცოდვა ვარ, ელიზბარ!

— მე ხომ უარი არ მითქვამს! წადი-თქო, გითხარი. ხეალ ამ დროს მოდი და სათქმელსაც მაშინ გეტყვი. მეცა მაქვს პატარა სათხოვარი.

— ბარემ ახლავე მითხარი, სახვალიოდ რატომ უნდა გადადო?

— როგორც გითხარი, ისე იქნება. საქმისთვის ასეა უკეთესი.

გიგლა მძიმედ წამოდგა. დაბუქებული მუხლები ძლივს გამართა. სკამის საზურგეზე ჩამოდებულ გაქოტულ ქუდს დაწვდა, წარბებამდე ჩამოიფხატა და გასაცილებლად გამოსულ ელიზბარს უკან მიჰყვა.

* * *

არა და არ დაღამდა. გიგლამ გული ველარ დაუდო საქმეს. ტახტზე წამოგორდა, დაძინება სცადა, მაგრამ თვალს რული არ მიეკარა. ეზოში ჩავიდა ისევ და მეუღლეს წააშველა ხელი. თალიკომ ავად მოხედა ქმარს. რაღაცის თქმა კი დააპირა, მაგრამ გიგლას შემხედვარემ განზრახვაზე უმაღლეს აიღო ხელი.

ამ დღით კარგა გვარიანად წალაპარაკდნენ. ცოტახანს კიდევ რომ გაგრძელებულიყო ასე, სიმწრით ნაგებ ოჯახში ნამდვილი ცოდვა დატრიალდებოდა. ყვირილსა და აყალმაყალზე შვილები შემოცვივდნენ. ერთხანს ხმაგაქმნილნი უსმენდნენ მშობლების ლანძღვა-გინებასა და წყევლა-კრულვას, მერე ველარ მოითმინეს, აურზაურში თვითონაც ჩაერივნენ და ძლივს მოარიგეს ავად წაკიდებული ცოლ-ქმარი.

ყველაზე უფროსმა, გიულიმ, მამას მკლავი გამოსდო, აივანზე

გაიყვანა. ცხვრის ტყავგადაფარებულ სავარძელზე დასვა, გვერდით მიუჯდა და ჭაღარაგარეული, მკერდზე დადგნა. ფეხები ფულა წვერი ხუმრობით მოუჩეჩა.

გიგლას გული აუჩუხდა. მზად იყო სოფლის გასაგონად ეყვინა, ეტირა და როგორმე მოეწელებინა ის ჯავრი, რომელსაც ლამის დაედნო ეს ზვინივით კაცი.

სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, შვილს ხელი მოჰხვია და აბრეშუმით ნახ თმაზე ზეშეში ხელისგული ჩამოუსვა. თითები სახეზეც მოუფათურა და სისველე რომ იგრძნო, წყენით უთხრა:

— ტირი, გოგო?

— პო, ეტირი, ეტირი! თქვენი გულის გასახეტქად ეტირი. რაა ყოველდღე ჩხუბი და აყალმაყალი. აღარ უნდა მოათავოთ ამდენი ალიაქოთი და დავიდარაბა?

— ეპ. გაჭირვებას რა ეუთხრა, შვილო, თორემ, დალხინებული რომ ვიყოთ, ასეთ რამეს კი აღარ ვიზამდით..

— აბა, ჰე. მიდევით და დაჭამეთ ერთმანეთი. ვითომ რაო, გამდიდრდებით მაგით თუ რა?

კი არ გავმდიდრდებით, გულს ვიფხანთ, შვილო. ამ სატიალე გულს ცრემლითა და ვაი-ვიწით ვიოხებთ. მეტი აღარაფერი დაგვრჩენია და ესეც არ, ვენათ?

გიჟული მამას გაერიადა. კოკა იაღო და წყლის მოსატანად ეზოდან გადავიდა.

* * *

დაღამდა. ლილისფერი ცა განუქდა, წვრილი, ციმციმა ვარსკვლავებით მოიკენჭა. აგრილდა. ნიავმა წამოუბერა და ეზოში მდგარ კაკლის ხეს ტოტები შეუჩრხია და შემოსული ნაყოფი მიწაზე დააყრევინა.

გიგლამ დაკროლილი კაკლით ჯიბე გაიღო და ელიზბარის სახლისკენ მიმავალ აგზედით შარაგზას დაადგა.

მიდიოდა და ფეხი უკან რჩებოდა. როგორ არ უნდოდა ასე იმ სახლში მისვლა. მაგრამ სხვა გამოსავალიც რომ აღარ ჰქონდა გაჭირვებას ნაადრევად გაეგდო წინ. წელში გაწყვეტილი კაცი ხსნის ერთადერთი იმედიც იქ ეგულებოდა. წუხელ არც პო უძლავამს მისთვის ელიზბარს, არც—არა. გაორებული პასუხით გამოისტუმრა „ხეალ ამ დროს მოდი და სათქმელსაც მაშინ გეტყვი მეცა ნაქვს პატარა სათხოვარიო“. ნეტავ, რა უნდა მოხდეს? რაში სჭირდება ელიზბარს ხელიდან წასული, გაფცქვნილ-გატიალეებული მეზობელი?



ჭიშკართან ნაბიჯი შეანელა. ხელში შერჩენილი ერთადერთი კაქალი ღობის იქით მოისროლა და მრუმე სიბნელეს მორიდებით გასძახა:

— მასპინძელი!

აივანზე ლანდი გადმოდგა.

— შემოდი, მეზობელო, ღიაა ჭიშკარი! — გამოსძახეს იქიდან.

— მერე ნაგაზი?

— ნუ გეშინია, გომურში მყავს დამწყვდეული.

მელოდბო, გაიფიქრა გიგლამ და გული უცნაურად შეუტოკდა. გვეცნობიერად მიხვდა, რომ ძუნწი ელიზბარი დახმარების ხელს გამოუწვდიდა.

აივანზე ამოსულ გიგლას მასპინძელი პატივით შეეგება. ნაცნობ ოთახში შეუძღვა. სტუმარს სკამზე ხეირიანად დაჯდომაც არ აცალა, ისე ჰკითხა, წუხელ როგორ გეძინაო.

— ძალიან ცუდად.

ელიზბარმა ჩაიძინა, ასეც ვიცოდით.

— რა იცოდით?

— ისე წაზევდი ჩემგან, ვიცოდი, ვერ მოისვენებდი. ხომ არ წაჩხუბებიათ ცოლს?

— განა მართო ცოლს? შეიღებო შემომწყრნენ.

ელიზბარი მოხერხებულად მოეწყო. ყალიონი გადმოიღო, სტრ-ნელოვანი თუთუნით დატენა, მოუყიდა და ღრმად ჩაისუნთქა იისფერი კვამლი.

— ახლა ერთ რაღაცას გეტყვი და არ გამიჯავრდე. — თხოვნასავით შეაპარა გიგლას. — აბა, რა ვიცო, კაცნი ვართ. ეგებ არ მოგეწონოს და..

— თქვი! მომეწონება თუ არა, ეგ ჩემი საქმეა.

— რა ზნისაა შენი უფროსი ქალიშვილი?

გიგლა მიხვდა, საით უკაცუნებდა მასპინძელი, მაგრამ არ შეიზინია თითქოს: — ამ საქმესთან გიულის რა ხელი აქვს, ელიზბარ?

— ალბათ, აქვს. შენ ის მითხარი, რამდენი წლისაა.

— ოცდახუთის.

— მისი ხელი რომ გთხოვო, წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

გიგლა გაფითრდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— ზნებო თუ... მართლა მეუბნები? — ძლივს ამოღერღა სათქმელი.

— სახუმაროდ არ მცალია მე, მართლა გეუბნები!

— არ იქნება ეგ საქმე, ელიზბარ!



— რატომ, ვითომ?

— ჩემი გიული შვილად უფრო შეგფერის, ვიდრე... ესეც არ იყოს — მე უბრალო გლეხი ვარ, შენ... მდიდარი ქალი მოძებნე...

— რაო, მეზობელო, გამიბრაზდი? მერე რა ვუყოთ, რომ მე მდიდარი ვარ და შეს ღარიბი. გამიგონია, ჩვენზე ნაკლები გვარისა... არც თქვენ ყოფილხართ ოდესღაც.

— აღრე კი, ასე იყო, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

— ყველაფერი შენი წინაპრების უგერგალობის ბრალია...

— რა ვქნა ახლა, მათი ფერფლადქცეული ძეგლები საფლავიდან ამოვყარო? ცოცხლები რომ იყვნენ, კი ვიცო, რასაც ვიზამდი, მაგრამ ახლა?..

ელიზბარმა სტუმარს სიტყვის დასრულება აღარ აცალა. წამოდგა, მალე მოვალა, მოუბოდიშა და წინაქარში გავიდა, მალე მობრუნდა, ერთხელ ამოჩემებულ ადგილს მიაშურა, ძვირფას ხალიჩაზე მოიკალათა და მეზობელს ფრთხილად შეაბარა: — შენს ძველებს, თურმე, დიდძალი ოქრო გადაუმალოვთ...

— დაუჯერებელია. ეგეთი ამბავი პირველად მესმის.

— ბოთე ყოფილხარ. დაშალე ის ძველი სახლი და ახალი ააგე. ნასახლარზე ყველა კუნჭული გულდაგულ მოიძიე. კაცი თავის ქონებას სხვანაირად რატომ წაიღებს? ჰერქვეშ გადაინახავს უთუოდ.

— სად მაქვს ახლა მაგის თავი, ელიზბარ. მასალას ფული უნდა, მე კი... თეთრი რახანია არ მინახავს.

— შენ ოღონდ მოინდომე და დახმარება ჩემზე იყოს.

— მერე? რითი შეცდომებ ვალის გადახდას?

— იმ განძით, ნასახლარზე რომ იპოვი.

— კარგი და ვერ ვიპოვე, მაშინ?

— არ მოგთხოვ სესხს.

— რის ფასად, ელიზბარ?

— გიულის ფასად, გიგო!

— როგორ, ხელის ჭუჭყს შვილი ვანაცვალო?

— როდის ვითხარი, მომყიდე-მეთქი. მასეთ რამეს არც ვიკადრებ. ფულით ნაყიდი ბედნიერება მალე დაინგრევა. მე ოჯახის შექმნა მინდა და არა თამაში. პა, რას იტყვი, თანახმა ხარ?

— მოვიფიქრებ, ავწონ-დავწონი. ასე უცებ როგორ გიპასუხო?

— კარგი, წადი, აწონ-დაწონე. მოიფიქრე, მერე მოდი და გადაწყვეტილი პასუხი მითხარი. ახლა კი...

ელიზბარმა გულისჯიბიდან ფულის დიდი შეკვრა ამოიღო და მეზობელს გაუწოდა.

— მშვიდობაში მოიხმარე!

— რამდენია?

— არ ვიცი, არ დამითვლია. არცა აქვს ამას მნიშვნელობა.

— მასე როგორ იქნება?

— როცა გაძლევენ, აიღე!

გიგლა წამოდგა, წამოდგა მასპინძელიც.

— ნულარ შეწუხდები, ელიზბარ. გზას როგორმე ჩემითაც გა-
ვიგნებ.

— ძაღლის არ გეშინია?

— აკი, გომურში დავამწყვდიეო?

მასპინძელმა დამცინავად გააღიმა.

— აბა, წელან რისთვის უნდა გავსულაყავი გარეთ?

— განა ასე უნდო ვარ, თავადო?

— სიფრთხილე ღოველთვის და ყველა საწმენში კარგია. მარ-
ტობამ სიფრესთან ერთად ექვნიანობასაც შემაჩვია. ნულარ მიწყენს.
გპირდები, სხვა დროს მსგავს რამეს აღარ გავიმეორებ.

— ეგ შენი პატროსანი სიტყვაა?

— კი!

— არ დაივიწყო! ახლა კარგად იყავი. წავედი მე.

— მოიცა, წინ მე წავალ.

— არ მეშინია შენი ძაღლის, ელიზბარ. ავერ, მჭადის ნატეხი
მაქვს. ამას რომ მივუგდე, მაღლობელი დამარჩება, ზედაც არ შე-
მომხედავს.

— დამცინი, მეზობელო?

ფიქრადაც არ განივლია. ეს ისე, სიტყვან მოიტანა.

— ეგ მჭადის ნატეხი შენი მშვიერი ჯალაბიანთვის მიგეტანა,
აჯობებდა!

— ჩემს ჯალაბს, ზენ. რომ პურის ყუა წავართვი, იმას მივუტან.

— მწარე ენა გქონია.

— თაფლი რახანია შემომეჭამა. ახლა ცარიელა პიმპილზე გა-
დავდივარ და იმის ბრალია, შენ ჩემს ადგილზე უარესს იზამდი.

გიგლა მიტრიალდა. კიბის საფეხურები სწრაფად ჩაათავა და
სანამ ღობის ძირას მიწოლილი და თვლემამორეთული ეზოს დარაჯი
გონს მოეგებოდა, სიბნელეს შეერია.

* * *

ქორწილი შემოდგომაზე გადაიხადეს.

უხუი, მდიდარი სამასპინძლო სუფრა ჰქონდა გაშლილი ელიზ-
ბარს. მომსვლელებს გულლიად ხვდებოდა, თავს ევლებოდა.

საქორწილო ციებ-ცხელებამ გაიარა და სიმშვიდე და სიამტე-

ბილობა ჩამოდგა ეზო-კარში. კარგი მეოჯახე გამოდგა გიული. ინათებდა და ფეხზე იდგა. ნაშუადღევს მთავარი საქმე უკვე მთავრდებოდა. ბული ჰქონდა. თავისუფალ დროს ნახევლა თუ არა, მშობლებს მიაკითხავდა. დაძმებს ჭრელაჭრულა ფოჩიან კანფეტებს ჩამოურიგებდა. მცირე მოსაკითხს დედასა და მამასაც მიათმევდა, გულს იყვრებდა მათთან ყოფნით და როცა მოსალამოვდებოდა, გაბრუნდებოდა უკან.

ასე, შეუმჩნევლად გაიპარა დრო. წლის თავზე ოქროსფერ-თმიანი ვაჟი აჩუქა გიულამ მეუღლეს.

გულით გაიხარა ოჯახის მამამ. დიდი ლხინი გადაიხადა. პურობა სამ დღეს გაგრძელდა, რაც ჰქონდა, ყველაფერი სამუშეოზე გამოიტანა ელიზბარმა. საჩუქრებიც უხვად გასცა. დროებით მამის შეგონებაც კი დაივიწყა. ქვადქცეულ მეგრძში სინედლე ჩაუდგა, მკაცრი და უნდო სახე ღიმილმა გაუნათა. ცხოვრებასაც სხვა თვალთ შეხედა. აქამდე თუ სახლიდან იშვიათად გადგამდა ფეხს, ახლა მთელი დღეობით გადაიკარგებოდა ხოლმე, შორეული თუ ახლობელი ნათესავები მოინახულა, ნაცნობ-მეგობრებში გაერია. ახლომახლო სოფლებში სამოყვრო სახლები შეიგულა. ყველას აკვირვებდა მიაი ასეთი გარდასახვა. ჩუმჩუმად რალაც-რალაცებს კი ჭორაობდნენ, მაგრამ ხმამაღლა თქმას მაინც ერიდებოდნენ. ძუნწი თავადის ნაშვირს ბევრი გვერდს უვლიდა, შორიდან უთვალთვალებდა. დროს უცდიდა, რომ მისი კაიკაცობა საბოლოოდ ერწმუნა.

არც ისე მიამიტი კაცი ყოფილა ელიზბარი, ეს რომ ვერ შეენიშნა. ამჩნევდა, მაგრამ რა ექნა. ხომ ვერ დადგებოდა შუა შარაზე და ყველას გასაგონად ვერ იყვირებდა: — ის აღარა ვარ, რაც უწის ვიყავით. მოდით, თქვენი სტუმრობით გული გამიხარეთო. თავს იმითლა ინუგეშებდა, რომ გამოხლება ხანი, წაღმა შებრუნდება ყველაფერი და თავის კალაპოტში ჩადგებაო, მაგრამ ერთხელ ამღვრეული წყლის დაწმენდას საწველი კარგახანს რომ აღარ დაადგა?!

ბატარა გოჩა დავგილ-დაკრიალებულ ეზოში გაუბედავად დაბაჩუნობდა, ტიკტიკებდა გაუგებარ ენაზე, თუკი წამოელანდებოდა რამე, იქვე მოფუსფუსე დედას საწველად უხმობდა. ბუნწულა თითებს სასაცილოდ ფარცხავდა და მიწაზე ოქროსფრად ჩამოღვრილ შხის სხივებს ელაციებოდა.

* * *

საიდა ხუთი წლის შემდეგ მოველინა ქვეყანას. ძმას არაფერში არ ჰგავდა. შეგვგრემანი იყო, ხუჭუჭთმიანი. დიდრონი, წყლიანი თვალები და გრძელი წამწამები ჰქონდა. სიცილის დროს ლოყებზე

პაწია ფოსოები აჩნდებოდა. ათი თვისამ პირველი გაუბედავი ნაბი-
ჯი გადადგა. მალე ლაპარაკიც ისწავლა და მთელ დღეებს გაუთა-
ვებლად ელურტულებდა. ძმას კუდში დასდევდა, გვერდიდან არ
შორდებოდა.. როცა გოჩა შინ არ იყო, მიჯდებოდა სადმე კუთხე-
ში და დედოფალასთან თამაშით ირთობდა თავს. ხმას აღარავის
სცემდა. აღარც საჭმელს აგვრებდა პირს. როგორც კი ძმა დაინა-
ხავდა, მაშინვე თავს მიანებებდა ყველაფერს და ხელებგაშლილი
გარბოდა მისკენ.

გოჩაც აიტაცებდა, მაყვალივით ღუზღუზა თვალებს დაუკოც-
ნიდა, ბზრიალასავით დაატრიალებდა და თვალის დახანჩანებაში
ეზოს წებოარბენინებდა.

შვილების ბედნიერებით მწობლებიც ხარობდნენ.

წუთისოფლის გზას ფეხაურეგლად მიჰყვებოდნენ.

ყველა სიკეთესთან ერთად, ელიზბარმა ხელის გამართვაც ის-
წავლა.

მასთან მისულ მეზობელს მომდურაფს არ გაუშვებდა, თან
იმასაც დაუბარებდა, თუ გაგიჭირდეს, ისევ მოდიო. საღამომით
სამამართან გადავიდოდა. ერთ-ორ ხელ ნარდს წაითამაშებდა.
სუფრას მიესხდებოდნენ და შეჰყვებოდნენ სმაში ერთმანეთს.

სიძის წყალობით გიგლამ ახალი ოდა გამართა. ცოლ-შვილი
შემოსა. ცხვარ-ძროხა მოამრავლა და ახლა სხვასაც უწვდიდა დახ-
მარების ხელს.

იმ საღამოსაც გვიანობამდე შეჰყვნენ საუბარს. აგუზგუზებულ
ბუხართან მიდგმულ სუფრას უსხდნენ. ღვინით და სითბოთი მოთე-
ნთილები სახვადიო გეგმებს აწყობდნენ.

ეზოში ძაღლი აყეფდა.

ვილცამ ჭიშკარზე დააბრაზუნა.

გიგლამ ელიზბარს გადახედა: ასე გვიან ნეტა ვის გავახსენ-
დითო, გაკვირვებულმა იკითხა.

— აბა, რა ვიცი. სტუარტმა დრო არ იცის. როცა მოეგუნებება,
მაშინ შენოგილებს კარს. გავალ ერთი, ვნახავ, ვის მოვნატრები-
ვართ?

— შენ აქ იჯექი, მე გავხედავ. ზუ დავარდევით სტუმარ-მასპინ-
ძლობის წესს.

ცოტა ხნის შემდეგ გიგლა ახოვან ვაჟიკს შემოუძღვა.

ელიზბარი ფეხზე წამოიჭრა, მონატრებული ბიძაშვილი მკლა-
კებში მოიჭტია, მერე ორიოდ ნაბიჯით უკან დაიხია და დავერო-
კებით შეათვალიერა.

— რამოდენა გარბილხარ, ბიჭო!

ისევ მიეახლა, მისებურად ჩაბუნა. მოფერებით რომ გულში იჯერა, მაგიდასთან დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა. *უჩინებელი*
— როგორ მოგვანატრე თავი. ასე უნდა? წახველ და *მისწრაფი*
კარგე.

— რა ვქნა, ელიზბარ. სადაც ჩემი მშობლებია, ჩემი ბაღდადიც იქ არის.

— აქ როგორ მომაგენი?

— შენსას ვიყავი. არ მიშვებდა გიული. სადაცაა მოვარ, მითხრა. მეც ვიცადე, ვიცადე და შენს გამოჩენას რომ აღარ დაადგა საშველი, აქეთ მოგაგითხე.

— კაი ქენი, ნაზიმ, შენი მოსვლით მეც მასიამოვნე და მასპინძელსაც. პე, რაღას ელოდები, აიღე სასმისი და შემოსტუმრებისა დაგვიღებ.

— აცალე, შე კაცო, ორიოდ ლუკმის შეჭმა. — არ დაანება გიგლამ.

— ჩემს სტუმარს გიული უფასშოდ არ გამოუშვებდა.

ნაზიმმა მოჭიქული თიხის ფიალა გაუბედავად აიღო. ალისფერ სითხეს ჭრაქის სინათლეზე ერთხანს ჩააციებით უყურა, მერე პირთან მიიტანა და ორიოდ ელტვით გამოსცალა.

— კაი რაშეა. — ნაზიმმა მასპინძელს გახედა. — ძია გიგლა, შენი ნახელავა?

— მაგისია, მაგისი. — თავი დააქნია ელიზბარმა. — ეგ რომ არ გეყავდეს, ალბათ, დაგვაფიწყებოდა ღვინის გემო. იმ ოხრებმა ვაზი ერთიანად გაგვიფერანეს. მთელი სოფელი რომ შემოიღარო, წამლად ერთ ძირსაც ვერ იბოვი.

— აბა, ეს?

— ტყემ შემოგვინახა. იქ უცხო თვალი ვერ წვდებო. მამაშენი, აქ რომ იყო, უამისოდ ვერ ძლებდა, იქ რას შვრებო?

— ჩვენც ვშოულობთ ცოტ-ცოტას.

— მერე, ოსმალო?

— თუ მოიხელთა, თურქი სიამოვნებას არ გაუტრბის.

— რჯული რომ ნებას არ აძლევს?

— კუჭი სარწმუნოებისაგან შორს დგას, ელიზბარ! შენ მაგათ არ იცნობ. თუ გააღიზიანე, მხეცებზე უარესები ზღებთან, მაგრამ თუ არაფერი დაუშავე, გიმეგობრებენ და თავს შემოგეცლებიან. საბელს საიტყენაც მოქაჩავ, იქით გამოგყვებიან.

— რა ვიცი, რა ვიცი. აქ მოსულნი ისე იღრინებიან, შიშისაგან ლამის სული გაგვძვრეს. შარშან, ცხენოსანი რაზმით, ჩაუში გვეწვია ერთი, სოფელი კარდაკარ შემოიღარა, ყველგან შეიხედა. ყველა კუთ-



ხე-კუნჭული მოჩხრიკა. მეზობელ გლეხს სარდაფში ღვინის ცარიე-
ლი ქვევრი უნახა და მათრახის ცემით კინაღამ სული ამოხადა. საქუთაღო
რომ არ მიეშველებოდი, ალბათ ერთი ცოდვა კიდევ დატრიალდე-
ბოდა. გაენახევრდით, ბავო. ბუნებრივამქალი სახლები მოგვამრავ-
ლდა. ბალებს ველარ გვიწოდებოდა ბუბუგამშრალი დედები. ჭირახ-
ული აღარ გვეყოფნის. მეც მამის დანატოვარით ვსულდგმულობ,
ოჯახს ჩემი მარჯვენით ველარაფერს ვმატებ. ადრე, სანამ მამა ცო-
ცხალი მყავდა, სხვისი გაჭირვება მე არ მედარდებოდა. მაგრამ რო-
ცა საკუთარ თავს მკაცრი განაჩენი გამოვეუტანე, მათი მწუხარების
მოზიარეც ვავხდი, ადრე, წინში რა იყო, არ ვიცოდი, მერე და მე-
რე ეს ავი სენი მეც გადმომედო.

ვაოცებული მისჩერებოდა სტუმარი ელიზბარს.

მის წინ სულგაწინდელი ნათაყადარი იჯდა.

იჯდა კაცი, რომელიც გულში ჩაღვრილ ტრემლში იხრჩობოდა.
ნახიშნა ჩელი ჩაავლო ელიზბარს და შეანჯღრია.

— რა მოგდის, ელიზბარ. აკი საკუთარ გრძნობებზე აყოლა
შენ არ გჩვეოდა?

— მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

— დაწყნარდი. დრო გაქა და ყველაფერი კარგად იქნება. ისევ
მონახვევ ერთმანეთს აღმოსავლეთი და დასავლეთი. ისევ შეერთ-
დება ორად გაგლეჯილი საქართველო.

— მოვესწრებით კი იმ დღეს?

— ჩვენი თუ არა, ჩვენი შვილები ხომ მოესწრებიან!

— კი ნუგეზია შე და ჩემმა ღმერთმა. — მწარედ გაიცინა
ელიზბარმა.

— წენ პირადელით კი ნუ ზომავე ყველაფერს, საკუთარ გვარ-
ზე თუ არ ვიფიქრებ, გადაგვარებასაც ვერ ავცდებით. მომავალი
თაობები დავგწყევლიან და შეგვაჩვენებენ. ჩვენს ძვლებს საფლავი-
ბიდან ამოჰყრიან და დამარხვას არ აღირსებენ, ისე გაეჭრებით,
ჩვენი ხსენებაც აღარ იქნება.

— ლამაზი ლაპარაკი გისწავლია. ყოჩაღ! სასახელო ვაჟკაცად
გაუზრდინარ ბიძაჩემს. ნუ გეწინია, მე უკვე ვიპოვე საკუთარი თა-
ვი.

— ერთხელ ჩვენკენაც რომ მოიხედავდე, მგონი არ იქნებო-
და ურიგო...

— მაგის სათქმელად გამოგაგზავნა მურთაზმა?

— არა. მარტო ამისთვის არა. გოჩა უნდა წავიყვანო.

— რაო? — იქუხა პირგამეხებულმა ელიზბარმა და სხეული
ნახტომშეშლილი ნადირივით წამოზიდა.



- გოჩა უნდა წაგიყვანო! — წყნარად გაიმეორა ნაზიმმა.
- რა უნდა აკეთოს იქ ჩემმა შვილმა? — გაბზარული ზმუნი
- იკითხა ნათაყვარელმა და დაძნეობით ცვილივით დაედევნა სკამზე.
- საქმეს ვასწავლით. სასახელო ვაჟკაცად გავზრდით.
- განა აქ არ იზრდებიან ვაჟკაცურად?
- უწყლო უდაბნოში დარგული ხე მალე ხმება, ელიზბარ. საირსებო და სასიცოცხლო ნიშატი ყველა სულდგმულს სჭირდება. თუ არ მოვეუარეთ, შენი შვილი უმზეო ყვავილივით დაჰქნება. გვარს აღარ გაგიგრძელებს.
- გაჩუმდი, ბიჭო, ენამ არ გიყივლოს! — გაწყრა ელიზბარი.
- ნუ გეწინია, არა ვარ ცუდი ენის პატრონი. ჩემი ხალხის აუტეს ვერავინ მათქმევინებს. აგერ, ოცდარვის გავრდი და თავი არავისთვის დამიხრია. სხვათა შორის, იმ ჩაუშმა, აქ რომ ხალხი დაგიწიოკა, თავის ამაღლაში ჩამოიტხა. შემთხვევით და თავის ქეშიკად გამოიხდა. ერთგული სამსახურისთვის წყალობის თვალთ მიყურებს.
- საიდან მოგაგნო?
- როგორ თუ საიდან. თვითონაც ჩილდირელია. ჩვენს ოჯახს კარგად იცნობს. ნაწყენი გაგიშვია აქედან. მამაჩემისთვის თურმე ასე უთქვამს: შენმა ძმისშვილმა თავადობაზე უარი თქვა, ჩვენ ალი ზეგად ვიცნობთ მას და განზე ნუ იყურებო.
- რაღაც ვერ თავსდებიან ერთმანეთში თავადი ელიზბარი და ალი ბეგი.
- უნდა შეუთავსო როგორმე ერთმანეთს. ახლა ასეა საჭირო. სოფელს პატრონი უნდა. ამას შენს გარდა ვერავინ შეძლებს.
- ახმედ ჩაუშს ისიც ხომ არ დაუბარებია, თავის რჯულს განუდგესო?
- რაში სჭირდება. ისედაც მის ხელში ვართ. თუ მოინდომა, ჯალათი ისევ გამართავს თავსაკვეთს ჭოროხთან, ისევ აელვარდება მზეზე სისხლიანი ნაჯახი. უნდა ვაფარისევლოთ. ელიზბარ. უნდა ვითვალთმაქცოთ. ჩვენს ენასა და მამაპაპურ ტრადიციებს მხოლოდ ამ გზით შევინარჩუნებთ. მეორე გზას მე ვერ ვხედავ!
- უკან როდის უნდა გაბრუნდე?
- ხვალისთვის.
- გიული ვერ გადაიტანას შვილთან განშორებას.
- გიულის მე მოგეუფლი. შენ შენს საქმეს მიხედ, — დაამშვიდა გიგლამ და წამოდგა.
- მოიცა, სად მიდიხარ?
- საუბარს შეგვევით და კერძი გავაცივოდა.
- დაჯექი! არაფერი არ გვინდა. შენ ღვინო ჩამოასხი!

ელიზბარმა ბუხარს შეუკეთა.

ნაიმიმა სარკმელში გაიხედა.

ქალარა ბერიკაცს ჰგავდა სოფლის ცხვირწინ წამომართული

უსახელო მთა.

ცივად ელვარებდა მის მძლავრ ქედზე ნაადრევად მოსული პირველი თოვლი.

— წელს დიდი ზამთარი იქნება ელიზბარ!

— რა იცი?

— გოდერძე ძლივს გადმოვედი. ცხენიც კინაღამ დამძვარდა. თოვლი დანისპარაულის სანახებამდე მომყვა.

— მარტო არ უნდა წამოსულიყავი!

— ვიცოდი. დმანს, რომ გამოვცდი, მაშინ კი შემეშინდა ცოტა. მაგრამ უკან გაბრუნებაც აღარ ვიკადრე.

— მეორედ აღარ გაბედო! იმ უღრანებში ბევრი ნადირია. ესეც არ იცოხ, შეიძლება ნაპრაღზე მოგიცდეს ფეხი და... ახალგაზრდობაში მეც შესწავით ვიყავი, მაგრამ ახლა უთანამგზავროდ უზოდან არ გადავალ. გახსოვს, გიგლა, ჩრდილას ამბავი?

— ის საშინელება ახლაც თვალწინ მიდგას. გამახსენდება ზოგჯერ და ტანში მზარავს. რამდენი ოჯახი დაიბლდა მაშინ... ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობ, შენ დაბადებულიც არ იყავი, რომ მოხდა. გლეხს მაშინაც ისე უჭირდა, როგორც ახლა. წლის სარჩლიდან თუ რამეს გადაირჩენდა, ქალაქს მიაშურებდა მაშინვე და სახლისთვის ჩასაცემელ-დასახურავს ყიდულობდა. გზაზე ყველგან ყაჩაღები და ავზაყები დაძრწოდნენ, ვისაც მოიხელოებდნენ, განუკითხავად ძარცვავდნენ.

... გვიან შემოდგომაზე ათი დიდაჭარელი და თექვსმეტი ღორჯომელი ვაჟკაცი ბახმაროსაკენ მიმავალ გზას დაადგა. ავი და შფოთიანი ჩრდილას ქედი მშვიდობიანად გადაიარეს და ზოტის ხეობით ჩოხატაურისაკენ დაეშვნენ. გრძელი და მომქანცველი ბილიკებიც უკან ჩამოიტოვეს. მე ოზურგეთში შეეხვები მათ. ნაეჭვრით საესე ფუთები მხრებზე მოეგდოთ და სახლში წასვლას ეშურებოდნენ. აჭარისწყლის ხეობით ვუბრჩიე წასვლა და არ ქნეს. ამასობაში მთებში მოთოვა. რამდენიმე დღეს ღრანტეებში გააფებით ღმუოდა ქარი, ძირფესვიანად გლეჯდა ბებერ, საუკუნოვან ხეებს. ნამქერით ავსებდა თვალჩაუწყვდენელ უფსკრულებს. როგორც იქნა გამოიხედა მზემ და ამან მიიტყუა შინ დაბრუნების მსურველნი. სამი დღე ევლოთ. მეოთხე დამე ზოტში გაათიეს. და როცა გრძელგორისა და კატრიანის უღრანებს გასცდნენ, ისევ შეუტრავს პირი ამინდს. ჩრდილას ფერდობზე ქარბუქმა გადაუღობათ გზა. ზვავები



მოხშირდა. გზის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. დაღლილად
 განდგომილი ერთ ადგილზე შექუჩდნენ, თოვლი მოტყეპნენ
 მანეთისჩახვეულებმა და თავზე ნაბადწაფარებულებმა თავი ღრმა
 ძილს მისცეს და აღარც გამოღვიძებიათ. გაზაფხულზე ვიპოვეთ იმა-
 თი გვამები. სულ დარჩეული ბიჭები იყვნენ. ნოელმა მთიანეთმა გა-
 მოიგლავა პირზე ღიმილშეყრნული ვაჟკაცები... ასეა, ნაზიმ, ზოგ-
 ჯერ სხვის რჩევასაც უნდა მიჰყვე. ჩემთვის რომ დაეჭვებინათ,
 ტრაგედიაც აღარ მოხდებოდა, აღარც იმდენი ცრემლი დაიდგებო-
 და. თბანი ხარივით განზე არ უნდა გასწოთ უღელი.

ნაზიმი წამოდგა და წელში გასწორდა.

— წავედიოთ, ელიზბარ. ძილი და მოსვენება გვინდა.

გიგლამ სტუმრები გააცილა, მერე უკან მობრუნდა და კანკარა
 შიგნიდან ჩარაზა.

* * *

საიდა საგახშმო სუფრას შლიდა. გიული ხელსაქმობდა. ელიზ-
 ბარი თოფს წმენდდა — სახელით ნადირობის თადარიგს იჭერდა.
 ცეცხლისპირს მიწოლილი ხატაურა კატა ნებივრად თვლემდა.

ელიზბარმა საჭმე მოითავა. ვაკრიანობის იარაღი და საგახ-
 ნე მუსანდარაზე შემოდო და გარეთ გავიდა.

სოლამოს ბინდში შავ ლანდებად ასვეტილიყვნენ კლდოვანი
 მთები. გაბმულად გუგუნებდა თოვლის ლანქებით გადარეული
 აჭარისწყალი. სიბნელეს გულშია მასპინძელივით უღიმოდნენ განა-
 თებელი სარკმელები. კვირტებდაბერილ შექლიავას ტოტებს აიგ-
 ნის რიკულებს ახლიდა გაზაფხულის ქარი.

— შემოდი, მამა! — განოსტახა საილამ.

ელიზბარი სახლში შებრუნდა და სუფრას მიუჯდა. კეცზე გა-
 მომცრვარი მჭადი გატეხა და ლუქმა კაიმაღში ამოაღო. გემრიელ-
 ად შეექცა.

— არც დღეს გამოჩნდა ჩვენი ბიჭი. — ყრუდ წაილაპარაკა
 გიულიმ.

— უსათუოდ მოვა. ახმედი პირობის კაცია. თავის სიტყვას
 არ გადავა. — შეეპასუხა ელიზბარი. — არ გახსოვს? შარშანაც
 სწორედ ამ დროს მოგვინახულა.

არეულია ქვეყანა, ელიზბარ! მეშინია, ცუდი არაფერი
 ეწიოს. ამ ბოლო დროს ცუდ სიზმრებს ვნახულობ.

— სიზმარს თუ დაუჯერე, გაგაგიყვებს, წონასწორობიდან გამო-
 ყევანს. რომ არ იწუწუნოთ და არ იფიშვიშოთ ქალებმა, ისე რო-
 გორ იქნება. ასე გგონიათ, მარტო თქვენ გიყვართ შვილები, ერთი



მამებსაც გვკითხეთ ამაზე.

— აი, ჩამოვა და მასეთ რაღაცებზე მაშინ ვილაპარაკოთ!

— მანამდე რომ თქვა, დაშავდება რამე ვითომ?

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა გიულიმ. — იქნება დაშავდეს

კოლმც.

ორღობეში ცხენმა დაიჭიხენია. საიღა თოფნაკრავივით გავარდა გარეთ. ჭიშკართან მხედრები დაღანდა. მოვიდნენო. წკრიალა ხმით დაიძახა და კი არ ჩავიდა, პირდაპირ ჩაფრინდა ეზოში.

მონატრებულ ძმას კისერზე ჩამოეკონწიალა. ცრემლებით დაუნამა სახე.

არც ეზოს დარაჯი დარჩა ვალში, — უკანა ფეხებზე შემდგარმა ტორები იკერდნენ დააწყო პატრონს და მხიარული წკმუტუნი მოროთო. ხელები მოუღოვა.

ისევ ახმაურდა ნათაგადარის სახლი. აკრიახდნენ ქანდარახე შემომსხდარი ქათმები. სარკმლებიდან მორიდებულად გამოიხედეს მეზობლებმა. გოჩა ჩამოსულაო, გასძახეს ერთმანეთს.

უშობელი წამოაქცია ელიზბარმა.

ჩაფებით ღვინო მოართვა სიმამრმა.

გადანახული ხილით სავსე კალათები მოიტანეს ახლობლებმა.

სამზარეულოში ჯარასავით დატრილდნენ ქალები.

სუფრის გაშლამდე კამათელი გააგორეს სტუმრებმა.

გაზრდილიყო გოჩა. ლაღად გაშლილიყო მხრებში, კოხტად შეკერილი ჩოხა-ახალუხიც შეენოდა. სიკეთის შუქი ადგა ახლად წვერულუგაშაწლილ სახეზე.

სხვათა თვალს გარიდებული, კუთხეში მიმსხდარი მამა-შვილი ხმადაბლა საუბრობდა: — ესენი ეინ არიან, შვილო? — ელიზბარმა მოთამაშეებისაყენ ანიშნა.

— ამხანაგებია. ახმედმა გამომაყოლა. მარტო არ გამომიშვა.

— შენ როგორა ხარ?

— კარგად, ართვინშიც ვიყავი. იზმირშიც. ხოფაშიც. მთელი შავშეთ-ერუშეთი მომატარა ნაზიმმა, რომ იცოდნენ, რა ზღაპრული სანახავია მტკვრისა და ჭოროხის ხეობები. თავი სამოთხეში მეგონა.

— ხალხი როგორ ცხოვრობს?

— ჩვენზე უფრო გაჭირვებულად. ყველაზე შეძლებულ გლეხად ის ითვლება, ვისაც უღელი ხარი ჰყავს. მიწა ბევრია. მაგრამ რად გინდა, პატრონი არა ჰყავს. კაცი და ხარი თუ არ გექნა, ისე, ცარიელა ხელებით რას გახდები.

— შენი საქმეები როგორაა, რას აკეთებ?

— მურთაზ ბიძია ისტამბულში მეზავნიდა სასწავლებლად.

აღარ წავედი. სოჯა-მოლობა არაა ჩემი საქმე-მეტეი, რომელიც
რო, გაცოფდა. ერთ კვირას ხმას არ მცემდა. მერე გამიტყდა და
მითხრა: — ჩემი ნებით არ მითქვამს ეს, ახმედმა მიჩიოაო. თუ არ
დავეყვით მის სურვილს, ფაშასთან დაგვასმენს და საქმეც უკუღმა
შეგიტრიალდებაო. ათასნაირი შეგონებებით დამმოძღვრა, ათასნა-
ირ რაღაცას შემპირდა, მაგრამ რომ არ ვქენი და არა, ერთხანს
თავი დამანება. მეც ვისარგებლე შემთხვევით, მშობლები მომენატ-
რაო, მოვიმიზეზე და აქეთ გამოვეწიე.

კარგად მოქცეულხარ. შენ იქ აღარ წახვალ. დარჩები ჩემ-
თან და მხარში ამომიდგები. მაღლობა ღმერთს, იმდენი კი გვაქვს.
რომ მშიერი არ მოგკვდეთ. დედაშენიც მოისვენებს. სულ შენზე
ჯაგრობს. ტირის და წუწუნებს. პატარა აღარ ხარ, რომ ვერ გამი-
გო. ქვეყანა მოგივლია, იცი, რაც არის გაჭირვება და დალბინება.
სხვის სასახლეს შენი ქოხი გერჩიენოს. იქ რომ რამე მოგივიდეს,
არავინ გეპატრონება, ქეცინი ძაღლივით მიგაკლავენ სადმე და
პასუხსაც არავის მოგიტახვენ. აქ რომ წაიქცე, შენი ხალხი დაგა-
ყენებს ფეხზე. მოგივლიან, გეპატრონებენ. ისე, უბრალოდ შენს
თავს არავის დააჩაგვრინებენ.

— ვიცი, მამა, მაგრამ მე მაინც უნდა გავბრუნდე უკან.

— იქ რაღა დაგრჩენია?

— ეს ბიჭები უჩემოდ არ წავლენ. ასეთია ჩაუშის ბრძანება.

— მერე რას იზამ?

— დროს ვიხელთებ თუ არა, ნაზიმს გამოვიყოლებ და გამოვი-
პარებო.

— კაი, მასე ქენი. ახმედს უფრთხილდი. კაი სულის არ ჩანს
და ზიფათს რაიმეს არ შეგამთხვიოს, თავის დამსჯელ რაზმში ჩარა-
ცხვა თუ მოგინდომოს, რაღაცა მოიფიქრე და თავი აარიდე. სელი-
მი რომ არ გვეყვდეს ფარად, აქამდე დედა-ბუღიანად ამოგვადებ-
დნენ. ეშინიათ მისი და... დიდხანს გვიცოცხლოს ღმერთმა,

სიღია შემოვიდა. დიხანა და მამას ყურში რაღაცა უჩუჩუღა.
ელიზბარი მაშინვე წამოდგა. ეზოში გავიდა.

ღია ჭიშკარში თვთრწვერა, ჩაა ტანის მოხუცი იდგა.

— მობრძანდი, ქერიმ. რა გაჭირვებია?

— ბაღიში მიკვდება. იქნებ მიშველო რამე.

— რით მოგენმარო? — შეწუხდა ელიზბარი.

— ცხენი მათხოვე, მეტს არაფერს გთხოვ.

— ასეთ ყიამეთ ღამეში სად წაიყვან ავადმყოფს?

— ახლა იმისთვის ღამე და დღე სულერთია. ვიწვი მისი საცო-
დაობით.

— სად მიგყავს?

— ცხმორისში. ნური ანანიძესთან. ღოსტია ჩემი. მის ვერავენ მიშველის.

— ნური განთქმული მკურნალია, მაგრამ შორია იქამდე, ქერ-
იმ. ხომ არ აჯობებდა, აქ ამოგვეყვანა ანანიძე?

— საჭირო წამლები რომ არ აღმოაჩნდეს?

— ილღონებს რამეს, თუ დაგვჭირდა, ჩავალთ და იმასაც ამოვი-
ტანთ. ერთი წუთით აქ მომიცადე, ახლაც გამოვალ.

მოთამაშებმა წამით თავი ანებეს. ნარდს. შემოფოთებულ ელ-
იზბარს კითხვის თვალით შეხედეს.

— ცხენები მჭირდება, ბიჭებო!

— ეტლი ხომ არაფერია? ჩვენც წამოვიდოდით, — ფეხზე წა-
მოღვნენ გოჩას მხლებლები.

— არ ღირს თქვენი შეწუხება. მცხოვრის ბავშვია ცუდად.
ცხმორისიდან მკურნალი უნდა ამოვიყვანოთ. ხელი არაფერში შე-
გეშლებათ, დილით აქ იქნებიან უკვე.

ათიოდე წუთის შემდეგ მხედრები დასვენებულ ცხენებს ქილ-
ის მიმართულებით მიაქცნებდნენ.

* * *

მოხდენილია საიდა. ნაადრევად აფერია ტანი. ცეცხლი უნთია
ბრიალა თვალებში. ხორბლისფერ სახეზე ბედნიერების ღიმილი
დასთამაშებს. ჯარასავით ტრიალებს. მოაქვს და მოაქვს სუფრასზე
ცხელი კერძებით სავსე ხის ჯანები. თავს ეგულბა საყვარელ ძმას.
ვერავეს ხედავს გოჩას გარდა, თვალს არიდებს უცხოთა დაკისებ-
ულ მხერგას. არ ესმის მის მიმართ შეუფარულად ნათქვამი საალერ-
სო სიტყვები. მხოლოდ იმასლა ნატრობს, აქედან აღარსად წავიდეს
გოჩა. აღარ ნიატოვოს დედისურთა საიდა. იყოს აქ, მის გვერდით
და უმცროსს ლამაზი სიმღერები.

რა უნდა, რა დარჩენილი იქ? აქ უკეთესია, რა ჯობია ნაძვანარი-
ანი ტევრებით შემოსილ მთებს, გიჟმაჟი მდინარეებისა და ჩანჩქერ-
ების ქუხილის მოსმენას, ბროლებილა წყაროების ერთიან, გაბმე-
ლი საგალობელის ყურისგდებას.

ვაყვაცია გოჩა. ყნაცვალოს საიდა. მისი გულისთვის ცეცხლშ-
ჩავარდება, უფსკრულში გადაეშვება, ნეტავი, მის ქორწილში ატ-
რიალა ასე და მეტი არაფერი უნდა.

თუ არ დაიწალა და მაინც წავიდა, ისევ მოიწყენს საიდა. ნაღ-
ველი ისევ შეუხუთავს სულს. სეცდა ჩაუდგება თვალებში.

დამყოლი ხსიათისაა მამა. მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო,

ასე არ მოიძულებდა შვილს. არ გადაკარგავდა საღლაც მოუხსიერ-
თში. ღმერთო, შენ უშველე გოჩას! მიეცი შეძლება იმისა, რა უნდა
თავის თავს თავადვე უპატრონოს. ნუ იქნება ავი და გულქვა,
ქურდი და ავაზაკი...

ამას წინათ ერთმა ბოროტმა მეზობელმა მეორეს საიდას გასა-
გონად უთხრა: — გოჩა კაცისმკვლეელი გახდებო, იქ ამის მეტს
არაფერს ასწავლიან, მათებურად დაგეშავენ და მერე ჩვენს ასა-
კლებად გამოგზავნიანო.

ბევრი იტირა მაშინ საიდამ. სიმწრის ცრემლები ღვარა. ყველა-
ფრის ხალისი დაკარგა. თანატოლებს განერიდა. ნაღვლიანად გა-
ყურებდა იმ გზას, რომელმაც მისი სისხლი და ხორცი წაიყვანა და
უკან აქამდე აღარ დაბრუნა.

ყველაფერი ნაწიმის ბრალია. ისაა დამნაშავე. რას არ დაჰბა-
რდა მაშინ მამას, ასე ვიზამო, ისე ვიზამო და სინამდვილეში არა-
ფერიც არ უქნია, ზეტილის შეაჩვია მხოლოდ. ეგენი რომ კეთილა
სულისანი ყოფილიყვნენ, აქაურობას არ მიატოვებდნენ. ჩიტის
რძეც არ აკლიათ თურმე, ყველაფერი თავზე საყრელად აქვთ.
მხოლოდ იმას დარდობენ, გვერდით თვისტომები რომ არ ჰყავთ.
დატეულიყვნენ აქ და ეყოლებოდათ. ასე იცის, ასე უთხრეს მას.

მიმწიდველია საიდა. მხრებზე კუპრივით შავი, ხუჭუჭა დალა-
ლები ჩანოშლია. შორიშორს გაზიდული წარბები მერცხლის ფრთე-
ბივით გაშლია. ბაგეებიდან კრიალა კბილების ელვა გამოუკრთის.
ტანზე მჭიდროდ შემოტმასნია გაზაფხულის ყვავილებით მოჩითუ-
ლი კაბა.

„ჰოდა, ასე... არ წავა! მორჩა და გათავდა! — აგრძელებს
ფიქრს საიდა. — თავს მოიკლავს და ამ ურჯულოებს აღარ გაატანს
თავის ძმას.

მაგრამ მესამე დღეს მაინც წავიდა გოჩა. არ გასჭრა საყვარე-
ლი დის მუდარამ და მდუღარე ცრემლებმა. მალე დავბრუნდები და
სულ შენთან ვიქნებიო, ამშვიდებდა. ოქროს საყურეებსა და ბეჭ-
დებს დაპირდა. ქალაქში წაგიყვან და ფარჩა-აბრეშუმებით შეგმო-
საგო.

არაფრის გაგონება არ სურდა საიდას. არც ოქრო უნდოდა,
არც ფარჩა-აბრეშუმი.

ბოლოს ისევ დედას დაუფერა. მის ხვეწნას დაჰყვა. მორჩილად
დაადგა სახლისაკენ მიმავალ ქვადორიან ბილიკს.

ერთი-ორჯერ შედგა და უკან მიიხედა. ცრემლიანი თვალებით
გააცილა მოსახვევს მიმალული უკანასკნელი მხედარი.

აპრილის მცხუნვარე მზეს ნიღრამდე დაეყვანა გოდერძის ფერდობებზე შემორჩენილი თოვლი. მხედრები ქვადაცულ ნამქრებს გვერდს უვლიან და მალა-მალა მიიწევენ. წყაროსთან ჩამოქვეითდნენ. ქარს ერთიანად მოესუფთავებინა იქაურობა. მინდორის სიცოცხლის ნიშანი დაბრუნებოდა.

გოჩამ უხავარზე დაკრული ხურჯინი გადმოიღო. კორდზე დააღა შემწვარი ქათმები და მოხარშული ხორცის ნაჭრები, სულ-გუნე და დაბრაწული დედასპურები, ქემალი იხმო.

— რა იყო? — შორიდან შეესმათა ახმელის ბიჭი.

— ნახე ერთი, ხურჯინში დოქი ზომ არ გიღევს?

— კი, აქ არის!

წამოიღე და მოდიო! თავი ანებეთ მაგ წყალს!

დასხდნენ. პური გატეხეს, სულ ხუთნი იყვნენ — ოთხი შავ-ტუხა, ერთი — ქერა-თმისი, პირთეთრი, სხვებზე ახოვანი და მხარ-ბეჭიანი.

დიდხანს არ დაყოვნებულან. მალე წამოიშალნენ.

გოჩა წინ წაიდა. დანარჩენები უკან მიჰყვნენ.

გაზაფხულის პირველი მაცნე—ლილოჭრილი, უკვე გაჩენილი-ყო. ხშირ წიფლნარში.

ნაკადულად ქცეული თოვლის ნაყური გზას ხმაურით მიიგვლივდა ფლატეებიან სეობაში.

გზაზე ქარიშხლისაგან დაღეწილი ხეების ნამუსრევი ეყარა.

მზე შუბის ტარზე რომ შედგა, მხედრებმა მაშინ გამოაღწიეს თავი ტყეს.

ამის იქით, ირთი დღის სავალზე, სულ ერთთავად უღრახიმეთ-ბითა და გორაკებით უნდა ევლოთ.

უდაბურა მხარე, პირქუში, ნაღვლიანი.

ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას მარტო ცხენის ფლოქვების ხმა არღვევდა.

ქემალმა ანხანაგებს გვერდი აუარა, წინწასულ გოჩას წამოეწია. გაუსწორდა და შეფარვით შეათვლიოდა. უგუნებობის მიზეზი ჰქონდა.

საკუთარ ფიქრებში გართული გოჩა გამოეცემა. თავი ასწია. დაბინდული მზერა უდაბნოსაგან მდუმარე მიდამოს მთაწლო. ოსმალის კითხვა უპასუხოდ დატოვა. ცხენს მათრახი შემოჰკრა. მკვირცხლი იაზო ისარკივით გაიჭრა ხელისგულივით მოშიშვლებულ ვაკეზე. ქემალს ზერდაგიც ფეხდაფეხ მიჰყვა. თავაწყვეტილი, გიჟური რბოლა მანამ გაგრძელდა, სანამ არ გაილია მინდორი და



კლდოვან-ქარბუიან ხეობაში არ ამოჰყვეს თავი.

გიწრო, დაკლავნილი ბილიგი თავქვე ეშვებოდა. აქედანვე
სამიმი, ხიფათიანი გზა იწყებოდა.

გოჩამ ცხენი დაიურვა. თანამგზავრებს დაელოდა. მზეს ახედა.
 დრო გამოთვალა.

გერა, დაღამებამდე ვერ გავლენ სამშვიდობოს. ჩაღაც უნდა მოიფიქროს.

— რატომ შეყოვნდი? — ჰკითხა ქემალმა.

საღამომდე ვერ გავალწევთ აქედან. დიდია ხეობა. შენ რას
გვირჩევ?

— რომელი მრჩეველი მე მნახე? ამ მხარეში პირველად ვარ.
როგორც სხვები იტყვიან, ჩემც ისე მოგეძღვო.

მალე დანარჩენებმაც მოაგელოეს ცხენები.

— Իսկ տատմո՞ւթով? — միջոցը կմոտ լսածուհե Յանսմա.

— ყურ გადაფრწყვეტია როგორ მოვიქცეთ, გავაგრძელოთ
გზა თუ არა, — უბახუხა ქემალმა, — გოჩია ამბობს, დაღამებამდე
ვერ გავაღწევთ აქედან.

— ჰოდა, ჩვენც ნუ გავალთ. ეგერ ჰე... ეგერ ხეობას მეორე ხევი ჯვარედინად რომ ჰკეცოს, იქ, მარცხნივ შევუხვევთ. ერთ ვერსის სივალზე გამოქვაბულს გადავწყდებით, თავისუფლად მოვთავსდებით შიგ. იქვე ასლოს ტყეც არის, შემასაც მოვიმარაგებთ. წინ მე წავალ; თქვენ ათ-ათ ნაბიჯზე მომყევით. ცხენები ნებაზე მიუშვით. ღმერთი არ გაგიწყრეთ და მათთან არ მოიქნით. აქაურობას კარგად ვიცნობ. აქედან ისე გაგიყვანთ, ფრჩხილიც არ წამოგტყვევდეთ.

— იქნებ ქვეითად გვევლო? — შეშინდნენ ზოგიერთები.

— ასე უკეთესია. წავედით!

კაჟიან ქვემოთ ნალებიდან ასხლეტილი ნაპერწკლები ციცინათელებივით გაკრთა ჭეობის ბინდში. აქამდე ელარ აღწევდა შვის სხევი. სევიდან არწივის ფრთებივით გადმოშლილიყო კლდოვანი დერეფნები. ალაგ-ალაგ თოვლის ლავგარდანებიც ეკიდა.

სამშრობა კარგახნის გადისული იქნებოდა, ვადამკვეთ სეობას რომ მიადწიეს, თითქოს და თვალსაწიერიც გაფართოვდა. სინათლე ერთიორად ინატა.

გამოქვამულთან ცხენი დაუფრთხა ჰასანს, აფრუტუნდა. ძლივს დაიოკა მხედარმა. დანარჩენებიც შედგნენ. იქვე, შორიახლოს წვლის ახლადდაბადნილი თავ-თუხი ეყარა.

პასანძე უზანგიონ თეხი გამოიღო. მსუბუქად ჩამოხტა.

— როგორც ჩანს, შიგნით მკლავები არიან. აქვე ჩავუსაფრდეთ.

თუ არ ამოგზოცდო, არც მოგვასვენებენ ამაღამ.

— როდემდე ველოდოთ? სადაცაა დაღამდება.

შენ მაგის ღარდი ნუ მოგკლავს, ისმეთ! მაგათ უკვე იყნოსეს ცხენის ოფლის სუნი. მალე გამოვლენ სანადიროდ. ეგენი მზეს და ცეცხლს უფრთხიან მხოლოდ.

მალე პირველი მტაცებელიც გამოჩნდა. ჰაერი მოყნოსა, გაიზორო და პირდაპირ ჩასაფრებულებებისაკენ წავიდა. წინამძღოლს ხროვაც მიჰყვა.

ხუთი თოფი ერთად გავარდა. ყურთასმენის დამხშობი ბაჭი ხეობაში ქუხილივით გაისმა.

კვლავ განმეორდა ამაზრზენი ქექა-ქუხილი.

სამიზნეს არც ერთი არ აცდენია.

— იღბლიანად ვინადირეთ პა, ისმეთ! — შესცინა ქემალმა ამხანაგს.

— იღბლიანი ნადირობა მაშინ გენახა, მარტო რომ ყოფილიყავი. წაშში გაგათავებდნენ და გემრიელადაც შეგახრამუნებდნენ.

— მორჩით ლაქლაქს! — დაუტია პასანმა. — შეშა მოგზიდოთ. ცხენები დავაბინაოთ, ამით გატყავება უნდა. გერა ხედავთ? საზარუნავი მოგვეჭატა.

შუალაშე მოტანებული იყო, საჩმეს რომ მოჩჩნენ. გულისამრავი მძორები ხეობაში გადაყარეს. იჭაურობა მიაღაგ-მოაღაგეს. უგემურად წაივახშმეს და დასამანებლად მიწვნენ. მხოლოდ გოჩა ფაზილობდა. დროდადრო შემოსასვლელთან დანთებულ კოცონს შეუყუთებდა. მალე გამოქვავებული სამი ადამიანის ხვრინვამ ამოავსო. მეოთხეს ძილი არ მიეკარა, მოუსვენრად წრიალებდა ნაშვის ტორების მჩხვლეტავ ლოგინზე. მერე წამოდგა, ტანსაცმელს აყოლილი ნეღლა წიწვი ჩამოიბერტყა და ელიზბარის ვაჟს გვერდით მიუჭლა.

— არ გეძინება? — მოუხედა გოჩამ.

— არა ვარ ასეთ ქვეშაგებს მიჩვეული და რა ვქნა.

— რაო, ბუმბულის ლოგინი ხომ არ მოგეწატრა?

ისმეთმა არ უპასუხა. კოცონის ირგვლივ შემომდგარ წყვდიდას ვახედა. გაუსწორა თვალი. ნელმა ბოროთი დაშვული ხმები მოიტანა.

— გოჩა, გესმის?

— მესმის. მგლები მღერიან. სისხლიანი ნადირი თუ პქონდათ.

— რა კარგად მოვიღბინეთ შენთან. ისეთი საამელო ჩემს დღეში არ დამილევია.

— იქ არავისთან წამოვცდეს. ხომ იცი... — შეშინდა გოჩა.

— ვიცი, ვიცი. ბავშვი ხომ არა ვარ. მადლობა ღმერთს, ენაზე
კბილის დაჭერა შემძლია.

— დახარჩუნებოც გაათრთილე, ისმეთ. განსაკუთრებით ქემა-
ლი.

— ქემალს საიდა მოეწონა, შენთან შეამავლე მონაგზავნა.

— რაო? — გოჩამ წარბები შეჰყარა. — როგორ გაზედა
წუნკალი? — საიდას მოუსავლეთში ეურ დაგვარავ.

— მდიდარია, ბიჭო, მამამისი წყალობით ავავსებს!

— წყალობით ავავსებს, მერე? არ იქნება ეგ! ერთი თქვი და
მორჩა. მეორეჯერ აღარ გაიმეორო!

— ქემალს რა გადავცე?

— რაც გაიგონე!

— არ გამოვა მასე. მტრად მოგეკიდება.

— მაშინ შენ თვითონ მოიფიქრე რამე.

— კარგი!

— დაიძინე. მარცხა ინათებს.

ისმეთი წამოდგა და გამოქცაბულის სიღრმეში გაუჩინარდ.

გოჩა ისევ თავის საწუხარ-საფიქრალს შეუბრუნდა.

თაგნელმა ახმელ ჩაუშის ნაშიერი. ყველა ხვრელში ძვრება.
ტყიასავით ეტმასნება ყველას, არც ჯაშუშობას ითაკილებს. ღრეს
რომ აქ არის, ხვალ ცხრა მთას იქით ამოყოფს თავს. ყველას უს-
მენს, იმასთვრებს ყველა წვრილმანს და მერე კრიალოსანივით
კაკალ-კაკალ ჩამოუშარცვლავს მამამისს. ვაი იმისი ბრალო, ვისაც
აითვალწუნებს. ძილსა და მოსვენებას დააქარგვინებს. მსხვერპლ-
ფეხდაფეხ გასდევს და სანამ არ მოიშორებს თავიდან, მანამდე
ვერც დაწყნარდება.

იქნებ ერთ-ერთი მსხვერპლთაგანი თვითონაც იყოს...

რაში ეხადგლება ვიღაც გადამთრელი. წადილი თუ აღსრული,
ხომ კარგი, არა და... გაგზავნის საშარო საქმეზე, სადმე უკაცრიელ
ადგილზე ჩაუსაფრდება, დააზლის ტყვიას და მორჩა. არ დაიქე-
ვა ქვეყანა ერთის სიკვდილით. ვერავინ გაიგებს მისი გაუჩინარე-
ბის მიზეზს.

ღმერთო, რა ბნელი და მზაკვარია ბუნება ადამიანთა! რა ვე-
რაგია მოდგმა გონიერთა!

ცისკადური შემოტყდა. საღიაც მალა, ფოლორცებში შერთ-
ხები აკაკანდნენ. ავიფივონენ ბედურები, აჭახანდა შაშვი. დილის
საგალობელი ჩამოიდვარა ხევში.

უგვე შეიძლება თვალის მოტყუება. ღამენათივ გოჩას ძილ-
მა წაართვა თავი.

იმ ღამის მერე არც გაუღნიშია. გამოხედვა კუშტი და ნაღვლიანი გაუხდა. მარტოობაში გაჰყავდა დღეები. გატენდებოდა თუ არა, მოველეობდა ზურგზე თავის იაბოს და ჩილდირის სანახებში დაჯირითებდა. როცა ნაზიმი ჰკითხვდა, სად იყავიო, ვნადირებდიო. მოკლედ უბასუხებდა.

ცრუობდა.

მისი ნანადირევი თვალთაც არავის უნახავს.

დაღლილ და ქანცული ისე, ტანთვაუხდელად მიეგდებოდა ლოგინზე და დილაძღე მკედარივით ეძინა.

მურთაზი კი სამჩნევად მისი ხასიათის ცვლილებას, მაგრამ პირში წყალჩაგუბებული არიდერს ამბობდა. ალბათ ვინმე უყვარსო. ფიქრობდა თავისთვის და ელოდა, როდის გაუმსელდნენ საიდუმლოს.

საიდუმლო სხვამ გაამჟღავნა.

ერთხელ ისმეთმა მოაქითხა. ათას რაღაცაზე ილაქლაქა და ბოლოს ფრთხილად შეაპარა:

— გაგაჩუქულდა, გოჩა, მურთაზ ბიძია. გვიშველეთ რამე.

— მე რა შემიძლია? თქვენი კბილაა და თქვენზე უშველეთ, რაც იქიდან მობრუნდა, გაცნებულნი მე არ მინახავს. უყვარს ვინმე, თუ იცით?

— არა მგონია. საიღას გამო თუ დარღობს.

— საიღას რა ჭირს?

— როგორ, თქვენ არათერი გაგიგიათ?

— რა უნდა გამეგო, ბიჭო,

ისმეთმა დაწვრილებით მოუთხრო იმდამინდელი ამბავი.

— არაა ეს კაი საქმე. — თქვა და თავი გადააქნია.

— ქემალი მგონი რაღაცას აპირებს. საიღას მოტაცებას რუფიქრობს.

— ვაი შენ, ჩემო თავო. ეგ რა მითხარი. — თავში ხელი შემოიკრა მურთაზმა. — როდის აპირებს გამგზავრებას, იქნებ იცოდეს?

— ვერ არ უთქვამს.

— შემატყუობინე, კარგი?

ისმეთი შეყოყმანდა, — ქემალი ჩაუშის შვილია, მურთაზ ბიძია.

— და არ ეღალატება, ზომ?

— არც მასეა საქმე, — გატყდა ისმეთი, — მე მეშინია. მისი,

თავზეხელაღებულია. მაგას მე კი არა, სხვებიც ერიდებოდნენ. ამბობენ, კაცისმკვლელები არიან.

— ქემალის კაცისმკვლელობა ვინ თქვა. ჯერ რაღა არ შემოიბრუნებოდა?

— შემდეგი გახსოვს?

— ჩვენი ზაბითი? როგორ არ მახსოვს. ჩვენს მხარეში ყველაზე უკეთესად ვე იცავდა წესრიგს. კარგი ბიჭი იყო. ჩემს ოჯახში ბევრჯერ გაუტეხია პური. რა ხანია თვალით არ მინახავს.

— ვერც ნახავ!

— რა მოუვიდა?

— რაღაცა დააბრალა ქემალმა და მამამისმა სატყუარაში ამოაყოფინა თავი. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, მოკლესო.

— განა ასე ადვილია კაცის გაქრობა?

— რატომ გავიწყდება, მურთაზ ბიძია, რომ ამ ქვეყანაზე შეიძლება ყველაფერი მოხდეს! ძალაუფლება ვის ხელშიცაა, იგი ბატონობს.

— რამდენი წლის ხარ?

— ოცდახუთის.

— ქემალი?

— ორი წლითაა ჩემზე უფროსი.

— ცუდია, როცა ახალგაზრდა კაცი მრუდე გზას დაადგება.

— ასეთებად არ იბადებიან მურთაზ ბიძია, მათ ზრდიან.

ისმეთის წასვლის შემდეგ სახლი მძიმე, ავისმომასწავებელმა დუმბილმა მოიცვა. მურთაზი ჩუქურთმებიან საკარცულზე იჯდა და ყალიონს აბოლებდა.

რა ქნას, რა იღონოს? იქნებ მოაცილოს გოჩა აქაურობას! არა, არა! მოიცდის ჯერ. ნახავს ერთი, რას იზამს ჩაუშის ბიჭი. დრო წინაა. იქნებ არაფერიც არ მოხდეს და ყველაფერი თავისთავად მოგვარდეს.

შეცდა მურთაზი.

ქემალი მეორე დღესვე გაქრა სოფლიდან.

ნაზიმიცა და გოჩაც კვალდაკვალ მიჰყვნენ

* * *

ტყიან გორაკს გზა შუაზე ჰკვეთს. ორივე მხრიდან კედელივით აღმართულან მაღალი, ტანმსხვილი ნაძვები. როცა გაავდრდება და ძლიერი ქვეჩა ქარი ამოიჭრება, ყრუდ აგუგუნდება მაშინ ხეობა.

იმ დღესაც წამოიშალა საავდრო ღრუბელი... უცბად ჩამავდა და ჩამოქცა დასაფლეთი. გაზაფხულის თქემმა შხუილით გადაუარა უღრან ტყეს.

შეადგენდნენ გულიანად იწვიმა. მერე გამოახილა მზემ თვალი. საყულადერდს გვირგვინივით შემოეცლო თავზე ნაირფერებანი აელტერებული ცისარტყელა.

საიღამ თუნგები აიღო და ღიღინით დაეშვა ბილივზე.

მიწის წიაღიდან ამოხეთქილი ცრემლივით კამკამა წყარო გერ ერთ ადგილას გუბდებოდა, მერე ქვის ღარზე ენარცხებოდა და კოსრისტეხით ეშვებოდა თავქვე.

თუნგი ღარს შეუღდა და თვითონ ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა.

ანაზღად მხედრები დალანდა, მისკენ მოაქროლდნენ ცხენებს. შეშინებულმა თუნგები მიატოვა და სოფლისკენ აღმავალ ბილივს შეჰყვა.

შუა გზაზე წამოეწივნენ. ღონიერმა ხელეზმა ჰაერში აიტაცეს.

* * *

ორ გასროლას, ორი მხედარი შეეწირა. ორივე მოცელილივით დასცდა მიწას.

ისევ გამოვარდა დაბურული ტევრიდან ცეცხლის ენები.

რახში განახევრდა.

პასანმა გაგიჟებული ცხენი ძლივს დაიოკა, ხეებს შორის გაიჭრა და ჩასაფრებულებს ზურგიდან დაუარა. მაგრამ გასროლა აღარ დასცალდა. უკან დაღევნებულმა ისმეთმა კონდახი შემოჰკრა, — თავგახეთქილი უნაგირიდან გადმოაგდო და გოჩასა და ნაზიმს შეუერთდა.

ახლა სამნი იყვნენ და გული მოეცათ.

ქმალმა ქალწული მიატოვა და ორივე მსლებელთან ერთად იჭაურობას გაეცალა.

გოჩა საიდას მიეჭრა.

ტანსაცმელშემოფლეთილი, თმაგაწეწილი ქალიშვილი გოჩს ზერაც ვერ მოსულიყო. ერთიანად ჩამოკაწრულს სისხლი სდიოდა ტუჩ-პირიდან.

მამა ფრთხილად აიყვანა საიდა ხელში და თავისიანებს მიაწერა.

ნაზიმმა ისმეთს მხარზე მოხვია ხელი.

— კარგი ბიჭი ხარ! შენ რომ არა, ახლა, ალბათ, არც ერთი აღარ ვიქნებოდით ცოცხალი.

— იმათ იმიტომ გამოგყვევი, რომ თქვენ დაგხმარებოდით...

— ახლა რაღა ექნათ?

— რა და, იმათ არ უნდა გააღწიონ იქითა მხარეს! ცოცხლები თუ გაფუშვით, დედბუდიანად ამოგვბუგავს ახმედი. ნეტაი თუ იცოდა რისთვის მოდიოდა აქეთ ქმალი?

— არა, მხოლოდ ის იცის, რომ მისი შვილი ისტამბულში
წასული.

— მაშინ ჯერ გოჩას მივეშველოთ და მერე მოკლე ბილიკებით
ვუყვლოთ იმათ.

— ჰო, ეგრე ვქნათ!

* * *

დადლილ-დაქანტულებს იაილაში შეეფარებინათ თავი და
ნაბღებში გახვეულებს ტკბილად ჩასძინებოდათ.

ოთხის განძრევაც ვერ მოასწრეს, ისე გაბაწრეს.

ქემალმა დაწითლებული თვალები ავად შეანათა ისმეთს: —
ღროო! რამდენად მიჰყიდე გურჯებს ეგ შენი ბინძური სული?

— შენისთანა ქვეწარმავალი კი ნუ გგონია ყველა?! მე შეგობარს
ვუშველე. ახლა ასე გაკოჰილს რომ მიგგერი მამაშენს და ყველა-
ფერს წვრილად ჩაგუჟაკლავ, მაშინ ენაზე, რა სიმღერის ხა-
სიათზე დადგები.

— აქეთ მდგავები?

— შენთან სადგო რა მაქვს. რაც დათესე, იმას იმკი.

— თუ კაცი ვარ, დაგიმოკლებ მაგ გრძელ ენას.

— ფეხებსაც ვერ მომჭამ. ბეგრს თუ იტუნებ, გაგიყვანთ გარეთ
და თვალის დახამხამებსაც ვერ მოასწრებ, ისე გაგაგზავნიან საი-
ქიოს!

ქემალი მიხვდა, ესენი აღარ სუმრობენო და მუხლებზე დაეცა.

— ოღონდ ცოცხლები გაგვიშვით და რაც გინდათ, მოხოვეთ.
ნაზიმმა გოჩას გადახედა და თვალი წაუკრა.

— ვენდოთ?

— დაგვიწეროს პირობის ბარათი და ჯანდაბამდე ჰქონია გზა.
ისმეთმა ჯიბიდან ფანქარი და ხელისგულისოდენა ქაღალდი
ამოიღო.

ნაზიმმა მარჯვენა ხელი გაუთავისუფლა ქემალს და უბრძანა
ასე. დაეწერა: სათარეშიდ წასულებს უჩალებთან მოგვიხდა შეტა-
კება და ვეღარ გავუშკლავდით, ხუთი მოგვიკლეს და დანარჩენებმა
გაქცევით ვუშველეთ თავსო.

— ხვენ მკვდრებს რაღას უზამთ? — იცითხა შეფიქრიანებულმა
ქემალმა, როცა წერას მორჩა.

— წაიღეთ! ეზოში წვანან.

გოჩამ ტყვეებს იარაღი ჩამოართვა.

— დაუბრუნე თოფები! — უბრძანა ნაზიმმა. — სოფელში მა-

გათი უიარაღოდ გამოჩენაც არ შეიძლება. დამბაჩები ჩვენ დამცვენი არაა.
რღება.

ინათა...

გო ლო მ ა მ ა

— როდის მოხდა იგი ამბავი? — ვკითხე ჩემს თანამოსაუბრეს.
— იმ წელს, როცა აღა-მამამად-ხან ყაჯარმა თბილისი ააოხრა.
— განაგრძე!
— მოსაუბელი თითქმის აღარაფერია. როგორც გადმოგვცემენ,
საიდა მალე ვათხოვილა და ბადიშის შვილებს მოსწრებია, გოჩას
შთამომავლობა კი დღესაც ცხოვრობს დიდაჭარაში.

ბევრი ტანჯვა-ვაება იგენა ჩვენმა კუთხეში. ვინ იცის, რამდენ-
ჯერ დააქციეს და გაავერანეს, მაგრამ ქართველური სული მაინც
ვერ ჩაკლეს. ვერ წაართვეს მშობლიური დედა ენა. ხალხი ძლიე-
რია, ჩემო ნოდარ. იცის, ვის უნდა მიაგოს სიკეთე და ვისი სახელი
შემოუნახოს შთამომავლობას.

სერგომ გამოღებულ ფანჯარასთან მიმიყვანა.

— აი, ეს მთა, მწვერვალს ნისლი რომ მოსდებია, წყდან რომ
გიაშბე, იმ ამბების მომსწრეა და გამგონე... დღესაც გოჩას გორას
ეძახიან!



სიზმრის კორწილი

დღეს ჭორწილია დანიშნული, ჩემი ქორწილი,
დამთოფინებენ დობილები, ყვავილებს კრეფენ,
ერთად მეწვევა გაცეცხად, სევედაც ორწილი,
მოვა და სადღაც გამაქროლებს ლამაზი ნეფე.
ჩამაცევს კაბა თეთრი ფიფქით ამოქარგული,
დამხურეს ფატა მოჭიქული ციციქალათი
და სიყვარულის მომლოდინე მღელვარე გულით
დავტოვე ჩემი საყვარელი ციციქა ქალაქი.
გავსწიეთ ცისკენ, გზები იყო მაღალი, შორი,
ხელებს მიწვდიდნენ სახემკაცრი ჭიუხქარაფნი,
ვიყავი სავსე სიამაყით, ლალით და ბროლით,
როგორც დედოფალთ-დედოფალი მეფის ქარავენის.
და ჰა, გამოჩნდა მოკაზმული სახლი და ეზო,
მუსიკის ხმაზე ნარნარებდნენ ნაძვები თეთრი
და მოვარეს სავსეს ზღუდმას და დიდებულს ეგზომ
ჰქონდა ქათქათა ყელი და მკერდი,
ლიმილი, ცრემლი, სიხარული, დელვა, და ქარი,
გადაგვატარეს თავზე ელვარ ხანჯლების ჯვარი
და სიზმარ-ცხადში არეული ოქროსფერ ქსარით
რძისფერ სახლისკენ მიმიძღოდა მეუფე—ქმარი.
იქ დაფარდაგულ დაყათული დამხვდა ჩითები
და დაფარული დაეჭვება: ასეთი ციციქა ოჯახის
ქალად?!

და სევდის ხმაზე მოღუღუნე ჩემი ლექსები
შხითვად არაფერ არ ჩამითვალა.
ლიმილის ნაცვლად სახე ჩემი გაბრწყინდა ცრემლით,
აღარც ვახსოვდი დიონისით ჰერობილ მაყრონს
და თუმც მეწყვეილემ საიმედოდ ჩამჭიდა ხელი
მაინც მარტოკა მივეგებე მწუხრის დაფიონს.
იყო ნადიმი... თრობა ღვინით იქ ბევრეულით,
ჭირხლი ეფარა მთათა ფერდობთ ვით თეთრი ფარა,
კი ჰგავდა ქორწილს ის ქორწილი სიზმარეული,
ნაოცნებარს კი არა და არა.

თუ მომკლავ, ღმერთო, სულ მთლად

მომკალი

და სამარეში ნუ გამაღვიძებ.

შემეშინდება ბნელ სიმწუხარის

და უმწეობა კვლავ გამაგიჟებს.

ცივი სისხნით შავი ხარხარი

გადაუქროლებს ამაყ ნარგიზებს

და მე — გველების ტკბილი სამხარი

ნაბიჯააც გერსით გადავაბიჯებ.

თუ მომკლავ, ღმერთო, სულმთლად

მომკალი

და სამარეში ნუ გამაღვიძებ.

* * *

თუ ხარ ჩემსავით ცის სევდით მთვრალი,

თუ ეტრფი ღამეს მთვარის თმებიანს,

დაესიზნარებია ცრემლები მთვარის

ან უჩინარზე გიოცნებია?

ვინ არის იგი იღუმალი, კოვლისმპყრობელ,

ვინ ეფერება იაიებს ლურჯბაფთებთანს,

ან ქართველის მინდვრებს, როგორც

ბარტყებს დედა—შშობელი,

უხილავ ფრთებით ვისი ჯადო დაჰფარებია.

ბიბინებს ველი, რა საოცრად ბიბინებს

ველი,

იდუმალ ხელით იდუმალად ნასათუთები...

რა საბრალოა ჩასაქრობად თვალეი ჩემი

და სიგიჟემდე არტისტული შენი თითები.

* * *

კვლავ მენატრება შენი თვალეი

როგორც ცისფერი სევდის ტაძარი,

ამხედრდებიან ამორძალები,

და მთვრალ ზმანებებს ცისკენ დაძრავენ.

ისევ და ისევ შეგებრალე
ჩაპყვება მზერა გვესვენელს და მტანჯველს,
შემომაყრიან ჭორებს ქარები,
გადიმისტერევენ გამოწვდილ მაჯებს.
არაფერია, დასცდება ბაგეს,
დავწვდები ბავით ყვავილს შხამიანს,
წაიღებს ზეცა მომთიბლავ ჰანგებს
და დამიტოვებს თვალებს ნამიანს.

* * *

რა შემოგწირო? — ყველაფერი დასრულდა

უკვე,
დამსხვრეულია მზისფერი ბროლი,
და გაოცება — ვით ყინვაში უმწეო
ბავშვი,

სავსეა თრთოლვით!

სხვა უწმინდესი? — მე სტრიქონებს

ვუძღვენ სინაზე
და შემოხვიდე პოეზიის ცისფერ ტაძარში
შეძლებ? — უარყო ქვეყნიური სხვა

სილამაზე
და შემოხვიდე პოეზიის ცისფერ ტაძარში?!

* * *

წამლევას ახლა ეს ყვავილობა
ვით უცნაო მოსვლა მეორედ,
შენ კვლავ განიხსნი გულის კრილობას
მე ძველ შეცდომებს გავიძეორებ.
დაღლილი შუბ და ჩამჭრალი მზერა
აღმობრწყინდება კვლავ დაბადებით,
ვერ გამოვიდა მე თუმცა ჯერაც
სად ვიწყებთ ან სადღა ვმთავრდებით.
სად არის ჩვენი სევდის სამანი,
ვინ გაუბედავს სიკვდილს ცილობას,
დაჰხარე ტოტი იასამანის,
თორემ ბოლოა ეს ყვავილობა.

რად ბორგავ ჩემო, რად აღავლენ წარმართულ ლოცვას,
ტკბილ-მწარ ტკივილებს ვინ გასასობს

ჯვარცმულ ღმერთივით

და ცხელ სტრიქონებს სულ ცაცხახით ამოვთქვამ როცა
შენ რატომა გასურს ვიყო სულთქმა

ჩვეულებრივი.

იქ ჩემსაწილო მიზაცდება ნამცეცა ზეცა,

შენს მზეს მიელტვის ისევ ჩემი

ციცქნა პროფილი.

გახსოვს, იმ დილით შინდისფერი კაბა რომ მეცვა

და ვენთე, როგორც სიყვარული

პირველყოფილი.

რად ბორგავ ჩემო, რად აღავლენ წარმართულ ლოცვას,

ტკბილ-მწარ ტკივილებს ვინ გასასობს

ჯვარცმულ ღმერთივით

და ცხელ სტრიქონებს სულ ცაცხახით ამოვთქვამ როცა
შენ რატომა გასურს, ვიყო სულთქმა

ჩვეულებრივი.

* * *

სხვაგვარად, სხვაგვარად გემდური სამყაროვ,

თვალეზი ცივი გაქვს, ხელები უხეში,

და ისიც არ გჯერა, რომ ისევ ბავშვი ვარ

და ისევ მჭირდება სიტბო და ნუგეში.

დამშრალან, ღიმილის წყაროსი დამშრალან,

სიცხევე გველივით ჩამიწვა უბეში,

მე კი,

მე, ისევ ისეთი ბავშვი ვარ

და მიჭირს გაძლება ამ სისასტიკეში.

პატრიცია მაგვარი

მოგებულს რჩება ყველაფერი

ნოველა

ფილიპ უვეიდი თავის კაბინეტში მაგიდასთან იჯდა და ბარათს კითხულობდა, სულ ახლახან თვითონ რომ დაეწერა:

„ძვირფასო ლაურა!

ჩემმა საქციელმა შეიძლება ძლიერ განგაცვიფროს და ტევილიც მოგაყენოს... ვიცი, სხვა შეგიყვარდა, მაგრამ შენ ჩემთვის მაინც ძვირფასი ხარ. ამიტომ დღეს უკანასკნელად ვიტყვი შენს სადღეგრძელოს და საწამლაგს შეგესვამ. ჩემზე აღარ იღარდო, ძვირფასო. მთელი ეს ოთხი წელიწადი ბედნიერი ვიყავი, ახლა გათავისუფლებ ჩემგან და ისევ და ისევ შენი ბედნიერებისათვის ვიქცევი ასე.

მარად შენი ფილიპი“.

წერილი არც ისე ხეივანისა გამომოვიდაო, გაიფიქრა, — საკმაოდ სენტიმენტალურია, ცოტა ბანალურიც, მაგრამ თუკი ოდესმე გაზეთში მაინც დაბეჭდავენ, დილის ფოსტის მკითხველს აუცილებლად აუჩვილებს გულს. თუკი, — უვეიდიმ მძიმედ ამოიოხრა. — ნუთუ ხვალინდელი გაზეთები დაბეჭდავენ ჩემს ნეკროლოგს? — თვალები დახუჭა და შემდეგი სათაური გაჩნდა მის წარმოსახვაში: გამოჩენილმა რომანისტმა 54 წლის ასაკში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. — ნეტა რას დაწერენ ჩემზე? რომელ ჩემს ნაწარმოებს მიანიჭებენ უპირატესობას? და საერთოდ როგორ შეაფასებენ ჩემს ტალანტს, შემოქმედებას, თუ ამის ნაცვლად მართლაც რომ გოგონასთან (შვილად რომ შემფუქრის), ჩემი უიღბლო ქორწინება იქცევა განსჯის საგნად?

უვეიდიმა თავიდან მოიცილა ეს კითხვები და ნაღვლიანად გაიღიმა. ყოველ შემთხვევაში თავის თავზე უკანასკნელი კრიტიკული შენიშვნების წყალობა ხომ არ მოუწევს მაინც, მაგრამ გადაფიქრებაც არ უნდა იყოს გვიან.

როცა მისი პირადი მდივანი დონ ტალბოტი პირველად გამოჩნ-

და, ფილიპს აზრადაც არ მოსვლია, რულეტი ეთამაშა მასთან. მაინც რა მოხდა? შეყვარულები ისევე ხვდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ამ ექვსი დღის წინ. ცოლის ღალატში საბოლოოდ დარწმუნებულ ფილიპს შეეძლო გაშორებოდა მას და ტალბოტიც დაეთხოვა სამსახურიდან, მაგრამ მაშინ იგი თავის ფუფუნებასა და შერჩეობა მართო, ისინი კი სიღარიბეში აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ იქნებოდნენ ერთად. რასაკვირველია, ასეთი რამ არც ერთ მხარეს არ დაჰკაყოფილებდა. ამიტომ იყო ტალბოტმა შემდეგი ვარიანტი რომ შემოსთავაზა:

— მოდით ისევ შევხვდეთ ერთმანეთს, — თქვა მან, — და ორი ჭიქა დავიდგათ: სასმელით სავსე, აქედან ერთ-ერთში საწამლავი იქნება გაზავებული. შეგსვით ორივემ. დაე, ერთი ჩვენგანი მოკვდეს, მეორეს კი ლაურა დარჩეს.

— ლაურა და ჩემი ქონება, — უხეშად შეაწყვეტინა უვეიდმა. — ეს ხომ მთავარია! მაგრამ თუ მაინცდამაინც გაყრატე მიღვა საქმე, ლაურა უგროშოდ დარჩება. თუკი მოვკვდი, იგი მდიდარი ქვრივი ხდება.

— მართალია, — დაეთანხმა ახალგაზრდა კაცი. — ლაურა ფუფუნებასა ჩვეული და არ მინდა ყველაფერი უცებ წავართვა, ჩვენი შეზვედრაც უნებლიეთ მოხდა, ბედისწერაა იქნებ...

უვეიდმა ტალბოტს ნაღვლიანად შეხედა და გუნებაში გულისტკივილით, მაგრამ მაინც აღიარა იმისი უპირატესობა. ვერც ლაურას დადანაშაულებდა მთლიანად. მაგრამ იმასაც ვერ დაუშვებდა, რომ ქალს სიღატაკეში ეცხოვრა მერე.

... ერთი კვირის შემდეგ მოპირისპირე მხარეები ასე შეთანხმდნენ: ტალბოტს საწამლავი (მწერების გასანადგურებელი კონცენტრატი) უნდა მოეძია სადმე. საწამლავის სუნი და გემო კონიაკს უნდა გაექარწყლებია.

გამოცდა კვირისათვის, საღამოს რვა საათზე დაიწმინდა. პოლიციას გამოძიება რომ არ დაეწყო, გადაწყვიტეს, სიკვდილის წინ ორივეს დაეწერა ბარათი.

რვის ნახევარი შესრულდა უკვე.

— მე ვარ, ფილ, — ლაურა კაბინეტში შემოვიდა და კარი მიხურა. — ლამის ჭკუაზე შემშალოს ამდენმა ლოდინმა და გაურკვევლობამ.

— ყველაფერი რიგზეა — ისე, დაუდევრად წამოისროლა ფილიპმა, მაგრამ ლაურას დანახვისთანავე დარწმუნდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში.

ეს პატარა, ნაზი, სუსტი, ქერათმიანი არსება მიუახლოვდა

ქმარს, ჩაუჭდა კალთაში და ხელი ნაზად მიუცაცუნა ლოყაზე;
არა, ახლა მართლაც არ ძალუძს უვეიღს ღალატისთვის
ხოს ლაურა.

— მეშინია, ფილ, — ზაილაპარაკა ქალმა. — სანამ შენ და
დონი საუბრობდით, მომეჩვენა, რომ ყველაფერი ეს უბრალო თა-
მაშია, მაგრამ თამაშიც რომ არ არის?! ეს ხომ სინამდვილეში ხდე-
ბა?

— მოხდება! და თამაშია მაინც! თამაში დიდი თავანით... წე-
რილი მზადა მაქვს უკვე, ხომ არ წაიკითხავდი?

ლაურამ წერილი გაშალა და კითხვა დაიწყო. ყოველგვარი სი-
ამაყის გრძნობისაგან დაცლილი კაცი ქალის თვალების გამომეტყ-
ველებას აკვირდებოდა.

— თქ, ფილ, რა გულისშემძვრელია?! — თვალეში სიხარული
ჩადგომოდა ლაურას, — თურმე რა დიდსულოვანი ყოფილხარ იმ-
ის წემდეგაც კი, რაც მე შეგცოდნე...

— არაფერიც! უბრალოდ შენ შენი ასაკისა და გატაცების
ადამიანს შეხვდი და შეგიყვარდა.

— სიცრუეა, მე მხოლოდ შენ მიყვარხარ, დონის მიმართ კი...
ეს ჩემი მხრივ სიძაველი, მდაბალი გატაცებაა მხოლოდ... ეს სულ-
აც არ არის სიყვარული... შეგვდი და ვერ შევაფასე შენი სიკეთე
და სულგრძელობა, ახლა კი უნდა დამეკარგო სამუდამოდ... არა,
არა! მთელი არსებით შენ მაყვარხარ და... მჭირდება ძალიან, ფილ,
შენ არ უნდა მოკვდი!

— თუ ასე ფიქრობ, — გაეღიმა უვეიღს და ნათელი მოეფინა
მის სულს. თან არაჩვეულებრივი სიმხნევე იგრძნო, — მაშინ არაფერ
მოკვდება. ჩვენ ზრდილობიანად ვთხოვთ იმ ახალგაზრდა კაცს,
რომ ჩამოგვცილდეს და შემდეგ — მაღალ დონეზე აღვნიშნავთ
ამას.

— ასე უბრალოდ რომ ხდებოდეს. ყველაფერი... — თავი ძდა-
ბლად დახარა ლაურამ, ქმრის მუხლებს შეეხო და ყრუდ ამოთქვა:
— ვერ წარმოიდგენ დონი რამდენს ნიშნავს ჩემთვის. ეს სიყვარუ-
ლი სულაც არ არის, მაგრამ არც უიმისოდ შემიძლია. რამდენჯერ
მიცდია გამეწყვიტა ეს ურთიერთობა და ვერ შევძელი. ოდნავაც
რომ შემეხოს, ან უბრალოდ შემომხედოს, ენით აუწერელი უჩვეუ-
ლო ცეცხლის ალი მომედება ხოლმე.. მიჭირს ამ თემაზე ლაპარაკი,
მაგრამ მეც უნდა გამიგო, ფილ, მეზიზღება ჩემი თავი იმის გამოც,
რომ ტკივილს გაყენებ, მაგრამ რამდენი დაპირებაც არ უნდა მოგ-
ცე, იცოდნე, ვერც ერთს ვერ შეგისრულებ და მანამ იქნება ასე, სხა-
ნამ ცოცხალია დონი და ვენდომები...

— დავწერე. — ტალბოტმა კონვერტი გაუწოდა.

— ჩემი წერილი კი მაგიდაზე დევს.

ფილიპმა წარწერას დახედა კონვერტზე: „იმას, ვინც ამ წიგნს
დხვევასთანაა დაკავშირებული“.

წერილი კონვერტიდან ამოიღო და წაიკითხა: „ქალს, რომელიც
მიყვარს, არ ვუყვარვარ. უმისოდ სიცოცხლე კი არ შემიძლია! ამი-
ტომ ვეცლავ თავს, გეტხოვებით.“

ღონაღდ ტალბოტი“.

„სტილი მთლად დახვეწილი ვერ არის... — კრიტიკულად გაი-
ფიქრა უვეიდი, მაგრამ დედააზრი ნათლადაა გადმოცემული, ყო-
ველ შემთხვევაში პრესისათვის ტალბოტი არც ისე ცნობილი ვინ-
მეა, ბოლომდე რომ მიპყენენ ძიებას“.

— ყველაფერი ნათელია, — დაუმოწმა ტალბოტმა, — უვეიდი
წერილი რომ წაიკითხა. — თუკი თქვენც თანახმა ხართ, ჩავთვალოთ,
რომ საქმე მოგვარებულია. ლაურა, — გასძახა ქალს, — შემოდი,
ველოდებით!

ქალი უხმაუროდ, თვალებდახრილი შემოვიდა ოთახში და ახა-
ლგაზრდა თაყვანისმცემლისათვის ზედაც არ შეუხედავს.

— შიშობს, რომ დამაეჭვებს და... — გაიფიქრა ქმარმა, — ანდა
ბიძიკით, ეშინია არ გათქვას თვალებმა და არ გამჟღავნდეს ჩვენი
შეთქმულება.

— ჩემს წერილსაც მაგიდაზე დავდებ, — ტალბოტმა უვეიდს
წერილი გამოართვა და კონვერტში ჩადო. — სანამ საწამლავს და-
ვლივდებ, წერილს ჩავაბარებდიო. და, რა თქმა უნდა, როცა... ეს ყვე-
ლაფერი მორჩება, ცოცხლად დარჩენილი გაახადგურებს თავის
წერილს...

— მო... მოიტანე? — ჰკითხა ლაურამ, ქალი არც ახლა უყურ-
ებდა თვალებში საყვარელს.

— კი, საწამლავი ბარში დევს, ჭიქებთან. ჩაცალე ერთ-ერთ
ჭიქაში და შემდეგ ორივე ჭიქა კონიაკით შეავსე.

— როცა საჭმეს მორჩე, — დაუმატა უვეიდი, — ჭიქები ბატარა
სინზე დააწყვე და ჩემს მაგიდაზე დადგი. თვითონ ავირჩევთ.

მამაკაცებმა თვალი გაადევნეს ლაურას. ქალი კარს მიეფარა და
უვეიდი და ტალბოტი ერთმანეთს მიუბრუნდნენ:

— საწამლავი სწრაფად იმოქმედებს, — წაიჭურჩულა ტალბო-
ტმა, — და ვიმედოვნებ, უმტკივნეულოდ...

უვეიდს ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში და მოსვენებას არ
აძლევდა. „იქნებ მომატყუა და... ვენდო, თუ არ ვენდო?“

ზურგს უკან ლაურას მსუბუქი ნაბიჯები ესმა. ქალი მაგიდას
მოუახლოვდა და მამაკაცებიც მოტრიალდნენ მისკენ.

— შენც უნდა დაისხა, — აიჩემა ტალბოტმა. — ჩვენ სამივემ უნდა შევსვათ. მესამე ჭიქაცაა საჭირო!

ჭალი უსიტყვოდ დაემორჩილა ტალბოტის მოთხოვნას და მესამე ჭიქის შოსატანად გაბრუნდა.

უვეიდი თვალს არ აცილებს სინა. ორივე ჭიქაში თანაბარი რაოდენობით ესხა სასმელი, არც ფერში შეიმჩნეოდა სხვაობა.

— აქეთ ზევსი, იქით აბოლონი... გაიწვლო გუწებაში, — ზევსი და აბოლონი... ზევსი — მომნიჭებელი სიცოცხლის, აბოლონს სიცოცხლილი მოაქვს, მაგრამ ლაურამ რომ მიღალატოს? — მზერა დონ ტალბოტზე გადაიტანა, ყურადღებით რომ აკვირდებოდა, როგორ აესებდა ლაურა მესამე ჭიქას, — ამასთან შედარებით ბებერი არ, — გაიფიქრა, — თუ ლაურამ საწამლაგი ზევსის ჭიქაში ჩაასხა, ფულიც მას დარჩება და ახალგაზრდა ტალბოტიც. მაგრამ ავიღებ მაშინ და აბოლონს ვარჩევ. ამით გეგმებს ჩაეუშლი ლაურას და ტალბოტსაც სამაგიეროს გადაუხდი, მაგრამ თუ გულწრფელია ლაურა, მაშინ? სამ წელზე მეტ ხანს ჩემი ერთგული იყო. ტალბოტთან მისი კავშირი ხანმოკლეა და მხოლოდ — შეცდომა. იქნებ კიდევ ნანობს ლაურა და სჯერა, რომ მხოლოდ საყვარლის სიკვდილი გადაარჩენს. მაინც როგორ მოვიქცე? ვენდო თუ არ ვენდო ლაურას?

ლაურა შამაკაეებს მიუახლოვდა და ქმარს ხანგრძლივი, დაბობრებებით სავსე მზერა მიაბყრო, რის გამოც ფილიბს მაჯისცემა მოუხშირდა.

— მზადა ხართ, მისტერ უვეიდ? — სინჯმე ახალგაზრდა ტალბოტმა დაარღვია, — არჩევანი თქვენია.

— დიახ, მზადა ვარ! — იყო პასუხი.

ფილიბმა ხელი კი გაიწვდინა სინისკენ, მაგრამ წამით შეეწყინა. — ზევსი თუ აბოლონი? აბოლონი თუ ზევსი? — გრძნობდა, რომ ლაურა და ტალბოტი სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ, რას მოიმოქმედებდა და გადაწყვეტილება უმაღვე მიიღო: „სჯობს ვენლო მუშულეს და მოვკვდე, გიდრე ცოცხალი დავრჩე და ვიცოდე, რომ კვლავაც მიღალატა. საშინელებაა მოგვკვდენ ეჭვებით სავსე“.

უვეიდმა ზევსის გამოსახულებიან ჭიქას დაადგა თვალი, დაწვდა, ცხვირში ნუშის სუნი ეცა. შეცბა, — „საწამლაგი... არა, არა!“ თავი გადაქნია და კიდევ ერთხელ დაეცნოა ჭიქას! — თავბრუ მეხვევა... აღბათ, ვცდები... მგონი კონიაკი უფრო უნდა იყოს“, — დაასკვნა საბოლოოდ და ნაძალადევად გაიღიმა, — ჩემი საყვარელი კონიაკი“.

— ამასობაში ტალბოტმა მეორე ჭიქა აიღო და თვალი უვეიდისკენ გააბარა.



— გაუმარგოს ქალს, რომელიც ორივეს გეიყვარს!

— გაუმარგოს ლაურას! — უპასუხა უვეიდმა.

კაცებმა ჭიქები ერთდროულად დაცალეს და ავის მოლოდინში გახევდნენ. უვეიდს მუცლის არეში შეცივდა და მუხლებში სისუსტე იგრძნო. შიშმა მოიცვა: — როგორამღ? რას ნიშნავს ეს სიმპტომები?

უნდოდა ცოლისთვის შეეხედა და პასუხი მის თვალებში ამოეკითხა, მაგრამ ვერ შეძლო, ამ დროს ტალბოტმაც შეჰყვირა:

— ღმერთო ჩემო, შეწვის ყელი! — ხელიდან გავარდნილი ჭიქა მაგიდის ქვეშ შეუგორდა. მარჯვენა ხელი ყელში წაიჭირა. მარცხენა კი პირზე მიიფარა და ჩაიმუხლა. ტალბოტი ერთიანად აცასტანებულებოდა. — გემუდარებით, მშველეთ რამე... — პირქვე ჩაქმნო იატაკზე. დაეჭინა სხეული და გაქვავდა.

— ყველაფერი გათავდა. — თქვა ლაურამ. — მორჩა!

— პო, — უვეიდმა ცარიელი ჭიქა სიჩუქე დადო და გამშრალი ტუჩები ეხით გაიღოკა. ცდილობდა ხალიჩაზე განრთხნული ტალბოტისათვის არც შეეხედა. უკან-უკან იხევდა ტყავის სავარძლისკენ, რომ ჩამჯდარიყო შიგ და მოესვენა. ცივმა ოფლმა დაასხა.

— ძვირფასო, გონს მოდი, — ლაურა ქმარს მიუახლოვდა. — ექიმის მოსვლამდე აქაურობა წესრიგში მოვიყვანოთ.

ფილიპმა ცოლს გასცვივრებით შეხედა. — ამ წუთში სიჩქით გაისტუმრა სავარელი და არ ღელავს? მაგრამ მაინც მარჯალია ლაურა. „ყველაფერი წესრიგშია მოსაყვანი“.

— მზად ვარ, — უვეიდი კბილს კბილზე აცემინებს.

— გამაგრდი და დალიე! — ლაურამ თავისი, ხელუხლებელი ჭიქა გაუწოდა ქმარს. — ყოჩაღად უნდა იყო!

— უვეიდმა ჭიქა გამოართვა, ერთი მოსმით გამოცალა და ცაღი ღიბლით გაემსხევებინა, ცოლი, მაგრამ ლაურას თვალების დანახვისთანავე მიხვდა ყველაფერს. ჩახვდა ქალის გერაგობას და გააცია.

— ყველაფერი რიგზეა, დონ, — წყნარად თქვა ლაურამ, — აღტი, ამან დალია უკვე თავისი საწამლავი.

ფილიპს თვალი დაუბნელდა. მაჯობესო, გაიფიქრა, — სულ ერთი იყო. რანაირი არჩევანს გავაკეთებდი, ლაურას თავის ჭიქაში ჩაუსხამს თურმე საწამლავი... მისი ყურადღებაც სწორედ ამ ჭიქამ მოიქცია, ჭიქამ, რომელზეც გამოსახული იყო ნახევრადმშველი ნიშნა მშვილდისრით აღჭურვილი, დიანა — ნადირობის ქალღმერთი.

ინგლისურიდან თარგმნა შურმან სიგუამ.

მედიკალური მუშაობა

ბავთი — ჩრდილოეთი

ცნობილი ქართველი მწერალი იროდიონ ქავთარაძე თავის მო-
თხრობას „ხედი ბრალი“ ასე იწყებს:

„შორეული ამბავია.

თურქებმა 1918 წელს ერთხელ კიდევ შემოანგრეს საქართვე-
ლოს კარიბჭე — აიღეს ბათუმი.

იძულებული გავხდი თბილისს გავმგზავრებულიყავი, სადაც
აღარბელი უმუშევარი ირეოდა... (იროდიონ ქავთარაძე, „აღმა
და ეგა“. გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1965 წ.,
გვ. 83).

მემდეგ აბაშიძემ იმ მომენტში ბათუმიდან გასულა ჯერ მთავ-
რმა, როგორც თვითონ წერს, ქალაქში „მოემწყვდნა“. ქალაქის
საბჭომ მას დააფალა მისასალმებელი სიტყვა ეთქვა ოსმალეთის
მხედრობისა, საზავო კონფერენციის დელეგატებისა, პარლამენ-
ტის წევრებისა და თურქი მინისტრებისათვის. იგი წინააღმდეგო
იყო, მაგრამ ეს გადაწყვეტილება წინასწარ გაზეთში გამოაცხადეს
და იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

მემდეგ აბაშიძე თურქებს მიესალმა, როგორც სტუმრებს და
ხალხის სახელით სისხლისღვრის შეწყვეტა სთხოვა. ამან ისინი გა-
ნარისხა და მემდეგი თავის თანამოაზრეებთან ჯემალ ქიჯავასა და ხო-
ჯა დაუდ ეფენდი სირბილაძესთან, სულეიმან ბეგ ბეყანიძესა და ხა-
სან ლორთქიფაშვიდსთან ერთად დააპატიმრეს. მას, როგორც სა-
მხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
პოზიციის მეთაურს, ტრაპიზონის ციხეში უეჭველი სიკვდილი
გლოდა, მაგრამ ამხანაგების ხელმძღვანელობით გაიქცა და 15 დღეს
ტრაპიზონის მიდამოებში იმალებოდა, შემდეგ კი დიდი სიფრთხი-
ლით ქალაქ ფოთს ჩავიდა.

საზოგადო მოღვაწე სტეფანე ქემხაძე ამ მომენტს ასე იგო-
ნებდა: „ქ. ტრაპიზონის (თურქეთი) საპყრობილიდან გამოქცევის
შემდეგ მემდეგ-ბეგ აბაშიძე ნავით ქ. ფოთის ნავსადგურს მიადგა
ქალაქის ხელმძღვანელობა, ინტელიგენცია და მშრომელი მოსახ-

ლეობა დიდის ამბით შეეგებნენ სახელოვან მამულიშვილებს, ვად იცოდნენ, რომ შემედ-ბეგ აბაშიძის სახით ისინი ხელმძღვანელობდნენ ქართულ მოღვაწეს. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლს, აჭარელთა ეროვნული გათვითცნობიერების მდროშეს, რომელსაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანა თურქეთის სულთანმა. ხალხმა ოვაციებით მიაცილა მემდბეგი მისთვის მიჩნეულ ბინამდე". (წოდარ ცეცხლაძე, „სამუზეუმო დოკუმენტების კვალდაკვალ“, გაზ. „აჭარა“, № 234, 1991 წლის 7 დეკემბერი, გვ. 4-5).

1918 წლის 15 მაისს თურქთაგან ლტოლვილმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოწინავე შვილებმა თბილისში დააარსეს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი და პირველივე თქმით დაადგინეს მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობა, როგორც კი ტყვეობიდან დაბრუნდებოდა, ზოლო მანამდე კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ზია აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილე კი პაიღარ აბაშიძე იყო.

იმადე წლის აგვისტოს პირველ ნახევარში თბილისში ჩავიდა ტრაპიზონის ციხიდან გაქცეული მემედ აბაშიძე და მუშაობა დაიწყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. იმ პერიოდზე მის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ:

„როდესაც საქართველოში დაგბრუნდი, დამხვდა სულთან მემედ ვაჰინდედინის მანიფესტი, რომელიც აჯამებდა იმ მზაკვრული პლემბიცისტის შედეგებს, რომელიც მათ მოახდინეს სამუსლიმანო საქართველოში. ამის საპასუხოდ გამოვეცი მოწოდება სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის მიმართ, რომლითაც მოსახლეობას ვაუწყებდი თურქეთის მთავრობის ბნელ ზრახვებს და მიმდინარე მომენტის გადაუდებელ საჭიროებებს“ (მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1973 წ., გვ. 62-63).

კომიტეტი ენერგიულად მუშაობდა აჭარისა და სხვა რეგიონების ეროვნული გათვითცნობიერებისათვის, საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს გამთლიანებისათვის. ამ მიზნით მემედ აბაშიძემ სამუსლიმანო საქართველოში თურქების ბატონობის დროს თავისი კომიტეტის სისხლსაც საქმიანობა გააჩილა აჭარის მოსახლეს კალაქ ოზურგეთში.

ამის თაობაზე იგივე სტიქიანე ქემხაძე გადმოგვცემს: „თურქთა ტყვეობიდან დაბრუნებულმა მემედ-ბეგმა გაწალა მუშაობა ქ. ოზურგეთში, 1918 წლის ბოლო რიცხვებში შექმნა სამუსლიმანო



ნო. საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, საიდანაც მომდინარეობს წოდებებს უგზავნიდა აჭარის მოსახლეობას და რჩევა-დარიგებებს აძლევდა მას, რომ არ დადგომოდა მცდარ გზას, არ წამოგებოდა „სედაი მიღბელების“ ანკესს. ამ მიმართებით სამოქმედოდ ინსტრუქციებს უგზავნიდა საიმედო პირებს. ეს მაშინ, როცა ბათუმი თურქთა ჯარის მიერ იყო ოკუპირებული“ (ნოდარ ცეცხლაძის დასახელებული წერილი).

როდესაც ოსმალეთის ჯარები ბათუმიდან გავიდნენ და ქალაქი ინგლისელებმა დაიკავეს, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი ბათუმში გადმოვიდა. გაიხსნა განყოფილებები. მნიშვნელოვან წერტებში და ფართოდ გაიშალა მუშაობა. ბათუმის ოლქის საქველმოქმედო საზოგადოებისა და მისი ბათუმის განყოფილების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება, რომლის გამგეობის თავმჯდომარედაც მემედ აბაშიძე აირჩიეს.

1917 წლიდან იგი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ხოლო ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეს. (მემედ აბაშიძის დასახ. წიგნი, გვ. 64).

მაგრამ ამჯერად მემედ აბაშიძე ჩვენ უფრო გვიანტერესებს; როგორც ჟურნალისტი და პუბლიცისტი. 1919 წლის 11 იანვარს მისი თაოსნობით გამოვიდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ორგანო — გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში, მისი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებასა და ერის კონსოლიდაციაში.

მემედ აბაშიძე თავდაპირველად ამ გაზეთს ხელმძღვანელობდა, როგორც განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე, 1919 წლის თებერვალში კი მის რედაქტორად დაინიშნა. (იქვე, გვ. 124, პროფ. ი. სიხარულიძის „მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები“).

კომიტეტის თანამშრომელი სტეფანე ქემხაძე იგონებს: „მაგრამ მალე, როცა თურქთა ჯარებმა .. დატოვეს აჭარის მიწა-წყალი, მემედ-ბეგ აბაშიძისაგან, რომელიც უკვე ბათუმში იყო ჩამოსული, მივიღე ბარათი, რომლითაც მთხოვდა ჩამოვსულიყავი ქ. ბათუმში მასთან. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტში სამუშაოდ, კომიტეტი იმ დროს ბაღის ქუჩაზე (ამჟამად კლდიაშვილის ქუჩა — მ. მ.) მდებარეობდა № 10 ორსართულიან შენობაში. აქვე იყო მოთავსებული კომიტეტის ყოველდღიური ორ-

განოს — გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ რედაქციის დასაყვედრო საზოგადოება“. (ნ. ცეცხლაძის დასახელებული წერილი).

მემედ აბაშიძე, როგორც კომიტეტის თავმჯდომარე, პირველ ნომერში აქვეყნებს საპროგრამო წერილს „ჩვენი მიმართულების განმარტება (გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ დაარსებასთან დაკავშირებით)“.

ამ წერილში იგი სამუსლიმანო საქართველოს პოლიტიკურა განვითარების მაგისტრალურ ხაზს სახავს. ეს არის „სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა და ამავე სამუსლიმანო საქართველოს თავისუფლების განმტკიცება“. (მ. აბაშიძის დასახ. წიგნი, გვ. 27). სწორედ ეს დასახა მიზნად მემედ აბაშიძემ, ეს იყო მის გარშემო შემოკრებილი ადამიანების მთავარი საფიქრალ-საზრუნავი, და ამ კეთილშობილური ამოცანის — საშვილიშვილო საქმის ხორცშესხმას შეაღიეს მათ მთელი თავიანთი უნარი, ნიჭი, ძალა, პუბლიცისტური მგზნებარება.

მემედ აბაშიძე მისდევს ილია ჭავჭავაძის ლოზუნგს „ენა, მამული, სარწმუნოება“ და ამ უწყმინდეს ცნებებს სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განიხილავს. „სიტყვა „საქართველოს“, — წერს იგი, — განმარტება არ ესაჭიროება: როცა სიტყვა „საქართველო“ ითქმის, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, თვალწინ წარმოგვიდგება ამ სახელწოდების ენით შეტყეველი ერის მიწა-წყალი, სამშობლო...“.

ლიახ, უმთავრესი ენა და მამულია. ტყბილქართული და ცეროან მიწაზე ფეხშიშველი სიარული, სარწმუნოებრივო განსხვავება კი ვერ იტყევა გადაულახავ დაბრკოლებად ერის გამთლიანების გზაზე, მით უმეტეს, თუ ერთიანობას გონივრული, მხარის ისტორიული გამოცდილებისა და სპეციფიკის შესაბამისი საფუძველი გამოეძებნება. სამუსლიმანო საქართველო უნდა შევიდეს სრულიად საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიის საფუძველზე, რაც მის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სრულ გარანტი იქნება.

„და ამიტომაც არის, — ნათქვამია საპროგრამო წერილში, — რომ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისათვის ემუშაობთ, მაგრამ რაკი ჩვენი სარწმუნოება და სოციალური ცხოვრება განირჩევა, ჩვენი ქვეყნის (ე. ი. სამუსლიმანო საქართველოს — მ. მ.) მთავრობის სახეც სხვა იქნება: რასაც საქართველოს საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომია უზრუნველყოფს. მართალია, ჩვენი ქვეყანა მთე-



ლი საქართველოს /ესპანელი/ შემადგენლობაში შედის, მაგრამ ამასვე დროს, იგი თავის შიდაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელი არის. სწავლა-განათლება, სამართალი, ადმინისტრაცია, ერობა, შერიგეთი, კანონმდებლობა და სხვა ჩვენი იქნება. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის ბატონ-ბატონი ჩვენივე ქვეყნის ხალხი იქნება“.

ამ დებულების ყოველმხრივი განმარტება და დისაბუთება ახალი ორგანოს ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება იყო. „ავტონომიის ფორმისა და სისტემის შესახებ გარკვეული ცნობების მოწოდებისათვის ჩვენი გაზეთი თავის ეროვნულ დანიშნულებას ერთი წუთითაც არ უღალატებს. ამასთან ერთად ჩვენი გაზეთი მხოლოდ ავტონომიის, ფორმებზე და სისტემაზე საუბრების აღძვრით არ დაკმაყოფილდება. ამავე დროს ის ჩვენს სარწმუნოებრივ, ეროვნულ და სოციალურ ცხოვრებაზე დაიწყებს ლაპარაკს, ჩვენი სარწმუნოების ამადლებას, ეროვნული შემეცნების გაფართოებას და ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებასაც მოემსახურება“.

ამდენად, გაზეთი მიზნად ისახავდა არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალური საკითხების გადაწყვეტასაც, და სწორედ ამას იყო მისი ძალა. ამიტომაც აღნიშნული საპროგრამო წერილში: „რამდენადაც პოლიტიკური არის ჩვენი გაზეთის მოღვაწეობა, იმდენად სოციალურიცაა. — ერთი სიტყვით, ჩვენი გაზეთი ილაპარაკებს შემეცნებაზე, სწავლა-განათლებაზე, ლიტერატურაზე, მეტყველებაზე, ისტორიაზე და სხვაზე, ერთა შორის კეთილგანწყობილების დამყარებას გაუწევს სამსახურს და ჩვენი მიმართულების დროშას ამადლებს“ (იქვე, გვ. 28).

წერილი მთავრდება იმ დროისათვის დამახასიათებელი ფრაზით: „ყოველ შემთხვევაში გამჩენს ეთხოვ, რომ ამისთანა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩვენს მიერ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეგვესრულებოის...“ (იქვე).

„სამუსლიმანო საქართველო“ გამოიცა როგორც „საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო“ გაზეთი. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მის სახელწოდებად „აჭარა“ ყოფილა შერჩეული, მაგრამ შემდეგ, როგორც პირველი ნომრის მეთაური იუწყება, სამუსლიმანო საქართველოდ“ შეუცვლიათ. აჭარა ამ ნხარის ერთი ისეთივე თემი იყო, როგორც შავშეთი, დივანა (ქველი ნიგალი) და სხვ. ამიტომ ერთი მათგანისათვის, კერძოდ, აჭარისათვის ასეთი უპირატესობის მინიჭება მართებული არ იქნებოდა. ამას გარდა,

გაზეთის სახელწოდებაშივე ნახმარი „საქართველო“ კარგად გამოჩა-
ტავდა ქვეყნის განუყოფელი ერთიანობის იდეას, რომელიც
გამოცემა ემსახურებოდა და რომელიც „თავზარს სცემდა იმით,
ვინც ჩვენი ქვეყნის ამ ისტორიული ნაწილის მკვიდრთ ქართველე-
ბად არ თვლიდა და საქართველოსაგან მათ ჩამოცილებას ესწრაფო-
და“. (იქვე, გვ. 114, „ბროტ. ი. სიხარულიძის შენიშვნები).

მემედ აბაშიძის შედგენილი ჩანს „სამუსლიმანო საქართვე-
ლოს“ მე-5 ნომერში ხელმოუწერლად დაბეჭდილი განცხადება
„რედაქციისაგან“, რომელიც როგორც შინაარსობრივად, ისე სტი-
ლით დიდად ჰგავს პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ზემოთ განხი-
ლულ წერილს. უპირველეს ყოვლისა თვალში საცემია შემდეგი
დეტალი: მემედ აბაშიძის პირველი წერილი იწყება მისთვის საყ-
ვარელი მიმართვით „მამულიშვილებო!“ ეს მიმართვა გამეორებულია
ხელმოუწერელ განცხადებაშიც.

როგორც ყველა ორგანოსათვის, „სამუსლიმანო საქართველოს-
თვისაც“ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ავტორთა აქტივის შემოკ-
რებას. განცხადებას „რედაქციისაგან“ სწორედ ეს მიზანი დაესახა:
„რედაქცია ჩვენი გაზეთისა მიმართავს ყველა იმას, ვისაც გული
შესტკივა ჩვენი იდეის განხორციელებისათვის და ვისაც კი შეს-
წევს უნარი დაგვეხმაროს, ნუ დაიშურებენ ამ დახმარებას. მუს-
ლიმან და ქრისტიან ქართველებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ წერილე-
ბი, კორესპონდენციები, ამბები საქართველოს სხვადასხვა კუთხი-
დან, ითანამშრომლონ და ხელი შეუწყონ, დაეხმარონ რედაქციას
მძიმე მოვალეობის შესრულებაში“. (იქვე, გვ. 29).

პოტენციურ თანამშრომლებს რედაქცია მოკლედ განუმარ-
ტავდა „სამუსლიმანო საქართველოს“ განმათავისუფლებელი კომი-
ტეტისა და მისი ორგანოს მამოძრავებელ იდეას, რაც სტილისტურ-
შინაარსობრივი თვალსაზრისით პირველ წერილში ჩამოყალიბებუ-
ლ დებულებების კონდენსირებული გადმოცემაა: „ვინც ამ თანა-
მშრომლობას იწყებს, მათ ვთხოვთ მიიღონ მხედველობაში შემ-
დეგი: ჩვენი გაზეთი პარტიული ორგანო არ არის, მისი მიზანია გა-
ნამტკიცოს იდეა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს
პოლიტიკური მთლიანობისა, რომ საქართველოს ფარგლებში ფარ-
თო ავტონომიურ ნიადაგზე შევიდეს სამუსლიმანო საქართველო,
დააახლოვოს სულიერად ერთმანეთთან მუსლიმანი და ქრისტიანი
ქართველები. ამ მიზანს ვემსახურებით ჩვენ და ამის შესაფერის
წერილებს მოველით თანამშრომელთაგან“.

დასასრულ მიმართვაში გამოთქმულია რწმენა, რომ ერის გულ-
შემატკივრები, მწერლები, ჟურნალისტები და ჩვეულებრივი მო-

ქალაქები ყურადღებასა და მზრუნველობას არ მოაკლებდნენ ახალ ორგანოს, ყოველმხრივ შეუწყობდნენ მას ხელს:

ეროვნული
მშენებლობა

„დაგვიხმარეთ, მამულიშვილებო! მოგვაწოდეთ წერილები რედაქცია დარწმუნებულია, რომ ქართველი მწერლები უყურადღებოდ არ დასტოვებენ თქვენს უმორჩილეს თხოვნას და მით ხელს შეგვიწყობენ საერთო დიდი საქმის განხორციელებაში. ძნელია ჩვენი გზა. მარა სიძნელეს გზისას გვიადვილებს ის იმედი, რომ ყველა ქართველი, განურჩევლად სარწმუნოებისა, ჩვენთანაა“.

აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური „მერანის“ დასკვნითი სტრიქონის პერიფრაზირება: „სიძნელეს გზისას გვიადვილებს“, იგი ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა სისხლხორციელად ჰქონდა შეთვისებული მემედ აბაშიძეს ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები და რა ოსტატურად იყენებდა მათ თავის პუბლიცისტიკაში.

გაზეთ „ერთობის“ 1918 წლის 3 დეკემბრის ნომრის მესამე გვერდზე დაიბეჭდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მოწოდება: შეერთდნენ საქართველოს ფართო ავტონომიის საფუძველზე. დოკუმენტს ხელს აწერდა კომიტეტის მთელი მაშინდელი შემადგენლობა: თავმჯდომარე მემედ აბაშიძე, კომიტეტის წევრები: ზია აბაშიძე, ანმედ ბეჟანიძე, ყადირ შერვაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან დიასამიძე, იუსუფ ქათამაძე, ქემალ ნოღაიდელი, ხასია (ხასან) თბილაიშვილი, მუსლიმან ქართველთა ბატალიონის უფროსი ასლან აბაშიძე. (იქვე, გვ. 113-114, პროფ. ი. სიხარულიძის შენიშვნები).

საქართველოს ერთიანი მოძრაობის ისტორიის მუხეტმის ექსპოზიციაში ამ სიას ემატება სულეიმან ბეჟანიძისა და იუნუს წულუკიძის ფოტოსურათები.

კომიტეტის თანამშრომელი სტეფანე ქემხაძე სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრებად ასაწვლევს: მუსტაფა კიკნაძეს (ქ. ართვინი), ისმაილ მხეიძეს (არდავანი), ალი აფაქიძეს (შავშეთი), ხემდი აბდი-თაღის (სათაღელ სიხანთი), კიკნა-ზადეს (იმერხევი-ბორჩხა), დემირ-თაღის (ბურღული), ჰაფიზ მხეშვიძეს (ხულო), ჰაფიზ სურმანიძეს (ქედა), ახმედ მხეიძეს (მათუმი), ჭავჭავაძეს — სახელი არ ახსოვდა (ქობულეთი). ნ. ცეცხლაძის დასახელებული წერილი).

ამას ასე დეტალურად იმიტომ აღვნიშნავთ, რომ კომიტეტის ყოველი წევრი განეთის აქტიური თანამშრომელი, მისი ჭირისა და ღზინის გამზიარებელი იყო. ისინი ხშირად ათავსებდნენ „სამუსლი-

მანო საქართველოში“ სხვადასხვა მოწოდებებსა და მიმართულებას
ამა თუ იმ საკუთრებაზე, ხელს ეწყობდნენ პოლიტიკურ
პოლიტიკურ სპექტრში მოსახლეობის სწორ პოლიტიკურ ორიენტა-
ციას, მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველობის ერთობის განმტკი-
ცებას.

„მე მინება სადღესასწაულო დღე“

თავის ავტობიოგრაფიაში მემედ აბაშიძე წერდა: „1918-1919
წლებში სამუსლიმანო საქართველოს ისტორია მეტად საინტერე-
სოა სხვადასხვა ძალთა დაჯგუფებით საქრისტიანო და სამუსლიმანო
საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ: ერთი მხრით, ინგლისე-
ლები თავისი ნაცადი პოლიტიკით, მეორე მხრით, მთლიანი
და განუყოფელი მეფის რუსეთის მოტრფიალე დენიკინის
ნაწილები, მესამე მხრით, თურქოფილები მუსავატიტური აზერბაი-
ჯანიდან და სხვ. ქმნიდნენ ბათუმის ოლქში შეხუთულ ატმოსფერ-
ოს. საჭირო იყო თავგამოდებული ბრძოლა და ამ საშინელი
მდგომარეობიდან ხალხის გამოყვანა სამშვიდობოზე. ეს დაჭიმული
მდგომარეობა და ბრძოლა საწინააღმდეგო ტენდენციებთან გრძელ-
დებოდა 1919 წლის აგვისტომდე. ამ დროისათვის ჩვენმა მუშაობამ
სათანადო ნაყოფი გამოიღო, სამუსლიმანო საქართველოს კომიტე-
ტმა ჩემი თავმჯდომარეობით მოიწვია ბათუმის ოლქის წარმომად-
გენელთა ყრილობა, რომელმაც დაადგინა, რომ სამუსლიმანო სა-
ქართველო საქრისტიანოს განუკვეთელი ნაწილია, ავტონომურად
უერთდება საქართველოს, და ამ დადგენილების ცხოვრებაში გასა-
ტარებლად ირჩევს მეჯლისს, რომლის თავმჯდომარედ ამირჩიეს მე.
(დღევანდელი პარლამენტი, როცა სერგო ქავთარაძემ ბათუმში ყო-
ფნისას იკითხა, რას ნიშნავს მეჯლისიო, მემედ აბაშიძემ ასე განუ-
მარტა: მეჯლისი არაბული სიტყვაა, მისი ფუძეა „მეჯლის“, რაც
ნიშნავს შეკრებას, ბჭობას. თურქეთსა და ირანში მეჯლისი არის
მთავრობის ორგანო. ეს სიტყვა აგრეთვე ნიშნავს წვეულებას, ღვინვას,
ზეიმს (ლადო შარაშიძე. „დაუფიქყარი შეხვედრები“, გვ. „აჭარა“,
№ 130, 1992 წლის 4 აგვისტო, გვ. 2); მეჯლისის წინაშე
დღედა მეტად რთული ამოცანები. მეჯლისმა განაგრძო მუშაობა
აწინდელი გზით და ამ მუშაობისათვის უფრო ფართო სარბიელი
შეიქმნა. ბრძოლისა და მუშაობის ამ ხაზითაც არა ერთი და ორი
უსიამოვნება შემხვედრია, დენიკინის ხელისუფლის ადგილობრ-
ვი ორგანოები ცდილობდნენ ჩემს დატუსაღებას. მაგრამ განზრახ-
ვა სისრულეში ვერ მოიყვანეს“. (იქვე, გვ. 63-64).

აქ მემედ აბაშიძე ლაპარაკობს მუსლიმან ქართველთა პირველ

ყრილობაზე, რომელიც გაიმართა ბათუმის ქალაქის საბჭოს დარბაზში 1919 წლის 31 აგვისტოს. ამ ისტორიული ყრილობის მოსაწვევად სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კონიტენტმა და პირადად მემედ აბაშიძემ დიდი შრომა გასწიეს.

მემედ აბაშიძე ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს და ეს ფორუმი მან გახსნა უაღრესად საყურადღებო სიტყვით, რომელშიც გააანალიზა პირველი იმპერიალისტური და რუსეთის სამოქალაქო ომების მიძიმე შედეგები, ბოლო რომ მოუღეს ძველ სამცხრის და დაამსხვრიეს სტერეოტიპული აზროვნება. „ნუთი წლის ომმა და რევოლუციამ, — ამბობდა იგი, — მოელი ცხოვრება დაანგრია და დაამტკიცა, რომ კაცობრიობა ძველ ცხოვრებასა და წესწყობილებას ვერ დაუბრუნდება. ყველა ჩაღბი ამოძრავდა, ყველა ეძებს თავისუფლებას თავისი ერის და ქვეყნის კეთილდღეობისთვის“. (იქვე, გვ. 30), ახალ სიტუაციას ღრნა დაკვირვება და ყრველმხრივი ანალიზი სჭირდება, ახალი გზის გამოხაზვა სჭირდება. მაგრამ ეს უნდა გაეთედეს სამუსლიმანო საქართველოს მიძიმე წარსულისა და მწარე ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, როცა ბედუჯუღმართობამ ეს მხარე სამი საუკუნით მოწყვიტა დედამამშობლოს, ოტომანთა უღლის ქვეშ მოაქცია და დიდი მსხვერპლის ფასად მიადებინა მუსლიმანური სარწმუნოება. მსოფლიოში მომხდარი პროცესების შედეგად ძველისაკენ გზა გადაიკეტა. წარსულს ვეღარ დაუბრუნდებით. აუცილებელია პოლიტიკური ორენტაციის მკვეთრი შეცვლა. „ჩვენ უნდა დავუგვირდეთ ამას, მოვიგონოთ ჩვენი წარსული ტანჯული ცხოვრება, გავითვალისწინოთ ყოველივე და ნუ დავშურავთ ნურასფარ ღონისძიებას ჩვენი საგმის მოწყობისათვის და ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის“. ეს უაღრესად საშური საქმეა, კინაიდან შეყოვნება ვახანგრძლივებს ქაოსს და კრიზისს, დიდ ენებას მოუტანს მხარეს: „ნუ ვიგვიანებთ, რადგან დავვიანება საქმეს წაახდენს. ჩვენი სამშობლო ომის შემდეგ კუნძულს წარმოადგენს, რომელსაც ყველა ეპოტინება და მის ჩაგლაპვას ლანობს“. ასეთ ვითარებაში ერთადერთი პერსპექტივა დედამამშობლოსთან დაბრუნება, მასთან ორგანული კავშირია: „ასეთ გაჭირვებულ დროში არავის გხედავთ მშველელს, გარდა საქართველოსი, რომელიც, როგორც ყოველთვის, უანგაროდ და თავგანწირულად ცდილობს ჩვენი დაღუპვისაგან გადარჩენას. ჩვენ უნდა დავაფასოთ ეს და დავემყაროთ მის ძალას და გამოცდილებას“.

სიტყვის მომდევნო ნაწილი შეიცავს საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს განუყოფელი ერთიანობის მტკიცებას, რისთვისაც მოშველიებულია როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-

ლოს ისტორიული წარსულის, ისე იმჟამინდელი მდგომარეობის
ანალიზი: მედიკოსი
გიორგი მარტოშვილი

„სურავინ ფიქრობს, — ამბობდა მემედ აბაშიძე, — რომ სარ-
წმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა. ჩვენ მტკიცე მუსლიმანე-
ბი ვართ, მაგრამ მასთან ერთად ჩვენ ქართველები ვართ, საქარ-
თველოს ღვიძლი შვილები. ჩვენ უნდა შევივანოთ, რომ გარდა საქ-
ართველოსი, ჩვენი ხსნა არ არის. მოვიგონეთ, რომ როცა ჩვენ
ვმარწოდით ცეცხლისა და მახვილის ქვეშ, ჩვენი მშველელი იყვნენ
მხოლოდ ჩვენი ძმები — ქართველი ქრისტიანები. დაუგვირდით
ყველაფერს კარგად და თქვენ გადაწყვეტილება მომავალი ჩვენი
ცხოვრების შესახებ ისე გამოიტანეთ. გასსოვდეთ, რომ თქვენ ხართ
პასუხისმგებელი ისტორიისა და შთანთქმავლობის წინაშე, მრიგო-
ნეთ, თუ რას წარმოვიადგენთ ჩვენ ახლა, ჩვენს სახლში, ჩვენს ქვე-
ყანაში, როცა ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ვერავითარ მო-
წილეობას ვერ ვიღებთ, და ჩვენს ბედს და იღბალს უტყუოლები
განაგებენ. მაგრამ დღეს ჩვენმა ხალხმა გამოიღვიძა ხანგრძლივი
ძილისაგან და გადაწყვიტა შეერთებული ძალებით თვითონ შეიქმ-
ნას თავისი ბედის პატრონი, რასაც მოწმობს დღევანდელი კრება“.
(იქვე, გვ. 30-31).

უაღრესად ლაგონური და ტევადი სიტყვაა, დებულებები
მკაფიოა და ჩამოქნილი. სხვაგვარად აუდიტორიაზე ზემოქმედება
გაქირდებოდა. ზომ ცნობილია, რომ სულ სხვაა, როცა გაზეთში
წერ და სულ სხვა, როცა უშუალოდ ხალხს ესაუბრები. აქ დიდი
ტაქტი და ოსტატობაა საჭირო, რომ შენი იდეები სხვებს გადასდო,
სხვები აღანთო, სწორედ ამ ნიჭით იყო დაჯილდოებული მემედ
აბაშიძე, რომელსაც კეთილშობილურ წარმომავლობასა, შესანიშ-
ნავ გარეგნობასა და მაღალ ინტელექტთან ერთად ორატორის მაღ-
ლიც ეცხო, რასაც მოწმობს ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუ-
ცია და მისი სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომა-
რედ არჩევა.

ასევე მოკლე და შინაარსიანია ხელმოწერლად გამოქვეყნე-
ბული წერილი „31 აგვისტო“, რომელიც ფრაზეოლოგიურ-სტილი-
სტური თვალსაზრისით და ზეაწეული განწყობილებით ძალიან
ჰგავს: ამ სიტყვას და მემედ აბაშიძის „რჩეული ნაწერების“ შემ-
დგენელს კრებულში შეუტანია. ჩვენმა მკითხველმა სრულიად რომ
შეივრძნოს პუბლიცისტური სიტყვის სიღმაზე და ძალა, თავს უფ-
ლებას მიეცემთ ეს პატარა წერილი მთლიანად მოვიტანოთ:

„31 აგვისტო ისტორიული დღეა როგორც სამუსლიმანო საქა-
რთველოს, ისე მთელი საქართველოსათვის. ამ დღეს ითქვა ის, რაც
შეადგენს ყოველი მუსლიმანი ქართველის სათაყვანებელ საქმეს,

მის წმიდათა-წმიდას. ითქვა სიტყვა, ითქვა გულის ნადები სამუს-
ლიმანო საქართველოსა, და ითქვა არა ერთი და ორი პირისაგან, არა ერთი და ორი საზოგადოებისაგან, არა მხოლოდ სამუსლიმანო
საქართველოს რომელიმე ერთი და ორი კუთხისაგან, არამედ ხალ-
ხის წარმომადგენელი ყრილობისაგან, რომელსაც მინდობილი
ჰქონდა ითქვა ის. რაც ითქვა და რაც გამომსახველი იყო მთელი სა-
მუსლიმანო საქართველოს ნება-სურვილისა, მტკიცე ერთსულოვა-
ნი გადაწყვეტილებებისა. ეს გადაწყვეტილებათ:

„ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუ-
ერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკე-
ს, ფართო ავტონომიის ნიდაგზე“.

და ითქვა ეს იურიდიულმა ერთეულმა, ითქვა და ამით მოუღო
ბოლო ჩვენი სამშობლოს მტრების ცრუ მტკიცებას, რომ ვითომ
სამუსლიმანო საქართველო არ იზიარებდეს ჩვენი კომიტეტის მის-
წრაფებას. ითქვა და მით მტკიცე საფუძველი გასკვნა საქართვე-
ლოს მთლიანობისა, სამუსლიმანო საქართველოს აღორძინებისა, გა-
ძლიერებისა და გაბედნიერებისა.

31 აგვისტო ბრწყინვალე დღეა სამუსლიმანო საქართველოსა.
ის საუკეთესო და სათაყვანებელი დღეა ყველა ქართველისათვის,
ის არის უბრწყინვალესი ფურცელი საქართველოს ისტორიისა. ის
იქნება სადღესასწაულო დღე...

ვულოცავ ამ დღეს ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს!

გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!

გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის
დღეა-სამშობლო საქართველოს ფარგლებში!“

როგორც ვხედავთ, სამუსლიმანო საქართველოს განმათავი-
სუფლებელი კომიტეტისა, და მისი ორგანოს საქმიანობის შედეგად
საქართველოს განუყოფლობის იდეამ გაიმარჯვა მუსლიმან ქარ-
ველთა პირველ ყრილობაზე, რაც ასეთი კმაყოფილებით მხოლოდ
კომიტეტის ხელმძღვანელს შეეძლო აღეწინა: ყრილობის შედეგად
ბოლო მოეღო ჩვენი სამშობლოს მტრების ცრუ მტკიცებას, რომ
ვითომ სამუსლიმანო საქართველო არ იზიარებდა ჩვენი კომიტეტ-
ის მისწრაფებას. ეს ფრაზა იმის კიდევ ერთი საბუთია, რომ ზემ-
ოთ მოტანილი წერილი სწორედ მემედ აბაშიძეს ეკუთვნის.

მემედ აბაშიძის „რჩეული ნაწერების“ ორივე გამოცემის შემ-
დგენელ-რედაქტორი პროფესორი იური სიხარულიძე მუსლიმან
ქართველთა პირველ ყრილობაზე წარმოთქმული ისტორიული სი-
ტყვისა და სტატიის „31 აგვისტო“ პუბლიკაციის ადგილად გაზეთ
„ერთობის“ 1919 წლის 4 სექტემბრის ნომერს ასახელებს (№ 199),

მართლაც, ამ ნომრის პირველ-მეორე გვერდებზე დაბეჭდილია ყრილობის მასალები, მათ შორის „სამუსლიმანო საქართველოს მომადგენელთა ყრილობის“ მისაღმებები საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი. ორივე დოკუმენტს სელს აწერს „ყრილობის თავმჯდომარე მემედ-ბეგ აბაშიძე“. (იქვე, გვ. 125).

აქვე პროფ. ი. სიხარულიძე დისძენს, რომ მემედ აბაშიძის სიტყვა ყრილობის მთელ მასალებთან ერთად პირველად „სამუსლიმანო საქართველოში“ გამოქვეყნდა და აქედან გადაბეჭდა ისინი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ცენტრალურმა ორგანომ „ერთობამ“. (იქვე, გვ. 114-115).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტში ჩვენ მივაკვლიეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 1919 წლის 2 სექტემბრის ნომერს, რომელშიც ეს მასალებია მოთავსებული.

კომუნისტურ პერიოდში გვექონდა ბათუმის ქუჩებისათვის გამოგონილი „ღირსშესანიშნავი თარიღების“ შერქმევის ტრადიცია. ბათუმში დღესაც არსებობს წმინდა მითოლოგიურ მოიწენტზე დაფუძნებული „31 დეკემბრის ქუჩა“, ვითომ 1901 წლის 31 დეკემბერს ახალი წლის შეხვედრის საბაბით რსდმპ ბათუმის კომიტეტის დამაარსებელი კონფერენციის აღსანიშნავად, როცა, როგორც შემდეგ პოეტმა თქვა, „კობამ დაიწყო „ხასანბეგურა“, დღეს უპრიანი იქნება შესრულდეს მემედ აბაშიძის სურვილი და ბათუმის რომელიმე კოხტა ქუჩას ყველა ქართველისათვის საუკეთესო და სათაყვანებელი ღღის — 31 აგვისტოს სახელი შეერქვას.

ეს დღე საქართველოს კალენდარშიც უნდა დამკვიდრდეს.

რწმენა და ენთუზიაზმი

თურქები ბათუმში 1918 წლის აპრილში შემოვიდნენ. მალე მათ დაიბყრეს ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ოზურგეთისა და სხვა მაზრები. მოინდომეს რეფერენდუმის მოწყობა აჭარის ოსმალეთთან შეერთების საკითხზე, მაგრამ ეს წამოწყება სამარცხეინოდ ჩაეშალათ.

სულთნის რეჟიმისაგან დევნილმა პროგრესულმა აჭარლებმა 1918 წლის მაისში თბილისში დააარსეს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაუუსწრებლად აირჩიეს ტრაპიზონის ციხეში მყოფი მემედ აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილედ — ჰაიდარ აბაშიძე და პასუხისმგებელ მდივნად — სულეიმან ღიასამიძე, ამ კომიტეტმა დიდი მუშაობა



გაჩნდა: ბეჭდავდა და ავრცელებდა პროკლამაციებს, რაშიმაც და მტკიცედ შეიჭრა სხვა ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

გაზეთი „ერთობა“ ასე ავრცეწერდა აჭარაში შექმნილ მდგომარეობას: „საბჭოთალოები სავსეა უკმაყოფილო აჭარლებით. ქალაქში, მთელ აჭარაში ავრცელებენ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ პროკლამაციებს. ეს მოწოდება აჭარლებში დიდ გამოძახილს პოულობს“.

1918 წლის 13 ნოემბერს გერმანიაში მოხდა რევოლუცია, გერმანიის მთავრობა დაემხო, რის შედეგად ბრესტის სამარცხვინო ზავი გაუქმდა. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის შეთანხმების თანახმად სულთნის ჯარებმა დატოვეს კავკასია და, კერძოდ, ბათუმის ოლქი.

იმავე წლის ბოლოს ბათუმში შემოვიდა ზედი ზემი, რომლებმაც მოიყვანეს ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის 15 ათასი ჯარისკაცი. მათ დაიკავეს ბათუმის ოლქი და შექმნეს „დამოუკიდებელი“ პატარა სახელმწიფო მარიონეტული მთავრობით, რომელსაც შავრაზმელი მასლოვი მეთაურობდა.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ორგანო გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ბათუმის ოლქის ოკუპაციას ამწარად გადმოგვცემდა:

„გაზეთებში გამოქვეყნებული დებუებებიდან ჩანს, რომ (ანტანტის) სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს უკვე 24 თებერვალს (1920 წლისა — მ. მ.) გადაუწყვეტია გამოაცხადოს ბათუმის პორტი თავისუფალ პორტად. ქალაქი და მის გარშემო პატარა ზონა შეადგენენ ჯალბთა ლიგის მთავრობის ქვეშ მყოფ პატარა სახელმწიფოს და მას დაიკავებენ საერთაშორისო რაზმები ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის სამი ბატალიონისაგან შემდგარი“.

21 მარტს ამ საკითხზე ანტანტამ მიიღო დადგენილება, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების დაეღებით მათმა წარმომადგენლებმა ნოტებით აცნობეს საქართველოს საგარეო საშემთა სამინისტროს.

ეს იყო საქართველოს საშინაო საქმეებში უბრეცედენტო ჩარევა, მისი ტერიტორიული მოღიანობის ხელყოფა. ასეთმა თავბუდობამ მთელ საქართველოში მასობრივი იმედგაცრუება და საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია.

„სამუსლიმანო საქართველომ“ მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით ნამდვილი განგაში ატეხა ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს ამ დადგენილების გამო. გაზეთმა ანტანტის გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც საქართველოსათვის ბათუმის ხელო-

გნური ჩამოშორება, ქალაქის წართმევა. სწორედ ასე საჯაროდ
„ბათუმს გვართმევენ!“ იყო დასათაურებული იმ ნომრის მოწინავე
წერილი, რომელშიც ზემოხსენებული ნოტები დაიბეჭდა.

აჭარის პატრიოტები მემედ აბაშიძის მეთაურობით ენერგიულ-
ად იბრძოდნენ იმ მოქმედებას, რომელიც ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხად-
ების წინააღმდეგ, რაც ფაქტურად საქართველოსათვის ქალაქის
დაკარგვას უდრიდა. „ჩვენი სამშობლო საქართველო, მისი მთავრო-
ბა, მისი ჯარი არ დაგვტოვებენ უნუგემოდ, — ნათქვამი იყო ზე-
მოხსენებულ მოწინავე წერილში. — საქართველო ყოველ დასაშ-
ვებ საშუალებას იხმარს, რომ ჩვენ ბათუმი არ წაგვართვან, ჩვენ
არ დავიღუპოთ. საქართველოს დამოუკიდებლობა უბათუმოდ წარ-
მოუდგენელია, ბათუმის ოლქი უსაქართველოდ ვერ იცოცხლებს!
და ამ საბედისწერო უამს, როცა ჩვენი მტრის მახვილი აღმართუ-
ლია ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, საქართველო
იპოვის ძალას, რომ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი გული და სული, ჩვე-
ნი ტურფა ბათუმი შერჩეს საქართველოს დემოკრატიული რეს-
პუბლიკის ფარგლებში.

ჩვენ ამისი სრული იმედი გვაქვს და ჩვენ მივმართავთ ჩვენს
დედასამშობლო საქართველოს:

ჩვენ გვლუბავენ, ჩვენს ბათუმს — ჩვენს სულსა და გულს,
ჩვენს მაცოცხლებელ ქალაქს გვართმევენ. გვიშველეთ, დაგვეხმარ-
ეთ, აგვაშორეთ ის საშინელი უბედურება, რაც კარზე მოგვადგა.
გვიხსენით დაღუპვისაგან“.

ამ ბრძოლამ შედეგი გამოიღო — ინგლისელი ოკუპანტები იძ-
ულებული გახდნენ ბათუმის ოლქი დაეტოვებინათ. მათ არ უნდო-
დათ აქედან წასვლა, რაც იმიტაც გამოიხატა, რომ ქალაქის დატო-
ვებისას ააფეთქეს ციხე-სიმაგრეები და სამხედრო იარაღ-საქურდო-
ლი შეგ ზღვაში გადაყარეს, ოლქიდან კი გაზიდეს ყველაფერი, რის
გატანაც შეძლეს.

საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა 1920
წლის 7 ივლისი — ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან ინგლისელი
ოკუპანტების წასვლისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუ-
ბლიკის ჭარბების შემოსვლის დღე.

დედასამშობლოსთან შეერთებით აღსრულდა სამუსლიმანო
საქართველოს შეილების სამსაუკუნოვანი ოცნება — ძმები კვლავ
ერთიან ოჯახში აღმოჩნდნენ, კვლავ მიეცათ შესაძლებლობა ერთად
ეშენებინათ თავიანთი მომავალი. თუმცა საამისოდ ბევრი გაუგებ-
რობისა და დაბრკოლების გადალახვა, ბევრი განსაცდელის გამოვ-
ლა იყო საჭირო.

ამიტომ საფუძვლით გასაგებია ის უდიდესი სიხარული და აღფრთოვანება, რომლითაც შეუდგა საქართველოს ორივე ნაწილი თვისი მომავლის ერთობლივ შენებას. სწორედ ამ ფაქტის ისტორიულ და შედეგებით მნიშვნელობას აშუქებს „სამუსლიმანო საქართველოს“ 1920 წლის 8 აგვისტოს ნომრის მეორე გვერდზე მოთავსებული წერილი „ერთი თვე“. იგი ეძღვნება ამ ღირსშესანიშნავი მოვლენიდან ერთი თვის გასვლას.

წერილს ებიგრაფად უძღვის აკაკის უკვდავი სტრუქონები: „სანამ ჩემი საყვარელი ქაჯებსა ჰყავს ცხრაკლიტულში, ვინ მაღირსებს სასუფეველს, გოჯოხეთი ღვივის გულში“.

აკაკის გამოხატვაში რომ მოაქვს, ვახეთი წერს: „ეს სიტყვები ათქმევინა უკვდავ მკოსანს საქართველოს ეროვნულ მონობაში ყოფნაში“.

ამ სიტყვებს იმეორებდა საქართველოს დემოკრატია, ბათუმსა და ბათუმის ოლქს რომ გაიხსენებდა.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტისათვის“ მოგლეჯილი მხარე მოსვენებას არ აძლევდა ჩვენი ერის შვილებს, და ყველა ჩვენს სიტყვას, ჩვენს საქმეს ნერვიულობა ემჩნეოდა.

და ეს ადვილი წარმოსადგენიცაა, საქართველო უბათუმოდ წარმოუდგენელია. ბათუმი საქართველოსათვის ის ფანჯარებია. საიდანაც სასიცოცხლო ჰაერი — განათლება, მეცნიერება და სინათლე შემოდის, რომელიც ჩვენ — აზია-ევროპის შუა მდებარე ქვეყნის შვილებს — ევროპის კულტურასთან გვაკავშირებს.

ვერც ბათუმი იარსებებს უსაქართველოდ; მისი განუყოფელი ნაწილი, მშობლიურ მოგლა-პატრონობას, მზრუნველობას მოკლებული, ნელ-ნელა დაჰქვნება, სპეკულანტ-ბაყაყების სათარეშო მოედნად გადაიქცევა.

ჩვენი სახელოვანი დემოკრატიაც ამას ქადაგებდა, და დღე და დღე იმის ზრუნვაში იყო, რომ „ცხრაკლიტულში მომწყვდეული საყვარელი“ გაეთავისუფლებინა, ეხსნა ტყვეობისაგან.

და სხვა მრავალ, გასაცვიფრებელ, პირდაპირ გმირულ საქმესთან ერთად, ეს საქმეც ღირსეულად შეასრულა“.

მართლაც, მთელმა ქართველმა ხალხმა დემოკრატიული მთავრობის ხელმძღვანელობით მიიღწია სანატრელ გაერთიანებას, სამუსლიმანო საქართველოს დედამამშობლოსათვის დაბრუნებას, და ამ ტანჯვის, ბრძოლისა და სიხარულის გზაზე უქცნობ ნიშანსვეტად აღიმართა ციფრი „7 ივლისი“

ეს დღე მართლაც რომ გამორჩეულ დღედ იქცა.

„7 ივლისი, — წერდა გაზეთი, — დაუფიქვარ დღედ გადაიქცევა.“

ერთი თვის წინათ ბათუმში ჩვენი ჯარების შემოსვლა და სამფრთველი ქართული დროშის, ქართველი ერის სუვერენობის და ძლიერების სიმბოლოს აფრიალება წარუშლელი დარჩება ჩვენი ხალხის მეხსიერებაში“.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში 7 ივლისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წლის 17 აგვისტოს ნომერში მოთავსებული მიმოხილვა „ბათუმში, 15 აგვისტო“, რომელშიც ძირითადად საუბარია ახალი ცხოვრების, ახალი წესრიგის შენების ამოცანებზე:

„7 ივლისიდან ჩვენ, ქართველი მუსლიმანები, შეგუდექით საკუთარი ბედის ჭედვას.

განათდა ჩვენი ცხოვრება, არავინ გვდევნის საკუთარ შერჩევას და ყველა თავისუფალი ვიღწვიოთ ერის საკეთილდღეოდ.

ოქქის მმართველობა განსაცვიდრებელ სიფხიზლეს იჩენს, სასწრაფოდ ეძლევა შველა დამშეულ ხალხს, კეთდება გზები და მალე გაიხსნება ოქქის სასამართლოც.

ის აღტაცება და ზალისი, რომელიც ჩვენს მმართველობის მესამეთ თან ახლავთ ადგილობრივ მოღვაწეობის ასპარეზზე, სრული თავდებია იმისა, რომ ჩვენი მხარე სულ მალე მოეწყობა ისე, როგორც ეს მის შვილთ სწადათ და მთელ ხალხს სურს.

ჩვენი ვალია ამ რთული და სერიოზული მუშაობის დროს საერთო თანამშრომლობით მთავრობას გვერდში ვუდგეთ და მის ნაბიჯებს ვამაგრებდეთ.

ჩვენი წადილია, რომ ეს შემოდგომა ჩვენს მხარეში სკოლების ლამპრების ანთებით დაიწყოს, ჩვენი სურვილია რეალურ სინამდვილედ იქცეს რესპუბლიკის უმაღლესი მთავრობის განწარხვა სამუსლიმანო საქართველოში სწავლა-განათლების საყოველთაო გავრცელებისა.

ღრმად გვწამს, რომ დემოკრატიის საამაყო მთავრობა ყოველივე ამას მალე გააჩამდვილებს“.

მხარის „უკეთესი ნეთოდით და საღი პოლიტიკით“ მოსაწყობად პირველ რიგში აუცილებელი იყო ეკონომიკის ამოქმედება: სწორედ ამ საკითხს ნიამცყო „სამუსლიმანო საქართველომ“ ყურადღება და მოუწოდა მთავრობას გაბედულად დაებანდებინა კაპიტალი ახალშემოერთებული რეგიონის სამრეწველო პოტენციალის გასაძლიერებლად, რადგან სულ მალე ადგილობრივ საწარმოთა შემოსავალი ორჯერ გადააჭარბებდა გასავალს.



არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის სფეროში მკაცრ აღრიცხვასა და კონტროლს, მრეწველთა და ვაჭართა მიერ სახელმწიფოსათვის უტყუარი ცნობების მიწოდებას თავიანთი შემოსავლების შესახებ.

მეჯლისს უნდა განეგრძო ჩვეული ენერგიით მუშაობა, ინტელექტუალური კრებები, ჟურნალები და სხვა სახის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თავისი ეშმაკეულობით, სამუსლიმანო საქარგველო კვლავ უფსკრულისაკენ წაეყვანა.

მშენებელი შედარება: „აკოლა, სახალხო წიგნაკები, ლექსები, რჩევა-დარიგებანი ისევე სჭირდება დღეს ჩვენს ხალხს, როგორც სიცხით გადამწვარ ტრიალ უღაბსოში, წმინდა მექას მიმავალ მლოცველს სასმელი წყალი“...

შექმნილი მდგომარეობის გასაანალიზებლად და შესაფერისი კონკრეტული სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად სამუსლიმანო საქართველოს განათავისუფლებელ კომიტეტსა და მის ორგანოს მიზანშეწონილად მიაჩნდათ მეჯლისის მეთაურობით მოწვეულიყო „ერთი განსაკუთრებული თათბირი“, რომელიც „გადაწლიდა და გავგაცნობდა მხარის ყველა საჭიროებათ“. თათბირს დაესწრობდნენ ბათუმის ოლქის მმართველობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები.

„უღარდებლობისა და უპასუხისმგებლობის ხანამ განვლო, დღეს ყველა სამუშაოდ უნდა იქნას გამოყვანილი. შრომა, გარჯილობა, გულწრფელობა, განათლება და ჭეშმარიტი გზის ძიება მიგვიყვანს ჩვენ საერთო ბედნიერებადის“, ნათქვამია ბოლოს ამ უაღრესად საინტერესო სიტუატიში.

ჩარჩვ შესაბამება ეს სტრუქტურები ჩვენს სადღესო ამოცანებს!

„ბათუმი, 19 აგვისტო“ არის კორესპონდენცია ბათუმის ოლქში შემაჯალ ართვინის რაიონში ბათუმის საგანგებო კომისიის ყოფნის შესახებ. ართვინის მცხოვრებლებს საგანგებო შეხვედრა მოუწყვიათ კომისიისათვის და უმცინათ „ის ბედნიერება, რომელიც საქართველოს ოლქში დამკვიდრებამ ყველა მცხოვრებთ, განსაკუთრებით კი სომხებს, არგუნა“.

სომეხ მოსახლეობას გაუცვნია ოლქის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის თავისი საჭიროებანი და აღუნიშნავს ობოლ სომეხ ბავშვთა თავშესაფრის ნივთიერი სიღატაკე. საგანგებო კომისიარს იქვე მიუცია მათთვის ერთდროული დახმარება და კვლავაც აღუთქვამს შემწეობა.

სომხებს პარაკლისი გადიუხდიათ საპატიო სტუმრის პატივსაცემად.



ქალაქი ართვინი სახეიმოდ გამოეყურებოდა, ქართული ენის მემკვიდრე კნული დროშები ამშვენებდა.

კორესპონდენციაში გამოყოფილია კომისიის თანმხლები მუს-ლიმანთა დელეგაციის ერთ-ერთი დარბაისელი წევრის მიმართვა ადგილობრივი მცხოვრებლებისადმი: „ართვინში ორ ეროვნებას შორის, სომეხ-გარბეგელთა შუა შური და ღვარძლი მოისპო დლი-დან აქ ჩვენი ძმა ქართველების შენოსვლისა. მოკვდა დრო შურო-ბისა. დღეს ჩვენ გვჭირია საერთო საქმის კეთება და ქვეყნის წარ-მატებისკენ წაყვანა“.

ხალხის კონკრეტულ თხოვნებში ყურადღებას იპყრობდა სას-კოლო და სასურსათო საკითხების მოგვარების აუცილებლობა. გა-ნათლების სამინისტროს რწმუნებულს ბ-ნ კალე ქავთარაძეს ხალხი-სთვის უტყობებია, რომ „უკვე მიღებულია ყოველი ღონისძიება ამ შემოდგომიდან სკოლების გასაჩაღებლად“. საგანგებო კომისიის „რეალური ზომებით“ უნუგეშებია ხალხი სასურსათო საკითხში და გაუცვნია მისთვის ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის სამუშაო გეგმა, რომელსაც ართვინელები აღტაცებით შეგებებიან.

ამ ინფორმაციას რომ გვაწვდის, „სამუსლიმანო საქართველო“ განმაზოგადებელ მსჯელობაზე გადადის:

„7 ივლისის ძლიერი სიხარულის ქარი ეველგან შეჭრილია კლდე-ღრეთა შორის, აგვისტოს 17-ს ართვინში იყვნენ შვილები შორეული მთებისა და თავიანთი ლამაზი ქართულით ხიბლავდნენ სტუმრებს.“

ველდრსეთ, რასაც ვნატრობდით.

უკვე დაიწყო ოლქში შემოქმედებითი და აღმშენებლობითი მუშაობა.

საძირკველი ეყრება განათლებას, საუკეთესო წესით ეწყობა ადმინისტრაცია, კეთდება გზები, ხალხი ღებულობს ყოველგვარ საჭირო დახმარებას და, როგორც მეჯლისის თავმჯდომარის ამხანა-გმა მუსტაფა ალიმ განაცხადა, „მეტი აქედნ გლესს რა უნდოდა. ბედნიერება კარზე მოგვადგა და ვინ იქნება სულელი მის ჩვენს სახლებში შემოკრას წინ აღუდგესო“.

აღსრულდა სურვილი, უკვე ამუშავდა ძლიერი დემოკრატიული მანქანა ჩვენი ცხოვრების გარდასაქმნელად და მბრწყინავი მომავ-ლის გამოსაჭრელად.

დემოკრატიული თვითწმომკმედება იმდენად ძლიერია, რომ იგი სულ მალე მიგვიცვანს აღსავლის კარებთან, სადაც მთელი ხა-ლხი იხარებს კეთილმოწყობილი თავისი ცხოვრებით და ახალი სი-ნათლით.

გარჯილობას და შრომას თავი მივცეთ... მომავალი ჩვენი!"
„ბათუმი, 11 აგვისტო“ შეიცავს ბათუმის ოლქის საქართველოს
სათვის დაბრუნების შემდეგ აქ მიმდინარე პოზიტიური ძვრების
ანალიზს. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო სხვადასხვა პოლიტიკუ-
რი პარტიებისა და დაჯგუფებების სახელით ან უშუალოდ მოთარე-
შე ყაჩაღური ბანდების განადგურება:
„უკვე მოხდა ლიკვიდაცია ბორჩხა-ხოვის ბაზზე ბრბოთა თა-
რეშისა.

გაქცეულები შენანიებას ითხოვენ...

ცხოვრების და სამართლიანობის ჩვეულება ასეთია, ბრმები მა-
რცხლებიან, თვალბილულნი, შორსმკვრიტელნი იმარჯვენ.

ბორჩხის მიდამოში ბანდიტური გაბრძოლება უკანასკნელი აქ-
ტი იყო ტერმინების, იონინებისა და ქესკინოღლების რუსული ავა-
ნტიურისა.

ფარდა ჩამოეწვა. წარმოდგენა დამთავრდა...

დღის შემდეგ იშინდება ჩვენი მხარე შავპირებისაგან და
შორს არ არის ის დრო, როცა ტაო-კლარჯეთის მზიური ქვეყანა
აღორძინებული და აყვავებული მოეფლენება კაცობრიობას. და ეს
სულ მალე აღსრულდება. ჩვენი შვილები, შემოქმედების ფერხულ-
ში ჩაბმულნი, ბედნიერებისაგან და ამაღლებისაგან წაიყვანენ ქვეყ-
ანას“.

საერთო განწყობილებას ამაღლებდა ბათუმში თბილისელი
მუშების 140-კაციანი დელეგაციის სტუმრობა. მათი მიზანი იყო
ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოსათვის შეერთების გა-
მო მისაღმებოდნენ ბათუმის მუშებს და გაცნობოდნენ მათს ცხოვ-
რებას. ამ მოვლენის გამო გაზეთი წერდა: „ამ დროს ჩვენი
არაა ენერგიით აღსავსენი და ქვეყნისათვის თავდადებულნი კა-
ცები თბილისიდან მოსულნი. ამ უანგარო მუშაეებმა მცირე დროში
აქაური ჯოჯოხეთი დააქციეს და ოქროს ვერძის ქვეყანა — სამხრე-
თი კოლხეთი სიყვარულის და სიხარულიანი სიცოცხლის გზაზე
დააყენეს“.

როგორც ცნობილია, მეხედ ამაშიც, სამუსლიმანო საქართველ-
ოს განმათავისუფლებელი კომიტეტი და გაზეთი „სამუსლიმანო საქ-
ართველო“ იბრძოდნენ დედასაქართველოს შემადგენლობაში სამუ-
სლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიისათვის. „ყოველთვის
ვამბობდით და ახლაც ვაცხადებო, — გვათხოვლობთ გაზეთში, —
რომ სამუსლიმანო საქართველოში ეროვნულ-პოლიტიკური პრობ-
ლემა არ არსებულა.

ავტონომიის კითხვა ინდენად იყო ჩვენთვის არსებითი, რამდენ-

ნადაც ეს კითხვა მხარის მოხერხებულად მოწყობა-მოვლას შეეხება
ბოდა“.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ავტონომიის პროგრამის პროექტი, მაგრამ გარდაშავალ პერიოდში მისი მიღება, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა. 1920 წლის 8 აგვისტოს გაზეთმა გამოაქვეყნა საქართველოს მთავრობის დადგენილება ბათუმის ოლქის შესახებ. იგი მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც მთავრობამ მოისმინა მეჭლისის წარმომადგენელთა ინტერმაცია ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობის მოწყობის თაობაზე. გადაწყვეტილება ასეთი იყო: „არსებულ პირობებში შესაძლებელია ოლქში მოეწყოს მხოლოდ საგანგებო მართვა-გამგეობა, შეფარდებული სამხედრო წესებთან. ხოლო მშვიდობიანი ცხოვრების დამყარების შემდეგ სამოქალაქო მმართველობის მოსაწესრიგებლად დამფუძსებელ კრებაში წარდგენილ იქნება ახლო მომავალში კანონპროექტი დემოკრატიული საარჩევნო უფლების ნიადაგზე აგებული ავტონომიური მმართველობის ცხოვრებაში გატარებისა“

როგორც ვხედავთ, მემედ აბაშიძის რედაქტორობით გამოშვალ გაზეთში „სამუსლიმანო საქართველო“ მოცემულია სრულიად საქართველოსთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თვისებრივად ახალი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გაშლილი პროგრამა, რაც მხარის სამეურნეო და კულტურული აღმავლობის, მისი ისტორიული ჩამორჩენილობის უსწრაფესი დაძლევისა და სამუსლიმანო საქართველოს ერთიან ძმურ ოჯახში თანასწორი ჩაყენების კარგ პერსპექტივებს სახავდა. ვაგლახ, რომ ამ პროგრამას განხორციელება არ ეწერა საბჭოთა რუსეთის იმპერიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამო.

მაგრამ 1920 წლის 7 ივლისი შევიდა საქართველოს ისტორიაში, როგორც ჩვენი ხალხის დიდი ხნის ოცნების ასრულების — სამუსლიმანო საქართველოს, დედასამშობლოსთან დაბრუნების, იძულებით გაყრილი ძმების შეერთებისა და ჩახუტების, ერთობლივი ცხოვრებისა და აღმშენებლობის განახლების დღე, დღე უდიდესი სიბარულისა და ზეიმისა, დღე — ნიშანსვეტი.

გამოყენებული ლიტერატურა

მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები (შეღებვა, რედაქცია, შესავალი წერილი და შენიშვნები იური სიხარულიძისა). თბილისი, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967 წ.

მეშედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები (შედგენა, რედაქცია, შესავალი წერილი

და შენიშვნები იური სიხარულიძისა). ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1973 წ.

სერგო გერსამია, მემედ აბაშიძე (ნარკვევი). ბათუმი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1960 წ.

იროდიონ ქაჯუარაძე, „ვალმოხდილი“, (დოკუმენტური მოთხრობა). ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1984 წ.

მამულაშვილი (კრებულის, შემდგენელი ალექსანდრე სამსოხია), ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1986 წ.

თეიმურაზ კონაზიძე, მემედ აბაშიძე, ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, 1993 წ.

გახეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ ამოხაზუბები, დამუშავებული ალექსანდრე ჭათამაძის მიერ (დაცულია აჭარის სახელმწიფო ბუხრების ბიბლიოთეკაში).

ჩარიტონ აზვლედიანი, საბალეტო-განმასწავლებლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, სახელგამი, 1955 წ.



ვახ ნოლაიძელი

მე ვაბატიე

მე ვაბატიე ყოველივეს ყველა შეცდომა,
ყველა სიყალბე... და თამაში

ჩემს ტკივილებთან...

მე ვაბატიე დარდს სიმძაფრე, უსასრულობა,
ღამეს სიბნელე დაუშრეტელი.

მე ავუსრულე ყველა ეგდრება ოცნებებს,
ფიქრებს და ნახ ბაგეებს...

და ავომაღლე ლოცვა ცამდის — უდიადესი..

ო, გაზაფხულო, მხოლოდ შენ უწყი ჩემზე უკეთ,
რატომ და რისთვის. —

მე შენს ფოთლებში ჩამალული ვეცხები მძივებს,

მე შენს ფერებში ჩაძირული სიმშვიდე მსურდა...

ცა უღრუბლო და ზღვა ბოზოქარი.

მე შენი სუნთქვით ვარსებობ მუდამ,

ასე რომ მოჰგავს გამოფხიზლებულ სიცოცხლის
სუნთქვას...

მე მსურდა შეტევა ის, რაც დღემდე

ვერა გთნგი მაინც...

დრო კი უღმობლად მიაფრენს წუთებს

და ხელაპყრობილს, სით ნარნარი უხუცავს

თვლებს.

ახლაც არ ვიცი, რას მოვიბოხო შენგან,

სიყვარულს?

იქნებ შენა ხარ თვით სიყვარული...

გაფურჩქვნით რომ იწყება და

არასოდეს არ ბოლოვდება...

ან იქნებ ძალგის მოერიო ყველა სატყივარს

და სული მხოლოდ მას დაუთმო,

რაც ედარება მზეს და სიცოცხლეს.

მე ვაბატიე ყოველივე ბედის მძაფრ ბორბალს,
და ამ ცხოვრების ატალახებულ,
ბარდიან ბილიკს,
თითის წვერებზე რომ უნდა განგლო იგი
ბოლომდე..

მე ვაბატიე ყოველივეს ყველა შეცდომა,
ჩემს ტკივილებთან ცელქი თამაში
და ჩემს სიყვარულს უმძიმესი ეკლის გვირგვინი..
მე ვაბატიე სიკვდილს სიკვდილი,
ცხოვრების მორევს ტბილი სიმწარე,
ბავშვობის სიზმრებს არ ასრულება..
და ოცნებების რაშიან რაინდს — არდაბრუნება.
მე ვაბატიე ყველას ყოველი..
შენ ერთმა უწყი, გაზაფხულო, რატომ და
რისთვის.

* * *

ყველაფერს დაარქვით თავისი სახელი,
აზრები უაზრო ფერებით ხუნდება,
ვინც დაწვით ლოცვები და ისე წახვედით,
თქვენდამი ხსოვნაც კი უგულოდ ბრუნდება,
შორია სინაზე მზისა და ვარდების,
მე ჩემი მყოფნიდა სევდა და სიშორე,
სამყაროს მიღმა თუ ტკივილი მთავრდება
დილა კვლავ ჩქერაღა სიცოცხლეა მიტოვებს.
ბრძოლაა, ჭიდილი, ტკივილზე დამღლევი,
გრძელდება ცასავით მანძილი ტაძრამდე,
ცრემლიან თვალებით სინათლეს მოველი,
მაგრამ უცრემლოდაც ნისლები გამძაფრდნენ,
ყველაფერს დაარქვით თავისი სახელი,
ყველას ჰამოთლილი სხეულით გვარჩევენ.
ცაცხებით ინთება ხელებში სანთელი,
და მის ელვარებას ნულარ შეაჩერებთ.

* * *
 მე შენს იარებს, ვით სისხლიან ყაყაჩოს გკოცნი,
 თითქოს გახლეჩილ სიყვარულში მპირდები ტკივილს.
 ისევ იზრდება ეკლიანი ლოდინის ბორცვი,
 და მიტოვებულ სიყმაწვილეს გუბრუნებ ღიმილს.
 მე შენს სიცოცხლეს, ვით საუფლოს ზეცისას ველტვი,
 და ზხმო ლაყვარდა სიჩუმითვე პასუხობს სული.
 დაჰბერავს ქარი, უკანასკნელ საჩივარს მეტყვის,
 მე კი ისევ გამჯობინებ ნაწვალევ დღემილს.
 მზიან სონეტებს, მიღებული სიზმრების სეგდით,
 მოემატება ყელის სისხლითან მომსკდარი ლოცვა.
 შორით წაიღებს უაპრილო სიმღერას გედის
 ცრემლის წვეთებით, ვნებიანი, უთქმელი კოცნა.
 ავივლდებიან შორს ზარები და თეთრი ჩრდილი,
 ვით მარტოსულის მიუწვდომელ სიმშვიდის გლოვა.
 დაიდვენთება უაპრილო ლექსივით ფრთხილი,
 და არყოფნიდან ყოველდღიურ წამებად მოვა.
 კვლავ გაიზრდება ეკლიანი ლოდინის ბორცვი,
 ჩატეხილ ხიდთან გავიგონებ მომავლის ტირილს.
 მე შენს იარებს, ვით სისხლიან ყაყაჩოს გკოცნი,
 თითქოს გახლეჩილ სიყვარულში მპირდები ტკივილს.



დაწყებითი ფიქრი

(ფრაგმენტები)

გენი იწვოდა.

კაპიტანს უკვე გაეცა ბრძანება, გემბანი დაეტოვებინა ეკიპაჟს. იდგა. ხიდურზე კაპიტანი და გაჰყურებდა სივრცეს, ფიქრი კი გემს ვერ გასცილებოდა, „ნავეები სამყოფადაა... მე კი უფლება არა მაქვს მივატოვო გენი. მივატოვო და მერე სად წავიდე, რა პირით გავიდე ნაპირზე?“

ამ დროს იყო უფროსი თანაშემწე რომ გამოეცხადა:

— შენ აქ რას აკეთებ, რას ელოდები, გემზე დარჩენას ხომ არ აპირებ?

— არა, კაპიტანო, მე ჩემს მისიას ვასრულებ...

— მისიას ასრულებ? რომელ მისიას?

— შენ ძალიან ბევრი იცი, კაპიტანო თემურ...

— მე რე რა, რომ ბევრი ვიცი? — იკითხა. კაპიტანმა და უფროსი თანაშემწე თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

— არ უნდა იცოდე ამდენი... — თითქოსდა ფიქრიანად თქვა უფროსმა თანაშემწემ და ქვეშევშევს ახედა კაპიტანს, — შენ მაინც ძალიან ბევრი იცი...

— მაინც რა ვიცი ამდენი? — შეცბა კაპიტანი და პასუხის ნაცვლად ტყვიამ გაუარა მხარში. კაპიტანი შექანდა, დაბარბაცდა და გამოეშალა ფეხი.

ნეტა რა მოხდა? — იკითხა უნებლიედ, მაგრამ თვალეზზე ნისლის ფარდა ჩამოაწვა და მერე ბურანში შესცურა.

— ესეც ასე, — ჩაილაპარაკა უფროსმა თანაშემწემ და ავტომატი მიატრილ-მოატრილა, ძალიან კარგი... არც ერთი მოწმე... ნავიც ჩემს განკარგულებაში იქნება. — ხმამაღლა გაიფიქრა და ნავში აღმოჩნდა თვალის დახამამებაში, გადაჭრა თოკი და მოუსვა ნიჩბებს.

კაპიტანი მალე მოეგო გონს. სისხლში მოთხვრილი წამოდგა.

— მაინც რა ხდება... ვიწვი... იწვის... იწვის ყველაფერი... გემი... ადამიანები... უფროსი თანაშემწე? ის... ის... უნდა ვიჩქარო, თორემ... — გაუელფა და ბორტთან მიბანცადა. — აგერ ნავი... კიდევ კარგი, რომ მარცხენაში დავიჭერი... შევძლებ ნავის ტარებ-

ას? მოესმა შორეული ხმა და გული მოეწურა.

გემისა და შისი ეკიპაჟის დაღუბვის ცნობა ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს, მაგრამ კაპიტნის მეუღლეს ეს ამბავი ჯერაც არ მისვლიდა.

უფროსმა თანაშემწემ მშვიდობიანად გამოაღწია ნაპირზე, ერთი კი მიმოიხედა ირგვლივ და ღვინის ქარხნისკენ გასწია. გზა მალე გაილია, შესასვლელში რამდენიმე მამაკაცი შეკრებილიყო. გემის დაღუბვის ამბავს ისმენდნენ. მოხრობელმა მალე აიღო თავი და მათკენ მომავალი კაცი შენიშნა. ხელი დაუქნია.

— გაბ, ფირუზ, ცოცხალი ხარ? შენ მაინც როგორ გადარჩი?

— ჰო, გისმენთ, ფირუზ, — თქვეს დანარჩენებმა, — ამბობენ ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპაო.

— როგორც ხედავთ, მთლიანად არა. — ჩაიცინა უფროსმა თანაშემწემ. — შეფი აქ არის.

— აქაო, — უბასუხეს.

ფირუზას მეტი არაფერი უთქვამს. შენობაში შევიდა. გაიარა გიწრო დერეფანი და ღვინის კასრებით გამოტენილ დარბაზში აღმოჩნდა. მუშები საწყობისაკენ მიაგორებდნენ დაორთქლილ კასრებს.

შეფის კაბინეტის წინ შედგა.

ტექნიკურ მდივანს ქაღალდებში ჩაერგო თავი, ფირუზას მოსვლა არც შეუმჩნევია...

ზაიხაო, თითქმის ჩასძახეს ყურში და იმანაც წამოხსნია თავი.

— ჰო, ბეწვზე გადავრჩი, მაგრამ გადავრჩი, გემი კი აღარაა...

— ეკიპაჟი?

— ჩემს გარდა ცოცხალი აღარაგინ დარჩა, შეფი სად არის?

— კაბინეტში, რაღაც ვერ უნდა იცოდეს გუნებაზე, ყველას ერთი ჯოხით გვერეკება დღეს...

ფირუზამ მხრები აიჩეჩა და ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ კარზე დააკაკუნა.

— შემოდი, — მრისხანე ხმა წინ დაუხვდა ფირუზას.

კარისაკენ ნახევრადშემობრუნებულ, საფარძელში ჩამჯდარ შეფს თავი არც შემოუბრუნებია მისკენ, ისე ჩაილაპარაკა, რა გინდაო და ახალწაკიდებული სიგარეტი ღია სარკმლიდან გადაისროლა.

— ფირუზა ვარ, ბატონო, — ხმა აღუკანალდა მომსვლელს.

— ფირუზა... ყველა დაიღუპაო, ასე გადმომცეს და... ცოცხალსა გხედავ... იქნებ მეჩვენები და... დაჯექი! — შეფმა შევერცხლილ თმებზე ხელი გადაისვა და „მარლბოროს“ კოლოფი ფირუზასკენ მიაჩოჩა.

— აბა, არ მინდა.



— არ გინდა? მე გაწვდი და არ გინდა? — გადაბმული წარბები შეიჭმუნა შეფმა და თვალის გუგები გაუფართოვდა. — ჯობდა კი... შენც იქ დარჩენილიყავი... მოწმე ხარ შენ, მოწმე კი... სიგარეტის კოლოფი ისევ თავისკენ მიიჩოჩა, — არც მე მინდა მოწვევა, მაგრამ... გემი არ უნდა დაღუპულიყო...

— ტრიუმფებში გაჩნდა ხანძარი... აცეტონი და დინამიტები...

— კაპიტანი?

— დადუმდა სამუდამოდ.

— ხელშეკრულების ასლი?

— საიმედო ადგილზე ექნება გადანახული, თან არ ჰქონია, დანამდვილებით ვიცი... სახლში ექნება...

— ჰოო... მე თუ არა, მაშინ მილიცია ჩაიგდება ხელში და... ხომ ლოგიკურია ჩემი დასკვნა? აქ შენ დაასწრებ მილიციას, ფირუზ!

— შეგეცდები, შეფ! მაგრამ...

— მაგრამო?! შენ რომ „მაგრამობით“ არ გჩვევია ლაპარაკი?

— ვეცდები, შეფ!

— „ვეცდებიც“ არ მომწონს! — წამოიწია შეფი და ხელები გაშალა. — არის! არისო, უნდა გეთქვა, ფირუზ! შეგიძლია, სულ ახლაბან რომ ჩამოვიყვანე მანქანა, შენზე გადაიფორმო და შეუდექი საქმეს! მანქანა შემოსასვლელში გელოდება!..

ფირუზი კაბინეტიდან გამოვიდა, აღეშვებული ჩანდა, „შეფიც კი ხვითოა. გემი რატომ არ გადაარჩინეო? გემის გადარჩენაზე კაპიტანი უნდა ფიქრობდეს... გადამრევს ეს კაცი...

დღეს თემურის ცოლს მოვინახულებ. მზეთუნახავიაო, ამბობენ. ვნახოთ, ვნახოთ!“

* * *

სამხრეთის გრილი ნიავი ქროდა.

საამოდ შრიალეზდენ გზის პირას ჩარიგებული ჭადრის ხეები. ფირუზამ მანქანა ორსართულიანი სახლის წინ შეაჩერა და ჩაახველა, ალბათ გამბედაობის მოსაკრებად.

ბინდებოდა.

მიიხედა-მოიხედა. კაცის ჭაჭანება არსაიდან.

კარგით, თქვა.

უბანში სინათლე ჯერ კიდევ არ ჩაერთოთ. გადმოვიდა მანქანიდან, სადარბაზოში ბნელოდა. შედგა, თვალი შეაჩვია სიბნელეს, კიბე ნაძალადევი სიღინჯით აიარა. კარზე დააკაკუნა.

ფეხის ხმა კარს მოაწყდა და ფირუზამ მკერდზე მიიღო ხე-

ლი. — ვეღავ, ასე არ ივარგებს, ფირუზ, ახლა კარს მოხდენილია
ქალი გაგიღებს და... — თავს შეუღახა...

გაიღო კარი.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხეს ფირუზს.

— თემურის მეგობარი ვარ, სასწავლებელი ერთად დავამთავ-
რეთ...

სანთლის ზუქზე თანდათანობით გამოიკვეთა ლამაზი ქალის სა-
ხე. შავი თვალები ჰქონდა — გულში ჩამწვდომი.

„ვერაფერს გამოაპარებ ამ თვალებს“... — უნებლიედ გაიფიქ-
რა ფირუზამ და ფიქრიც აქ შეუწყდა.

შავი თმა მხრებზე ეფინა.

თხელი ტუჩები უთრთოდა ქალს.

გულმკერდი საკსე და ვნებისმომგვრელი...

— შემობრძანდით. თემური ჯერ არ დაბრუნებულა...

„აწი რაღას მოვა“... — გაიფიქრა ფირუზამ და თვალი გაუს-
წორა ქალს.

— თემურისგან ვარ, თვითონ თვის ბოლოს იქნება აქ, მერე შემო-
ვივლიდი, მაგრამ დრო არ ითმენს, ქალბატონო... ერთი დოკუმენ-
ტის ასლის გამო ვარ თქვენთან.

— ყველა დოკუმენტი სეიფში რომ არის...

— აიცი საქმის გადადება იქნება... თემურის დავალებით და
ნებართვით. რასაკვირველია...

— აბა, რა ვიცი, სეიფი თემურის კაბინეტშია... წამობრძანდით.

— მიენდო ქალი თემურის თანაკურსელს.

ფირუზიც მიჰყვა ქალს.

— აგერ სეიფიც, ოთხნიშნა ციფრიანია, ციფრი არ უთქვამს
ჩემთვის თემურს, — დამნაშავესავით აილაჩა ქალი. — მოსინჯეთ, იქ-
ნებ...

— მოვსინჯავ, მართლაც... — მხრები აიჩეზა ფირუზამ და სე-
იფს მიუახლოვდა. — ოთხნიშნა... მაინც საიდან დავიწყო?

პირველად ოთხი ერთიანი ჩამოყარა. მერე წინა ციფრი ნულ-
ით შეცვალა და აუფანცქალდა გული. „მგონი მივაგენიო“, ლამის
ამოუფარდა გული. მერე დახუჭა თვალი და მიაყურადა. სეიფმა გა-
იჩხაკუნა და ფირუზაც სმენად იქცა. — ახლა, ახლა გაიღება... უნ-
და გაიღოს! მე ასე მინდა. დღევანდელი დღე ჩემია და ვერავინ
შემეცოლება.

კარმა გაიჭრიალა, მაგრამ თვალი მაინც არ გაუხელია ფირუზ-
ას. თითქოს გულიც კი დაწყდა ასე იოლ გამარჯვებას რომ მიაღწია.
— დღეს ფორტუნა ჩემს მხარეზეა, — თქვა ხმამაღლა და ვარდის-

ფერი კონვერტი გამოიღო სეიფიდან. — ეს არის, სწორედ ესაა, ასე რომ ელოდება თემური... დღესვე ნიკოლაევში უნდა მოგხვდეს... სანაოსნო დამენძარება. გმადლობთ, გმადლობთ... გამართლებაც ამას ჰქვია“...

„თითქოს იცოდა შიფრი, პო, რა თქმა უნდა, თემური ეტყოდა. ახლა მჯერა, პირველად რაღაც... უნდობლადაც კი მოვეკიდე. მაგრამ... აბა, თემურს რომ არ გაენდო მისთვის შიფრი... — ფიქრი აქ დაასრულა ქალმა და სტუმარს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი.

— მაღე გინახულებთ, ახლა კი გავიქეცი! — წამოიძახა ფირუზამ და ისე გავარდა ბინიდან, მასპინძელს არც გამომშვიდობებია. ქალი მარტო დარჩა.

— დედი, ვინ იყო? — საძინებელი ოთახიდან ათი-თორმეტა წლის ხუჭუტთმიაწმა ბიჭმა გამოიჭყიტა.

— მამაშენის მეგობარი... ისევ შემოგივლითო...

— მამა?

— რეისი გაგრძელდებაო, ნიკოლაევში დავეწევიო. აწი სინათლე აღარ მოვა... დაწექი!

— აბა, რატომ დავგვირდნენ...

— შეიძლება მოგიდეს კიდევ... დაწექი და დახუჭე თვალი...

— მამაზე ვიფიქრებ და დამესიზმრება, გააზმორა ბიჭმა და კარი ბრაზიანად მიიხურა. ქალმა ლამპას ადგილი შეუცვალა და გული მოეწურა. ტკივილმა მთელს ტანში ქრუანტელივით დაუარა.

— ვაიმე... ვიღაც უნდა მოდიოდეს, მაგრამ რომ აღარავის ვეღო? ის კაცი არ იყოს ისევ... თითქოს მაშინველებდნენ მისი თვალები, — სახე აელანდა და თავისი თავისა შერცხვა. — მართლა ვილაცა...

— ხათუნა, გააღე, მე ვარ!

— შენ ხომ... შენ...

— თემური ვარ...

უცებ გამოფხიზლდა ქალი, გასაღები როგორც იქნა გადააბრუნა და კარს მიაწვა. თემური ფეხზე ძლივს იდგა და ქალმაც შეაშველა ორივე ხელი. გასისხლიანებული კაცი ძლივს შეიყვანა სახლში, დივანზე წამოაწვინა.

როგორც იქნა თვალი გაახილა თემურმა და წამოიკვნესა.

— ვაიმე, დედა, მამა, მამა. — ატირდა ბიჭი, ფეხშიშველა რომ იდგა იატაკზე.

— ჩუუ, შვილო. არავინ გაიგოს, წყალი მომიტანე... ექიმი არ გვინდა, ხათუნა, ისეთი არაფერი მჭირს, მხარში ვარ დაჭრილი, მსუბუქი ჭრილობაა, შენც კი მომიგლი. არავინ გაიგოს, რომ ცოცხა-

ლი ვარ. „წმინდა ნინო“ კი ჩაიძირა... სასწაულად გადავრჩენიყავით...
ნათ, მკვდარი ვიყავი და...

— იქნებ სასწრაფო გამოგვეძახა, თემურ...

— არა, არ შეიძლება, ალარც ჩემი ეკიპაჟია... მეც მკვდრების
სიაში უნდა ვირიცხებოდე... მეტს ნურაფერს მკითხავ, მერე შეიტ-
ყობ ყველაფერს. ზურგიო წყალს განითბობს და დაწვება...

— მეც არავის ვეტყვი, რომ სახლში ხარ... — თქვა ზურგიომ
და სამზარეულოში გავიდა.

— იოლად გადავრჩი... აბა, დავიწყეთ, ხათუნა..., აგერ ზური-
კელაც... ჰო, ასე შევიღო... ზურგიომ წყალი მოიტანა... გმად-
ლობით... ახლა კი მარტო დავგეტოვე... შეგიძლია სიზმარში მნახო...
ერთად ვიქნებით მთელი ღამე... ისეთ რაღაცებს გაიგებ, რომ... აბა,
წადი და დაიძინე!

მამის სიტყვა კანონი იყო ზურგიოსთვის. თავდახრილი გავი-
და თავის ოთახში. ხათუნამ დიდი მონღოლებით დაამუშავა კრილო-
ბა და შვევით ამოისუნთქა, ახლა ტკივილის გამაყრუებელსაც გა-
გიცეთებ.

მერე მოვიდა ღიქრი და ფიქრს ფირუზას თვალებიც თან მოჰ-
ყვა. რაღაც ისე ვერ არის საქმე... ისე კარგად; რეისშიაო..., დო-
კუმენტიც... შიფრი საიდან იცოდა? არ უნდა იყოს ის კაცი ჩვენი
მტერი... „წმინდა ნინოც“ აღარააო...

* * *

ადრე გამოელვოდა. სიზმრიდან გამოჰყვა გუშინდელი სტუმრის
თვალები და ცხადშიც აღარ მოასვენა. „ნეტავ ვინ იყო, თემურის
თანაკურსელი ვარო, წაიღო დოკუმენტი. ამაზე კი არაფერი მითა-
ვამს. თემური რომ შეიტყობს, — დასიცხა და ადგილიდან წამოიჭ-
რა.

თემურს გამოელვოდა. — რა იყო, ხათუნა..., სახეზე ფერი არ
გაღვეს. ვხედავ, არ გძინებია, კარგად ვარ, უკვე და... იცი ვინ მეს-
როლა? ჩემმა პირველმა თანაშემწემ, თანაკურსელმა... ნეტა ვის სა-
მსახურშია? — თვალები ამოისრისა და ფერწასულ ხათუნას დააყ-
ვირდა. — რა იყო, რა გჭირს?

— ის კაცი, შენი სასწაელებლის ამხანაგი წუხელ იყო ჩვენ-
თან. შენს მოსვლამდე და სეიფი გახსნა, წაიღო დოკუმენტი...

— ნეტავი მოგვეცალი და... ამოიგვინა თემურმა და სახე ბალი-
შში ჩარგო. — ეგ როგორ, შიფრი ვინ მისცა? არა, შენც არ იცო-
დი. დავილუპეთ, მაგრამ...

— რა „მაგრამ“, თემურ, — წამოიძახა ხათუნამ, — ნეტა რატომ შემოვლუშვი, რატომ შემოვლუშვი, — თმები ჩამოიშალა და მხრები აუტაცებდა, — მართლა დაგიღუბეთ?

— ენახოთ. — თავი გადააქნია თემურმაც, — ავწონ-დავწონოთ... გემი მართლა შემთხვევით დაიღუპა, მე იმათთვის მკვდარი ვარ... თორემ მომიგზავნიდნენ მკვლელს და... მაგრამ უჩინაჩინის ქუდიც რომ არ მხურავს?.. — გონება გაუნათდა თემურს და ტკივილმაც წამოუარა, გამაყუჩებელი თხოვა ხათუნას.

ტკივილი როგორც იქნა, გაუნელდა. ოღონდ რაღაც მძიმე ფარდასავით ჩამოაწვა თვალებზე და ძილბურანში შესცურა:

გემბანზე დგას, იწვის გემი და თემურის სულშიც ხანძარია, ცეცხლი მოსდებია ზღვას და ცხელა აუტანლად...

— თემულურ! — გაიგონა ამ დროს და შეეცა. ზღვა ელოდა თითქმის, უსასრულო სამყარო ეძახდა. რაღაცას ითხოვდნენ მისგან.

— თემურ!.. — ისევ ესმა და პირი მოკუმია. — ეს ხომ ანტონის ხმაა. ბოცმანის... ეს ხმა კი თეოფილესია, როსტომის ხმაც გარკვევით მესმის...

— თემურ, თემურ, რა მოგივიდა, დამწვიდლი!

— ნეტავი მოვეკალი, ვიღაცამ აცეტონი შემოგვებარა... კონტრაბანდა, იარაღი და დინამიტი... მე — კაპიტანი ბაიბურშიც არ ვიყავი... ვინ მაპატიებს, იმ დაღუპულთა ახლობლები არ მაპატიებენ. თვალის გახელა აღარ უნდა! აუტანელია მისთვის სინამდვილე, თავს კი მოიკლავდა, მაგრამ მეორედაც შესცოდოს? თვითმკვლელობა მონანიება როდია.

— თემურ, თემურ, — ნერვები სადაცაა დააწყდება ხათუნას, — თქვი რამე, თქვი, თორემ შევიშლები... ჩემი ბრალია ყველაფერი... ის საბუთი როგორ მივეცი იმ კაცს?

— ჰო, იცის იმ კაცმა რომ მკვდარი ვარ მე და მოდუნდება, ისევ მოვა?! მოვა აუცილებლად, მოვა, მაგრამ რატომ? თვალნათლავ ხედავს ფირუზას, შევ სათვალეს რომ იხსნის და ახარხარდება. დამბახის ამოიღებს კოსტუმის ჯიბიდან და თენურს დაუმოიზნებს, აჰა, გამოსწია ჩახმახს და სროლის ხმა გააყრუებს იქაურობას.

გაძაგდა თენურს და თვალებზე აიფარა ორივე ხელი. — ცოცხალი ვარ... არ მომხვედრია მეორე ტყვია. მესროლეს კი, მაგრამ ამაცილეს. ხელები ძირს დაუშვა. იქნებ მოგვედი და... ძილმა წაართვა თავი, — მომხვდა ის ტყვია. მომკლეს. მაინც, — მოასწრო ამის გაფიქრება და სიზმრიდანაც გამოისროლეს გონდაკარგული.

მერე, რამდენიმე საათის შემდეგ, გამოიდვიძებს და გონებაც გაუნათდება...

* * *

ენგევი უმიზნო ზეტიაღს,
უმატე უზომო სმას...
პოეტის სურვილი ერთია
ტკივილი აშოროს სხვას!
რამდენი უბრალო მოკვდავი
წყლულეზზე გიმატებს წყლულს...
არადა გაგება ოდნავი —
ყველასგან გულწრფელად გასურს!
ტირიაღ დამზრალი კვირტები,
პირტუში ნისლია წინ...
ცოცხალი არაღის ჭირდები,
მოკვდები გახსენებს ვის?!
ნამდვილი მორწმუნე ზოგია,
მრავალი იფიწყებს ღმერთს...
პოეტად გაჩენას ჯობია,
ქარიშხალს უწევდრე მკერდს!
ენგევი უმიზნო ზეტიაღს,
უმატე უზომო სმას...
პოეტის სურვილი ერთია,
ტკივილი აშოროს სხვას.

* * *

ბევრის გულში ხანძარი,
ბევრიც წარსულს მისტირის,
აღარც რწმენის ტაძარი,
აღარც — ციხე ჭგიტიკირის...
ბევდრი ეკლეს გვირგვინია,
თუკი სიტყვა დაძარი.
ვერ გაიგებ ვინ გმირია,
ვინ — ნამდვილი ლაჩარი.
ბარბერთან ვინღა დგება,
ნიშნად — კაცურ ღირსების.

ადრე რატომ გიღამდება,
ასე რატომ ისევები?!
აღარც რწმენის ტაძარია,
აღარც ცაზე ქვიტკირის.
ბევრის გულში ხანძარია
ბევრიც წარსულს მისტირის.
უიღბლობა ნწამს დროებით,
ექვით — გულის გაკენწვლაც.
სულს უბერავ სასოებით
რწმენის მიმქრალ ნაპერწკალს!

* * *

ებრძვი ტკივილს, გრიგალებს,
დარდი წვეთავს წხამად.
ბედი როდის გიგანებს
რას გაიგებ ამას.
ვის ჭირდება გმირობა,
ვინ გიფასებს ლოდინს.
გულში ძველი ჭრილობა
პირს შეიკრავს როდის?!
რჩები მაინც უცვლელი,
ბევრ რამეზე დარდობ,
აღარც ლექსი გულწრფელი,
არც კაცები სანდო...
ბედი როდის გიგანებს,
რას გაიგებ ამას.
ებრძვი ტკივილს, გრიგალებს,
დარდი წვეთავს წხამად.

გულში მახვილის ტრიალით
ყველგან უღმერთოდ მდევნეს.
ველარ გამწვიდებ ტიალი
ეჭვით დაგლეჯალ შერვებს.
ძმობას ვერავინ გამიწევს
შეძრულს არყოფნას შიშით.
ამეცსო თვალი სამიწე
მღვრიე უღაბნოს ქვიშათ.
ხსოვნაში მძიმე წარსული,
ფიქრი გროვდება ზვაგად.
რთხევა სისხლი — ჯვარცმული,
როგორც მძვინვარე ლავა.
წუხილი ვილას გაგანდო,
ქვეყნად ვერავის ვენდე.
მწუხარებაში გავა დრო,
როგორც გასულა დღემდე.



სამი უცნაური ქალაქი

ზღაპარი

I

იყო ერთი უფლისწული. მეტად ღამაში და მშვენიერი აღნაგობისა, ჰქონდა საოცრად გულშიამწვდომი ხმა, შველივით მზერა და სხარტი გონება. უფლისწულს გრძელი და შავი წამწამების ქვეშ ნათელი, ცისფერი თვალები უბრწყინავდა.

ერთხელ მძინარე უფლისწულს „უკადრისა“ ია-იების ქალაქი ესიზმრა. სწორედ აქ, ამ ქალაქში ცხოვრობდა მისთვის საოცნებო, ღამაში ქალი უკადრისა.

მას შემდეგ მოსვენება დაკარგა ყმაწვილმა. ყველგან ამ ღამაასულს დაეძებდა, მაგრამ იმედი აღარ ჰქონდა მიაგნებდა თუ არა ოდესმე ამ ქალაქს და თუკი მიაგნებდა, მოიგებდა კი უკადრისას გულს?

ამდენი ხეტიალის შემდეგ უფლისწული „არვიციანთა“ ქალაქს მიაღწია. ეუცნაურა ქალაქი. ერთმანეთში უამრავი ხალხი ირეოდა აქ.

„არვიციანთა“ ქალაქში ყველა თავისი საქმით იყო გართული, მაგრამ საბოლოოდ არავინ არაფერს აცეთებდა, ღოღო უცხო ქალაქიდან ჩასული ადამიანის ნებისმიერ შეკითხვაზე არვიციელთა პასუხი „არ ვიცი“ იყო მხოლოდ.

ერთხელაც, ღამით კარ-თაღარებს რომ ზრიალი გაუდიოდა და თავაწყვეტილი ქარიშხალი არავის ინდობდა, ამ საშინელ ქალაქში ყველასაგან გარიყული და მიტოვებული უფლისწული მწარე ფიქრმა შეიპყრო, რომ გზა ხსნისა, სიცოცხლისა და გადარჩენისა აღარ არსებობდა უკვე — სასიკვდილოდ ვარ განწირული, ქარიშხლის, წვიმისა და სიცვისაგან გათოშილი „არვიციანთა“ ქალაქში ისე უნდა მოვკვდე, რომ „უკადრისას“ ხილვა აღარ მეღირსოსო. სიცვისაგან გათოშილსა და ფიქრებში წასულს გული შეუღონდა და გონება დაუბნელდა.

2

როცა ქარი ჩადგა და სუსხმაც თანდათანობით იკლო, უფლისწულს აზრი და გონი დაუბრუნდა. თვალი რომ გაახილა, გულ-მკე-

რღზე შევარდენი ეჯდა. ფრინველი გულმოდგინედ ათვალიერებდა ამ ლამაზ ვაჟკაცს. მერე უცებ ადამიანის ენით ალაპარაკდა: მეზღორობა

ყმაწვილო! ვიცი, ვისზე დარდმაც აგაფორიაქა, ვისზე ფიქრ-
მაც წარიტაცა შენი გული და გონება. თუმცა არ მიგვირს, ის ქალ-
ბატონი ნამდვილი ქალმკერთია. საოცრად ლამაზი, ნაზი და ღვთა-
ებრივი, ვინც კი ერთხელ მაინც შეავლგებს თვალს, სიყვარულის
აღივთ იწვის, ხოლო შენ მართლა რომ გეხილა ის სილამაზე. (რასაც
იმ ქალაქის ბინადარნი განაცდევინებენ ხოლმე ადამიანს), იმაზე
საშინელ ღღეში ჩავარდებოდი, ვიდრე ახლა ხარ.

ახლა მინდა გიწინასწარმეტყველო როგორ წარიმართება შენი
ბედი. თუკი ჩემს რჩევას უურად იღებ, აღარ გაგწირავს კეთილი ჯა-
დოქარი. „არვიციელთა“ ქალაქის გავლის შემდეგ ერთ საოცარ
ქალაქს კიდევ გაივლი და ამ ქალაქს „მძინარეთი“ აქვია.

„მძინარეთი“ ადრე ჩვეულებრივი ქალაქი ყოფილა. კეთილი და
ბოროტი ადამიანები ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, ქმნიდნენ დოვ-
ლათს, ერთმანეთს მტრობდნენ, ატყუებდნენ, აბეზღებდნენ, ერთი
მეორეს აწიოკებდა. ბოლოს ქვეყნად ბოროტებამ დაისადგურა.

ჯადოქარმა, რომელმაც აქ ქალაქის უკეთურობა შეიტყო, გადა-
წყვიტა მოსახლეობა დაესაჯა და მათი ქალაქი „მძინარე“ ქალაქად
ექცია. მას შემდეგ „მძინარეთის“ მთავარ კარიბჭეს სწორედ ეს
ჯადოქარი დარაჯობს. მინდა, რომ ჯადოქარმა უგნებლად გაგატარ-
ოს „მძინარეთი“. ამიტომ რამდენიმე რჩევას მოგცემ და ეცადე და-
იმასსოვრო.

ქალაქში შესასვლელი კარიბჭე ხმაურით შეაღდე და შეც იქ და-
გხვდები დაჭრილი ფრთებით, ფრთიდან ორი ფხა ამომგლიჯე და
ნაჭრილობევი შენი თმებით ამოვიკერე. მადლობას გადაგიხდი
დახმარებისათვის, მოგცემ სასწაულმოქმედი ძალის მქონე ბუმ-
ბულს. ეს ბუმბული უკადრისა ია-იების ქალაქში გამოგადგება.

„უკადრისა“ ია-იები ძალიან ბევრ საიდუმლოს ინახავენ გულში.
მათი საიდუმლო ყველასათვის ამოუცნობი რჩება.

რატომ? იმიტომ, რომ „მძინარეთელებმა“ რწმენა დაუკარგეს
მათ. ისინი უფრო რწმენადაკარგულები არიან, ვიდრე უკადრისები
— ადამიანებს აღარ ენდობიან.

შედეგამს თუ არა ფეხს ვინმე სულიერი „ია-იების“ ამ ლამაზ
ქალაქში, ყვავილები სასიამოვნო ძილის ბურანში გაახვევენ. ხოლო
როცა დარწმუნდებიან ადამიანმა ღრმა ძილით დაიძინაო, ჩურჩულ-
ით ყვებიან მაშინ ქალაქისა თუ ქვეყნის საიდუმლოს. როცა დარწ-
მუნდები, რომ ძილისაგან თავის დაღწევა აღარ შეგიძლია, ეს ბუმბული

ამოისვი თვალებში, ამის შემდეგ რული არ მოგვეკარება, მჩვენი რამ ისეთ შთაბეჭდილებას კი შეუქმნი ყვავილებს, თითქოს ღრმა ძილით გვიძინოს.

ეს თქვა შევარდენმა და გაფრინდა.

3

რაკი შევარდნის დანაბარები გულმოდგინედ შეასრულა ყმაწვილმა, მშვიდობით გაიარა ქალაქი „მძინარეთი“ და მიადგა „იაიების“ ქალაქს, სადაც უამრავი ყვავილი გაშლილიყო. ერთი თუ მორცხვი იყო და სათუთი, მეორე — მეტად ამაყი და გამძლე, ერთი თუ საზად მიღულავდა თვალს, მეორე ფართოდ გაახელდა ბოლმე და წენოგვინებდა.

მოაჩინლა უფლისწული ყვავილების სიმშვენიერით. შეიგრძნო ყვავილთა საამო სურნელი და მიხვდა, რომ ძილი ერეოდა. მაშინვე გაახსენდა შევარდენი და მისი ღარიბება. ისე მოიქცა, როგორც შევარდენმა ურჩია და თავი მოიშინარა.

როცა ღარმუნდნენ ყვავილები, უფლისწულს ღრმა ძილით ძინავსო, ყველაზე გაბედული, ღვინისფერი ყვავილი აჩურჩულდა, — რა ლამაზია მძინარე უფლისწულიო;

მაშინ გრძელდებოდა, მზისებრ მოეღვარე ყვავილმა კიდევ უფრო დაიგრძელა ნაზი ღერო და ღვინისფერი ყვავილისაგან გადაიხარა. შეეგვდა, იქნებ არც სძინავს ყმაწვილს, ჩემი ნათქვამი არ გაიგონოსო, და თავისი ეჭვი ღვინისფერ ყვავილს გაანდო. მეგობარმა დააიმედა, მზისფერმა ყვავილმა კი თანხმობით განაცხადა:

— ჩვენი სტუმარი მართლაც ძალიან ლამაზიაო.

ყველაზე კდემამოსილი ყვავილი, თავისი სიტუარფითა და სიმშვენიერით რომ ჩრდილავდა ყველას, რატომღაც ჩუმად ყოფნას ამჯობინებდა და ხმასაც იშვიათად იღებდა. ამიტომ ყველას ენატრებოდა მისი წარნარი ხმის ჯგონება. — იცით, ეს ყმაწვილი უკადრისას დაეძებსო. — ამოიკვნესა და მიჩუმდა.

ყვავილებმაც მეტი ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ჰვრეტა ყმაწვილს.

კიდევ ერთი კაბაჭრელა ყვავილი ალაპარაკდა მშვენიერი ქალურის ხმით, მისით მოხიბლულმა ნიაგმა ნაზად შეურხია ორი ფოთოლი კაბაჭრელას და თეთრ-წითლად დაწინწკლულ ყვავილს მიუაღერა.

კაბაჭრელამ თქვა:

— იცით, როცა მე ნიაგმა გამიტაცა, „არგიციელთა“ ქალაქში მოვხვდი, და „არგიციელთა“ ქალაქის საიდუმლოც მაშინ გავიგეო.

— მოგვიყევით, ლამაზო კაბაჭრელა, რაიმე ამ ქალაქის შესახებ
ებო, — შეევედრნენ ყვავილები.

— აღრე ამ ქალაქშიც, ისე როგორც „მძინარეთში“, კეთილი
ნების ადამიანები ცხოვრობდნენ. ისინი შრომობდნენ, ცდილობდ-
ნენ, რაც შეიძლება დიდი და ლამაზი სახლები ეშენებინათ. იმ-
ძალერა შურმა და ბოროტებამ, ადამიანებმა იწყეს საუკეთესო სა-
ხლების ნგრევა და მალე ნანგრევებად იქცა ქალაქი. ჯაღოქარმა
მთელი ქალაქი შემოიარა და მხოლოდ ერთადერთ კეთილ კაცს მი-
აგნო, იგი შეეძრწუნებინა ბოროტი ადამიანების ამნაირ ქცევას.
თუმცა მარტოდ დარჩენილს თვითონაც აღარ შეეძლო კეთილი
ქაქმის კეთება. ამიტომ შეევედრა ჯაღოქარს, როგორმე ამ საშინელ
ქალაქს მომავლად და სადმე შორს წამიყვანე, მეტის ატანა აღარ
შემიძლიათ.

მაშინ ჯაღოქარმა თქვა:

— რადგან ადამიანებში შურმა იმძალერა, მე სასტიკად დავსჯა
მათ — დღეღამად ვამუშავებ და არაფერსაც არ გავაკეთებინებო.
შრომობდნენ ისინიც და არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ. ასეთი
უაზრო შრომა დაუწესა მათ ჯაღოქარმა, კეთილი კაცი კი ლამაზ
ფრინველად აქცია და ასე მიმართა: — შენ კეთილი კაცი ხარ, ამი-
ტომ ამ შესილილთა ქალაქში შენი კაცად, ადამიანად დარჩენა სა-
ცოდლობაა. შევარდნად გაქცევ და ქალაქს უბატრონე. თუკი ქალაქ-
ში ვინმე უცხო, კეთილ ადამიანს გადააწყდე, სიკეთით მოექცეო.

სწორედ შევარდენმა იხსნა უფლისწული ამ უსაშინლესი ქა-
ლაქის სისასტიკისაგან.

თქვა მაშინ კაბაჭრელან.

ნაირფერი ია-იების ყვავილთა კონა კიდევ უფრო მოიხიბლა
ლამაზი უფლისწულის ხილვით.

და კიდევ ერთი ხავერდოვანი ყვავილი აჩურჩულდა კრძალ-
ვით:

— ამ ყმაწვილის სილამაზე ხომ ეჭვმიუტანელია, მაგრამ კეთი-
ლი რომ არ ყოფილიყო, ჯაღოქარი დასჯიდა, მისი სიკეთეც ეჭვმიუ-
ტანელია. „უკადრისაც“ ასეთ ყმაწვილ კაცს მოელის და იქნებ გა-
გვემხილა მისი ადგილსამყოფელი.

ყვავილებიც გამხიარულდნენ და ხმამაღლა აცისკისდნენ, თა-
ვიანთი წკრიალა ხმით რომ გამოელვძებინათ უფლისწული.

უფლისწულმაც, დარწმუნებულმა იმით, რომ „უკადრისას“
ყვავილების გული უკვე მოენადირებინა. თვალი გაახილა და ფეხზე
წამოდგა. ია-იები ეჭვის თვალით აღარ უყურებდნენ უკვე, მოსწო-
ნდათ კიდევ და „უკადრისას“ საღარ ყმაწვილად მიიჩნევდნენ.



ია-იებიც გამოუტყდნენ უფლისწულს, რომ უკადრისა ყვავილეთი
 თა მეგობარია, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ცისტვალა უყვარს,
 სწორედ ამ ყვავილებში აწვს საწოლი გაშლილი და ზეწრადაც ყა-
 ყაჩო უგიაო.

მივიდა ყნაწვილი ცისტვალა ყვავილთან, ფრთხილად გადასწია
 ნაზი ფოთლები და როცა „უკადრისას“ თვალისმომჭრელი სილამა-
 ზე იხილა, გული წაუვიდა.

მაშინ ია-იებმა პატარა ყვავილს „მკურნალას“ მოუხმეს.

უფლისწული მალე მოასულიერეს და ნიაფი აუშმდერეს.

რალა მიხვედრა უნდა იმას, რომ „ია-იების“ ქალაქში ქორწილს
 იხდიან.



მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი პოეტი ქალი დავარ გიგინეიშვილი. ქართველი მკითხველი მას იცნობდა, როგორც თავისთავადი ხელწერის პოეტს. მისი პოეტური კრებულები: „დედის დარიგება“, „პერმესის ღირა“, „გზაჯვარედინზე“, „ქარვის ქალაში“ არაერთხელ ყოფილა ქართველი მკითხველის ინტერესის საგანი.

პოეტის დაუშრეტელი ენერგია, ნიჭი და შემართება თავისებურ გამოხატულებას პოულობდა საზოგადოებასთან ურთიერთობაშიც. ჩვენი მწერალური ცხოვრების მრავალფეროვან შტრიხებს, პოეზიის საღამოებს დავარ გიგინეიშვილის პოეტური სიტყვა და ქალური სიბოძე აღამაზებდა.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი პოეტი, ოჯახის დედა, ქართული კულტურის მოამაგე და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ქალი, მის ნათელ ხსოვნას სათუთად შევინახავთ — მისი მეგობრები და თანამოქალაქეები.

დავარ გიგინეიშვილი

მ ო ნ ო ლ ო გ ი

სიკვდილის წყლების მისადგომებს გამოვეთხოვე,
გზად შემოყრილმა მიწის ლომმა ველარ ძაცდუნა
და დღემდე მომაქვს იდუმალი გზების ძიებით
პატიოსან თვალთა მძივები—

გონის ზესთა მემკვიდრეობა —
სამყაროს ცეცხლი.

რაკი ვიგემე ნაყოფი ტკბილი,
რაკი გავენდე საწუთროს სამხილს,
კაცის საწუხარს ფასი დაგადე,
სიფრთხილეს ვამხელ.

კარავი ფშანში ივსებოდა თმის სურნელებით,
ალიზის ქოხში ევას ხელებით მიცხვებოდა
მართლის პურები და შესაწირავს თხოულობდა

წვიმების ღმერთი.

აქ სარწყუნისი ნამქერს რომ ცრიდა,
წმინდა ჭა მცდიდა,
საკურთხეველზე სანდალოზის იწვოდა ფისი,
ილტვოდა მისკენ სანთლის პეპელა — ალალი
სული.

მე ფათერაკის ჭიდილში ვიწვი და
ნათლისღებით ვიწყე მოქცევა.
წყლულთა ტკვილზე გული ვახარე
და სიდიადის დიდგა ნათელი,
აღსდგა ლაზარე, — ენა ქართული,
რაკი ვიხილე ფერთა ციაგი
უფალს მივაგე: მე ამ სამყაროს
დიდი მთელი ვარ, ნათელს მივაგენ.
აქ ვერცხლისფერმა მთვარემ საღამო
თეთრი ანბორით დაასაჩუქრა
და სერობაზე გასცა იუდა.
მეც რომ გოლგოთას ამაღ ვერ ავსცდი
და უკვდავებაც დავისაყუთრე.

* * *

აეფესე თვალ-მარგალიტით
უბე, ჯიბე და ქისანი,
მზედა ვარ ქვეყნად მოსული,
ოშკი და როშკი კლდისანი,
წყვრიტ რო ცას ებჯინება
ჩემგან ნაგები ისანი,
შავმიწა ხავერდისანი...
ნაქნავი ხარის რქისანი
თვალთა ნაკვესი ალი ვარ,
კეალია ტაიჭისანი,
ხმობს იადონი მღერალი,
ვარდთა და ნარდთა ხიზანი,
წყაროზე, წყაროუკაზე
მქროლავი სული — მისანი
მზედა ვარ ქვეყნად მოსული
და ტრფობაც ზემი ხნის არი.

დაპკრა საათმა, შენ დაიღვარე,
აჰა, დღეშვა ქვევით ნაკადი,
სტულს გვიბურბდის, წყურვილს გვიკლავდის,
შენ ჩვენთვის თავით მარილს ნაყავდის,
წყარო ცხოველო, დედაო ჩემო!

ნმომ მაღალო, ყანის დაღანო,
წვიმებად მოხველ, ცვარიგით გაქრო,
დედაო ჩემო!
შენ მიგიბარა მიწამ იმისთვის,
გული გაულობო, აწოგო ძუძუ,
ხეო მყოფადის, ხეო ცნობადის,
საგალობელო და სალოცავო
დედაო ჩემო!

დღე განრიდების

ვერ შემოვარე დიდი ფრთების ქვეშ,
არც გზა მომეცი, გზაწვრალი ერთი,
ადგილი წმინდა, ტაძარი თეთრი
არ იქნა, აღარ გამინაწილე.
ვარდისფერ დღეთა კვალიც გათილე,
შიშისფერ ღამეს მაქციე ალხად,
მთვარის ყვავილთან ვეღარ ვათენებ,
მე ჩავიძირე, რაღა გქნა ახლა,
ხედავ, მზემ ჩემთვის იფალი დახუჭა
და მაცდურების გზაზე მავალი.
მე ჭირისუფლის მხურვალე ლოცვით
ვილოცებ შენზე, როგორც მრავალი.
ასე დაიწყო დღე განრიდების,
მიწვივ უფერულ დღეთა მარულით
და სიმარტოვის ბინდისფერ ზეიმს
ვატარებ მტრების სასიხარულოდ.

ჩამარტვლა ჟამმა კრილოსანი,
მონატრებია ქათიბი მინდორს,
აჰა, სესაგი, სავანე ჩემი,
წმინდათაწმინდა დაფარა ბინდმა.
ო, იისფერი სიზმრების ღმერთო,
მიტცეული მზის მოტცევა მინდა.



დავით სახუტაიშვილი

დროული, საპირო წიგნი

1993 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმი-ნიკო ბერძენიშვილის სახელობის, სამეცნიერო-კვლევითმა¹ ინსტიტუტმა 4 მეტად საყურადღებო მონოგრაფია გამოსცა. რა თქმა უნდა, ნორმალურ ვითარებაში ეს არც ისე ბევრია, მაგრამ დღეისათვის სამეცნიერო პროფილის 4 ნაშრომის გამოცემა, ჩემი აზრით, მეცნიერული გმირობის ტოლფასია. წიგნების გამოცემის ძირითადი ტვირთი, ბუნებრივია, ავტორების — ამირან კახიძის, შოთა მამულაძის, მარიხა გიორგაძისა და ნინო ინაიშვილის მხრებზე გადავიდა. რა თქმა უნდა, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, როგორც შეეძლო, მხარში ედგა ავტორებს და ეხმარებოდა მათ, მაგრამ, ვიმეორებ, ავტორთა თავდადება რომ არა, ეს მონოგრაფიები დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

დასახელებულ მონოგრაფიათაგან ჩვენი ყურადღების საგანია პროფესორ ამირან კახიძისა და დოცენტ შოთა მამულაძის წიგნი „აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები“. ბათუმი, 1993 წ.

აჭარისწყლის ხეობა, ხეობებით დასერილ საქართველოში, განსაკუთრებული მხარეა, რომელიც აკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ზემო ქართლს (სამცხეს). მას გასასვლელები აქვს აგრეთვე ქოროხის ხეობის გარკვეულ რეგიონებთან. მაგალითად, შავშეთთან და ამ გზით ძველი ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთთან. ქართველურ სამყაროში თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით აჭარისწყლის ხეობა რამდენადმე მოგვაგონებს მდინარე დევირმენეს ხეობას, რომელიც ზეგანის გადასასვლელით (ქსენოფონტე თუხის გადასასვლელს რომ უწოდებს). და ქალაქ გიუმუშხანეზე გავლით ტრაპეზუნტსა და ბაიბურტს, მამასაღამე, ჭანეთის ზღვისპირეთსა და სამხრეთ საქართველოს აკავშირებს.

ჩვენი მხარის მძიმე წარსულით უნდა აიხსნას, რომ აჭარისწყლის ხეობის რამდენადმე სისტემური არქეოლოგიური შესწავლა მხოლოდ ამ ოციადე წლის წინ დაიწყო. ნათქვამია, „ადგილის



კერძოდ აღვიშვავოთ მწვერალი დაიჭერსო“. ამ ხალხური სიბრძნის
გულმოდგინელობით, როცა ახალგაზრდა და ენერგიული შთა-
მამულად, აჭარისწყლის ხეობის მკვიდრი, ამ ხეობის არქეოლოგი-
ურ შესწავლაზე დავახლოვანეთ და მივახატეთ. იგი ენერგიულად
მოეცადა საქმეს და დაწერა მშვენიერი საღისერტაციო ნაშ-
რომი, რომელიც წარმატებით დაიცვა ამ რამდენიმე წლი-
წინ. ბატონი ანდრას კახიძე, როგორც გამოცდილი მეზაგი, თავი-
დანვე ჩაება ამ სამუშაოებში და მათ. ხეობის არქეოლოგიურ
კამპინზე ისეთი ხსული გაიტანეს, რომელიც უკვე იწყებს ნაყოფის
მოცემას. ფაქტობრივად ეს არის დიდი, უაღრესად მამულიშვილუ-
რი საქმის მხოლოდ დასაწყისი. იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეში მო-
მავალში არაერთი მკვლევარი ჩაებმება და სრულად წამოიჩნდება ამ
საოცარი მხარის წარსულის ყველა წახნაგი.

სანსჯაგროზე გამოტანილ წიგნში თავმოყრილია მთელი არქე-
ოლოგიური მისაღა, რაც კი დღემდე აჭარისწყლის ხეობაში ყოფი-
ლა მოპოვებული. ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ ვრცელია.
ახალი ქვის ხანიდან, ვიდრე ანტიკურ ხანამდე, ე. ი. 7-8 ათასი წე-
ლი. ბუნებრივია, მასალების პუბლიკაცია არ არის სრულყოფილი,
მაგრამ ეს ავტორების მიზნით როდია. საქმე იმაშია, რომ თაბახე-
ბის ასე მცირე მოცულობა სწორედ იმგვარი მიდგომის საშუალებ-
ას იძლეოდა, როგორც ეს ავტორებს აქვთ გაცემებული. ავტორები
კარგად იცნობენ საჭირო ლიტერატურას, კრიტიკულად აფასებენ
მას და წარმატებით იყენებენ კვლევაში. განსაკუთრებული მნიშვნე-
ლობისაა წიგნის ის თავი, რომელიც იწოდება: „წარმართული რე-
ლიგიის ნაშთები აჭარისწყლის ხეობიდან“ (გვ. 42-56). ფაქტობრი-
ვად ეს არის პირველი სიტყვა საქართველოს სამხრეთ მთიანეთში
წარმართული რელიგიის სარიტუალო ნაგებობების შესახებ. ჩვენი
დრმა რწმენით, საფუძველი ჩაეყარა სავსე-არქეოლოგიური გა-
მოკვლევების საინტერესო უბანს, რაც ავტორებმა მომავალშიც არ
უნდა დასტოვონ უყურადღებოდ და როცა ჩვენი ქვეყანა ფიქსი-
დადგება, გააგრძელონ დაწყებული საქმე. მიგვაჩნია, რომ აქ ავ-
ტორებს შეეძლოთ გაცილებით მეტი ეთქვათ, ვიდრე ამბობენ. მაგ-
რამ, როგორც ჩანს, ისინი განსაკუთრებული სიფრთხილით. მოეკი-
დნენ ამ საქმეს.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი ნაშრომი სამაგიდო წიგნი იქ-
ნება ყველა მკვლევარისათვის, ვანც საქართველოს ამ მეტად საინ-
ტერესო ხეობის ძველი ისტორიითა და არქეოლოგიით არის დაინ-
ტერესებული. მომზადებულია კარგი სასტარტო საყრდენი, რაც
ყოველად მისასალმებელი მოვლენია.

ახლა ცოტა რამ ნაშრომის ზოგიერთ ხარვეზზე, რომელიც
ერთი ნაწილი არსებითია, ხოლო დანარჩენი ბუნებრივია, გვერდ 6-
სიათისა:

1. ავტორების წარმოდგენით, კვამტას ანტიკური გამაგრებული
დასახელების „ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა კოლხეთის სამე-
ფოს სამხრეთი საზღვრების და საერთოდ აჭარისწყლის ხეობის ჩ.,
კეტვა“ (გვ. 6). ამასთან ავტორები მას „საფორტიფიკაციო ტიპის
ნამოსახლარს“ უწოდებენ. აქ რამდენიმე უზუსტობაა თავმოყრილი.
ჯერ ერთი, კოლხეთის ძველი სამეფოს სამხრეთი საზღვარი აჭარის-
წყლის ხეობაზე ან მახლობლად კი არ გადიოდა; არამედ გადიოდა
ბათ სამხრეთით. ყოველშემთხვევაში არტანუჯ-ართვინის მიდამოებზე
კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო ძვ. წ. VIII საუკუნის
შუაწანებში მაინც. მეორეც, არ არსებობს „არქეოლოგიური ტერ-
მინი“ საფორტიფიკაციო ტიპის ნამოსახლარი „მის მაგივრად ავტო-
რებს უნდა ესმარათ გამოთქმა“ გამაგრებული დასახლება, „გამა-
გრებული სამოსახლო“. ამასთან, „ნამოსახლარი“ კი არ იყო გამა-
გრებული, არამედ „დასახლება“, „სამოსახლო“.

უნდა ითქვას, რომ წიგნის ავტორის პირით არამარტო ქეშმა-
რიტება უნდა აღიქვამდეს, არამედ მკითხველიც სწორ აზროვნე-
ბაც ერჩევრდეს.

2. ავტორების აზრით „აჭარისწყლის ხეობა შუა და გვიანბრინ-
ჯაოს ხანაში დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის ერთ-
ერთი თვალსაჩინო კერა, საწარმოო ცენტრი, პირველი ქართული
სახელმწიფოებრიობის თანაშემოქმედია“ (გვ. 5).

„პირადად მე ვერ ვხედავ საფუძველს ასეთი განცხადებისათ-
ვის. წარმოების რაიმე კვალი ამ ხეობაში ჯერჯერობით აღმოჩენილი
არ არის, ხოლო სადაც კი ხელისნური ნაწარმი გვხვდება, ყველგან
წარმოების არსებობას ვერ დავუშვებთ. გარდა ამისა, აჭარისწყლის
ხეობა მთიან რეგიონია, ხოლო მთა სოციალურა განვითარების
დონით ყველგან და ყოველთვის ჩამორჩება ბასს. ამდენად, რამდენ-
ადამე გადაჭარბებულად გვეჩვენება ავტორთა განცხადება, რომ
„აჭარისწყლის ხეობა... პირველი ქართული სახელმწიფოებრიობის
თანაშემოქმედია“ (გვ. 5). ეს უბრალოდ ლამაზი ფრაზაა, რომელიც
რაიმე რეალურს არ ეფუძნება. ასევე გაუგებარია გამოთქმა „შუა-
ბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურა“.
შუაბრინჯაოს ხანაში ჩვენ არაფერი ვიცით აღმოსავლურ-ქართულ
კულტურაზეც. შუაბრინჯაოს ხანისათვის ჩვენ რეალურად გვაქვს
მონაცემები თრიალეთურ კულტურაზე, ხოლო ძველი ამიერკავკა-
სიის სხვა რეგიონებზე ისეთი მონაცემები, რომ რაღაც კულტურულ



თავისთავადობაზე ან კულტურულ ერთობაზე ვისაუბროთ, არ გვაქნია.

3. არ არის დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ბრინჯაოს ფულებს „უკვე დაკარგულ აქვს სამეტრნეო დანიშნულება: შემორჩენილია სარიტუალო-საკულტო ფუნქცია“. ეს მოსაზრება თავის დროზე ით. ლორთქიფანიძემ გამოთქვა (ძველი კოლხეთი, 1972 წ. გვ. 19), მაგრამ მისი დასაბუთება არ უცდია. ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ კოლხური ცულ, როგორც ინსიგნია და სარიტუალო საგანი, იმთავითვე გამოიყენებოდა, მაგრამ სამეტრნეო ფუნქცია მას არასოდეს მოშლია.

4. ნაშრომში აღწერილია ფუშრუჯატლის სამაროვანზე აღმოჩენილი ყურმილიანი დოჭი და გაკეთებულია დასკვნა, რომ „ყურმილიანი დოჭები ფართოდ ჩანს გავრცელებული დასავლეთ საქართველოსა და მის მოსაზღვრე რაიონებში წინანტიკურ, კლასიკურ და ადრეელინისტურ ხანაში“. (გვ. 39-40).

მოტანილ ციტატაში უადგილოდაა ნახმარი ტერმინი „წინანტიკური“, რადგან იგი საქმეში ჩაუხედავ კაცს უქმნის საცდურს იფიქროს, რომ ამგვარი ტურტლები გვხვდება, ვთქვათ, ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევარზე უადრეს, რაც ფაქტობრივად სწორი არ არის.

5. ასევე გაუგებარია ავტორების განცხადება, რომ „ხხალთის წყლის ხეობაში ახლად აღმოჩენილი მასალებით კიდევ უფრო გაფართოვდა კოლხური კულტურის გავრცელების სამხრეთი საზღვრები“ (გვ. 36).

ავტორებმა ხომ კარგად იციან, რომ როგორც ნიეთიერი კულტურის ძეგლები, ისე წერილობითი წყაროები კოლხური კულტურის გავრცელების არეალის სამხრეთ ზონას გაცილებით სამხრეთით მიუთითებენ, ვიდრე აჭარისწყლის ხეობაა. ამასთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორებს კოლხური კულტურა დასავლურ-ქართულ კულტურად მიაჩნიათ, რაც უახლესი ენობრივი გამოკვლევის შუქზე გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ კოლხური კულტურა შემოქმედი და „მებატრონეა“ ტომთა ზანურ-ქართული ერთობა, რომლის დასაწევრების საწყის საფეხურს გლოტოქრონოლოგები ძვ. წ. VIII საუკუნის შემდგომ ფიქრობენ, ზოგსაც იგი ახ. წ. პირველ საუკუნეებში გადმოაქვს, ყოველშემთხვევაში შეუაბრინჯაოს ხანის ძირითადი მონაკვეთი, ძვ. წ. XX საუკუნის შემდეგ და მოლიანად გვიანბრინჯაოს — ადრეკინის პერიოდი, ზანურ-ქართული ანუ კოლხური ენობრივი ერთობის ხანაა. გეოგრაფიულად ეს სამუშაო მოიცავს შიდა და ზემო ქართლს,



მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროსა და სხვა რომ, დადგა დრო საზოგადოებრიობა თანდათან შევარდითი ქართველთაგან მცენიერებათა უკანასკნელი მიღწევების თვალსაწიერს და მოვერიდოთ მოძველებულ სტერეოტიპებს. დროა საზოგადოებას ვუთხრათ, რომ ეწ. კოლხური ბრინჯაოს კულტურის შემოქმედი მხოლოდ ზანები ანუ მეგრულ-ჭანები კი არ იყვნენ, არამედ ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი მთელი ზანურ-ქართული სამყარო, ე. ი. როგორც ქართის მოდგმის, ისე ზანთა მოდგმის ტომები.

6. ქსენოფონტეს არ უთქვამს, რომ მოსინიკები სხეულის ტატუირებისას გამოსახულების კონტურების დატანისას ბეჭდებს (ტიფებს) იყენებდნენო (გვ. 73).

7. წიგნში დიდი რაოდენობით ვხვდებით უხერხულ, მოძველებულ ან სულაც მიუღებელ გამოთქმებს, ისეთებს, როგორიცაა: „წინა და მცირე აზია“ (გვ. 5), „მთიანი ზოლის აღმური მდებარეობა“ (გვ. 5), „იარაღ-კომპონენტი“ (გვ. 5), „... აქ აღმოჩენილი მასალები შენების წერტილებს პოვებს საკაცობრიო ცივილიზაციის უძველეს კერებთან“ (გვ. 13). „მიკრორაიონ ერგულისაკენ მიმავალი გზის ტრაქტორით გაფართოებისას“ (გვ. 18-19), „დასავლურ-ქართული კოლხური კულტურა“ (გვ. 30, 41, 81...), „ძაღვის ერთერთი მთავარი ადგილი ეჭირა ადგილობრივი მოსახლეობის იდეოლოგიაში“ (გვ. 35), „სემანტიკური მნიშვნელობა“ (გვ. 35), „წყვილყურაინი თიხის ჭურჭელი“ (გვ. 40), „ქვის ხანის მსგავსად აქაურ მკვიდრთ მჭიდრო კავშირები აქვთ აქარის ზღვისპირა და ჭოროხის აუზის უძველეს მოსახლეობებთან“ (გვ. 42), „ეკლესია სტრატეგიული თვალსაზრისით ისეთ მონერსებულ ადგილზეა აგებული, რომ მას ხაფორტიფიკაციო სახიგნალო ფუნქციის შესრულებაც შეეძლო“ (გვ. 43). „ქრისტიანობამ აკრძალა სამარხებში ინვენტარის ჩატანების რიტუალი, მაგრამ როგორც ქვემოთაც ვნახეთ (sic!), წარმართული რელიგიის ნაშთები (?) დიდხანს, დღემდე შემორჩა მაღალ მთიან აჭარაში“ (გვ. 44), „ტექნიკური უსაფრთხოების გამო (?) სხვებზე სამუშაოები აქ მაღე შეჩერებულ იქნა“ (გვ. 44), „საჭირო უფრო ფუნდამენტალური სამუშაოების წარმოება ბორცვის წვეროდან ქვის წყობა-ლოდების გამაგრება-შენარჩუნების გზით“ (გვ. 44), „ამის შემდეგ ძირითადი სამუშაოები გადავიტანეთ ბორცვის წვერის სამხრეთ ფერდზე“ (გვ. 44), „გამოყოფილი დოკალური “ჯგუფი“ (გვ. 46), „მდ. აჭარისწყლის სანაპიროდან“ (გვ. 58), „მდინარისაკენ წამოზრდილი ხერი“ (გვ. 59), „დანარეცნი ფენები უფრო შემოკავებული ჩანს ტერასის ჩრდილო და ჩრდილო-დასავ“



ლეთ მონაკვეთზე“ (გვ. 59), „ადმოსავლურ-ქართულ იბერიულ კულტურაში“ (გვ. 72), „მტკვარ-არაქსის, ანატოლიისა და წინააზიის უძველესი ცივილიზაციებთან“ (გვ. 81), „ფეოდალური ხანისათვის შექმნილი საფორტიფიკაციო ნაგებობების რთული სისტემით დაფარული მთელი ხეობა...“ (გვ. 83) და ა. შ.

8. ნაშრომს არ აბლავს აჭარისწყლის ხეობის ჰიდროსისტემის სქემატური რუკაც კი, არ გააჩნია სამიებლები, ავტორებს დავიწყებულია წიგნისთვის დაერთოთ შემოკლებათა ნუსხა.

9. სამწუხაროდ, მეტად უხარისხოა ფოტო-სურათების რეპროდუქციები. ამისი მიზეზები გასაგებია, მაგრამ დასაანანია, რომ ეს ასეა.

რა თქმა უნდა, თუ ამგვარი დასაანანი ხარვეზები არა, წიგნი გაცილებით უკეთეს სთაბეჭდილებას დატოვებდა, მაგრამ ეს ნაკლოვანებანი წვეთია იმ დიდ საქმესთან შედარებით, რაც ავტორებმა გააკეთეს.

სარეცენზიო წიგნი საფუძველი და საწყისია დიდი, უაღრესად ეროვნული საქმისა, ნიშანია იმისა, რომ უახლოეს მომავალში აჭარისწყლის ხეობა ქართულ ნივთიერ კულტურას ახალი მონაპოვრებით წიგნისთვის დაერთოთ შემოკლებათა ნუსხა.



დგას კაცი სახმსთან

უბატონოდ, ბედის ანაბარა დარჩენილი სოხუმი დაეცა. 1993 წლის 27 სექტემბერს ქვეყნის ქაოსსა და ტყვიების წვიმაში. უკანასკნელად მოგვეფერე ჩემი 35 წლის გაყვნილი საფლავს და საღამოს 5 საათზე ბათუმისაკენ ავიღეთ გზი. ოჩამჩირეს რომ ვუახლოვდებოდით, მტერმა ჭურვები დაგვიშინა, და, ვინ იცის, იქ უკრაინის სამშვიდობო მისიით რეიდზე მყოფი გემები რომ არა, რანაირი კირთება და აღსასრული გველოდა!

ვინ მოსთვლის, აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ რამდენი ძვირფასი სიცოცხლე შეიწირა, რამდენმა ადამიანმა დაკარგა შვილი, დედა, მამა, მეუღლე, და და ძმა, რამდენი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ქართველთა სისხლით მოირწყო აფხაზეთის მიწა. არავინ უწყის ვის საღ უმუთლოა ბედისწერამ: ბევრი მაღალმთიანი სვანეთის უფსკრულებში ჩაიჩეხა, ვინ სიცივისაგან გაითოშა, ვის კიდევ შიმშილითა და წყურვილით ამოხდა სული!

ხიზნად იქცა ასიათასობით ადამიანი. ხალხის შრომითა და ჯათით ნაგროვები დოვლათი გადამწვარ-გადანუგულია.

40 ათასზე მეტი ლტოლვილი მოაწყდა აჭარის ნაპირებს. როცა ამის თაობაზე ბატონ ასლან აბაშიძეს მოახსენეს, მას უთქვამს: ისინი ლტოლვილები კი არა, ჩვენებურები არიან, ჩვენი სისხლის-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი, და ჩვენც ვალდებული ვართ ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ მათ, სიბოძო, სიყვარული, თანაგრძნობა და თანადგომა შევაგებოთ მათი ტანჯული სულის მეოხადო. უთქვამს ასე ბატონ ასლან აბაშიძეს და ელვის სისწრაფით დარჩეულა მთელს აჭარაში ეს გულისმიმტაცი სიტყვები ათას გოლგოთაგანოვლილ ადამიანთა ნუგეშად და იმედად.

დაუფიწყარია ის გულისხმიერება, რაც ჩემდამი გამოიჩინეს აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა შოთა ფუტყარაძემ და ამ ინსტიტუტის პრორექტორმა დოცენტმა იური ბიბილეიშვილმა, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანმა ედუარდ ფუტყარაძემ დე. სხვებმა. მათ, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური დახმარება აღმოძიჩინეს და კათედრის გამგეობა შემომათავაზეს.

მართალია, თავის გატანა არც ისე იოლია, მაგრამ კედლობ, როგორც შემძლია, ამაგი დაგუფასო ინსტიტუტის შე-

სანიშნავ კოლექტივს და ყველაფერ შესაძლებელს ვაკეთებ იმისათვის, რათა ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოგახმარო ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეს.

აქვე ვიტყვი, რომ ბერი რამ მაკავშირებს აჭარასთან... აქ, ჩვენი ცხოვრების მშვიდობიან წლებში, არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა გასვლული სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, რამაც შესაძლებლობა მომცა ახლოს გაეცნობოდი აჭარის შესახებ სხვადასხვა ინტელიგენციას, აქაურ კოლეგებთან ერთად განეჭვრიტა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე სამეცნიერო მუშაობის სამომავლო პერსპექტივები და მიზანდასახულობანი. თვით ჩემი საკანდიდატო დისერტაცია მიეძღვნა აფხაზეთისა და აჭარის საზოგადოებრივ მეურნეობებში მეცოტრუსების განვითარების საკითხებს.

აჭარაში, საქართველოს ამ ერთადერთ რეგიონში, მშვიდობა სუფევს ახლა. ძნელია სიტყვებით გამოხატო ის დიდი შემართება, რასაც აჭარაში იჩენენ მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამ მხრივ განსაკუთრებულ აღნიშვნის ღირსია ის შრომატევადი მოღვაწეობა, რაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის საბელთანაა დაკავშირებული. აჭარამ დააბინავა და დააპურა ათასობით ადამიანი. მიესათუთა და მიეფერა გამწარებულ, გულდაკდილ ლტოლვილთ. რომელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი ბევრზე ეჭიდა მთელმა საქართველომ იცის ბატონ ასლან აბაშიძის პოზიცია და პოლიტიკური კურსი — დიალოგის გზით მოწესრიგებულიყო კონფლიქტური სიტუაციები. აბა, ამაზე დიდი მამაცობა და სულგრძელობა რაღა უნდა იყოს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი თავის დროზე მზად გახლდათ მშათაპყვლელი ვითარების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების მიზნით აფხაზეთში მიეგზავნა გაეგზავნა თავისი ოჯახი... ამის ვაკეთება მხოლოდ იმ მამულაშვილს შეუძლია, ვისაც გენებში მოყვასის სიყვარული უღვივის, მაღალი ზნეობა, ვაჟკაცობა და დიდბუნებოვნება დაჰბედებია არსთა განმორიგისაგან.

მადლობა დმერთს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თავგანწირული ძალისხმევით შედეგად ვერ განხორციელდა ზოგ-ზოგთა მალაქშეღონელთა ავნი ზრახვანი, ქაოსი, რიარია და არეუდარევა, აჭარაშიც შემოეტანათ.

ბატონი ასლანი იმთავითვე წინააღმდეგი იყო აფხაზეთში ქართული ჯარის შესვლისა. ცხოვრებამ დაადასტურა კიდევ, აჭარის თავკაცის წინასწარმეტყველური განჭვრეტა იმ ავბედიითი მოვლენებისა, რომელთა უგულვებელყოფამ, როგორც მოსალოდნელი



იყო, თავდაყირა დააყენა აფხაზეთში მანამდე არსებული მდგომარეობა და რამაც ასე რიგად შესძრა ყველა სალად მოაზროვნე ადამიანის სული და გული. ხომ სავსებით ხათვლია ახლა — რამდენ ტკივილს, სისხლსა და ცრემლს აიციდნდა ქართველი ხალხი, მის თვითკილურ მესვეურთ ყურად რომ ედოთ ბატონ ასლან აბაშიძის იმჟამინდელი შორსგამიზნული გაფრთხილება, მაგრამ ვაი, რომ ეს ასე არ მოხდა! —

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ბედოვლათობას არც აქ დავსვია წერტილი, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჩვენს საწუხარს კვლავ და კვლავ ემატება საწუხარი და სავალალო. აი, თუნდაც ის ფაქტი, რომ აჭარაში დაბინავებული ლტოლვილები ის ბედით ორი წლის მანძილზე ერთხელაც არ დაინტერესებულან აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც ამჟამად თბილისში იმყოფებიან. ისინი არცთუ იშვიათად ჩამოდიან აჭარაში, მაგრამ უკანვე ბრუნდებიან ისე, რომ ლტოლვილებს თვალითაც არ ენახვებიან. საკითხავია: რატომ? რისი ეშინიათ? რას ან ვის გაუბრძანა?

კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ არც თუ იშვიათად თბილისიდან გვესმის ხმა: აფხაზეთის გასაღები მოსკოვში დევსო. მერედა, რატომ დევს მოსკოვში აფხაზეთის (იგივე საქართველოს) გასაღები, ანუ რატომ წყდება აფხაზეთის (იგივე საქართველოს) ბედი მოსკოვში და არა თბილისში? რა უნდა ჩვენს გასაღებს (ჩვენს ბედს) ფცხო ქვეყანაში? რატომ არ გვეყუდების თავი ჩვენი ჩვენი ადგილი?

განკიცხვის ღირსნი არიან საქართველოს პარლამენტის ის წევრები, რომლებიც ქარში მოფარფატე ფოთლებივით დრო-ჟამის ნება-სურვილზე თამაშობენ და აქეთ-იქით ირხევიან უნებისყოფოდ.

ყველას კარგად გვახსოვს როგორ ეგებოდა ფხჩქევმ დღევანდელი პარლამენტის ზოგიერთი წარმომადგენელი საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას, დღეს კი, საქართველოს ახლანდელი მესვეურების მებრტბისა და განმადიდებლის როლში გვევლინებიან. მაგრამ ვითარების შეცვლისთანავე მსწრაფლ შეიცვლიან თავიანთ აზრს და ჩონგურის სიმებს დღევანდელ ნოტებზე ააწყობენ.

საქართველოს ისტორიაში ასე თუ ისე ჩაბედულმა ყოველმა ადამიანმა იცის, რომ სწორედ მერყევი, უპრინციპო, ორპირი ადამიანები უთხრიდნენ ძარს ქვეყნის მთლიანობასა და ძლიერებას, ანაწევრებდნენ, აქუცმაცებდნენ და ანადგურებდნენ მშობლიურ მიწაწყალს და ბოლოს მტერს ხაჩაში უფდებდნენ საძიმნად და საჯიგნად.

მოუხედავად ამისა, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში განაგრძნული
ულმა უაზრო ომებმა მტკიცუნეულად იმოქმედეს აჭარის ეკონომიკა-
ზეც, მაინც მთელი ამ ხნის განმავლობაში საკმაო სოლიდური
წარმატებებია მოპოვებული. გარკვეული წინსვლა შეიმჩნევა მრეწ-
ველობაში, სოფლის მეურნეობაში, არაერთგზის აღინიშნა ამჟამად
აჭარაში გაშლილი ფართომასშტაბიანი, მშენებლობების შესახებ
და ჩვენც სიტყვას აღარ ვაგრძელებთ. ხოლო სრულიად საქართ-
ველოში ატყეული მტკიცუნეული მოვლენების ფონზე, რაც უფრო
მეტად ომებითა და ნგრევით გამოიხატებოდა, აჭარაში გაშლილი
კულტურული აღორძინების პროცესები ყოველი დროისათვის გან-
საკუთრებული აღნიშვნისა და შეფასების ღირსია. გადაჭარბებულ-
ად სურავინ ჩაგვითვლის და უკანასკნელი რამდენიმე წელია აქ
აყვავებული კულტურული ცხოვრების ფართო მასშტაბებში ბათუ-
მი ქართული კულტურის ფორცენტრადაც გადაიქცია. სულ ხუ-
თიოდე წლის განმავლობაში იმდენი რამ გაკეთდა, რაც ათწლეულ-
ების მანძილზე არ გაკეთებულა. დაარსდა ოპერის თეატრი და დი-
დგა სამი ოპერა „აბესალომ და ეთერი“, „ლელა“, და ჯუზეპე ვერ-
დის „აიდა“. დაარსდა არქეოლოგიის, გონიო-აფსაროის მუზეუმები.
სამხატვრო გალერეა, გამოდის ყურნალი „მარჯნ“. გაიხსნა ასპირან-
ტურა, დაარსდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუ-
მის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, დაარსდა ხელოვნების ინს-
ტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნი-
ერო ცენტრი, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სოფლის მეურ-
ნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონალურ ცენტრს,
გაიხსნა კინოსტუდია „აჭარა“. ქართული კინო-აკადემიის ბათუმის
ფილიალი, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ბათუმის სასულიერო
სემინარია, აშენდა საერთაშორისო დონის ჩოგბურთის კორტები,
დაარსდა სააგენტო „აჭარა“ და სხვა მრავალი, რომელთა სრული
ჩამოთვლა შორს წაყვევანდა. ყოველივე წემოთ ჩამოთვლილის
საქმეთა დავიარგვიანებაში საკუთარი გული, ჯაფა და ენერგია ჩააქ-
სოვია თვითონ ბატონმა ასლან აბაშიძემ. იგია ქართული კულტურის
აყვავების, ყოველი ქართული საგნის მედროზე საქართველოს ამ
კომპანია კუთხეში.

ერთ-ერთ ინტერვიუში კორესპონდენტის შეკითხვაზე —
„თქვენ რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომე-
რე იყოთ, რით დაიწყებდით საქართველოს ეკონომიკის აღორძინებ-
ას. შეიარაღებული ძალების შექმნას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს
პრობლემების მოგვარებას?“ — ბატონმა ასლანმა უპასუხა: „ჩემს
პოზიციაზე — მთავრობის თავმჯდომარის პოსტის დაკავებასთან



დაკავშირებით ბევრჯერ დაიწერა. იგი კვლავაც ურყევად მიდგას
დგან მე დღეს საქართველოს აქ, აჭარაში ვჭირდები უფრო, ვიდრე
სხვაგან“.

და ჩვენც გვჯერა, რომ მშვენიერი აჭარული გემის გამოცდი-
ლი, ათას ბრძოლაში გამობრძმედილი კაპიტანი — ბატონი ასლა-
ნი, მართლაც იმ საჭესთან დგას, რომლის წარმატებით მართვა
გაშლილ ზღვაში ამყამად მხოლოდ მას ერთს ხელეწიფება, მაგრამ,
რა სათქმელია, აჭარელი აჭარაზე რომ ფიქრობს, თვალწინ სრული-
ად საქართველო უდგას — მთლიანი, ძლიერი, მდიდარი, და ცივი-
ლიზებული.

ოთარ ციკულია,

აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტის წარმოების
ორგანიზაციისა და მართვის კაბინეტის გამგე,
ეკონომიკურ შეცნიერებათა კანდიდატი.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები აჭარაში

სოფლის მეურნეობის საზოგადოებათა და მასთან დაკავშირებული დაწესებულებების შექმნა განპირობებული იყო სასაქონლო-ფეოდალი და კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარებით. რუსეთის იმპერიაში ამ სახის საზოგადოება-დაწესებულებანი სათავეს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იღებს. 1765 წელს საფუძველი ჩაეყარა რუსეთის თავისუფალ ეკონომიკურ საზოგადოებას. იგი იმპერიაში სოფლის მეურნეობის პირველი საზოგადოება გახლდათ. 1796 წელს ესტონეთში შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეორე საზოგადოება (ლიფლანდიის საერთო სარგებლობის საზოგადოება ილრიევში).¹

სოფლის მეურნეობის საზოგადოებები მეწარმეებისა და სპეციალისტების პირადი ენთუზიაზმის შედეგად იქმნებოდა. ასეთი წამოწყებანი რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა, რადგან მთლიანად უბასუხებდა ცარაზმის კოლონიური პოლიტიკის მოთხოვნას: აჩქარებდა იმპერიის განაპირა მხარეების სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ათვისებას. 1851 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაც ჩამოყალიბდა. ბატონყმობის გადავარდნამდე რუსეთის იმპერიაში სოფლის მეურნეობის 21 საზოგადოება შეიქმნა.

საგლეხო რეფორმის შემდეგ სოფლის მეურნეობის საზოგადოებებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბება დაჩქარდა. ცხადია, ეს გამოწვეული იყო კაპიტალისტური და სასაქონლო-ფეოდალი წარმოების განვითარების დაჩქარებით.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში უკვე ამ სახის 93 ორგანიზაცია ითვლებოდა. კადრე უფრო გაიზარდა მათი რიცხვი 900-იან წლებში და 1908 წლის დასაწყისში 1233-დე მიაღწია.²

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაარსებისათვის პირობები აჭარაშიც მომწიფდა. აქ 100-ზე მეტ უცხოელ მოხალისეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კაპიტალისტური ტიპის მეურნეობები ჰქონდა. საკმაო მოგებასაც იღებდნენ და მომავლის დიდი პერსპექტივებიც ესახებოდათ.

რუსეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იყო. მე-18 საუკუნიდან მოყოლებული ამ



საქონლის იმპორტი წლითწლით იზრდებოდა (მე-18 საუკუნის ბოლოს 20 ათასი ფუტიდან 1908 წელს 5.320 ათას ფუტამდე) (264-ჯერ გაიზარდა). ამ მხრივ ერთ სულზე მოხმარების მაჩვენებლით რუსეთი მსოფლიოში მხოლოდ ინგლისს ჩამორჩებოდა. რუსეთში ასევე დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ციტრუსები.³

ყოველივე ამან გამოიწვია კერძო ბაზნისმენებისა და მთავრობის დანტერქება საკუთარი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში ისინი ხედავენ მეურნეობის ამ ახალი დარგების განვითარების მთავარ ცენტრს. მოახალშენე მეწარმეებმა რუსეთის მთავრობის წინაშე საკმაოდ არგუმენტირებული წინადადება შეიტანეს ბათუმის ოლქში სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაარსების შესახებ.

მოახალშენე მეწარმეთა და ენთუზიასტთა ამ წამოწყებას რუსეთის მთავრობის კავკასიის სამხარეო ადმინისტრაცია დადებითად გამოეხმაურა, კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა სიამოვნებით დათანხმდა ყოფილიყო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე, 1908 წლის ივლისში ამ ახალი ორგანიზაციის პრეზენტაციაც მოხდა: დაფუძნდა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება. საზოგადოების დამფუძნებელ 143 წევრს შორის იხსენიება მხოლოდ ერთი აჭარელი — ჯემალ მერიფის ძე სიმშიაშვილი.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ ოლქის სამხედრო გუბერნატორი რომანოვსკი — რომანენკო აირჩიეს. იგი აღნიშნულ საზოგადოებას 1917 წლამდე ხელმძღვანელობდა.⁴ საზოგადოება მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში შედიოდა და მის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. 1908 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გამოუშვა თავისი ყოველთვიური ორგანო „ბატუმსკი ხელსკი ხოზიანი“-ი. 4 წლის შემდეგ ჟურნალს სახელწოდება შეეცვალა, იწოდა „რუსსკი სუბტროპიკი“, რომელიც 1917 წლის ბოლომდე გამოდიოდა.

საზოგადოების შექმნის მიზანს შეადგენდა საქართველოში, კერძოდ, აჭარაში უწინარესად ჩაის, ციტრუსის, ბამბუკისა და სხვა კულტურათა დანქარებული განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, წარმოების რაციონალურად მოწყობა. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, მისი ქვედანაყოფების საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირებული იყო. ყველა მათგანი საკუთარი წესდების ფარგლებში მოქმედებდა. ბათუმის სოფლის მეურნეობის

საზოგადოების სტრუქტურას, მიზანს, შემადგენლობას, საქმიანობას, მის მიმართულებას, წევრების უფლება-მოვალეობას, მართვა-გამგეობის ფორმებს წესდება არეგულირებდა.

პირველი წესდება 1908 წელსაა მიღებული, რომლის თანახმად ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება შედგებოდა საპატიო წევრების, ნამდვილი წევრების, თანამშრომლებისა და კორესპონდენტებისაგან. საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევის უფლება იმას ჰქონდა, ვინც რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყო და ბათუმის ოლქში სოფლის მეურნეობას მისდევდა. საზოგადოებაში შედიოდნენ აგრეთვე იურიდიული წევრები (დაწესებულებები და ამხანაგობები).⁵

საზოგადოების მართვა-გამგეობის ფორმებს შეადგენდა საერთო კრება, საბჭო, გამგეობა და სარეგისტრო კომისია. საერთო კრება საზოგადოების უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა, რომელსაც წევლიწადნი ერთხელ იწვევდნენ. იგი იხილავდა და წყვეტდა მთავარ საკითხებს, კერძოდ, წესდებაში ცვლილებების შეტანას, საზოგადოების ახალი განყოფილებების გახსნას, დახურვას, უძრავი ქონების შეძენა-გასხვისებას, ახალი წევრების მიღებას, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევას, საზოგადოების მთელ ორგანიზაციულ საქმიანობას საბჭო და გამგეობა განაგებდა საბჭო სამი წლით ირჩეოდა ფარული კენჭისყრით.⁶

საზოგადოებაში მოახალშენე მეწარმეებთან ერთად სოფლის მეურნეობის კვალიფიკაციური სპეციალისტებიც გაერთიანდნენ. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მაღალი კლასის აგრონომებმა ს. ანისიმოვმა, ა. ვასილევსკიმ, ფ. პენკოვმა, გ. გამახარაშვილმა, ნ. ნოროკინმა, ი. ჩხაიძემ, ფ. უშაკოვმა, გამოჩენილმა მეცნიერებმა ნ. კრასნოვმა, ე. პავლოვმა, ა. გოევიკოვმა, ი. პალიბინმა, მიწათმოქმედების დეპარტამენტისა და საუფლისწულო უწყების ინსპექტორებმა ნ. ტიმოფეევმა და ი. კლინგენმა, სპეციალისტების ეს ჯგუფი დიდი ინტელექტუალური ძალა იყო და საკმაოდ გამოცდილებაც ჰქონდა.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება მოკლე დროში ავტორიტეტული გაერთიანება გახდა. 1915 წლის დისაწყისში აღნიშნული საზოგადოება 216 კაცს აერთიანებდა. საპატიო თავმჯდომარის თანამდებობა დაარსებიდან მოყოლებული კვლავ კავკასიის მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს ეკავა. საგულისხმოა, რომ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საპატიო წევრი იყო სენატორი ე. ბატიცი, ქართველთაგან საზოგადოების წევრად 13 კაცი ირიცხებოდა, საზოგადოების წევრთა უმრავლესობა რუსებ-

იყვნენ, სომხები და ბერძნებიც აქტიურობდნენ. აღსანიშნავია, რომ 1911 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების შემადგენლობაში ათი სომეხი შედიოდა, აჭარიდან საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობდნენ რ. ნიყარაძე, ფ. აბაშიძე, დ. ქიქავა, შ. ჯიჯავაძე, ჯ. ხიმშიაშვილი.

აჭარისადმი რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესი ძლიერდებოდა, ამიტომ რუსეთის მთავრობის მაღალი ჩინის მოხელეები, თვალსაჩინო მეცნიერები აჭარაში სისტემატურად ჩამოდიოდნენ. ეცნობოდნენ მეურნეობის ახალ დარგებს, იძლეოდნენ რჩევა-დარიგებებს. მაგალითად, 1911 წელს ბათუმში ჩამოსული იყო პროფესორი ა. ვოევოკოვი, 1913 წელს პროფესორი ი. პავლოვი. ისინი მონაწილეობდნენ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს სხდომის მუშაობაში. 1912 წელს აჭარას ეწვია მიწათმოქმედების დეპარტამენტის დირექტორი დ. სლობოდჩიკოვი.

ასეთი დაინტერესება როგორც რუსეთის მთავრობისა, ისე, უცხოელი მეწარმეებისა, იმით იყო გამოწვეული, რომ ბათუმის ოლქი რუსეთის იმპერიაში ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სამრეწველო კულტურების განვითარების მთავარი ბაზა გახდა. ამასთან ისახებოდა ახალი პერსპექტივები დასავლეთ საქართველოში აღნიშნული კულტურების ფართო მასშტაბით განვითარებისათვის, ამ ამოცანის გადაწყვეტაში მთავარ როლს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას აკისრებდნენ.

საზოგადოებას თავის გარშემო უნდა შემოეკრიბა ინტელექტუალური ძალები: მეცნიერები, პრაქტიკოსი აგრონომები, აგრეთვე ბიზნესმენები, რათა საერთო ძალისხმევით ფართო ასპარეზო მომზადებულიყო სამხერთული კულტურების (ჩაის, ციტრუსების, ბამბუკის და სხვათა) განვითარებისათვის. საზოგადოების საქმიანობაში მთავარი იყო სოფლის მეურნეობის შესახებ მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა, ახალი კულტურების გაშენების, მოვლა-პატრონობის, სამრეწველო გადამუშავების წესების პრაქტიკაში დანერგვა.

მართალია, საზოგადოების მთავარი საზრუნავი სუბტროპიკული კულტურები იყო, მაგრამ იგი ამასთან ოლქის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებითაც იყო დაინტერესებული, ამიტომ 1909 წელს საზოგადოებასთან 14 სექცია შეიქმნა, ხოლო მათი რაციონალური გაძღოლის მიზნით ცალკე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მეცნარეთა მავნებლებთან ბრძოლისა და სასუქების, მეურნეობათა მიმოხილვის, საადგილმამულო ურთიერთობის, იურიდიული, ეკონომიკური, საკუთრորტო, საკომისიო სექცია.⁸



ითივეულ სექციას მუშაობის საკუთარი პროგრამა ჰქონდა, რომელსაც საზოგადოების საერთო კრება ამტკიცებდა. მაგალითად, ჭვირფასი სამრეწველო მცენარეების სექციის პროგრამა ითვალისწინებდა ამ კულტურების განვითარების მსოფლიო პრაქტიკის შესწავლას, მოწინავე გამოცდილების გადმოღებას და ადგილობრივ პირობებში დაწერგვას, ახალი ჯიშების გამოვლენას, გამოყვანას და მასობრივად გავრცელებას. სექცია აგრეთვე იზრუნებდა აღნიშნული მოსავლის სამრეწველო გადამუშავების პროგრესული წესებისა და მეთოდების პრაქტიკაში დაწერგვისათვის და სხვა.⁹

გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბათუმის ოლქში და მთლიანად საქართველოში სუბტროპიკული კულტურებიდან ყველაზე უფრო პერსპექტიულია ჩაი და ციტრუსები. ამიტომ 1911 წელს ცალკე ჩამოაყალიბეს ჩაისა და ციტრუსების სექცია და მისი საქმიანობის პროგრამა დაამტკიცეს.¹⁰

საზოგადოებასთან შეიქმნა სასაწყობო და სანერგე მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი და კლუბი, მეტეოროლოგიური სადგურები, ბიბლიოთეკა, საკრედიტო ამხანაგობა, ბოტანიკური ბაღი და სხვა. ყველა ამ ჭეგდანაყოფების მუშაობა მიმდინარეობდა სპეციალური პროგრამებისა და კონსტრუქციების მიხედვით.

ადგილობრივ განყოფილებებს დიდი უფლებები ენიჭებოდათ. მათ თავიანთი მოქმედებების რეგიონში უნდა უზრუნველყვით საზოგადოების მიერ დასახული პროგრამის განხორციელება. უწინარესად ადგილობრივი განყოფილებების მოვალეობა იყო მოსახლეობაში ცოდნის შეტანა და პრაქტიკული დახმარების გაწევა.¹¹ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების გახსნა მხოლოდ ართვინსა და არტანუჯში მოხერხდა (1914 წელს).

ადგილობრივი კლიმატური პირობების შესწავლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. 90-იანი წლების ბოლოს ჩაქვის ხეობაში სამი მეტეოროლოგიური სადგური მოეწყო. (ჩაქვში, ხალასა და სახალვაშოში). მოგვიანებით ახალი მეტეოროლოგიური სადგურები გაიხსნა სარტში, მწვანე კონცხზე, ქობულეთსა და ქედაში, ამის შემდეგ ადგილობრივი კლიმატური პირობების შესწავლა უფრო ინტენსიურად დაიწყო. საზოგადოებასთან საკრედიტო ამხანაგობაც ჩამოაყალიბდა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებდა. კრედიტებს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას აძლევდა თბილისის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკიც. ყველა ეს კაპიტალი ჩადებული იყო მხარის კოლონიური ათვისებისათვის.

საზოგადოების საქმიანობაში პრიორიტეტული ადგილი დაიკავა სუბტროპიკული კულტურების შესახებ მეცნიერული ცოდნის



პროპაგანდამ, საზოგადოების ჟურნალი („ბატუმსკი სიზიანი“—ი 1912 წლიდან „რუსსკიე სუბტროპიკი“) მრავალმხრივ საინტერესო მასალებს ბეჭდავდა სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული გადასამუშავებელი მრეწველობის, საადგილმამულო ურთიერთობისა და სხვათა შესახებ.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა გაიშალა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, რომელიც 1912 წელს დაარსდა. ამ დროისათვის მსოფლიოში ტენიანი სუბტროპიკული კულტურების ხუთი ბაღი არსებობდა, (ცეილონზე, სინგაპურში, იავაზე, კალკუტაში, ჰიმალაიში). ბათუმის ბოტანიკური ბაღი განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. იგი მსოფლიოს ყველა კონტინენტის მცენარეულობას მოიცავდა. ბაღის დაარსების ინიციატივა თვალსაჩინო მეცნიერს ანდრეი ნეკოლოზის ძე კრასნოვს ეკუთვნის. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის გეგეყნის სუბტროპიკულ მცენარეულობას სწავლობდა. შეძენილი ცოდნა და გამოცდილება განაზოგადა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში.¹²

1909 წელს მან პეტერბურგში მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის უწყების წინაშე საკითხი დააყენა და სათანადოდ არგუმენტირებული პროექტიც წარადგინა აჭარაში ბოტანიკური ბაღის დაარსების შესახებ. მისი აზრით ეს ბაღი არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელ ევროპაში ტენიანი სუბტროპიკული კულტურების პირველი სამეცნიერო საცდელი და საგანმანათლებლო-საჩვენებელი დაწესებულება გახდებოდა.¹³ ბოტანიკური ბაღის დაარსებით დაინტერესებული იყო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაც.

1911 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ თავისი რწმუნებული ი. ვერუ პეტერბურგში მიაგლინა ბოტანიკური ბაღისა და საცდელი სადგურის დაარსების თაობაზე. ი. ვერუ ხარკოვში ა. კრასნოვს შეხვდა, მისგან რჩევა-დარიგებანი მიიღო, შემდეგ კი პეტერბურგს ეწვია. რუსეთის მთავრობა დაინტერესებით გამოეხმაურა აჭარაში ბოტანიკური ბაღის შექმნის წინადადებას. მთავრობის დადგენილებით ბაღის დაარსებისათვის სპეციალურა კომისია შეიქმნა, რომელშიც შევიდნენ პროფესორი ა. კრასნოვი, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ა. როლოვი, მიწათმოქმედების დეპარტამენტის წარმომადგენელი აგრონომი ს. ტიმოფევი, ამავე უწყების საცდელი დაწესებულების უფროსი ბ. ვიტკური.¹⁴

იმავე წლის ნოემბერში მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ბათუმში სპეციალური თათბირი გამართა, სადაც კიდევ ერთხელ

დადასტურდა ბოტანიკური ბაღის, საცდელი სადგურისა და პონტაგის ფლორის განყოფილების დაარსების აუცილებლობა. ბაღისა და პონტაგის საჭირო ნაკვეთიც შეარჩიეს ზღვის სანაპიროზე ჩაქვსა და მახინჯაურს შორის.¹⁵ აღნიშნული მიწის ნაკვეთი საუფლისწულო უწყებას ეკუთვნოდა, ნიკოლოზ მეორის 1912 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით ჩაქვის საუფლისწულო მამულის 65 დესეტინა მიწა ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოწყობისათვის სახელმწიფო ხაზინას გადაეცა, სამაგიეროდ, საუფლისწულო უწყება სახელმწიფო ხაზინისაგან მიიღებდა შესაბამის მიწის ნაკვეთს ბათუმის ოლქში თუ რუსეთში, ანდა 100 ათას მანეთს.¹⁶

ბათუმის ბოტანიკური ბაღის პირველი დირექტორი ა. კრასნოვი იყო, რომელიც ამ თანამდებობაზე სიკვდილამდე (1914 წლის 19 დეკემბერი) მუშაობდა. იგი ამავე დროს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც ასრულებდა. 1915 წლიდან ბოტანიკური ბაღის დირექტორად ასევე თვალსაჩინო მეცნიერი ი. ბალიბაიშვილი დაინიშნა. იგი 1917-1920 წლებში ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასაც თავმჯდომარეობდა.

ა. კრასნოვის განსაზღვრით, ბათუმის ბოტანიკური ბაღის წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა: პირველი, წმინდა მეცნიერული, მეორე — პრაქტიკული. მეცნიერული ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის საზოგადოებისათვის გაეცნო ტენიანი სუბტროპიკული ქვეყნების მცენარეულობა, ნათესაური კავშირი აქარის ზღვისპირეთის კლიმატთან. პრაქტიკული ამოცანა უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან იგი ითვალისწინებდა ადგილზე სუბტროპიკული კულტურების ახალი ჯიშების გამოზრდას, მათი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას.¹⁷

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ბოტანიკური ბაღი მიზანმიმართულ საინტერესო მუშაობას ეწეოდა. აქ უკვე 1913 წლისათვის სუბტროპიკული ქვეყნების მცენარეულობის ექვსი განყოფილება ფუნქციონირებდა: ამერიკის, აზიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ჩილესა და ტროპიკული მთიანეთის. თითოეულ მათგანს სამეცნიერო-დეკორატიული და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები ეჭირათ.¹⁸ მომდევნო წლებში ორი ახალი განყოფილება დაემატა: სამხრეთ ევროპისა (ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების) და ჩინურ-ამერიკული მცენარეულობისა. ამ რვა განყოფილებას 1921 წელს 30 დესეტინა ეკავა.¹⁹ ბაღთან მოეწყო ბოტანიკური კაბინეტი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, მეტეოროლოგიური სადგური.

ბოტანიკური ბაღი სახელმწიფო დაწესებულება იყო და, ცხა-



დია, სახელმწიფო ხაზინა აღინანებდა. 1912 წელს სახელმწიფო ბალის მოწოდებისათვის 50 ათასი მანეთი, 1913 წელს — 25 ათასი, ხოლო 1914 წელს — 40 ათას 246 მანეთი გამოყო. მსოფლიო ომთან დაკავშირებული სიძნელეების გამო 1916 წელს ბოტანიკური ბალის ბიუჯეტი 19 ათას 700 მანეთამდე შემცირდა. (17 ათას 200 მანეთი მიწათმოქმედების დეპარტამენტს, ხოლო ათას 500 მანეთი ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გამოყო).²⁰ იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა ბალის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

მოკლე დროში ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. რუსეთისა და მსოფლიოში მას მრავალი თავყვანისმცემელი და ქველმოქმედიც გამოუჩნდა. მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარეების თესლი და ნერგი გამოავაზვნეს ჰიმალაიდან, სამხრეთ ევროპიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან, სოხუმის საცდელი სადგურიდან, ბათუმის საქალაქო ბაღიდან, ბათუმის ოლქის კერძო მეწარმეებმა.²¹

ბალის საცდელ ნაკვეთებზე საინტერესო ექსპერიმენტები ტარდებოდა ტენიანი სუბტროპიკული მცენარეების გამოზრდისათვის, 1915 წელს თესლის გამოცდის სადგური და მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივი ტექნიკური კომისია შეიქმნა. იმავე წელს საცდელ სადგურში 17 სახის თესლი შეამოწმეს და აღრესათს გაეგზავნა.²² ერთი წლის შემდეგ სამკურნალო მცენარეთა საწარგეც მოეწყო. უკვე წლის ბოლოსათვის აქ 30 სახის 2 ათას 500 სამკურნალო მცენარე ხარობდა. საწარგესთან გაიხსნა ლაბორატორია, სადაც ეთეროვანი ზეთების თვისებრივ შემადგენლობას სწავლობდნენ.²³

სამეცნიერო მუშაობის ცენტრი ბოტანიკის კაბინეტი იყო. მუზეუმის მუშაობაც ამ კაბინეტს უკავშირდებოდა. მუზეუმი კოლხეთში აღრეულ ხაზში გავრცელებული სუბტროპიკული მცენარეულობის ნიმუშებს აგროვებდა. დაიწყო ადგილობრივი ხილის კოლექციების შექმნაც. ბოტანიკის კაბინეტის მეშვეობით საინტერესო დაკვირვებები მიმდინარეობდა მცენარეთა მორფოლოგიაზე, სწავლობდნენ როგორც სუბტროპიკული ქვეყნების კულტურულ, ისე შავი ზღვის სანაპიროს ველურ მცენარეულობას.

ომთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, მსოფლიოს შესაბამის დაწესებულებებთან კავშირუთიერთობა არ გაუწყვეტიათ. ბაღმა ცოცხალ მცენარეთა კოლექციები და თესლები მიიღო ლონდონის სამეფო ბაღიდან, ვაშინგტონის გამოყენებითი ბოტანიკის ბიუროდან, პეტერბურგისა და თბილისის ბოტანიკური ბაღე-

ბიდან, სოხუმის ბაღისა და სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურ-
რიდან, დისავლეთ აფრეიდან, პარიზიდან, როსტოვიდან და სხვა.²⁴
განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტექნიკურ კომისიას, რამ-
დენადაც სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ, ციტრუსების
დაავადებამ ბათუმის ოლქში მასობრივი ხასიათი მიიღო.

მართალია, ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან
ფუნქციონირებდა მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის
კომისია, მაგრამ მისი მუშაობა ეფექტური არ გამოდგა. აღნიშნული
კომისიის წევრები უკანაყოფილებას გამოთქვამდნენ. მოითხოვდნენ
ამ დარგში მომუშავე ყველა ორგანიზაციის გაერთიანებას.²⁵

1915 წელს ორი ათკაციანი ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლებმაც
ციტრუსოვანთა ბაღების მკურნალობისათვის 289 ღლე იმუშავეს.
(მკურნალობა სულ 19 ბაღში ჩატარეს). 1916 წელს ასეთი სახის
სამუშაოები 107 ბაღში მოეწყო, რისთვისაც საზოგადოებამ 2675
მანეთი გაიღო.²⁶

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საწყობს უნდა
უზრუნველყო ბათუმის ოლქი და ქუთაისის გუბერნია სასოფლო-
სამეურნეო იარაღებითა და ინვენტარით, მინერალური სასუქებით,
ნარგავებით და სხვა. იგი აქაური მხარის სასოფლო-სამეურნეო
პროდუქციასაც გასაღებდა.²⁷

საზოგადოების სასაწყობო მეურნეობა გაწეულა მუშაობის შე-
დეგად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვედანაყოფად გადაიქცა. საგრძ-
ნობლად გაიზარდა მისი საბრუნავი კაპიტალი და მომსახურების
სფერო, 1914 წლის ივლისის დასაწყისში საბრუნავი კაპიტალი
79036 მანეთს ითვლიდა.²⁸

როგორც სხვა დანაყოფებს, ასევე საწყობს კუთრივებდა ბათუ-
მის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს ერთ-ერთი წევ-
რი. საწყობს საჭირო საქონელი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან
შემოჰქონდა. მისი ასორტიმენტი მრავალფეროვნებით გამოირჩეო-
და. კერძოდ, მომხმარებელს მიეწოდა სასოფლო-სამეურნეო იარა-
ღები, მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებები.
ხელსაწყო-აპარატები, სანერგე მეურნეობის მოწყობილობანი.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ 1912 წელს სო-
ფელ ახალშენში (ბათუმის შემოგარენი) საკუთარი სანერგე მოს-
ყო. თავდაპირველად ოთხი დესეტინა ეკავა, რომელიც მიწათმოქ-
მელების დეპარტამენტმა ამ მიზნისათვის სპეციალურად სახაზინო
მიწის ფონდიდან გამოყო. მალე სანერგე შვიდ დესეტინამდე გაი-
ზარდა.²⁹

სანერგეში სამხრეთული მცენარეების, ძირითადად კი სუბ-



ტრობიკული კულტურების ნერგები გამოჰყავდათ. აგრეთვე ბათუმის ოლქთან ერთად მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებდნენ. 1917 წელს, მაგალითად, სანერგეში გამოჰყავდათ ფორთოხლის 12, ლიმონის — 7 და მანდარინის სამი ჯიშის ნერგები. აქ გამოჰყავდათ აგრეთვე დაფნის, ეგვალიბტის, ყვავილების, ხეხილის ახალი ჯიშები. ძირითადად იაპონური ჯიშის მანდარინის (უნაიუ) ნერგების გამოყვანას მოჰყიდეს ხელი. უკვე 1916 წელს საზოგადოებას სანერგეზ ბათუმის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობას 71284 ძირი ნერგი მიაწოდა.³⁰

განზრახული იყო ხეხილის სანერგე ზემო აჭარაშიც შექმნილიყო. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ ეს საკითხი 1912 წლის 29 იანვრის სხდომაზე გაიტანა. საამისოდ ხულოში 4.5 დესეტიანა მიწის ნაკვეთიც შეაჩინეს, რომელიც ჯ. ზიმშიაშვილმა საზოგადოებას საჩუქრად გადასცა,³¹ მაგრამ ეს წამოწყება განხორციელებას მაინც ვერ ეღირსა.

1915 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას გადაეცა და უშუალოდ ბოტანიკურ ბაღს დაექვემდებარა ართვინის ზეთისხილის სანერგე. მისი ინიციატორი და დამაარსებელია მიწათმოქმედების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი მისალსკი.

რუსეთის მთავრობის გეგმით სანერგეს უნდა ეზრუნეველყო მოსახლეობა ზეთისხილის ნერგებით, რათა ფართო ასპარეზი მისცემოდა ამ ძვირფასი კულტურის განვითარებას.

ართვინის ოკრუგის სოფელ ლომაშენში ზეთის სახდელი ქარხანაც დაარსდა. მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობანი საფრანგეთიდან შემოიტანეს. 1911 წლის ცნობით ქარხანა წლიურად 150-200 ფუტამდე ზეთიუნის ზეთს აწარმოებდა.³² აღნიშნულ საწარმოში ხილის კონსერვების წარმოებაც დაიწყო. 1913 წელს ქარხნის ახალი შენობა ააგეს და მანქანა-დანადგარებიც განაახლეს. ზეთისხილის გაშენებისა და წარგავების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით სანერგესთან სპეციალური სკოლაც გაიხსნა, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდობა სწავლობდა. სკოლისათვის საცდელ-სახევენებელი ნაკვეთებიც მოეწყო.³³

სანერგეს ემსახურებოდა ერთი გამგე და ორი მუდმივი მუშა. ძირითადი სამუშაოები კი დროებით დაქირავებული მუშების მეშვეობით სრულდებოდა. როგორც სახაზინო დაწესებულებას, სანერგეს სახელმწიფო აფინანსებდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წელსვე ლომაშენის ზეთისხილის სანერგე მნიშვნელოვნად დაზარალდა. თურქებმა სანერგე ორჯერ დაარბიეს, გაჰარცხეს და გაანადგურეს, მისი გამგე

ზ. ანდრონიკი წამებით მოკლეს (დაწვეს). ოლქების განდევნის შემდეგ სანერგე აღადგინეს და მისი გაფართოების ამოცანაც დასა-
ეს. 1917 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობამ კავ-
კასიის ადმინისტრაციის წინაშე დააყენა ლომაშენის შეთხზილის
სანერგის გაფართოების საკითხი, მაგრამ ეს მოთხოვნა განუხორციე-
ლებელი დარჩა.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება მეზოსტეოებისა
და მეცხოველეობის განვითარებითაც იყო დაინტერესებული. 1913
წელს სალიბაურსა და გონიოს ციხის ტერიტორიაზე (ბათუმის შე-
მოგარენი) სპეციალური საბოსტნე მეურნეობა მოეწყო, რომელსაც
ოთხი დესეტინა ეკავა.

სოფლის მეურნეობის საზოგადოების მეცხოველეობის სექციამ
ერთ-ერთ სხდომაზე იმსჯელა ბათუმის ოლქში რუსეთის მეთხეობის
საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ. ასეთი განყო-
ფილება მართლაც შეიქმნა, რუპეტიდან და საზღვარგარეთიდან
საუკეთესო თხის გიშების გამოწერაც დაიწყო³⁴, მაგრამ ეს წამოწ-
ეება ვერ გახორციელდა, დღესაც შეიძლება ამ წამოწყებას გამო-
ცოცხლება. აჭარის მთიანეთი მეთხეობის განვითარებისათვის გვე-
ლანე უფრო გამოსადეგია.

გამოცდებების გაზიარების მიზნით 1910 წელს უცხოეთში
გაიგზავნა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მდივანი
აგრონომი ზ. სორკინი, იყო ნეაპოლში, მარსელში, სიცილიაში, ნი-
ცაში, რომში, ალგირში, ზინესა და იაპონიაში. ამ ქვეყნებში ზ. სო-
რკინმა სამ თვეზე მეტხანს დაჰყო. იგი გაეცნო სუბტროპიკული კულ-
ტურების საერთო მდგომარეობას, მათი გაშენების, მოვლა-პატრო-
ნობის, პროდუქციის წარმოების წესებსა და მეთოდებს. ასეთი მიე-
ღინებები სხვა დროსაც ეწყობოდა.

ბათუმში მოეწყო ბაზრობა-გამოფენა, ხოლო შემდეგ ბათუმის
ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენა თბილისშიც
მოეწყო, რომელმაც დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოი-
წვია. საზოგადოებას საკუთარი გოველთეფური ყურნალის გარდა,
გამომცემლობაც ჰქონდა, რომელმაც საყურადღებო წიგნები და
ბროშურები გამოსცა. რუსეთის ცენტრალური, კავკასიის სამხარეო,
იმპერიის სხვა რეგიონების პრესაც დაინტერესებული იყო ბათუმ-
ის ოლქში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითა-
რებით და მათ შესახებ მასალებს სისტემატურად აქვეყნებდა.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდისათვის იყო გამოი-
წვლილი საზოგადოების კლუბი და მუზეუმი, რომლებიც 1912 წელს
გაიხსნა, აქ სისტემატურად ეწყობოდა ლექცია-ნოხსენებები, საუბ-

რები, კონსულტაციები, საზოგადოება ზრუნავდა მებაღე მუშების პრაქტიკული სკოლის დაარსებისათვის. სკოლა ყოველწლიურად 25 პრაქტიკოს მებაღე მუშას ამზადებდა. ასეთი სკოლა მართლაც გაიხსნა 1914 წელს, რომლის ხარჯები 7 ათას 800 მანეთს შეადგენდა.³⁵

საზოგადოების ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით 1912 წელს ბათუმში სოფლის მასწავლებელთა მოკლევადიანი კურსები მოეწყო. მსმენელთა წინაშე ლექციებით გამოვიდნენ თვალსაჩინო მეცნიერი პროფესორი ა. კრასნოვი, მიწათმოქმედების დეპარტამენტის სპეციალისტები ლ. რედკო, ა. კალანტარი, ს. ტიმოფეევი, გ. ჯაფარიძე, ი. ქუთათელაძე, ნ. სმირნოვი, ა. ვერშიშევი, ლ. ანდრონიკაშვილი, ართვინის ზეთისხილის საწარმეს გამგე ანდრონაკი, სოფლის მეურნეობის საზოგადოების წევრები, აგრონომები ს. ნორკინი, ი. დიადუშა, ნ. უბენეკო, ი. ლეონიძე და სხვები.³⁶

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება 1913 წლიდან მოყოლებული იბრძოდა ჩაის ფაბრიკის აგებისათვის, ინგლისის შესაბამისი მანქანათმშენი ფირმას ჩაის ნედლეულის გადასამუშავებელი მანქანებიც შეუკვეთეს, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ფაბრიკის აგება 95 ათას 390 მანეთი ჯდებოდა, ხოლო მის სიმძლავრეებს 60 ათასი გირვანქა მზა პროდუქციის დამზადება შეეძლო.³⁷

1917 წლის 2 იანვარს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარემ და ბოტანიკური ბაღის დირექტორმა ი. პაღიბაიშა ჩაის ფაბრიკის აგების საკითხი დააყენეს პეტერბურგში უმაღლესი ხელისუფლების წინაშე. იმავე წლის 25 მაისს ეს საკითხი პეტერბურგის ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში მთავრობის აგრონომმა ა. ვასილევსკიმ აღძრა.³⁸ მაგრამ ყველა ნივთიერება ცნობილ მიზეზთა გამო განუხორციელებელი დარჩა.

აჭარაში სოფლის მეურნეობის მეორე საზოგადოება 1909 წელს შეიქმნა ქობულეთში. მასში ძირითადად გლეხური მოსახლეობა გაერთიანდა, უმეტესწილად ფიჭვნარში მცხოვრები მოახალშენე რუსები. იგი ცნობილია სმეკალოვკის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სახელწოდებით. წლის ბოლოსთვის საზოგადოება 120 წევრს აერთიანებდა, საზოგადოების თავმჯდომარე იყო აგრონომი ნ. უბენეკი. 1913 წელს საზოგადოების საბჭოს 8 წევრიდან ხუთი ეროვნებით ქართველი იყო.³⁹

მიწათმოქმედების დეპარტამენტის დაფინანსების, წყალობით და ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დახმარებით სოფელ ფიჭვნარში (სმეკალოვკა) 1910 წელს ხილსაქმობი კუსტარული საწარმო მოაწყვეს, საწარმოში 6 მანქანა დაიდგა და 12 კაცი



მუშაობდა. აქ იაბონურ ხტრმას, ატამს, ვაშლს ახმობდნენ. დასაწყისში ხილის ხმობის ტექნიკურ პროცესებს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქტორი ნ. უბენგვი ხელმძღვანელობდა.⁴⁰ შემდგომში საჭირო სპეციალისტები აღვიწერე მოამზადეს.

ხილის ტექნოლოგიურ გადამუშავებას და კონსერვების დამზადებას საცდელ-საჩვენებელი ხასიათი ჰქონდა. მისი დანიშნულება იყო ამ საკმით მოსახლეობის დაინტერესება, ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა და შემდგომში მისი მასობრივად განხორციელება.

საზოგადოებასთან სანერგე მეურნეობა, საწყობი და საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები მოეწყო. საზოგადოება მოსახლეობას უფასოდ და შეღავათიან ფასებში ემსახურებოდა. ამ დროისათვის საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები მოწყობილი ყოფილა წყავროკაში, კვირიკეში, ალაშბარში, დავეასა და რომანოვკაში. საზოგადოება მოსახლეობას ამარაგებდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, სასუქებით, მცენარეთა მცენებლებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებებით და სხვა.⁴¹

აქარა, გასაკუთრებით კი მისი ზღვისპირეთი, უცხოელებს იზიდავდა, როგორც საუკეთესო საკურორტო მხარე, მანჩიხაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ქობულეთი უცხოელების საკურორტო დასახლებად გადაიქცა, მათი უმრავლესობა გენერლები, ოფიცრები და რუსეთის სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეები იყვნენ. მაგალითად, ქობულეთში მოაგარაკეთა შორის 14 გენერალი ყოფილა, ციხისძირში აგარაკი — 85, მანჩიხაურში — 70, ხოლო მწვანე კონცხზე 23 უცხოელს ჰქონდა.⁴²

აგარაკების მოწყობისა და მეურნეობის რაციონალურად გადართვის მიზნით მოაგარაკებმა ამხანაგობები და საზოგადოებები ჩამოაყალიბეს. 1907 წელს ციხისძირსა და ქობულეთში, ხოლო 1909 წელს მწვანე კონცხზე უცხოელ მოაგარაკეთა საზოგადოება შეიქმნა.

ბათუმის ოლქის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა და ამხანაგობების სამეწარმეო საქმიანობის საყოველთაო აღიარება მოხდა პეტერბურგის 1913 წლის გამოფენაზე. რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით 1913 წლის ნოემბერ-დეკემბერში პეტერბურგში მოეწყო კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო გამოფენა „რუსსკაია რივიერა“. ამ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ბათუმის ოლქში მუშაობა 1912 წლის დამდეგიდან გაიშალა. შეიქმნა ერთი საოლქო და



ორი საოკრუგო საგამოფენო კომიტეტი.

პეტერბურგის გამოფენაზე „რუსსკაია რივიერა“ ბათუმის ოლქი ფართოდ იყო წარმოდგენილი. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ წარადგინა თავისი ორგანოს — ჟურნალების „ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ“-ის „რუსსკიე სუბტროპიკის 1908-1913 წლების ეგზემპლარები, მცენარეთა ფოტოსურათები, ჩაისა და ციტრუსების განვითარების მაჩვენებელი დიაგრამები, ცოცხალ მცენარეთა კოლექციები, აჭარელთა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ბამბუკის აგეჯი, თესვები, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების პროდუქცია.

სამეკალფკის (ქობულეთის) სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გამოფენაზე გაიტანა ხმელი ხილი, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები; ართვინის ზეთისხილის სანერგემ — ზეთისხილის ცოცხალი მცენარე, კონსერვები, ზეთუნის ზეთი, ხილი; ბოტანიკურმა ბაღმა — 50-მდე ჯიშის ეგკალიპტის ნერგი; ციხისძირის მოაგარაკეთა საზოგადოებამ — ციხისძირის რაიონის აღწერის მაჩვენებლები.

„რუსსკაია რივიერას“ საგამოფენო კომიტეტმა და ექსპერტთა საბჭომ სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დარგში გაწეული მუშაობისა და სამაგალითო მიღწევებისათვის ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება დიდი ოქროს მედლით, ხოლო ბოტანიკური ბაღი და ართვინის ზეთისხილის სანერგე პატარა ოქროს მედლით დააჯილდოვა, დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს ბათუმის სოფლის მეურნეობის წევრები, მოახალშენე მეწარმეები კ. რედკო და ი. დიადიუშა, პატარა ოქროს მედლით — ვ. ბარათოვი. აღსანიშნავია, რომ სულ დაწესებული იყო 17 დიდი და 14 პატარა ოქროს მედალი.

აჭარის გასაბჭოების შემდეგ მოახალშენეების მამულები და აგარაკები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. აჭარაში მაშინ 293 მოახალშენე აღირიცხა, მათგან მეურნეობას დაქირავებული შრომით 197 პირი უძღვებოდა.

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 14 თებერვლისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1 აპრილის დადგენილებით მოხდა 168 მოახალშენის მამულების ნაციონალიზაცია. დანარჩენი მამულების ნაციონალიზაცია მომდევნო წლებში განხორციელდა, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებიდან, ამხანაგობებიდან და დაწესებულებებიდან მხოლოდ ბოტანიკური ბაღი შემორჩა და კერძო ინიციატივა და ბიზნესი სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიით შეიცვალა.

- 1 ბატუმსკი სელსკი ხოზიანი, 1909, № 5, გვ. 156.
- 2 იქვე, გვ. 156-157.
- 3 რუსეთის საგარეო კავშირების მინისტრის განკარგულება 1908 წლისათვის. ხაზ. 1, სანკ-პეტერბურგი, 1910, გვ. 42-43, ვ. წ. ლიზნოვსკი, ჩაის კულტურა რუსეთში, პეტროგრადი, 1910, გვ. 41-42 (რუს.).
- 4 ბატუმსკი სელსკი ხოზიანი, 1908, № 1, გვ. 3-4,
- 5 ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წესდება, ბათუმი, 1912, გვ. 7 (რუს.).
- 6 იქვე, გვ. 10-17.
- 7 საქართველოს სტია, ფ. 243, ანაწ. 7, ს. 878, გვ. 28.
- 8 ბათუმის ოლქის 1910 წლის მიმოხილვა, ბათუმი, 1912, გვ. 29 (რუს.).
- 9 ბატუმსკი სელსკი ხოზიანი, 1909, № 5, გვ. 133.
- 10 ბატუმსკი სელსკი ხოზიანი, 1911, № 8, გვ. 366.
- 11 ინსტრუქცია ბათუმის სოფლის მეურნეობის ადგილობრივი განყოფილება-სა. ბათუმი, 1914, გვ. 3-14 (რუს.).
- 12 ა. ნ. კრასნოი. აზიის სუბტროპიკული ოლქების ჩაის ოჯრუგები, სანკ-პეტერბურგი, 1898; მისივე, ინდოეთი და ცეილონი, სანკ-პეტერბურგი 1900; მისივე, სამხრეთ კოლხეთი, 1912, მისივე ბათუმის სანაპირო, როგორც ტენიანი სუბტროპიკული კულტურების ცენტრი რუსეთში, სანკ-პეტერბურგი, 1915, (რუს.).
- 13 რუსეთი სუბტროპიკი, 1913, № 9, გვ. 1-2;
- 14 ბატუმსკი სელსკი ხოზიანი, 1911, № 11, გვ. 494, 511-512;
- 15 იქვე.
- 16 რუსეთი სუბტროპიკი, 1912, № 10, გვ. 603-604.
- 17 რუსეთი სუბტროპიკი, 1912, № 7, გვ. 339.
- 18 რუსეთი სუბტროპიკი, 1914, № 6, გვ. 9.
- 19 საქართველოს სტია, ფ. 1515, ს. 1259, ფურც. 18.
- 20 რუსეთი სუბტროპიკი, 1912, № 7, გვ. 339; რუსეთი სუბტროპიკი, 1913, № 4, გვ. 47; რუსეთი სუბტროპიკი, 1914, № 2, გვ. 53.
- 21 რუსეთი სუბტროპიკი, 1913, № 2, გვ. 52-53.
- 22 ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საჭმეიანობის 1916 წლის ანგარიში. ბათუმი, 1917, გვ. 27 (რუს.).
- 23 იქვე, გვ. 28-30.
- 24 იქვე, გვ. 38-7
- 25 მცენარეთა მცენებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კომისიის შრომები, ნაკვეთი I, ბათუმი, 1917, გვ. 7 (რუს.).
- 26 იქვე, გვ. 14-15; ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საჭმეიანობის 1916 წლის ანგარიში, ბათუმი, 1917, გვ. 15.
- 27 რუსეთი სუბტროპიკი, 1914, № 6 გვ. 46-47.
- 28 რუსეთი სუბტროპიკი, 1914, № 7-8, გვ. 61; ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების 1915 წლის ანგარიში. ბათუმი, 1916, გვ. 29-30. (რუს.).
- 29 საქართველოს სტია, ფ. 243, ანაწ. 7, ს. 878, ფურც. 5-7,
- 30 საქართველოს სტია, ფ. 243, ანაწ. 7, ს. 878, ფურც. 5,
31. რუსეთი სუბტროპიკი, 1912, № 1, გვ. 97.

- 32 რუსიე სუბტროპიკი, 1912, № 5, გვ. 263-266.
33. საქართველოს სტია, ფ. 243, ანაწ. 7, ს. 742, გვ. 58-59,
- 34 რუსიე სუბტროპიკი, 1912, № 2, გვ. 93.
- 35 რუსიე სუბტროპიკი, 1912, № 1, გვ. 28-33; იქვე, 1913, № 4, გვ. 43; № 9, გვ. 35; იქვე, 1914, № 2, გვ. 52.
- 36 სასოფლო-სამეურნეო კურსები სოფლის მასწავლებელთათვის, 1912 წლის აგვისტო. ბათუმი, 1912, გვ. 6-18 (რუს.)
- 37 საქართველოს სტია, ფ. 243, ანაწ. 7, ს. 878, ფურც. 9; ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობის 1916 წლის ანგარიში. ბათუმი, 1917, გვ. 12 (რუს.)
- 38 იქვე.
- 39 სმეკალოვეის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობის 1910, 1913 და 1914 წლების ანგარიშები. ბატუმსკი სელსკი ხოზიანი 1911, № 6-7, გვ. 24; რუსიე სუბტროპიკი, 1914, № 5, გვ. 71-72; რუსიე სუბტროპიკი, 1915, № 8-9, გვ. 97.
- 40 სმეკალოვეის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობის 1910 წლის ანგარიში. ბატუმსკი სელსკი ხოზიანი, 1911, № 6-7, გვ. 246-247.
- 41 იქვე, გვ. 75; სმეკალოვეის სოფლის მეურნეობის საზოგადოების 1914 წლის ანგარიში, რუსიე სუბტროპიკი, 1915, № 8-9, გვ. 100-102.
- 42 საქართველოს სტია, ფ. 13, ანაწ. 10, ს. 604, ფურც. 12-48; ჩერნომორსკი ვესტნიკი, 21 აგვისტო, 1908.
- 43 კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს პირველი გამოფენა სანკ-პეტერბურგში სახელწოდებით „რუსკაია რივიერა“. სანკ-პეტერბურგი, 1914, გვ. 53-171; კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის „რუსკაია რივიერას“ კატალოგი. სანკ-პეტერბურგი, 1913, გვ. 59-67.

ოთარ თუშმანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



აზარა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ (1900-1905 წწ)

დელასამშობლოსთან აჭარის შემოღობების შემდეგ დაიწყო ამ მხარის სწრაფი განვითარება. აღმავლობა განსაკუთრებით დაეტყო ქალაქ ბათუმს. მე-20 საუკუნის დასაწყისში აქ მძლავრი ტემპით იწყება მრეწველობის განვითარება. ბაჭოდან შემოსული ნავთობი უკვე კონსტანტინოპოლის უწევდა ხარისხის მხრივ ამერიკულ ნავთობს. საერთაშორისო ბაზარზე თანდათან იზრდებოდა ექსპორტი. და ისე დააჩქარეს პროცესი, რომ უცხოეთში დარბაზი გატანილი მთელი ნავთობის მსოფლიო მოხმარების 21,2 პროცენტი.¹

ამიტომ იყო, რომ ბათუმში მცოდნე მრეწველებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ ნავთობის შესანახი რეზერვუარების მშენებლობა.² 1900 წლისათვის ბათუმში 10 ქარხანა მუშაობდა და უცხოეთის ბაზრებისათვის³ ამჟამად 20 მილიონ ფუტი ნავთს.

ამ პერიოდისათვის ბათუმში შემოაქვთ მანქანები, ორთქლის ძრავები, ფართოდება მანუფაქტურული წარმოება. ხდება წარმოების მექანიზაცია.

შეიცვალა და აქტიურდება საზოგადოებრივი ცხოვრება. ყალიბდება სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. აქამდე, უახლეს ისტორიოგრაფიაში ყველა წამოწყებას ამ პარტიის ბოლშევიკურ ფრთას მიაწერდნენ. განსაკუთრებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურებას უკავშირებდნენ ბათუმში ი. ჯუღაშვილის ჩამოსვლას და მისი ხელმძღვანელობით მუშა ს. ლომჯარიას ბინაზე 1902 წლის 31 დეკემბერს ჩამდგმულ ბათუმის კომიტეტის შექმნას. არქივებში მიკვლეულმა დოკუმენტებმა ნათელყვეს, რომ ბათუმში არსებობდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მხარის საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურების საქმეში. განსაკუთრებით ითქმის ეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკურ) ლიდერებზე კ. ჩხეიძესა და ი. რამიშვილზე. ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოსახლეობაში, განსაკუთრებით — მუშათა შორის.⁴

მოკვლეული მასალებიდან ვგებულობთ, რომ ბათუმის ოლქის მოსახლეობაში სწრაფად იზრდებოდა ეროვნული თვითშეგნება. —



ტარდებოდა საღამოები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები და აღვივებდნენ ეროვნულ-დამოუკიდებლობის იდეას. 1904 წლის 16 თებერვალს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი კაპიტან ჯაფარიძის გაგზავნილი ბარათიდან ვგებულობთ, რომ. ა. წულაძე და ი. ელენტი ბათუმში მართავდნენ საღამოებს, კითხულობდნენ ციტატებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ამსახველი ნაწარმოებებიდან. გარდა ამისა, ეს პიროვნებები და მათი თანამშრომლები ზიზღით უყურებენ ყოველივე რუსულს. მოსახლეობაში ეწევიან აგიტაციის იმის შესახებ, რომ სწორედ რუსეთმა დაიპყრო და დაიმონა საქართველო და მოუწოდებენ ხალხს იარაღით ხელში გამოვიდნენ რუსული მმართველობის მოსასპობად, რომ მალე დადგება თავისუფლების ნანატრი დღე. ყველაზე სახიფათო ის არის, განაგრძობს მეფის ერთგული მოხელე ჯაფარიძე, რომ აგიტატორები (მხედველობაში ჰყავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები — ო. გ.) ცდილობენ ანტისამთავრობო მოძრაობაში ჩაითრიონ მორჩილე მაჰმადიანური მოსახლეობა და თუ ჩვენ არ ვიმოქმედეთ გადამჭრელად, შესაძლებელია ყველაფერმა ამან იმპერიისათვის არასასურველად შედეგი გამოიღოს,⁵ აქედან და კიდევ ამის მსგავსი სხვა დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ეროვნული იდეა მომწიფებული იყო, მაგრამ მისი რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობები ნამდვილად არ დამდგარიყო.

ამ დროისათვის ფუნქციონირებდნენ სხვადასხვა პარტიები და ორგანიზაციები. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია 1904 წელს ენეეაში ჩამოყალიბებული სოციალ-ფედერალისტების პარტია,⁶ ეს პარტია ეროვნულ ნიადაგზე იდგა და ცდილობდა ცარიზმი წასულიყო გარკვეულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დათმობებზე,⁷ ფედერალისტებმა ბათუმში დააარსეს საკუთარი გაზეთი „გოლოს ბატუმი“, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: ს. მდივანი, ვ. წერეთელი, პ. საბაშვილი.⁸ ფედერალისტები ამ გაზეთის მეშვეობით ცდილობდნენ ეროვნული იდეები შეეტანათ მოსახლეობაში, იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ, ამბობდნენ ყველა იმ ორგანიზაციას თუ პარტიას, რომლებიც თავისი საქმიანობით ძირს უთხრიდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, მათი კრიტიკა მიმართული იყო იმ პოლიტიკანების წინააღმდეგ, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში მომრავლებულიყვნენ (საუბარია 1901-1904 წწ. — ო. გ.). პარტიამ თავისი საქმიანობა გააქტიურა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანი ქართველების პროგრესული ნაწილი გემედ აბაშიძის მეთაურობით

ხდება სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი.⁹ შემდეგ ამავე წელს და სხვა გამოჩენილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლების ზემოაღნიშნული პარტიის წევრობა გამოწვეული იყო იმ დიდი პატრიოტული იდეებისა და მიზნების გამო, რომელსაც ეს პარტია იზიარებდა. ფედერალისტების მიზანი კი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იყო.¹⁰

1903 წლისათვის ბათუმის ოლქში თავი მოიყარა იმპერიის შიდა გუბერნიებიდან სამუშაოს საძებნელად ჩამოსულმა ადამიანებმა. ისინი თანახმანი იყვნენ ემუშავათ ყოველგვარ პირობებში. მთავრობა ცდილობდა, ჩამოსულები ადგილობრივი მუშახელისათვის დაეპირისპირებინათ და ამით შეეწყვიტათ ის სირთულეები, რომლებიც ვაფიცვებისა თუ მთავრობისადმი წაყენებული მოთხოვნილებებით შეექმნა.¹¹ მაგალითად, ნავსადგურში გემების დატოლის დროს მომხდარი შეტაკებები არც თუ ისე იშვიათად მსხვერპლითაც მთავრდებოდა.

კავკასიის მთავარმართებლისადმი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის გავზავნილ ბარათში წერია: „ამა წლის (საუბარი 1903 წელზე—თ. გ.) 14 მარტს ნავსადგურში გემების დატოლის დროს ქართველ და სომეხ მუშებს შორის ატყდა ჩხუბი, არიან და შავებულნი და მძიმედ დაჭრილნი, საქმეში ჩაერია პოლიცია. დააპატიმრეს აყალმაყალის მოთავეები. საქმე გადაცემულია გამოძიებისათვის. მსგავსი შემთხვევები უკვე მერამდენედ ხდება სხვადასხვა ქარხნებში. ადგილობრივები მტრულად არიან განწყობილნი იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულების მიმართ.... დროა ბოლო მოუვლოთ ამას“.¹²

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: ზოგიერთი ქარხნის მებატრონე ცუდ ურთიერთდამოკიდებულებაში ყოფილა ჩამოსულებთან და ყოველნაირად უშლიდა ხელს მათ საქმიანობას. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ როტმილდის ქარხნის ხელმძღვანელი, ფრანგი გონი. ის სამუშაოზე საერთოდ არ ღებულობდა იმპერიის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ მუშებს. მაგალითად, გონის შესახებ როტმისტრი სტანი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორს 1903 წლის გაზაფხულზე წერს: „რუსებთან გონი ცუდ ურთიერთობაშია. ის დაუფარავად აცხადებს: ეს რუსია, რუსი და მე მას სამუშაოზე არ მივიღებ, მე არ მჭირდება ისინი“.¹³

ამ დროისათვის ბათუმის ოლქში არსებობდა ებრაელთა ორგანიზაცია „ბუნდი“. ბუნდელების მთელი საქმიანობა ის გახლდათ, რომ ერთმანეთისადმი დაეპირისპირებინათ ქართველები და არა-ქართველები. ამ ორგანიზაციის შესახებ ჟანდარმთა სამმართველოს



ფონდში ეკითხულობთ: „ბუნდელები ცდილობენ შუილი ღონ ოლქის მოსახლეობაში, ისინი ასევე იბრძვიან იმისათვის, რომ რუსებმა პატივი სცენ ებრაელებს“.¹⁴

ბათუმში მოქმედებდა სომხების სამი პოლიტიკური ორგანიზაცია, დაშნაცუტუნი, გინჩაქი და პარტია ე. წ. „დროშაქირტები-სა“, მათი საქმიანობა ძირითადად ანტიქართული მიმართულებისა იყო. ამ დროისათვის ხდება ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა — კავკასიისაკენ მოისწრაფვიან არა მარტო თურქეთში მცხოვრები სომხები, არამედ ამერიკაში და სხვა ქვეყნებში გაფანტული სომხებიც. ეს გვამძულებს ვიფიქროთ, რომ ამერიკიდან და სხვა ქვეყნებიდან სომხების მოძრაობას აქვს განსაკუთრებული¹⁵ მიზანი ვფიქრობთ, რომ ეს მოძრაობა მიზნად ისახავდა დიდი სომხეთის სახელმწიფოს შექმნას რუსეთის იმპერიის დახმარებით.

ყველაზე უფრო ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ცარიზმის შოვინისტ მოხელეებს და უდიდეს როლს ასრულებდა ოლქის მოსახლეობაში გროვნილი თვითშეგნების განგრცობა-გაღრმავებისათვის, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების საქმიანობაზე ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის მთავარმართებელს ასე აცნობებდა: „ქართული საზოგადოების ბათუმის განყოფილების საქმიანობა ჩემდამი რწმუნებულ ოლქში ატარებს უტყუარ ტენდენციას, რომ ქრისტიან და მუსულმან ქართველებს შორის აწარმოოს პროპაგანდა მათი კვლავ გაერთიანების მიზნით. ზნეობრივი და კულტურული გავლენის მოხდენა წარმოებს თითქმის ლეგალურ ფორმებში, რაც გამოიხატა სკოლების მოწყობაში, მეფუტკრე და აგრონომ-ინსტრუქტორების სოფლებში მივლინებასა და ბათუმში საბავშვო თავშესაფრების მოწყობაში. მასწავლებელთა ჯამაგირები და სასკოლო ხარჯები ამ სკოლებში სამჯერ მეტია, ვიდრე სამინისტრო სკოლებში. ქართული საზოგადოება შენობებს იმ მიზნით ყიდულობს, რათა თავის მუსულმან თანამემამულეთ აჩვენოს, რომ მთავრობაზე უკეთ ისინი ზრუნავენ მათზე.“¹⁶

1904 წლისათვის რსდმპ ბათუმის კომიტეტს ხელმძღვანელობდნენ ნ. რამიშვილი და ბ. ჩხიკვიშვილი, 1905 წელს კ. — გრიშა სოლორეშვილი — შემდგომში ცნობილი მენშევიკი მოღვაწეები.

ამრიგად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ბათუმის ოლქში 1900-1904 წ. გამოირჩეოდა სიახლეებითა და სირთულეებით. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ მეფის რუსეთის თვითშეპყრობელობის წინააღმდეგ.

- 1 ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ. 1958, გვ. 40
- 2 დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ. 1984, გვ. 62.
- 3 აჭარის სახელმწიფო ცენტრალური არქივი (შემოკლებით ასცა) ფ. I, აღწ. ., საქ. 20, ფურც. 14.
- 4 საქართველოს ეროვნული მემკრბობის ისტორიის მუზეუმის არქივი, (შემოკ-
ლებით საქ. ემიმა) ფ. 2, საქ. 10, ფურც. 20.
- 5 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (შემოკლ.
სსცსა) ფ. 83, აღწ. 1, საქ. 60, ფურც. 72.
- 6 დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვეთი I,
ფედერალისტები, თბ. 1993, გვ. 294.
- 7 ქართული ისტორიოგრაფია, თბ. 1958, გვ. 114.
- 8 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (შემოკლ. ასმხფ) № 64,
ფურც. 110.
- 9 ჟ. კონაძე, ბათუმის ამაღლარნი, ბათ. 1992, გვ. 15.
10. თ. კონაძე, შემედ აბაშიძე, ბათ. 1993, გვ. 14.
- 11 სსცსა, ფ. 13, აღწ. 27, საქ. 9, ფურც. 42.
- 12 ასცა, ფ. I, აღწ. 1, საქმე 100, ფურც. 62.
- 13 საქ. ემიმა, ფ. 4, საქმ. 15, ფურც. 5,
- 14 საქ. სსცსა, ფ. 83, აღწ. 1, საქმე 60, ფურც. 15;
- 15 აჭარის სამხფ. № 200, ფურც. 70,
- 16 საქ. ემიმა, ფ. 2, საქმე 10, ფურც. 34.

ოთარ გოგოლიშვილი,

აჭარის სამუზეუმო გაერთიანების დი-
რექტორის მოადგილე სამეცნიერო
დარგში, ისტორიის მეცნიერებათა კახ-
დიდატი.

Handwritten signature

შ ი ნ ა ა რ ს ი



პ რ ო ზ ა, გ ო მ ე ზ ი ა

რეზანე მიუხედავად — ნოველები	3
ნათელა დუშაბაძე — ლექსები	33
სოსო აბაშიძე — ლექსები	37
ნოდარ ძირკვამიძე — გოჩას გორა (ცოცხლიდან „მთის ლეგენდები“)	46
მუხუნა შანიძე — ლექსები	74

თ ა რ გ მ ა ნ ი

მაკგერი პატრიმია — მოგებულს რჩება ყველაფერი (ნოველა) (ინგლისურიდან თარგმნა მუხრან სიბუხამ).	75
--	----

მ ი მ ე დ ა ბ ა შ ი ძ ე — 120

მიხეილ მუხომიძე — გაზეთი — ჩირაღდიანი	85
„ის იქნება სადღესასწაულო ღღე“	92
რწმენა და ენთუზიაზმი	96

ვ ი ნ მ ო ლ ი ს მ ო მ ა გ ლ ი ძ ა ნ

ვაკ ნოდარდელი — ლექსები	106
ანტონიო გოგრაძე — დაწვეტილი ფიქრი (ფრაგმენტები)	109
თეიმურაზ შირატხალაიშვილი — ლექსები	116
ნინო კიკელიძე — სამი უცნაური ქალაქი (ზღაპარი)	119

ხ ს ო მ ნ ა

ლევან გიგინეიშვილი — ლექსები	124
------------------------------	-----

კ რ ი ტ ი კ ა ზ ა კ უ ჯ ე ნ ი ს ტ ი კ ა

დავით ხახუტაიშვილი — დროული, საჭირო წიგნი	128
---	-----

წ ი რ ი ლ ე ზ ი

ოთარ ციკელიძე — დგას კაცი საქმესთან	134
ოთარ თურმანიძე — საზოგადო-სამეურნეო საზოგადოებები აჭარაში	139

ჩ ვ ე ნ ი ო ს ტ ო რ ი ა

ოთარ გოგოლიშვილი — აჭარა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ (1900-1905 წწ.)	155
--	-----